…საქართველო … ალღო და თბილისი – შიგ ჩასმ… …ში
თბილისელები®
№8(739) 1 მარტი ფასი 1,50 ლარ…
www.tbiliselebi.ge



გვ. 70
რა შემოთავაზება მიიღო ნოდიკო ტატიშვილმა შვედეთის სამეფო კარისგან და რატომ დასტრიალებდნენ მას პრინცესები

გვ. 18
მანიკა ასათიანის რა მოთხოვნები დააკმაყოფილა ნიკა ლაზარიაშვილმა და რაში უზიამს მას მხარს მანიკას მეუღლე

გვ. 12
ვის უკერავდა ნინო გვენეტაძე ვაკეში ქურთუკებს და როგორ დარჩა ის მარტო

რესტორანი მთელი ოჯახისთვის!
რისგან მზადდება „მაკდონალდსში" საკვები და არის თუ არა ის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გვ. 11



გვ. 74
რა მიაჩნია სიყვარულის დროს წარმოუდგენლად თამუნა ერგემლიძეს და როგორ იქორწინა მან ურთიერთობის სამი თვის თავზე



სად გაემგზავრნენ ნუცა კოკალიანი და მისი მეუღლე ჯვრისწერიდან ერთ საათში და რატომ არ აპირებენ ისინი პომპეზური ქორწილის გადახდას
გვ. 16



გვ. 19
როგორ გახდნენ პაატა და ირინა ციქურიშვილები ვაშინგტონის საპატიო მოქალაქეები და როგორ მოიპოვა მათმა შექმნილმა სინთეტიკის თეატრმა წელს ვაშინგტონის „ოსკარად" წოდებული „ჰელენ ჰეისის" ოცდასამი ნომინაცია



გვ. 71
როგორ აღმოჩნდა ლელა მიქელაძისა და მარკუს მეტრეველის რომანი სინამდვილეში დაქალობა და რა უთხრა მარკუსმა მას თავისი ორიენტაციასთან დაკავშირებით

# მარხვის მადლმა გაგაძლიეროთ!

MARDALEISHVILI MEDICAL CENTRE



## რა უნიკალურ ოპერაციებს აკეთებენ ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში და რატომ ირჩევენ მას პაციენტები

გვ. 14



## როგორ ამოვიცნოთ ადამიანის ხასიათი მისი ხელნაწერის მიხედვით

გვ. 72



## რა აღმოაჩინა ექსპერტ-კრიმინალისტმა ზაზა ალთუნაშვილმა „ცეერუს“ აგენტისა და გიორგი სანაიას მკვლელობების გამოძიების დროს

გვ. 13


გააკეთე სწორი არჩევანი

განათლების საერთაშორისო გამოფენა

27-28 თებერვალი

მოდი, შეადარე, აირჩიე

100-ზე მეტი ქართული და უცხოური უნივერსიტეტი

სამუშაო საათები: 12:00 – 19:00

ა. წერეთლის გამზ. 118

გამოფენების ცენტრი „ექსპო ჯორჯია“

მე–11 პავილიონი

გამოფენა საშუალებას მოგცემთ:

- იხილოთ თითქმის ყველა ქართული და მრავალი უცხოური უნივერსიტეტი ერთ სივრცეში. შეადაროთ მათი სასწავლო პროგრამები და პირობები. მიიღოთ სწორი გადაწყვეტილება თქვენი მომავლისათვის.
- პირადად შეხვდეთ 100–ზე მეტი უნივერსიტეტის წარმომადგენელს, მიიღოთ მათგან დეტალური ინფორმაცია და პასუხები თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.
- მიიღოთ ამომწურავი ინფორმაცია განათლების დაფინანსების შესაძლებლობების, სტიპენდიებისა და გრანტების შესახებ.
- შეხვდეთ უცხოური უნივერსიტეტების წარმომადგენლებს შემდეგი ქვეყნებიდან: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ჰოლანდია, თურქეთი.

დაგეგმე შენი მომავალი

ტელ: +995 32 234 11 00
Facebook: #ExpoGeorgia
ელ-ფოსტა: expo@expogeorgia.ge

Expo Georgia SINCE 1958

International Education Fair

**„გულისხმიერი და პროფესიონალი ექიმი" – ასე ახასიათებენ ექიმ ინგა მამუჩიშვილს არა მხოლოდ კოლეგები, არამედ, რიგითი პაციენტებიც. ჩვენი მკითხველის დიდი ნაწილიც სწორედ ქალბატონ ინგას ასახელებს წლის პედიატრად და კვალიფიციური ექიმის სტატუსს ანიჭებს. თუ რა გზა განვლო ქალბატონმა ინგამ ამ აღიარებამდე და როგორ გამოიყურება მისი პროფესიული დოსიე, სწორედ ამ საკითხებზე საუბრობს ის ჩვენთან ინტერვიუში.**

# რატომ ირჩევენ მშობლები პედიატრ ინგა მამუჩიშვილთან ვიზიტს და რას ურჩევს ექიმი მათ ვირუსული ინფექციების თავიდან ასაცილებლად

**ინგა მამუჩიშვილი** – ექიმი–პედიატრი.

**განათლება**: 1980-1988 წლები – მე-2 სამედიცინო ინსტიტუტი, პედიატრიის ფაკულტეტი (მოსკოვი); 1992-1995 წლები – თსსუ ასპირანტურა (სამკურნალო ფაკულტეტი).

**სამუშაო გამოცდილება**:1989-1991 წლები – კრწანისის რაიონის მთავარი პედიატრი;

1991 – არაბეთის გაერთიანებული ემირატები („წითელი ჯვრის" კლინიკა) – ექიმი-პედიატრი; 1992-1995 – თსსუ პედიატრიის კათედრა; 1996-2004 – კათედრის ასისტენტი; 2004-2006 – კათედრის დოცენტი; 2004-2011 – ძმები ზუბალაშვილების სახელობის პედიატრიული კლინიკის დირექტორი; 2004 – 2011 პროფესორთა საბჭოს წევრი, დიდი საბჭოს წევრი, სადისერტაციო საბჭოს წევრი (თსსუ); 2011-დან დღემდე – კლინიკა „სეუს" ექიმი-პედიატრი; მაღალი ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის კონსულტანტი.

**სამეცნიერო წოდებები და ჯილდოები:**

1995 – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;

2007 – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. სამეცნიერო ნაშრომები: 1996 – საკანდიდატო დისერტაცია; 2007 – სადოქტორო დისერტაცია; 64 პუბლიკაცია; 2 სახელმძღვანელოს თანაავტორი პედიატრიაში; 2 მონოგრაფიის ავტორი.

რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო ფორუმებში, კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში.

**– ქალბატონო ინგა, როგორ გაიხსენებთ თქვენს განვლილ პროფესიულ გზას და პირველ ნაბიჯებს პედიატრიაში?**

– ჩემ მიერ განვლილი გზა პროფესიულ სრულყოფამდე, არ იყო მარტივი. თავდაუზოგავი შრომა, უძილო ღამეები, ყველა იერარქიული კიბის საფეხურის გავლა – დაწყებული სანიტრის მძიმე შრომით რეანიმაციის ექთნის უმძიმესი სამუშაოს ჩათვლით. ეს სავალდებულო იყო სწავლის პერიოდში. მერწმუნეთ, მოსკოვში სწავლა სამედიცინო უნივერსიტეტში ძალიან დიდ ძალისხმევას ითხოვდა ქართველი სტუდენტისგან. ჩვენ ყოველთვის მეტს გვთხოვდნენ და ყოველთვის ლუპით გვიყურებდნენ. უკვე მეხუთე კურსის სტუდენტები, გრიპის ეპიდემიის პერიოდში, დამხმარე ძალად ვითვლებოდით და ბინაზე პაციენტების ვიზიტებში ვიღებდით მონაწილეობას. ამ შრომამ ძალიან ბევრი შემძინა. ზოგადად, ექიმი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს. არ შეიძლება მოდუნება, თორემ, პროფესიულად მოკვდები. საქმიანობის გაგრძელება მაინც საქართველოში ვარჩიე, თბილისის გარეშე ჩემთვის სიცოცხლე წარმოუდგენელია. ძალიან მიყვარს პატარები და მათთან ურთიერთობა, ისინი ჩემი ზრუნვის ობიექტები და, ამავდროულად, მეგობრები არიან. უდიდეს დადებით მუხტს ვიღებ მათგან.

**– რა მიგაჩნიათ პედიატრის მთავარ პროფესიულ ღირებულებებად?**

– ზოგადად, თოთოეულ პედიატრს გათავისებული აქვს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ: რომ ჯანმრთელი პოპულაციის ჩამოყალიბება დამოკიდებულია პატარა პაციენტებზე მუცლადყოფნის პერიოდიდან ზრუნვასა და სწორ მონიტორინგზე. ამჟამად მე ორ კლინიკაში ვმოღვაწეობ: „სეუს" კლინიკა (წინანდლ-



ის ქუჩა #9) და „მედიქალ ჰაუსი" (ბერბუკის ქუჩა #10), სადაც ახლახან დავიწყე მუშაობა; ასევე, ვკითხულობ ლექციებს უნივერსიტეტში. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიკის მაღალ პროფესიულ დონესა და შემოქმედებით გარემოს. ორივე კლინიკაში შესაბამისი გარემოა პაციენტისა და ექიმის სრული კომფორტისათვის. პაციენტს ვთავაზობ თანამედროვე კვლევების სრულ სერვისს. „მედიქალ ჰაუსში" არის იმის შესაძლებლობაც, რომ ჩატარდეს ონლაინ კონსულტაციები ამერიკის წამყვან კლინიკებთან. კომფორტს მიქმნის ისიც, რომ კლინიკებში პაციენტებს კონსულტაციას უწევენ დარგის წამყვანი, ვიწრო სპეციალისტები. 21-ე საუკუნე სავსეა მოულოდნელობებით, გახშირდა სხვადასხვა დაავადება ბავშვებში, რასაც ბევრი ეგზოგენური (გარეგანი) მიზეზი აქვს: არასასურველი, არაჯანსაღი პროდუქტებით კვება, გარემოს დაბინძურება, მძიმე სოციალური ფონი, ტექნოგენური ცივილიზაცია, უკონტროლო მედიკამენტები და სხვა. ეს ყველაფერი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას იწვევს, რადგან, ნებისმიერი დაავადება, ეს არის გენეტიკური ფაქტორი, რომელიც ვლინდება ხელშემწყობი მავნე გარემო და სოციალური პირობების ფონზე. იმისათვის, რომ დროულად მოვახდინით სხვადასხვა დაავადების პრევენცია, მშობელს მჭიდრო კონტაქტი უნდა ჰქონდეს ოჯახის ექიმთან და, ყველა არასასურველი სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში, მიმართოს მას რჩევისთვის. უფრო ხშირი უნდა იყოს პედიატრთან წლის ასაკამდე ჩვილების პრევენციული ვიზიტები, რათა სწორად მოხდეს ბავშვის ფსიქომოტორული და ფიზიკური განვითარების შეფასება. კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ძუძუთი ხანგრძლივად კვება ჩვენი შვილების ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის საწინდარია.

**– ქალბატონო ინგა, ბოლო დროს ძალიან გახშირდა ბავშვთა ვირუსული ინფექციები. რას ურჩევთ მშობლებს?**

– უკანასკნელ პერიოდში გახშირდა ბავშვთა ავადობა ვირუსული ინფექციებით, მკვეთრად იმატა ალერგიული დაავადებების რიცხვმა, ძვალსახსროვანმა პათოლოგიებმა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიებმა, ნევროლოგიურმა დაავადებებმა და ქცევის დევიაციებმა, ენდოკრინულმა დაავადებებმა. ხშირი ვირუსული ინფექციები პირდაპირ კორელაციაშია ბავშვთა დაწესებულებებთან (საბავშვო ბაღი, სკოლა). ჩვენს მძიმე სოციალურ ყოფაში მშობლისთვის შეუძლებელია სამსახურის გაცდენა, ამიტომ, ხშირად მიჰყავთ ბავშვთა დაწესებულებებში ვირუსის აქტიური გამომყოფი ბავშვები. ამ მიზეზით, სასურველია, რომ ბავშვთა დაწესებულებებს ჰყავდეს ექიმი.ზრდასრული ადამიანი ვირუსული ინფექციებით ხშირად იმიტომ არ ავადობს, რომ ბავშვობის პერიოდში გადატანილი ვირუსული ინფექციების შედეგად, გარკვეული იმუნოლოგიური მეხსიერება აქვს ჩამოყალიბებული და მისი იმუნიტეტი შედარებით სტაბილურია. იმუნიტეტი ავადმყოფობის გარეშე ვერ გამოიწრთობა. ვირუსების თავიდან არიდება ხშირად შეუძლებელია. ეპიდემიის პერიოდში ბავშვები უნდა მოვარიდოთ ადამიანების თავშეყრის ადგილებს; ზოგადად, გავაკაჟოთ ბავშვები სპორტით, ვარჯიშით; ნუ ჩავაცმევთ ბევრს და ნუ გადავუხურებთ ორგანიზმს; ხშირად გვყავდეს სუფთა ჰაერზე, ხშირად დავბანოთ ხელ-პირი; ნუ შევაწუხებთ ხშირი კოცნითა და ჩახუტებით. ხშირად გავანიავოთ ოთახები; ბავშვთა რაციონი გავამდიდროთ ბუნებრივი ვიტამინებით; შეიძლება ცხვირში გამოსასმელი ანტივირუსული საშუალებების გამოყენებაც. ამ რჩევების შესრულების შემთხვევაში, გარკვეულწილად შესაძლებელია, თავიდან ავიცილოთ ვირუსის შეჭრა ორგანიზმში. 21-ე საუკუნის ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან წინა საუკუნის ბავშვებისგან. ისინი ძალიან მგრძნობიარენი არიან, მეტად განიცდიან მშობლების დეფიციტს (მათი დაკავებულობის გამო), რადგან, ძირითადად იმყოფებიან ძიძებთან და ბებია-ბაბუებთან; ნაკლებად თამაშობენ სათამაშოებით, უფრო მეტად აინტერესებთ კომპიუტერული ტექნიკა; ხშირად იმყოფებიან ინფორმაციული და ემოციური სტრესის გავლენის ქვეშ, რაც ნერვული სისტემის აგზნებას და ხშირად უძილობასაც იწვევს. ამ ჩივილებით მომართვიანობა ძალიან გაიზარდა. ამიტომ, მინდა ვთხოვო მშობლებს, რომ შეძლებისდაგვარად მეტი ყურადღება დაუთმონ ბავშვებს, მათ მეტი სითბო და მოფერება სჭირდებათ. მშობელმა მეტი კონტაქტი უნდა იქონიოს ბავშვის ექიმთან და ფსიქოლოგთან, რათა დროულად მოხდეს ყველა სომატური და ფსიქიკური დევიაციის კორექცია. თხოვნით მოგმართავთ მშობლებს: არასდროს მიმართოთ თვითმკურნალობას ნაცადი თუ ჯერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელი ქიმიური ან მცენარეული პრეპარატებით. თითოეული პედიატრი უნდა იყოს პატარა პაციენტის მეგობარი. მათ უნდა მიუხაროდეთ ექიმთან მისვლა, სადაც დახვდებათ სითბო, სიყვარული და, რაც მთავარია – იმედი.

**ანა თაბაგარი**

# „ამისთანა იმბეცილები გინახავთ?“ ანუ გვინახავს

რაკი ისე მოხდა, რომ **სოციალური ქსელები ლამისაა ჩვენი არსებობის გამართლებად იქცეს** და, თავისთავად ცხადია, **აზრთა ფრქვევისაც** (თუ გულზე ხელს დავიდებთ: ხანდახან, თუ უფრო ხშირად არა, უსაგნო და არაფრისმთქმელის), სწორედ **სოციალური ქსელით შევიტყვეთ ოპერატიულად**, თუ **რას ფიქრობს ერთ დროს ჩვენი ნომერ პირველი დიპლომატი ბ-ნი გრიგორ ვაშაძე რფ-ისა და „იუჟნაია ოსეტიის“ ნომერ პირველი დიპლომატების მიერ ხელმოწერილ დოკუმენტზე,** სახელწოდებით, „სახელმწიფო საზღვრის შეთანხმება“.

სახელდობრ, იგი, ანუ ბ-ნი ვაშაძე წერს: **„რუსეთი ცხინვალის რეგიონის „სამართლებრივ“ ანექსიას ამთავრებს (**ერთი ისაა, არ დაუზუსტებია, როდის დაიწყო) დღეს მოსკოვში საოკუპაციო რეჟიმთან „ხელშეკრულების“ ხელმოწერით“.

მაგრამ მხოლოდ ამ შეფასებით არ შემოფარგლულა: **„ლავროვი მოსკოვიდან თითს უქნევს თბილისს და მკაცრი ზომებით გვემუქრება** ჩვენი ევროატლანტიკური არჩევნის გამო.“

თუმცა ბოლოსკენ **დიპგზას გადაუხვია და სათქმელი პირდაპირ გვაჯახა**: „**რით არის დაკავებული ყრუ პროვინციალების გაერთიანება,** თავის თავს „ხელისუფლებას“ რომ ეძახის? ვენდეტით: უკრაინისგან პრეზიდენტ სააკაშვილის გადმოცემას ითხოვენ, მიუხედავად იმისა, რომ **კიევმა ისინი უკვე სამჯერ გააგზავნა სამი ასოსკენ გრძელ სექსუალურ მოგზაურობაში**. ამისთანა იმბეცილები გინახავთ?“

მე არ შევუდგები იმის ახსნას, რომ ხელისუფლება არჩევნებითაა მოსული, მხოლოდ ბოლო კითხვას გავცემ პასუხს – **„ამისთანა იმბეცილები გინახავთ?“**

**– გვინახავს და მეტი არა?!** თქვენ წარმოიდგინეთ, **2008 წლის ომის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს სამინისტრო ჯიბეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტი უმშვენებდა.** –

# ახალწინასწარმეტყველი ანუ შიგ რუსეთის გულში!

გასულ კვირას **რფ-ის რელიგიურმა ორგანიზაციამ – „რუსეთის გაერთიანებული ისლამის კონგრესმა“** – ქალაქ **მოსკოვის მერსა** და **სრულიად რუსეთის ხელისუფლებას მიმართა თხოვნით**, მისცენ საშუალება, რომ **შიგ რუსეთის გულში ააშენონ ვლადიმირ ვლადიმირის ძე პუტინის სახელობის მეჩეთი!**



განცხადების **ტექსტი ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა** და მას ასეთი სიტყვები ამშვენებს: **„ჩვენ, რუსეთის მუსლიმანების პატრიოტულად განწყობილი ნაწილი,** ვითხოვთ ნებართვას, რომ ქალაქ **მოსკოვში ავაშენოთ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩის სახელობის მეჩეთი**, რომ უკვდავვყოთ მისი სახელი ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში და მოსკოვის მერიას ვთხოვთ, **გამოგვიყოს მიწა ამ ნაგებობის ასაშენებლად.“**

თუმცა რუსეთის „პატრიოტულად განწყობილი მუსლიმანები“ **მხოლოდ ამას არ სჯერდებიან** და ვლადიმირ **ვლადიმიროვიჩისთვის საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას მოითხოვენ** (მსოფლიოში ისეთი რთული ვითარებაა, **უვლადიმირვლადიმიროვიჩობა დაგვაფსებსო**!).

ჩვენ არ ვიცით, **რა ამოძრავებთ რეალურად ზემოხსენებულ პატრიოტებს – პრ. პუტინის უკვდავყოფა** თუ, **უბრალოდ, მოსკოვის ცენტრში მეჩეთის ასაშენებლად ტერიტორიის გამოყოფისთვის ოპტიმალური მიზეზი იპოვეს?!**

# ჰუმანიტარული რეკომენდაციები მასტერკლასი – ქართულად

თუკი **პარლამენტის ჩვენებური წევრების ნოვაცია საბრძოლო იარაღად მიკროფონების გამოყენებაა**, ჩვენი მეზობელი **თურქეთის პარლამენტარები უფრო შორს წავიდნენ** და ერთმანეთს **პარლამენტის თავმჯდომარის ჩაქუჩითა და ზარით გაუსწორდნენ**. –

თურქული მედიის ცნობით, სულ მცირე, **ხუთი პარლამენტარი დაზიანდა** გასულ კვირას თურქეთის საკანონმდებლო ორგანოში მომხდარ ჩხუბში. ასე განსაჯეთ – **ერთ დეპუტატს ჩაქუჩი შიგ გულში მოხვედრია. ერთს,** საერთოდაც, **გული წასვლია. ერთსაც – თავი გასტეხია!**

ეს **ორთაბრძოლა კი დახურულ შეხვედრაზე გამართულა**, რომელზეც **განიხილავდნენ საკანონმდებლო პაკეტს უსაფრთხოების შესახებ**, რომელიც, თუ თურქულ მედიას ვერწმუნებით, **გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავს**. ერთურთს კი **მმართველი პარტიისა და ოპოზიციური პროქურთული პარტიის წევრები დასტაკებიან**, რაკი პარლამენტის თავმჯდომარეს ოპოზიციისთვის სიტყვა არ მიუცია.

თუ **ამდენ დაზარალებულს გავიხსენებთ** და იმასაც დავამატებთ, რომ, **სახელდობრ, საქართველოს პარლამენტში** (არადა, რაც მას ბრძოლები გადაუტანია?!) არათუ **გული არ წასვლია,** თვით **კუჭის მოქმედებაც კი არ არევია არცერთ ჩვენს რჩეულს**, ვფიქრობ, თურქეთის პარლამენტში – ჰუმანიტარული დახმარების სახით – **ქართველ დეპუტატთა ჯგუფი უნდა მივავლინოთ თურქი კოლეგებისთვის** საზოგადოებრივ საწყისებზე **მასტერკლასის ჩასატარებლად**! –


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ქლენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# ვულკანიფრქვევა

თუმცა ადრეც არაერთხელ **დაგვმუქრებიან, ჩვენი ოკუპანტი რფ-ის ნომერ პირველმა დიპლომატმა კიდევ ერთხელ შემოგვიძახა** (გამეორება მუქარის დედაა): **„თუ „ნატო“ საქართველოს ალიანსში ჩათრევის პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი ამას შესაბამისი ზომებით უპასუხებს.“** და **პატ. ლავროვს** სულაც **არ აღელვებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ საკუთარი ნებით მივისწრაფით.**

რაც მთავარია, **ეს მუქარა „იუჟნაია ოსეტიას“ დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად გამართული პრესკონფერენციიდან შემოგვითვალა** (რათა მეტი სიცხადით გვეგრძნო ქეშმარიტება: **„დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი“).**



ამის საპასუხოდ თუ სხვა მიზეზით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ბ-ნმა **აბაშიძემ განაცხადა**, რომ, ჯერ ერთი, **თბილისსა და მოსკოვში კარგად იციან, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს „ნატოში“ განევრიანება დღის წესრიგში არ დგას** და, მეორეც, **„ნატოს“ სასწავლო ბაზა სასწავლო ბაზა იქნება და არა სამხედრო ინფრასტრუქტურაო.**

ამის თქმა და **გულანთებულ მედასავლეთეთა აღშფოთების ვულკანის ამოხეთქვა ერთი იყო**, პათოსით, **ქვეყანამ ორიენტაცია იცვალაო,** და მერე რა, რომ **თვით „ნატოს“ მაღალჩინოსნები აგერ უკვე მერამდენე წელია, გვიმტკიცებენ, „ნატოს“ წევრობამდე შორიაო.**

## გამეორება მუქარის დედააო

განსაკუთრებული **აქტივობით (მოთქმითი ხასიათის) „ნაცმოძრაობა“ და „თავისუფალი დემოკრატები“ გამოირჩეოდნენ** და **განგაშის ზარებს ზარებზე არისხებენ.** საგარეო საქმეთა **ყოფილმა მინისტრმა ქალბატონმაც შემოგვაშველა** კომპეტენტური **აზრი,** სახელდობრ, ბრძანა, „აბაშიძის განცხადება არის საგანგაშო, რადგან გამოავლინა მთავრობის რეალური პოზიცია, რომ **საქართველოს ხელისუფლების დღის წესრიგის პრიორიტეტი საქართველოს „ნატოში“ გაწევრიანება არ არის“.**

ბუნებრივია, **ქ-ნმა ნამინისტრალმა სხვებზე უკეთ იცის, რა პერსპექტივა აქვს ჩვენი ქვეყნის „ნატოში“ გაწევრიანებას,** მაგრამ **ეს ის შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკური ქულები უფრო ძვირფასია.** –

ასეა თუ ისე, კვლავ **უპასუხოდ რჩება კითხვები**: თუკი, 2008 წლის მსგავსად კვლავ დაიძრებიან რუსული ტანკები, ვინ შეებმება მათ? უფრო ზუსტად, **რამდენი ჩვენი მოქალაქეა მზად, საკუთარი თავი მიიტანოს „ნატოს“ წევრობისთვის სამსხვერპლოზე** თუ გუმანში თბილისამდე **კიდევ ერთი დიდი გამორბენი გვაქვს?!**

# ყოფილები vs მოქმედები

## ანუ მჭმუნვარენი

რაკი ისე მოხდა, რომ **ყოფილები ახლებს ხელფასსა და პრემიებს თეთრ-თეთრ უთვლიან** და, იმ მარტივი მიზეზით, რომ **ძველები თავიანთ ხელფას-პრემიებს ასაიდუმლოებდნენ, აწ კი** ეს ინფორმაცია **გამჭვირვალეა**, ჩვენც **ჭმუნვით ვუცქერთ მაღალ-მაღალ ჩინოსანთა ხელფასების მრავალ ნულთა.**



ასეა თუ ისე, **თბილისის მერიამ,** პათოსით, რადგან „არ წყდება პოლიტიკური სპეკულაცია და მიზანმიმართულად ცრუ ინფორმაციის გავრცელება თბილისის მერიის მაღალჩინოსნების ხელფასებისა და დანამატების შესახებ“, **გამოაქვეყნა თბილისის მთავრობის წევრების მიერ აღებული ხელფასები 2014 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით** და, ზედაც, **შედარებებიც დაურთო.**

სახელდობრ, აღმოჩნდა, რომ, თუკი, მაგალითად, **6 თვის განმავლობაში, თბილისის მერი გიგი უგულავა 41 473 ლარს იღებდა,** მოქმედ მერ დავით **ნარმანიას 18 921 ლარი აუღია;**

თუკი ვიცე-მერი **სევდია უგრეხელიძე 54 470 ლარს იღებდა, მოქმედ ვიცე-მერს,** ალექსანდრე მარგიშვილს, **38 408 ლარი აუღია...**

თავი რომ არ შევაწყინოთ, მოკლედ გეტყვით: **მოქმედებს,** ანუ ახლებს **ყოფილებთან,** ანუ უმოქმედოებთან **შედარებით, საშუალოდ, 5 000 ლარით ნაკლები ხელფასი აუღიათ ნახევარი წლის განმავლობაში.**

თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ **არც წლიური 30 000 და 40 000 ლარია მცირე თანხა** და ფრიად აღემატება საქართველოს მოქალაქეთა უმეტესობის შემოსავლებს, **ამოცანა გვეკითხება:** და მაინც, **რამდენი არჩევნები უნდა ჩატარდეს, რომ ზემოთ და ქვემოთ მყოფთა სახელფასო შემოსავლები ერთმანეთს გონივრულ მანძილზე დაუახლოვდეს?!** –

# ოკუპანტები + სეპარატისტები და ჩაძინებული ქართველი დიპლომატები

ამ ჟენევაში ბევრი ვიდავეთ თუ ცოტა, **ამ ჩვენმა სულზე უტკბესმა პარტნიორმა აშშ-მა სავიზო პოლიტიკა აფხაზეთის იმ მკვიდრთათვის შეარბილა,** რომლებიც საზღვარს **აფხაზეთში მდებარე რუსეთის საელჩოში აღებული პასპორტებით გადაკვეთენ.**

ამ სიახლეს **აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჩირიკბა ფრიად ცხოველი ჟივილ-ხივილით გამოეხმაურა,** თუმცა **დანანებით შენიშნა,** რომ **„ევროკავშირის ქვეყნებთან: გერმანიასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან და ბელგიასთან ძალიან დიდ პრობლემებს ვაწყდებით“,** ოღონდ, **სამწყსო დაამშვიდა,** რომ **„დოკუმენტების ცნობის საკითხი ბრიუსელშიც განიხილება** (ჩვენს დიპლომატებს, ეტყობა, საღლათას ძილით ჩასძინებიათ)“ და იმედი აქვს, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება, რაც იმას ნიშნავს, რომ **აფხაზეთის მკვიდრთ გზა აქეთ – ევროპის, იქით კი – აშშ-სკენ გაეხსნებათ (სხვა საქმეა, „ნა კაკიე შიში“** იმოგზაურებენ, ანუ რა თავში იხლიან შერბილებულ ვიზებს).

მეორე მხრივ, გასულ კვირასვე შევიტყვეთ, რომ ბ-ნი **სურკოვი აფხაზეთის გულში** დე-ფაქტო პრეზიდენტ **რაულ ხაჯიმბას შეხვდა,** რომელსაც, სხვა საკითხებთან ერთად, აუწყა, რომ **დროა, აფხაზეთსა და რუსეთს შორის საზღვარი გაუქმდეს, რასაც ისედაც ითვალისწინებს ჩვენ ორს შორის 2014 წელს გაფორმებული შეთანხმებაო.**

**სრულიად აფხაზეთის საზოგადოება ამ ამბავს სიხარულით შეეგება** (იმიტომ რომ, ფსოუზე საზღვრის გადაკვეთა საკმაოდ სერიოზულ დისკომფორტს უქმნით), **როგორც აშშ-სკენ გზის გახსნას,** თუმცა **საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დასავლეთი მათთვის მხოლოდ ერთსქესიან ქორწინებებთან ასოცირდება.**

ეს მათი სიხარული კი **გვაეჭვებს,** რომ **ეს ორი უსაზღვრო** – ჩვენი ოკუპანტი და სეპარატისტი – **ერთმანეთზე დასაქორწინებლად ხომ არ ემზადება?!** –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**შეუიარაღებელი თვალითაც აშკარაა, რომ რუსეთი უკრაინასთან მიმართებაში იმავე სცენარით მოქმედებს, რომლის აპრობაციაც საქართველოში წარმატებით მოახერხა გასული საუკუნის 90-ანი წლებით დაწყებული და 2008 წლის სარკოზი-მედვედევის შეთანხმებით დასრულებული. ერთი განსხვავება ისაა, რომ ქართულ კონფლიქტებში კონკრეტულად 90-ანებში დასავლეთი ფიგურანტად არ იყო წარმოდგენილი. მეორე მხრივ, უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებაში მრავლად არიან საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სათავეში 2008 წელს იყვნენ. რა პერსპექტივაზე მიუთითებს ეს დამთხვევები და ნიშნავს თუ არა, რომ უკრაინა, საბოლოოდ, გაიზიარებს საქართველოს ბედს, სადაც ერთი სახელმწიფოს ადგილას სამი წარმონაქმნია, ერთი მსოფლიოს მიერ აღიარებული, ორი კი რუსეთის მიერ მხოლოდაღიარებული? – თემას პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# როგორ აღმოჩნდა საქართველო მეორედ დინების საწინააღმდეგოდ ცურვის რეჟიმში და რატომ მისცა დასავლეთმა რუსეთს უკრაინაში ქართული სცენარით მოქმედების ნება

**– არის ალბათობა, რომ მოვლენები უკრაინაშიც ქართული ლოგიკით განვითარდეს?**

– ფაქტია, რომ უკრაინაშიც იმავე სცენარით მიმდინარეობს მოქმედებები, რაც საქართველოში მოხდა და ცხადია ისიც, რომ რუსეთი ვერ ერევა იმპერიულ ამბიციებს და სურს გავლენის სფეროების გაფათოება, საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირის აღდგენა რამე სხვა ფორმით. რუსული სახელმწიფო მანქანა შეჩერებულია ევრაზიულ კავშირზე, როგორც საბჭოთა კავშირის ახალ მოდიფიკაციაზე. ამ კუთხით, დასავლეთის პოზიცია ცალსახაა, როგორც შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რუსებმა თავი უნდა დაანებონ გავლენის სფეროებზე ოცნებას. აქედან გამომდინარე, თვალსაზრისების პრინციპული შეუთავსებლობაა, რამაც გამოიწვია კონფლიქტი უკრაინაში.

სცენარი ნაცადია და გამოყენებული საქართველოში, როდესაც ჯერ სეპარატისტები აქტიურდებიან, შემდეგ შეიარაღდებიან, მათ იარაღს აწვდიან რუსეთიდან, ისევე, როგორც ახმარენ ადამიანურ რესურსს და იწყება საომარი მოქმედებები. ბოლოს კონფლიქტი მიდის რაღაც სტადიამდე, როდესაც ხდება კვანძის გახსნა, რის შედეგიც არის მოპირისპირე მხარეების დაშორიშორება და, ფაქტობრივად, ცენტრალური ხელისუფლებისგან უმართავი რეგიონები მიიღება. რუსეთს ამ სცენარმა წარმატება მოუტანა და დღეს მას საქართველოს ტერიტორიის 22-პროცენტი აქვს ოკუპირებული. თუმცა უკრაინაში  მათ მეტი არგუმენტი აქვთ: რადგან, თუ აფხაზეთში მათი დასაყრდენი აფხაზები უმცირესობას წარმოდგენდნენ, იმავე ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში ეთნიკური რუსები და პრორუსები უმრავლესობას შეადგენენ და უფრო იოლი არგუმენტები სჭირდებათ, რომ ეს მხარეები დააფიქსირონ თავიანთი გავლენის სფეროდ.



**საუბარია რაღაც გამოცდილებაზე, რეფორმებზე, რომლებმაც რაღაც შედეგი მოიტანა. რომ უფრო ფართო მასშტაბით განხორციელდეს უკრაინაში ის, რაც ლაბორატორია საქართველოში თითქოსდა წარმატებით დასრულდა**

**– და არავის აღიზიანებს ეს უცნაური ტენდენცია, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცეში სეპარატისტები რაღაც უჩვეულოდ ღონიერები აღმოჩნდებიან ხოლმე და, როგორც წესი, ერევიან ოფიციალურ შეირაღებულ ძალებს?**

– ბუნებრივია, იმიტომ რომ საქმეში ერთვება რუსეთი თავისი საკმაოდ ძლიერი სამხედრო მანქანით. ახლახან დამთავრდა მინსკის ბოლო შეთანხმება, რომელიც, ჩემი აზრით, რუსეთის წარმატებაა. იმიტომ რომ, ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი თავისი გავლენის ქვეშ იტოვებს ორ საკმაოდ დიდ რეგიონს, არანაირ ვალდებულებას არ იღებს არც ამ ხელშეკრულების შესრულებაზე და არც ამ რეგიონების მომავალთან დაკავშირებით. ამდენად, თუნდაც, მძიმე ტექნიკის დაშორიშორებით, რაზეც ჯერჯერობით უარს ამბობს ორივე მხარე, მაინც რუსები აღწევენ თავიანთ მიზანს, რამდენადაც საზღვარი რუსეთსა და ამ ორ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს შორის რჩება სეპარატისტებისა და რუსების კონტროლქვეშ და მათივე კონტროლქვეშ რჩება მარიუპოლამდე მიმავალი გზა, რაც ერთადერთი სახმელეთო კავშირია ყირიმთან. ყირიმთან, რომელიც ამ შეთანხმების გარეთაა და რომლის უკრაინისთვის დაბრუნებაზეც საუბარი არც არის. ეს კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ რუსეთი გამარჯვებულია. ყირიმზე არავინ ლაპარაკობს, რაც იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი თითქოს შეეგუა ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში ყოფნას.

**– განსხვავებით საქართველოსგან, დასავლეთში მრავალი კვლევითი ინსტიტუტია, ასე რთული იყო იმის გამოცნობა, რომ უკრაინაში რუსეთი იმოქმედებდა საქართველოში აპრობირებული სცენარით ან რომელიმე სხვა სცენარით? რატომ არ მომზადდა პრევენციული ნაბიჯები?**

– საერთოდ, დასავლეთი მოუმზადებელი შეხვდა პოსტკომუნისტურ ეპოქას. ამდენად, როდესაც რომელიმე რეგიონში საკითხი უფრო მწვავედ დგება და აქტიურდებიან რუსული იმპერიული ძალები, დასავლეთი ხელფეხშეკრულია. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული უსაფრთხოების სისტემა აღარ მუშაობს, თუმცა თავისი ფუნქცია შეასრულა და ატომური ომის ზღვარზე მშვიდობა შეინარჩუნა, რაც, საბოლოოდ, დასრულდა უფრო ცივილიზებული და ჰუმანური სისტემის გამარჯვებით კომუნისტურ რეჟიმზე, მაგრამ ახალ პირობებში დასავლეთი და მისი პოლიტიკური სტრუქტურები, გაერო, „ნატო“, ევროკავშირი, მზად არ აღმოჩნდნენ გაბედული, მყისიერი და გადამწყვეტი ნაბიჯებისთვის. ამ მომენტით სარგებლობს რუსეთი და როგორც კი მოღონიერდა, იმ წამსვე დაიწყო აქტიური მოქმედება.

ახლა დასავლეთი დგას იმ ახალი მსოფლიო წესრიგის მოდერნიზაციის აუცილებლობის წინაშე, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ მოსალოდნელია სერიოზული დაპირისპირება, რომელიც შეიძლება, მივიდეს ფრათომასშტაბიან ომამდე, რაც უკვე გამოჩნდა დასავლელი ლიდერების რიტორიკაში ამ ბოლო პერიოდში. მინსკის ხელშეკრულებების ჩაშლის შემთხვევაში დასავლეთში მოელიან ფართომასშტაბიან ომს და ეს, სულაც, არ გულისხმობს მხოლოდ რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებას.

**– და დასავლეთი უკვე იქნება მხარე.**

– აქ ორი მხარით ვერ შემოიფარგლება პროცესები და, თუ რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური ბერკეტები ჩვეულებრივი მშვიდობიანი განვითარების პირობებში ეფექტიანი საშუალებაა, ომის შემთხვევაში სხვა ფაქტორები მოდის წინა პლანზე, რაც გაცილებით სახიფათო ხდება დასავლეთისთვის და იწყება საომარი დაპირისპირება, რომელიც შესაძლოა, დასავლეთსა და რუსეთს შორის ომში გადაიზარდოს, რაც დაუშვებელია. ამდენად, თავისთავად, ცხადია, რომ უკრაინის კონფლიქტი უნდა დარეგულირდეს მშვიდობიანად, რადგან უკრაინის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას ალტერნატივა არ აქვს.

**– ქართველების მიწვევა  უკრაინის ხელისუფლებაში მხოლოდ უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილება გგონიათ?**

– რა თქმა უნდა, ეს არის ამერიკის ფაქტორის გამოვლინება რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში.

**– ანუ თავისი „თვალი და ყური“ მიავლინა იქ?**

– ძნელია, პირდაპირ საუბარი იმაზე, რომ ამერიკელებმა მიუთითეს პოროშენკოს, ხელისუფლებაში მიეშვა სააკაშვილის ჯგუფი, მაგრამ რეალურად ქართველების მონაწილეობა მართლა არ მგონია პოროშენკოსა და უკრაინის დღევანდელი ხელმძღვანელობის ინიციატივა. ეს არის შეერთებული შტატების ადმინისტრაციიდან მომავალი იდეა და წინადადება, რადგან ის უზარმაზარი რესურსი, რაც მათ „ნაციონალური“ დაჯგუფების მოსამზადებლად დაიხარჯა შეერთებულ შტატებში, გარკვეული თვალსაზრისით, უნდა ანაზღაურდეს და გამოყენებულ იქნეს და აი, დასავლეთი მათ იყენებს, როგორც დასაყრდენს უკრაინაში.

მაგრამ აქ სხვა რამაა უფრო მნიშვნელოვანი: ეს დანიშვნები არის „ნაციონალური“ რევანშის ნაწილი და უფრო შორს მიმავალი შედეგების მომტანი, რასაც არ მგონია, ჩვენი ამერიკელი მეგობრები არ აცნობიერებდნენ და ამ რევანშს, სამწუხაროდ, ამერიკელი „ქორებიც“ უჭერენ მხარს, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენენ მთელ ამერიკას, მაგრამ ისინი არიან გავლენიანი ფიგურები. უკრაინელი ხალხის სამართლიან ბრძოლაში, რატომღაც, რადიკალ ნაციონალისტებზე კეთდება დასავლეთში აქცენტი და ეს მთლად სწორი არ მგონია.

რაც შეეხება იმას, რაზეც თქვენ გააკეთეთ აქცენტი: ჩვენ ამ შემთხვევაში ისევ დინების საწინააღმდეგოდ მივცურავთ. თავისთავად ცხადია, რომ ეს დანიშვნები არის საქართველოს მოსახლეობის, დაახლოებით, 70-80 პროცენტის იგნორირება, რომლებმაც რამდენიმე არჩევნებში „ნაციონალების“ წინააღმდეგ მისცეს ხმა, რომელთა უმრავლესობა გამოცხადებულია ძებნილად, ექვმიტანილად და როდესაც ასეთ პირობებში ხალხი ინიშნება მაღალ თანამდებობებზე უკრაინაში, ეს არის საქართველოს ინტერესების იგნორირება. ეს არის საქართველოსადმი დასავლეთის გავლენიანი წრეების გარკვეული დამოკიდებულება და სწორედ ეს არის დინების საწინააღმდეგოდ ცურვა.

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით



**შალვა ჩუტკერაშვილი**, *68 წლის, თბილისი.*

**დიაგნოზი:** *კისრისა და წელის მალების ოსტეოქონდროზი, პოლიდისკოპათია.* მწვავე ტკივილებით მომიყვანეს. წლების განმავლობაში მაწუხებდა წელის ტკივილი, შემდეგ კისრის გაკავების ეპიზოდებიც მქონდა. ბოლო დროს კი

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

ტკივილმა და დაბუჟებამ გადაინაცვლა მარჯვენა ხელსა და ფეხში. მიჭირდა მოძრაობა, დგომა, ღამით ტკივილი არ მაძინებდა, ჩატარებული მკურნალობა არ მშველოდა. ამ კლინიკაში პირველივე დღეებიდან არაჩვეულებრივად სწრაფი ეფექტი მივიღე. მეშვიდე დღეა და გამართულად დავდივარ. აღარაფერი მაწუხებს. უღრმესი მადლობა მანანა ექიმს!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მირანდა ჩოხელი**, *49 წლის. გუდამაყარი.* არ გამახსენოთ ჩემი სატკივარი, იმაზე ფიქრიც აღარ მინდა. ტკივილისგან ვერ ვჯდებოდი, ვერც დავდიოდი, კუჭის მოქმედება არ მქონდა კარგი. ექიმმა რომ გამსინჯა ჩვენთან, კვანძები გაქვს და საოპერაციო ხარო. მერე თბილისში ჩამოვედი, ნათესავის ოჯახში და იმათ აქ მომიყვანეს. მალამოები წავილე და დავიწყე მკურნალობა. ერთ დღეში ისე კარგად გავხდი... 3 დღეში ტკივილი მთლიანად მომეხსნა და ნაწლავებიც ამიმუშავ-

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

და. სისხლდენებიც აღარ შემიმჩნევია. ღმერთმა დაგლოცოთ, მანანა ექიმო!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**


**– რა არ მოეწონათ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, რომ საქართველოს მოსახლეობას არ მოეწონა ტერორი და არ დაუჭირა მხარი ადამიანების ახალი ჯიშის გამოყვანას?**

– აქ სხვა ასპექტია უფრო მნიშვნელოვანი: საუბარია რაღაც გამოცდილებაზე, რეფორმებზე, რომლებმაც რაღაც შედეგი მოიტანა. რომ უფრო ფართო მასშტაბით განხორციელდეს უკრაინაში ის, რაც ლაბორატორია საქართველოში თითქოსდა წარმატებით დასრულდა. მაგრამ გაუგებარია, რა წარმატებაზეა საუბარი, როდესაც ამ რეფორმებს შედეგად მოჰყვა საქართველოში რამდენიმე ფასადის შეღებვა, რამდენიმე გზის დაგება, ერთი მილიონი ემიგრანტი, მოსახლეობის ორი მესამედი – სიღარიბის ზღვარსა და მის ქვემოთ და მოსახლეობის შრომისუნარიანი მოსახლეობის 50 პროცენტი – უმუშევარი?! ამავე დროს, აქ არის კიდევ ერთი უარყოფითი მხარე უკვე ჩვენი მეგობარი უკრაინელი ხალხისთვის: 45-მილიონიანმა ერმა თავიანთი სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ დასაყრდენად აქცია თავისივე ქვეყანაში არჩევნებში დამარცხებული, განდევნილი და კრიმინალში მხილებული ჯგუფი. ეს იმას მიუთითებს, რომ, თუ უკრაინას, 45-მილიონიან ქვეყანას, არ შეუძლია თავისი სახელისუფლო შტოების დაკომპლექტება და საკუთარი ძალებით რეფორმების განხორციელება, მაშინ რა პრეტენზია აქვს ასეთ ქვეყანას, რომ გახდეს ერთიანი ევროპის თანაბარუფლებიანი სუბიექტი?! ეს ძალიან სერიოზული ნეგატიური ასპექტია ამ დანიშვნების.

**– რეფორმების შედეგად ნეგატივიც ბევრი იყო და რაც თქვენ ჩამოთვალეთ, მათ შორისაა, რუსეთის მიერ აღიარებული ჩვენი 2 სეპარატისტული რეგიონიც. ეს ყველაფერი ხომ იციან ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა? ისიც მოგვისმენია, რომ სწორედ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას აბრალებენ კონფლიქტის დაწყებას. იქნებ ამ დანიშვნების მიზანი იმ უარყოფითი შედეგების მიღწევაცაა უკრაინაში, რაც ჩვენც გვქონდა? ნულოვანი ტოლერანტობის გარეშე ხომ ვერ გამოვა? ვითომ უნდათ, რომ ახლა უკრაინა იყოს პირველ ადგილას ევროპაში პატიმართა რაოდენობით, იკითხება ეს ლოგიკა?**

– ბუნებრივია, ამერიკელებს აბსოლუტურად ადეკვატური წარმოდგენა აქვთ მიმდინარე პროცესებზე როგორც კავკასიაში, ისე უკრაინაში. ისინი საფუძვლიანად ერკვევიან მოვლენებში, აქვთ ინფორმაცია და მათი ანალიტიკური ცენტრები ამ ინფორმაციას საფუძვლიანად ამუშავებს. უბრალოდ მათ გაცილებით ბევრი და მასშტაბური პრობლემები აქვთ. დღეს ამერიკის და მსოფლიოს მთავარი თავის ტკივილია ტერორიზმი და დაპირისპირება, რომელიც მიმდინარეობს ისლამურ სახელმწიფოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ამას გარდა, მათი პრობლემაა ჩინეთისა და ინდოეთის მზარდი ეკონომიკები და მოსახლეობა. ამის გათვალისწინებით, ეს ყველაფერი ზედმეტი თავის ტკივილია და უნდათ, რომ იოლად გადაჭრან. ისარგებლონ პოსტსაბჭოთა სივრცის ხალხის სწრაფვით დასავლური ღირებულებებისა და უკეთესი ცხოვრებისკენ და აი, ის პროიმპერიული ძალები გაანეიტრალონ ავტორიტარული ტიპის მმართველებით, ნაციონალისტურ-რადიკალური ელემენტებით. ისეთი ექსპერიმენტით, როგორიც საქართველოში ჩატარდა. სამწუხაროდ, ხანდახან ამლაშებენ, რასაც აღიარებენ და თუმცა მათ უზარმაზარი ფული დახარჯეს „ნაციონალებზე“, მაინც გაუწიეს ანგარიში საქართველოს ამომრჩევლის არჩევანს, დაუშვეს ხელისუფლების შეცვლა მათთვის არც თუ სასურველი ძალით და მათთთან პარტნიორობენ და თანამშრომლობენ. ისინი ეგუებიან მოკავშირეების მიერ დაშვებულ შეცდომებს, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებებსაც კი, იმიტომ რომ გაცილებით მაღლა აყენებენ გლობალურ ინტერესებს, ვიდრე ამა თუ იმ მმართველის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და ჩადენილ დანაშაულსაც კი. მათ იციან, რომ საქართველოში განხორციელებული ექსპერიმენტი იმავე ფორმითა და სახით არ განმეორდება უკრაინაში, რადგან, ასევე, იციან, რომ უკრაინაში არ ცხოვრობენ მხოლოდ რადიკალი პროდასავლელები, უკრაინა ძალიან ჭრელი სივრცეა, სადაც არიან როგორც პროდასავლელი რადიკალი ნაციონალისტები, ისე ნეიტრალური ძალები, პრორუსი ნაწილი და, საერთოდაც, რუსები; ქვეყანაში სერიოზული კორუფციაა დასამარცხებელი ყველა დონეზე და გარდასაქმნელია ეკონომიკა, რაც მათ მოჰყვებათ საბჭოთა პერიოდიდან. ბუნებრივია, იმავეს გაკეთება, რაც ახალგაზრდა ავტორიტარული რეჟიმის დახმარებით მოხერხდა 4-მილიონიან საქართველოში, უფრო რთული იქნება 10-ჯერ დიდ უკრაინაში, მაგრამ მოსასინჯია, გავა თუ არა იგივე მეთოდები უკრაინაში. ერთი სიტყვით, ცნობილი რუსული გამონათქვამის ვარიანტია: „პოპიტკა ნე პიტკა“, თუ რა გამოვა აქედან, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**ნინო ხაჩიძე**



# გია ახობაძის გახსენება

სევდამ ცრემლი იცის, მწუხარებამ – ტკივილი... დრო ყველაფრის მკურნალიაო... ვერ გავითავისეთ!

შენი ყოველი გახსენება საშინელი განცდაა ჩვენთვის, გაუსაძლისზე გაუსაძლისი...

სიკვდილი ახალ წესებს ამკვიდრებს... დღე დღეს ენაცვლება... თითქოს ყველაფერი თავის ადგილას დგება და ტკივილი ადამიანს ამაგრებს, მაგრამ მოუშუშებელ იარას ტოვებს.

წუთისოფლის ბორბალი კი დაუნდობლად ბრუნავს, მიგორავს... გრძელდება სიცოცხლე...

17 თებერვალი შენი დაბადების დღე იყო. შენ ამ დღეს 50 წლის გახდი.

შენი წასვლით გამოწვეულ მწუხარებას დრო ვერ ცვლის, ვერ ანელებს... ვერც შენგან დატოვებულ ცრემლს აშრობს. ნუგეში რწმენაა, რწმენა იმისა, რომ შენ უკვე დაიმკვიდრე ადგილი სასუფეველში.

**მეგობრები**

**ისე მოხდა, რომ ლარის უბედობა პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა ქართული ბანკების ბედნიერებასთან, რომლის ფორმულაცაა: რაც მეტად ეშვება ლარი (ანუ მისი მსყიდველობითუნარიანობა), მით იზრდება ქართული ბანკების მოგება, ეროვნულით დაწყებული და თვით ყველაზე მცირე ზომის კომერციულით დამთავრებული. ოფიციალური მონაცემებით, ლარის გაუფასურებამ კომერციული ბანკების მოგება მხოლოდ ვალუტის გაცვლითი ოპერაციებიდან 400 პროცენტით გაზარდა. ეს ერთი ციფრიც მოწმობს, რომ ეროვნული ვალუტის დაცემა ზოგისთვის დედა აღმოჩნდა, ზოგისთვის – დედინაცვალი, თუ რატომ და ვისთვის, ამაზე აფბას პრეზიდენტთან, ნოდარ ჭიჭინაძესთან ერთად ვისაუბრებთ.**

# რამდენი პროცენტით გაიზრდება ლარში გაცემული სესხები ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნის გამო და რატომ თამაშობენ ქართული ბანკები წაუგებელ თამაშს ნებისმიერი კრიზისული სიტუაციის დროს

**– როგორ აისახა ლარის გაუფასურება ბანკების შემოსავალ-გასავლებზე?**

– რამდენიმე ძირითადი მიმართულებით აისახა. დავიწყებ სესხებითა და დეპოზიტებით: მოგეხსენებათ, ბანკებს სესხებისა და დეპოზიტების უმეტესი ნაწილი აქვთ უცხოურ ვალუტაში და თითქმის თანაბრად, 60-60 პროცენტი. მაგრამ სესხების საპროცენტო განაკვეთი თითქმის 2-ჯერ მეტია, კერძოდ, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 10 პროცენტზე მეტია, მაშინ, როდესაც ანაბრების სარგებელი 5 პროცენტზე ოდნავ ნაკლებია. ამდენად, ბანკები სესხებიდან უფრო მეტ შემოსავალს იღებენ და დოლარის გამყარებით მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, იმიტომ რომ, სესხების საპროცენტო განაკვეთი ანაბრების სარგებელზე ორჯერ მეტია.

მეორე – ბანკები კარნახობენ ვალუტის კურსს დანარჩენ ეკონომიკას და, დღეს მოქმედი საკანონმდებლო ნორმებითა და ეროვნული ბანკის დადგენილებებით, კომერციულ ბანკებს აქვთ ექსკლუზიური უფლება, რომ მათ შორის დადებული გარიგებებით განისაზღვროს ლარის კურსი. შესაბამისად, ისინი ერთმანეთთან ვაჭრობენ გარკვეული მოცულობებით, შემდეგ ადგენენ კურსს და ამ კურსით ხორციელდება ვაჭრობა ყველა სხვა, ნებისმიერ მესამე პირთან. რამდენიმე ბანკი ივაჭრებს და გადაწყვეტს, რომ კურსი უნდა იყოს ერთი დოლარი – ორი ლარი და შემდეგ ამ კურსით ყიდიან ვალუტას ყველა დანარჩენზე. ამდენად, რადგან თავად აწესებენ ვალუტის კურსს, თავიდან იცილებენ შესაძლო უარყოფით შედეგებს. ამას მოწმობს ოფიციალური სტატისტიკაც, რის მიხედვითაც, შარშან, დეკემბერში, როდესაც კურსის ყველაზე დიდი ცვლილება იყო, ბანკებმა სავალუტო ოპერაციებით სამჯერ მეტი მოგება მიიღეს, ვიდრე წინა პერიოდში ჰქონდათ და, ჯამში, მათ მიერ მიღებულმა მოგებამ 118 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი მოგების მეოთხედია. ბანკები ერთ-ერთნი არიან იმ მცირერიცხოვანთა შორის, რომლებმაც სიტუაციით ისარგებლეს და მოგება ნახეს ვალუტის კურსის ცვლილებით. ასეთია კურსის ცვლილების გავლენა მათ მდგომარეობაზე, რაც ცალსახად დადებითია.



**ჩვენთან, რეალურად 4-5 ბანკი განაგებს არა მარტო სავალუტო ბაზარს, არამედ მთლიანად სექტორს, ადგენს ვალუტის კურსს და შემდეგ ვალუტის ამ კურსით ხელმძღვანელობს ასეულობით კომპანია და ასეულ ათასობით ადამიანი**

**– ეს ნორმალური მოვლენაა საბანკო ცხოვრებისთვის? კურსის ცვლილება და ეროვნული ვალუტის გაუფასურება, როგორც წესი, ზრდის ბანკების მოგებას?**

– საერთოდ, როგორც ვალუტის კურსის, ისე ფასიან ქაღალდებზე ფასის ცვლილება ორ ნაწილად ყოფს საზოგადოებას: მოგებულებად და წაგებულებად. ჩვენთან ბანკები ყოველთვის მოგებულები არიან, იმიტომ რომ, მათ ხელშია ვალუტის კურსის განსაზღვრის სადავეები. მათი ვაჭრობის შედეგად დგინდება კურსი და მე შემიძლია, გითხრათ, თუ რა მექანიზმით დგინდება კურსი სხვა ქვეყნებში. იქ ბანკების გარდა, ვალუტის კურსის დადგენაში მონაწილეობენ სხვებიც: სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო და საპენსიო ფონდები, ექსპორტიორები, იმპორტიორები, ნებისმიერი ტიპისა და პროფილის კომპანიები, ფიზიკური პირები. ანუ ბაზრის მონაწილეთა წრე საკმაოდ ფართოა, ჩვენთან კი მხოლოდ ბანკებია, თუმცა რეალურად 4-5 ბანკი განაგებს არა მარტო სავალუტო ბაზარს, არამედ მთლიანად სექტორს, ანუ, ფაქტობრივად, ხუთი მოთამაშე, ბანკის სახით, ადგენს ვალუტის კურსს და შემდეგ ვალუტის ამ კურსით ხელმძღვანელობს ასეულობით კომპანია და ასეულ ათასობით ადამიანი. არადა, რაც მეტი მოთამაშე განსაზღვრავს ვალუტის კურსს, მით მეტად საბაზრო და კონკურენტუნარიანია გარემო და რაც უფრო შევავიწროებთ იმ წრეს, რომელიც ადგენს ფულის ფასს, მით ნაკლებად იქნება ეს ფასი ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის შესაბამისი, ანუ უფრო ნაკლებად კონკურენტულ გარემოში იქნება ფორმირებული.

**– რა ტიპის ქვეყნებში მოქმედებს ვალუტის კურსის დადგენის ის სქემა, რომელიც ჩვენ გვაქვს?**

– ეს არის საერთაშორისო სტანდარტი, რომლის გაზიარების სურვილიც დამოკიდებულია ქვეყანაზე, თუმცა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა არის ის, რომ სავალუტო ბაზარი აბსოლუტურად გახსნილია და მილიონობით ან მეტი მოთამაშის გარიგების შედეგად დგინდება ფულის ფასი. მართალია, ჩვენთანაც იმართლებენ თავს, რომ ეს არ არის დახურული სისტემა და არ შეიცავს სპეკულაციურ ელემენტებს, მაგრამ ფაქტია, რომ ვალუტის კურსი დგინდება მხოლოდ ბანკების გარიგებების შედეგად. იმას, რაზეც შეთანხმდებიან ბანკები, ეროვნული ბანკი გამოაცხადებს ოფიციალურ კურსად და ამაზე სწორდება ბაზარი, ანუ ამ კურსს იყენებენ საბიუჯეტო ორგანიზაციები, სავალუტო ჯიხურები, იმპორტიორები და ასე შემდეგ. ესე იგი, ერთ სიგნალს გამოუშვებს ეროვნული ბანკი და ის მთელი ეკონომიკისთვის ხდება ოფიციალური საანგარიშსწორებო კურსი, რაც არ მიმაჩნია სამართლიან და საბაზრო პრინციპად.

**– ამა თუ იმ ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის ფასს შორის სხვაობასაც ბანკები ადგენენ? და რაც მთავარია, ყიდვისა და გაყიდვის ფასს შორის იმ ვალუტებშია დიდი სხვაობა, რომლებზეც არის მოთხოვნა.**

– იმიტომაც ვამბობ, რომ კურსის განსაზღვრა არასაბაზრო და არაკონკურენტულ გარემოში ხდება და ბანკებს რომ კონკურენტები ჰყავდეთ, ანუ სხვა კომპანიებსაც ჰქონდეთ საშუალება, ივაჭრონ სავალუტო ბაზარზე და მათ შეთავაზებებსაც ითვალისწინებდნენ კურსის განსაზღვრისას, ბანკებს აღარ ექნებოდათ ის ფუფუნება, რომ ამხელა სხვაობა დაეჭირათ ვალუტის ყიდვასა და გაყიდვას შორის. სწორედ ამ განსხვავებიდან იღებენ ძალიან დიდ შემოსავალს და ეს არა მხოლოდ ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსს ეხება, მე ვახსენე სესხები და დეპოზიტები. საშუალო პროცენტი რომ ავიღოთ, დეპოზიტის პროცენტზე თითქმის სამჯერ ძვირია სესხების პროცენტი. გამომდინარე იქიდან, რომ ბანკებს არ ჰყავთ კონკურენტი და ფულადი რესურსის ლამის ერთადერთი მიმწოდებლები არიან და ეს აძლევთ მათ იმ პრივილეგიას, რომ თქვენგან საშუალოდ 5 პროცენტად ისესხონ თანხა და მესამე პირზე გაასესხონ სამმაგად. ანუ ნებისმიერი მიმართულებით, ბანკებს არ აქვთ ალტერნატივა და ამ შანსს ისინი იყენებენ კარგად და ეს შესანიშნავად აისახება მათ მოგებაზე, რომელიც წლიდან წლამდე ლამის ორმაგდება.

**– ცნობილი რომაული პრინციპია, როდესაც დამნაშავე უცნობია, მას პოულობენ პრინციპით, ვინ იხეირა მომხდარით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბანკებმა შთამბეჭდავად იხეირეს ეროვნული ვალუტის გაუფასურებით, რომლის კურსსაც თავად ადგენენ, შეიძლება, ითქვას, რომ წაეხმარნენ ლარს გაუფასურებაში?**

– რომ გადავავლოთ თვალი, ვნახავთ, რომ ბანკების შემოსავლისთვის იმას კი არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორია ლარის კურსი, მაღალი თუ დაბალი, არამედ მკვეთრ ცვლილებებს. როდესაც მკვეთრად ირყევა კურსი, სწორედ მაშინ იღებენ დიდ მოგებას ბანკები. მაგალითად, 2014 წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ ირყეოდა ეროვნული ვალუტის კურსი, მაგრამ ნოემბრის ბოლოდან მკვეთრი რყევა დაიწყო და ბანკებმა საშუალო წლიურ მაჩვენებელზე თითქმის სამჯერ მეტი მოგება მიიღეს ვალუტის ყიდვა-გაყიდვით. ანუ ძირითადად და ზოგადად, ფული კეთდება ფულის ფასის მკვეთრი ცვლილებით.

**– და რამე შეუშლის ბანკებს ხელს, რომ მკვეთრად შეცვალონ ფულის ფასი ვალუტის კურსის დადგენისას?**

– არაფერი. თუმცა ეროვნული ბანკი ამტკიცებს, რომ აკვირდებიან პროცესს და გამორიცხავენ სპეკულაციებს.

**– მაგრამ ეროვნული ბანკიც ხომ იღებს შემოსავალს ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილებით?**

– ეროვნული ბანკი იღებს შემოსავალს, როდესაც ერთვება პროცესში და ახორციელებს ინტერვენციას. მაგალითად, ბოლო ინტერვენციისას მან დოლარი გაყიდა 2,02 ლარად, რომელიც შესაძლოა, თავის დროზე, იყიდა 1,75-ად ან უფრო ნაკლებად. მე არ ვამბობ, რომ ეს უკანონო და ცუდი ნაბიჯია და ეს ეროვნულმა ბანკმა, მაინცდამაინც, მოგების გამო გაა-

# რამდენი ანაბარი აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე ზაზა მეიშვილს და რამდენ ათეულ ათას ლარს ინახავს მათზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ზაზა მეიშვილი 1972 წელსაა დაბადებული თელავში. უმაღლესი განათლება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიიღო, სადაც 1989-1995 წლებში სწავლობდა. მისი სამუშაო გამოცდილება 1991 წელს იწყება ფირმა „ისინდიში“, სადაც მან იურისტად 1996 წლამდე იმუშავა. 1996 წლის ნოემბერში საქართველოს პროკურატურაში გადავიდა უფროსი პროკურორის თანაშემწედ, 1997 წელს საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწედ დაინიშნა, მოგვიანებით კი – სასამართლო პერსონალის სექტორის უფროსად. 2001 წელს უშიშროების საბჭოში გადაინაცვლა უშიშროების საკითხთა სამსახურის რეფერენტად, 2002-ში იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა. 2003 წელს კი მისი სასამართლო კარიერაც დაიწყო: თავდაპირველად, თბილისის საოლქო სასამართლოს, მოსამართლედ დაინიშნა; შემდეგ – სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ, უფრო შემდეგ – საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ. 2005 წლის ნოემბერში თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე გახდა, 2006 წლის მარტიდან კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრია. ასევე, 2007 წლიდან დღემდე საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარეა, ხოლო 2006 წლიდან – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ლექტორი.

რაკი სტაჟიანი ჩინოვნიკია, დეკლარაცია არაერთი შეუვსია, თუმცა ჩვენ ტრადიციას არ ვუღალატებთ და ამჯერადაც ბ-ნი მეიშვილის პირველად და ბოლოს შევსებულ ქონებრივსა და ფინანსურ დეკლარაციებს შემოგთავაზებთ. ბ-ნი მეიშვილის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2002 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარემ და ოჯახის წევრებად მიუთითა დედ-მამა და და. იმხანად დას, თამარ მეიშვილს, ეკუთვნოდა საცხოვრებელი ბინა თბილისში, 16 000 ლარად ღირებული, ხოლო მამას, ჯემალ მეიშვილს, მიწის ნაკვეთი გლდანში, 5 000 ლარად ღირებული. ჯემალ მეიშვილი, იმას გარდა, რომ ს\ს „თბილექტროიზოლიტის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო, ფლობდა აქციების 4,9 პროცენტს. რაც შეეხება შემოსავლებს: 2001 წლის განმავლობაში, ზაზა მეიშვილმა, როგორც იუსტიციის საბჭოს თანამშრომელმა, 4 130 ლარი აიღო; როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომელმა, 500; როგორც იუსტიციის სამინისტროს დეპარამენტის უფროსმა, 265 ლარი; როგორც სამოსამართლო სწავლების ცენტრის ლექტორმა, 2 047; როგორც იუსტიციის სასწავლო ცენტრის ლექტორმა, 1 860 ლარი.



ზაზა მეიშვილის მიერ სულ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2014 წლით თარიღდება, რომელიც მან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის რანგში შეავსო და ოჯახის წევრებად მიუთითა: მეუღლე, ნინო მირზიკაშვილი, დედა – ნანა მეიშვილი და 2013 წელს დაბადებული შვილი – ჯეკო.

რაც შეეხება უძრავ ქონებას: ნინო მირზიკაშვილის საკუთრებაა მშენებარე საცხოვრებელი სახლი მცხეთაში (ფართობი – 317 კვ.მ) და იქვე მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ფართობი – 1 150 კვ.მ); ზაზა მეიშვილს კი ეკუთვნის – ბინა თბილისში, ბუდაპეშტის შესახვევში მდებარე მშენებარე კორპუსში (ფართობი – 167 კვ.მ) და ორი ავტოფარეხი: ბუდაპეშტის ქუჩასა და გლდანში. ასევე, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი გლდანში (877კვ.მ). ამას გარდა, მისი საკუთრებაა „ელექტროიზოლიტის“ 7 388 აქცია (თითოეულის ღირებულებაა 1 აშშ დოლარი).

ნინო მირზიკაშვილს ორი ანაბარი აქვს, რომლებზეც 3 200 ლარსა და 1 200 ევროს ინახავს, ორი ანაბარი აქვს ზაზა მეიშვილსაც, რომლებზეც 23 000 და 45 000 ლარი ერიცხება. თუმცა დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდი ფული მხოლოდ ოჯახის უფროსს ჰქონდა – 9 700 ლარი.

2012 წლის განმავლობაში ზაზა მეიშვილმა, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ – 100 725 ლარი აიღო, როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის ლექტორმა – 5 920 ლარი, როგორც თსუ-ის ლექტორმა – 4 950 ლარი, როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორმა – 3 200 ლარი. ხოლო ნინო მირზიკაშვილმა, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლექტორმა – 1 501, როგორც სოროსის ფონდის სტიპენდიანტმა, ასევე, სამედიცინო უნივერსიტეტში – 5 000 ევრო, როგორც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების პროექტის კონსულტანტმა – 6 786 ლარი, ხოლო, როგორც ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პალიატიური ზრუნვის განფასების პროექტის ექსპერტმა – 7 980 ლარი.

2013 წელს ხარჯი მხოლოდ ბ-6 მეიშვილს ჰქონდა, მას ბინის სარემონტო სამუშაოები 51 000 ლარი დაუჯდა.

**ნინო ხაჩიძე**

---

კეთა, რადგან ვალუტის ყიდვა-გაყიდვით მიღებული შემოსავალი არის ეროვნული ბანკის მოგების კანონიერი წყარო. მისი მოგება ითვლება ლარში და, ამ მხრივ, მას შემოსავალი გაეზარდა.

**– ოპონენტები ითხოვენ მთავრობის ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო. რა მონაწილეობას იღებს მთავრობა ლარის კურსის ფორმირებაში?**

– ლაპარაკია იმაზე, რომ მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ სავიზო რეჟიმის გამკაცრების შესახებ შეამცირა ტურისტების რაოდენობა ქვეყანაში, რამაც გამოიწვია შემოსავლების კლება. შესაბამისად, თუ აღმოჩნდება, რომ სავიზო პოლიტიკის გამკაცრებამ შეამცირა ტურისტული შემოსავლები და ამან ნეგატიური გავლენა იქონია ლარის კურსზე, ამ შემთხვევაში შეგვიძლია მთავრობის პასუხისმგებლობაზე საუბარი. თუმცა ჩვენთან ყველაზე მეტი ტურისტი შემოდის თურქეთიდან, რომელთანაც არ გვაქვს სავიზო რეჟიმი. ზოგადად, რეგიონში ეკონომიკური ზრდის ტენდენცია არ არის, უკრაინაში საომარი მოქმედებებია და კრიზისია, რუსეთში ეკონომიკური კრიზისია, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სავიზო რეჟიმის გამკაცრებამ ზეგავლენა იქონია ამ პროცესზე. მეორე მხრივ, შემცირებულია ინვესტიციებიც რეგიონში არსებული ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, ანუ ბევრი ობიექტური გარემოებაა, რის გამოც შემცირდა უცხოეთიდან ვალუტის შემოდინება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: გასული წლების განმავლობაში შემოედინებოდა უცხოური კრედიტები. ანუ საქართველო იყო კრედიტების აკრეფის რეჟიმში და ამ თანხით ბალანსდებოდა უარყოფითი სავაჭრო საგადასამხდელო ბალანსი. იმაზე მეტი ვალუტა შემოედინებოდა ქვეყანაში კრედიტების სახით, ვიდრე გაედინებოდა, რაც, საბოლოოდ, ამყარებდა ლარს. და სხვათა შორის, რეზერვებიც ამიტომ იქმნებოდა. აღებულ ვალს, ანუ კრედიტებს კი სჭირდება დაფარვა და ვიცით, რომ 2013 წლიდან საქართველო გადავიდა საგარეო ვალის დაფარვის რეჟიმში.

**– პირველ ჯერზე, თუ ზუსტად მახსოვს, 800 000 მილიონის გადახდა გვიწევდა 2013 წელს.**

– და იმ ფონს, როდესაც გვაქვს დეფიციტი საგადასამხდელო ბალანსში, დაემატა ისიც, რომ ადრე აღებული ვალები, ანუ უცხოური ვალუტა დიდი მოცულობით გავიდა ქვეყნიდან და მივიღეთ ლარის გაუფასურების ტენდენცია, ანუ ობიექტური გარემოებების გამო მოხდა ეს. თუ გასულ წლებში საგარეო ვალებს ვიღებდით, ახლა მიდის გასტუმრება და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

**– ლარი, სხვა ვალუტების ფონზე, ყველაზე ნაკლებად გაუფასურდა, რატომ?**

– მართალია, მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების ვალუტები ლარზე მეტად გაუფასურდა, მაგრამ მათი ინტეგრაციის ხარისხი მსოფლიო ეკონომიკაში ლარისგან განსხვავებულია. მაგალითად, ნორვეგია ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანაა და სავსებით ლოგიკურია, რომ ნავთობის ფასის კლების გამო, მისი ვალუტა გაუფასურდა ლარზე მეტად. სასიხარულო ამაში არაფერია, ამით მოსახლეობა შვებას ვერ იგრძნობს, მაგრამ ლარი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გაუფასურებული ვალუტაა მსოფლიოში.

**– იმიტომ რომ, ეკონომიკა არ გვაქვს?**

– იმიტომ რომ, არ ვახორციელებთ ისეთი პროდუქციის ექსპორტს, რომელზეც ფასები მკვეთრად შეიცვალა, ჩვენს ექსპორტში რომ დიდი წილი ეჭიროს ნავთობს, გაცილებით ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. ანუ ეკონომიკის იმ სტუქტურიდან გამომდინარე, რაც გვაქვს, სხვებთან შედარებით დიდი ზარალი არ მიგვილია.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**საბერძნეთის საპარლამენტო არჩევნებში ხმების 36 პროცენტით მემარცხენე რადიკალურმა პარტიამ „სირიზამ" გაიმარჯვა და საბერძნეთის პარლამენტში 149 ადგილი მოიპოვა. უფრო საბედნიეროდ, უმრავლესობის მოპოვებამდე „სირიზას" ორიოდ მანდატი დააკლდა. „სირიზას" ლიდერი ალექსის ციპრასი გამარჯვებისთანავე დაჰპირდა საბერძნეთის მოსახლეობას, რომ დაასრულებს მკაცრი ეკონომიის პოლიტიკას, რომელსაც წინა მთავრობა ევროკავშირის მოთხოვნით ახორციელებდა. თუმცა, მეორე მხრივ, ცნობილია, რომ საბერძნეთის რამდენიმე ხელისუფლებამ ევროკავშირის მიერ საბერძნეთისთვის მიცემული ფული, არც მეტი, არც ნაკლები, შეჭამა. ამან ქვეყანას მძიმე ეკონომიკური პრობლემები შეუქმნა, რასაც ევროკავშირმა დამატებითი თანხის გამოყოფით უპასუხა. თავის მხრივ, ალექსის ციპრასი ევროკავშირის დატოვებითაც იმუქრება და ვალების ჩამოწერასაც ითხოვს, რაც „იავნანად" ჩაესმის სანქციადადებულ რუსეთის ფედერაციას. სწორედ ვლადიმირ პუტინი იყო პირველი, ვინც „სირიზას" ლიდერს გამარჯვება მიულოცა. რა ბედი ელის ევროკავშირს საბერძნეთის გარეშე, საბერძნეთს – ევროკავშირის გარეშე და იქცევიან თუ არა ძველი ელინების შთამომავლები ტროას ცხენად ევროპის გაერთიანებისთვის, – ამ თემას პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ არის მოწადინებული საბერძნეთის ახალი მთავრობა რუსეთთან დამეგობრებით, რატომ ემუქრება ევროკავშირს ევროზონის დატოვებით და როგორ უწევს ცუდ სამსახურს საქართველოს

**– გასაგებია, რომ საბერძნეთის ევროკავშირში ყოფნას აქვს სიმბოლური და იდეოლოგიური დატვირთვა, რადგან ევროპული კავშირი შეუძლებელია, არსებობდეს ევროპის აკვნის, საბერძნეთის გარეშე.**

– დავაზუსტებ: არაერთხელ მითქვამს, ისევე, როგორც დღევანდელ ეგვიპტელ ფელახებს არაფერი აქვთ საერთო ფარაონებთან, იმ ხალხთან, ვინც პირამიდები დაგვიტოვა; ისევე, როგორც დღევანდელ იტალიელებს ძალიან ცოტა რამ აკავშირებთ ძველ რომაელებთან; ასევე, დღევანდელ ბერძნებს არაფერი აქვთ საერთო ძველ ელინებთან. ამიტომ, მართალია, საბერძნეთი იყო ცივილიზაციის სამშობლო, მაგრამ ადამიანები, მათი მენტალობა შეიცვალა საუკუნეების განმავლობაში.

**– რა პოლიტიკური პროცესებია საბერძნეთში? რის იმედით უპირისპირდებიან ევროკავშირს, რომელთა ფულით უდგათ სული?**

– გასაკვირი მხოლოდ ის არის, როგორ ითმენდა ბრიუსელი წლების განმავლობაში იმას, რასაც აკეთებდა საბერძნეთი. საოცარია პირდაპირ, საბერძნეთში, რომელიც, ძირითადად ცხოვრობდა ევროკავშირის ფულით, წლების განმავლობაში მემანქანეს, რამდენჯერაც ხელს დაიბანდა, იმდენი ხელფასი ემატებოდა და პრემიები ეძლეოდა, დაახლოებით ისე, როგორ ჩვენს მინისტრებს. შიკრიკს, ჩვენ რომ კურიერს ვუწოდებთ, სამინისტროში ერთი ოთახიდან მეორე ოთახში თითო დოკუმენტის შეტანაში ეძლეოდა ხელფასზე დანამატი. სამსახურში დროულად მისვლა აღინიშნებოდა პრემიებით. მაშინ, როდესაც ქვეყანა დეფოლტის პირას დგას, სწავლაც უფასოა და თან, სტუდენტს შეუძლია, 40 წლამდე ისე ისწავლოს, რომ ერთი საგანიც არ ჩააბაროს. უფასოდ იცხოვროს საერთო საცხოვრებელში და იკვებებოდეს სტუდენტურ სასადილოში. ანუ იქ სოციალიზმია თავისი ყველაზე მახინჯი ფორმით. რასაკვირველია, როდესაც 2 წლის წინათ გასკდა ეს საპნის ბუშტი, ბერძნებს უთხრეს, გეყოთ ჩვენს ხარჯზე ცხოვრება, შეამცირეთ გაბერილი შტატები, მოსპეთ ზღაპრული ხელფასები, დანამატები და გადადით მკაცრ ეკონომიაზე. ბოლო წელიწად-ნახევარი ახლა უკვე წასული მთავრობა ამ კურსს ატარებდა, რასაც საერთო უკმაყოფილება მოჰყვა. თუმცა 14 წლის განმავლობაში შარშან პირველი წელი იყო, როდესაც საბერძნეთში გამოჩნდა ეკონომიკის სტაბილიზაციის რეალური მაჩვენებლები, მაგრამ ამ დროს ასპარეზზე გაჩნდა მემარცხენე პარტია „სირიზა", რომლის ბირთვს შეადგენენ მაოისტები და ტროცკისტები. კიდევ კარგი, რომ „სირიზამ" აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მიიღო და მარტო ვერ შექმნის მთავრობას, ამიტომაც, თქვენ წარმოიდგინეთ, შეეკრა ულტრამემარჯვენეებს. ასე რომ, რაღაც არაბუნებრივი პოლიტიკური სიმბიოზია საბერძნეთში.

**– რამდენად საფუძვლიანია რუსეთის სიხარული „სირიზას" გამარჯვების გამო, რა დახმარებას ელის საბერძნეთისგან?**

– „სირიზა" ყოველთვის ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდიოდა. მას დიდი ხანია, ჰყავს თავისი დეპუტატები ევროპარლამენტში და ისინი ყოველთვის გამოდიოდნენ რუსეთისთვის სანქციების დაწესების წინააღმდეგ გასული წლის აპრილიდან მოყოლებული და კატეგორიულად მოითხოვდნენ რუსეთთან მეგობრული პოლიტიკის გატარებას. ამიტომ მოსკოვიც გახარებულია „სირიზას" გამარჯვებით საბერძნეთის საპარლამენტო არჩევნებში. ციპრასს, ახალ პრემიერს, 40 წლის ქარიზმატულ ახალგაზრდა კაცს, პირველი საუბარი გამარჯვების შემდეგ სწორედ რუსეთის ელჩთან ჰქონდა.



**ჩვენთვის ეს ცუდია, რაგან ევროპულ პრესაში უკვე ჩნდება სტატიები იმის შესახებ, რომ ევროკავშირი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს თავის დაპირებებში ღარიბი ქვეყნებისადმი**

**– რას ნიშნავს ეს დიპლომატიის ენაზე?**

– საბერძნეთი ძალიან დააზარალა რუსეთის კონტრსანქციებმა, იმიტომ რომ, საბერძნეთიდან რუსეთში სოფლის მეურნეობის პროდუქცია შედიოდა და ამის აკრძალვა საბერძნეთის ეკონომიკაზე ცუდად აისახა. ამიტომ ციპრასი მოწადინებულია რუსეთთან დამეგობრებით. მოდი, ვნახოთ, ვინ არიან ევროპაში რუსეთის მეგობრები? მარინ ლე პენი, რომელიც ერთ წელიწადში სამჯერ ჩავიდა რუსეთში და ცხრა-ნახევარი მილიარდი ევროს კრედიტიც მისცა მას რუსეთმა ჩეხური ბანკის მეშვეობით 2012 წელს თუ 2013-ის დასაწყისში. ამის შემდეგ იყო, რომ ევროპარლამენტის არჩევნებში ლე პენმა ასეთ წარმატებას მიაღწია და ახლა რუსეთის მეგობართა რიცხვს დაემატა „სირიზაც". დღეს, დაახლოებით, 400 მილიარდ ევრომდე ვალი აქვს საბერძნეთს ევროპის. აქედან დაახლოებით, 250 მილიარდია დიდი სამეულის – ევროკავშირი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, დანარჩენი კი კერძო კომპანიებისა და ბანკების ვალია. მანამდე ორჯერ ჩამოაწერეს ვალი საბერძნეთს, მაგრამ, როგორც კი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ვალს არ გადაიხდიან.

**– ერთი რუსეთი იცოდა აქამდე მსოფლიომ, რომელიც არ აპირებს ვალის გადახდას და მეორეც შეჰმატებია.**

– სულ უარს არ ამბობენ, დათქმები აქვთ, სანამ ჩვენი ეკონომიკა არ გაძლიერდებაო. მაგრამ ეს მაინც საცდელი სვლა იყო, რადგან გასულ კვირას მერკელი გამოვიდა და ძალიან მკაცრად მიმართა: ვერც ევროზონიდან გახვალთ და ვერც ამ ვალის გადახდას აიცილებთო. მეორე მხრივ, ჩვენ არ გვესწავლება, რომ გამარჯვებამდე პარტია ერთს ჰპირდება ამომრჩეველს და გამარჯვების შემდეგ სულ სხვა რამეს აკეთებს. მართალია, ციპრასმა არჩევნებში გაიმარჯვა მოწოდებებით, რომ ევროკავშირის ვალს არ გადაიხდიდა, ხელფასებს არ შეამცირებდა, არც შტატებს და მათაც კი აღადგენდა სამსახურში, ვინც შემცირებაში მოჰყვა, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სხვანაირად აჭიკჭიკდა. ამბობს, ვალის გასტუმრებაზე უარს არ ვამბობთ, მაგრამ ნახევარზე მეტი უნდა ჩამოგვაწეროთო. ბრიუსელი უარზეა, თუმცა სთავაზობს, გააგრძელეთ რეფორმები და ვნახოთ, თუ რეფორმებს ჩაატარებთ, არ არის გამორიცხული, ვალი კიდევ ერთხელ ჩამოგაწეროთო. ერთი სიტყვით, თითქოს ერთგვარი ჩიხური სიტუაციაა. მეორე მხრივ, სტრატეგიულად საბერძნეთს მართლაც მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს „ნატოსთვის", მაგრამ ბერძნებს არც ის უნდა დაავიწყდეთ, რომ თურქეთი ჰყავთ მეზობლად.

**– ჩვენ რამენაირად გვეხება საბერძნეთის უცნაური აქტივობები?**

– ჩვენთვის ეს ცუდია, რადგან ევროპულ პრესაში უკვე ჩნდება სტატიები იმის შესახებ, რომ ევროკავშირი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს თავის დაპირებებში ღარიბი ქვე-

# რისგან მზადდება „მაკდონალდსში“ საკვები და არის თუ არა ის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო

„მაკდონალდსი“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რესტორანია. პოპულარულია იმიტომ, რომ საკვების ხარისხი და მომსახურების დონე ძალიან მაღალია. აქ ჩვენ დავდივართ ოჯახთან, თანამშრომლებთან, მეგობრებთან ერთად და ზოგჯერ მარტოც, როცა ძალიან გვშია. პირადად ჩემთვის „მაკდონალდსი“ გემრიელ სენდვიჩებთან და გაღიმებულ მომსახურე პერსონალთან ასოცირდება. გახსნის დღიდან მისი ხშირი სტუმარი ვარ, თუმცა, რისგან მზადდება „მაკდონალდსის“ საკვები, მხოლოდ ახლა გავიგე.

პირველი, რითაც დავინტერესდი, ეს გახლდათ ხორცის წარმომავლობა და ხარისხი. ინფრომაცია „მაკდონალდსის“ „ფეისბუქის“ გვერდზე მივიღე. როგორც ირკვევა, ქართულ „მაკდონალდსს“ გერმანიაში, ქალაქ გინზბურგში მდებარე ქარხანა ამარაგებს ხორცით, რომელიც 100 %-ით საქონლისაა და არ შეიცავს დანამატებს. წარმოებული ხორცი რამდენიმეეტაპიან შემოწმებას გადის: თავდაპირველად ის სანიტარულ შემოწმებას ქარხანაში მოხვედრამდე, ფერმაში გაივლის. გინზბურგის ქარხანა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, უმაღლესი დონის ბავარიისა და ავსტრიის ფერმებიდან მარაგდება.

ხორცის დამუშავების პროცესი ასეთია: საქონლის წინა და უკანა მეოთხედების კუნთის უძვლო მაღალხარისხიანი ნაჭრები ქარხანაში იჭრება და იღებს ფორმას. ამის შემდეგ ხორცი იყინება სპეციალური ტექნოლოგიით, რომელიც სასარგებლო თვისებებს უნარჩუნებს მას, შემდეგ კი ხდება გაყინული ხორცის დაფასოება და საქართველოში გამოგზავნა.



გიუნზბურგის ხორცის ქარხანა

პროდუქცია იდეალურად სუფთა, სტერილიზებულ გარემოში მუშავდება. პერსონალი აღჭურვილია სპეციალური ტანსაცმლით, ქუდებითა და პირბადეებით. ქარხანაში სტერილიზაციისა და ჰიგიენის ნორმების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

მე, ასევე, დავინტერესდი, თუ რამდენი ხნით ინახება საწყობში გაყინული ხორცი. აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს მასშტაბით, აღნიშნული ქარხანა „მაკდონალდსის“ იმდენ რესტორანს ამარაგებს ხორცით, რომ ფიზიკურად შეუძლებელია საწყობში ხორცის დიდხანს გაჩერება. მუდმივად ახალი ხორცი საქართველოში 2 კვირაში ერთხელ ჩამოდის.

ხარისხის კონტროლი საქართველოშიც გრძელდება. „მაკდონალდსის” ყველა რესტორანი აღჭურვილია სპეციალური ფრიზერებით, სადაც ხდება გერმანიიდან გამოგზავნილი ხორცის დასაწყობება და მარაგების შენახვა. ქართული „მაკდონალდსის“ ხელმძღვანელობის მიერ მკაცრად კონტროლდება საკვების მომზადების სტანდარტები. სენდვიჩებისა და სხვა პროდუქციის მომზადებისას 100 %-ით დაცულია ჰიგიენის ნორმები და გათვალისწინებულია თითოეული დეტალი, როგორიცაა საკვების მომზადების დრო, ტემპერატურა და სხვა. პროდუქტის ყველა დეტალი იდეალური უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ის ვერ მიაღწევს მომხმარებლამდე; მაგალითად, ყველასათვის საყვარელი სენდვიჩი „ბიგმაკი“ ზუსტად 98 შემოწმებას გადის, სანამ თქვენთან მოვა.

ასე რომ, როცა საქმე „მაკდონალდსს“ ეხება, შეგიძლია მშვიდად იყო და ნებისმიერ დროს მიირთვა საყვარელი სენდვიჩები, რადგან იცი, რომ ის მუდამ უსაფრთხო და ხარისხიანია.

---

ყნებისადმი. საქართველო, მგონი, ევროპაში არ მიიჩნევა მდიდარ ქვეყნად და ევროკავშირში გაწევრიანების მბჟუტავი იმედი ბერძნებმა კიდევ უფრო პრობლემური გახადეს. ამდენად, მათ ჩვენ და იმ ქვეყნებს, რომლებსაც უნდაც ევროკავშირში გაერთიანება, ძალიან ცუდი სამსახური გაგვიწიეს. თუმცა, საბოლოო ჯამში, ბერძნებს მოუწევთ ვალის გადახდაც, იმ დიდ სამეულთან მოლაპარაკებაც და ვერსადაც ვერ წავლენ.

**– პროცედურულად რას ითვალისწინებს ევროზონისა და ევროკავშირის დატოვება?**

– ევროკავშირიდან გარიცხვა არ ხდება: სახელმწიფო თავისი სურვილით გადის ევროკავშირიდან. შესვლაც ნებაყოფლობითია და გასვლაც, თუ თვითონ არ უნდა სახელმწიფოს გასვლა, მას ვერ გააგდებენ ევროკავშირიდან. მაგრამ იქ სხვა ფინანსური პრობლემებიცაა: საბერძნეთს ათეულობით მილიარდი სჭირდება და ბრიუსელმა მათ უკვე უთხრა, რომ კიდევ მისცემენ 25 მილიარდ ევროს, თუ ახალი მთავრობა გააგრძელებს რეფორმებს და არ გადავა პოპულიზმზე – ამ 25 მილიარდს პრემიებსა და შტატების გაბერვას არ მოახმარს. დღეს რეალობა ისეთია, რომ საბერძნეთი არ არის არც მსოფლიოს და არც ევროკავშირის წამყვანი ქვეყანა და ის არც „ნატოსთვისაა“ შეუცვლელი. „ნატოს“ სამხრეთის ფლანგი საიმედოდ აქვს ჩაკეტილი თურქეთს, რომელსაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში აშშ-ის შემდეგ ყველაზე დიდი და ძლიერი არმია ჰყავს.

**– საბერძნეთს აქვს იმის ეკონომიკური შნო, რომ დატოვოს ევროკავშირი, რუსეთი შეძლებს მისთვის იმ პარტნიორობის გაწევას, რასაც ევროკავშირი უწევდა?**

– გამორიცხულია, საბერძნეთმა ევროზონა დატოვოს. როგორ, ვისესხე 300-400 მილიარდი ევრო და უცებ ვაცხადებ, რომ აღარ ვიხდი?! რაც შეეხება რუსეთს, ის ასეთ მდგომარეობაშია: ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო. სად აქვს რუსეთს იმდენი ფული, რომ დღეს კიდევ საბერძნეთი მოიკიდოს ზურგზე, როდესაც ყირიმის რჩენის თავი არ აქვს?! რუსეთისთვის, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ევროკავშირში განხეთქილება და ბზარის შეტანა. ამიტომაც პუტინმა ციპრასს არადიპლომატიური ტექსტით მიულოცა, რომლის კონტექსტი ასეთი იყო: ჩვენ, ერთად, დედას ვუტირებთ ევროკავშირს. ამასობაში კი, ჩვენი პრესა ყურადღებას არ აქცევს, თუ რა ხდება ინგლისში.

**– ლიტვინენკოს საქმეს გულისხმობთ?**

– დიახ, ეს ამბავი 2006 წელს მოხდა და იმ დროიდან ითხოვს მარინა ლიტვინენკო, ლიტვინენკოს ქვრივი, მოეწყოს საჯარო განხილვა. ეს მხოლოდ ინგლისში ხდება, არ არის სასამართლო პროცესი, მაგრამ არის საჯარო მოსმენა, რომელსაც ხელმძღვანელობს ან რომელიმე ცნობილი მოსამართლე, ან ქვეყნის ავტორიტეტული პირი. ინგლისის მთავრობა ამის წინააღმდეგი იყო პოლიტკორექტულობის გამო. მაგრამ 2011 წელს ლიტვინენკოს ქვრივმა ინგლისის მთავრობას მოუგო სასამართლო პროცესი და მთავრობა იძულებული გახდა, დათანხმებულიყო მოსმენის ჩატარებაზე, ოღონდ მაინც გააჭიანურა და ახლახან, 15 იანვარს, დაიწყო.

**– ხელსაყრელ დროს ელოდა ინგლისის ხელისუფლება?**

– რუსეთის ძლიერი გავლენა იყო, რადგან, წარმოიდგინეთ, საჯარო განხილვა ხდება იმის შესახებ, რომ რუსეთის მთავრობამ ლონდონის ცენტრში მოაწყო ბირთვული ტერორისტული აქტი. მისი მთავარი ფიგურანტი – ლუგოვოი, „ეფ ეს ბეს“ აგენტი, ჟირინოვსკიმ თავისი სიით შეიყვანა რუსეთის „დუმაში“. საინტერესოა, რატომ გამოიყენეს მათ პოლონიუმი – საქმე ის არის, რომ 1971 წლის კლასიფიკაციით, პოლონიუმის კვალის აღმოჩენა ვერ ხერხდება, მაგრამ „ეფ ეს ბემ“ პოლონიუმი იხმარა 2006 წელს და იხელმძღვანელა 1970 წლის ნორმატივით, რადგან არ იცოდნენ, რომ დასავლეთში მეცნიერები უკვე ავლენდნენ პოლონიუმის კვალს. ლუგოვოიმ ყველგან, სადაც კი იყო ლონდონში, დატოვა პოლონიუმის კვალი. აი, ახლა მიმდინარეობს ინგლისში ამ საქმის მოსმენა. მეტიც, ინგლისის ხელისუფლებამ თქვა, საიდუმლო მასალებსაც გამოვაქვეყნებთო, რის კატეგორიული წინააღმდეგი იყო მანამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი მსოფლიო მარგინალად იქცევა, გახდება, როგორც თვითონ ამბობენ: „იზგოი“. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რომ არა რუსეთის მთავრობის თანხმობა, ასეთი რამ ვერ ჩატარდებოდა. ანუ რუსეთის მთავრობა გამოდის ბირთვული ტერორისტი. ამდენად, შექმნილ ვითარებაში რუსეთისთვის თითოეული მოკავშირე მნიშვნელოვანია.

**ნინო ხაჩიძე**

**ნინო გვენეტაძე, ალბათ, მალე მოირგებს პირველი მოსამართლის მანტიას, ჯერ კი პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული კანდიდატი პროცედურულ ნორმებს გადის, რაც მისთვის ცხოვრების ახალი, ყველაზე საპატიო და საპასუხისმგებლო ეტაპის დასაწყისია. მოსამართლის მანტია მან 1999 წელს მოირგო და ექვსი წელი ატარა. დღემდე ახსოვს ყველა ის პროცესი და განაჩენი, რამაც მის ცხოვრებაში დიდი კვალი დატოვა, თუმცა ამაზე და პროფესიული გზის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებზე ნინო გვენეტაძე, ძველებურად გახსნილი და გულწრფელი რესპოდენტი, უკვე თავად გიამბობთ.**

# ვის უკერავდა ნინო გვენეტაძე ვაკეში ქურთუკებს და როგორ დარჩა ის მარტო

ნინო გვენეტაძე: კეთილსინდისიერად და გულწრფელად გეტყვით, რომ ეს დღეები, რაც ჩემი კანდიდატურა დასახელდა, ემოციურად იოლი არაა – არ დაგიმალავთ, ძალიან ვღელავ კიდეც. ვერ ვიტყვი, რომ როდისმე განსაკუთრებით მშვიდი ან ნაკლებად დატვირთული რეჟიმი მქონდა, მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, სხვა იყო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა კი სულ სხვა რანგია. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, სადაც მე ვმუშაობ, საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს, მე გახლავართ სამართლის სკოლის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი. წარმოიდგინეთ, რამხელა პასუხისმგებლობა აუდიტორიაში სტუდენტებთან ურთიერთობა, რასაც, ასევე, ემატება მთელი რიგი ადმინისტრაციული ფუნქციებისა, მაგრამ ის, რისი გავლაც მომიწევს მომავალში, ნამდვილად ბევრად უფრო რთული იქნება.

**– საზოგადოების აზრი ორად არის გაყოფილი: გყავთ ბევრი მომხრე, თუმცა კრიტიკოსებიც გამოგიჩნდნენ ბოლო დღეებში.**

– ბუნებრივია, მოველოდი, რომ აბსოლუტურად ყველა ჩემი მომხრე ვერ იქნებოდა, მაგრამ, მაინც მინდა, ვიმედოვნებდე, რომ უმრავლესობის დამოკიდებულება არის პოზიტიური. უმრავლესობაში არ ვგულისხმობ პოლიტიკურ სპექტრს, მე ვსაუბრობ საზოგადოებაზე. ყველა ის მესიჯი, რომელიც ჩემი მხრიდან გაჟღერდება პარლამენტში, დეპუტატებთან შეხვედრებზე, ბუნებრივია, მიმართული იქნება ფორმალურად კანონმდებლებისკენ, მაგრამ, ეს იქნება განკუთვნილი საზოგადოებისთვის; ამიტომაც, კიდევ უფრო მაღალია პასუხისმგებლობა იმ საზოგადოების წინაშე, რომელსაც დიდი ინტერესი აქვს სასამართლო ხელისუფლების მიმართ. ბუნებრივია, მე, პირველ ყოვლისა, უნდა ვუპასუხო საზოგადოების მოთხოვნებსა და დაკვეთებს, რადგან, მეც ვიყავი უსამართლობის მსხვერპლი და ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა ხელყოფენ შენს უფლებებს. საბედნიეროდ, ჩემი პროფესიული საქმიანობის ფრაგმენტები ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი და დღეს ხდება ყველაფრის აღდგენა, გახსენება. თუ წარმოდგენილი ვიქნები სასამართლო ხელისუფლებაში, ჩემი უპირველესი მიზანი გახდება სასამართლოსთვის ფუნქციის სწორად შემეცნება, ვინაიდან დღეს ჩვენ გვაქვს ასეთი მოცემულობა: ორი სახელისუფლებო შტო – საკანონმდებლო და აღმასრულებელი, ხმამაღლა, მთელი პასუხისმგებლობით დეკლარირებს, რომ ისინი არ ჩაერევიან მართლმსაჯულებაში.

**– ამას ყველა ხელისუფლება აცხადებს, თუმცა, უზენაესი სასამართლოს ვერცერთმა თავმჯდომარემ ვერ შეძლო, ყოფილიყო პოლიტიკური ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და თავისუფალი. ერთ-ერთ „ბრალდებად" თქვენც გიყენებენ თქვენს კავშირს „რესპუბლიკურ პარტიასთან," რომლის კანდიდატიც იყავით საპარლამენტო არჩევნებზე ხაშურიდან.**

– ვიცი, რომ ეს შეკითხვა ამ დღეებში უკვე ბევრჯერ გაისმა. მე ვადასტურებ, რომ ნამდვილად ვიყავი „რესპუბლიკური პარტიის" წევრი 2008 წლიდან 2012 წლის ნოემბრამდე, თუმცა პოლიტიკური გეგმები არასდროს მქონია. მე ჯერ კიდევ მაშინ დავტოვე ეს პარტია, როცა „რესპუბლიკური პარტია" კოალიციის ფორმატში მოვიდა ხელისუფლებაში. გეტყვით, საიდან მოდიოდა ეს ჩემი პოლიტიკურად მომგებიანი წინდახედულება: როცა დაგვატოვებინეს ეს სასამართლო და აგვიკრძალეს მართლმსაჯულების განხორციელების უფლება, მას შემდეგ არ შეგვიწყვეტია სამართლებრივი ბრძოლა: გასაჩივრება ევროპის სასამართლოში, ჩვენი პრობლემის წარმოჩენა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დონეზე, ევროპელ კოლეგებთან ურთიერთობა. ეს ყველაფერი გვაძლევდა საშუალებას, გვებრძოლა სამართლებრივი გზებით. 2008 წელს როცა მე საპარლამენტო არჩევნებში მივიღე მონაწილეობა, ჯერ



სახლის საქმე, დალაგება, სარემონტო სამუშაოები – ყველაფერი საკუთარ თავზე მაქვს აღებული

კიდევ არ ვიყავი რესპუბლიკური პარტიის წევრი. სიმართლე გითხრათ, პოლიტიკურ ჭრილში აქტივობა არ გამომივიდა და, შესაბამისად, ძალიან იოლად შეველიე ამ ფორმატს. ეს იყო ბრძოლის ფორმა, გადატანილი პოლიტიკურ სპექტრში, მაგრამ, როგორც კი არჩევნების გზით შეიცვალა სიტუაცია, მე დავუბრუნდი ჩემს ძველ ნიშას და გავაგრძელე თანამშრომლობა სამართლის ექსპერტის რანგში.

**– წლების განმავლობაში იყავით უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და ეს რანგი მიიღეთ იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც წლების შემდეგ სკანდალით გაგათავისუფლეს სასამართლოდან...**

– უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ, როგორც სამართლის გამოჩენილი სპეციალისტი, ყოველგვარი ბარიერების გარეშე ვიყავი წარდგენილი და დამტკიცებული პარლამენტის მიერ, მაშინდელი უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონით დათქმული საგამონაკლისო ნორმით. მინდა ვთქვა, რომ მე მოსამართლის კანდიდატის რანგში წარდგენილი ვიყავი იმ რეფორმატორებისგან, რომლებიც ახორციელებდნენ მართლმსაჯულების რეფორმას – დიახ, ეს იყო ყოფილი პრეზიდენტი და, ასევე, ბატონი ლადო ჭანტურია, რომლებმაც ჩემი პროფესიული გამოცდილებისა და სტატუსის გამო დამაკისრეს უდიდესი პასუხისმგებლობა. ჩემთან ერთად ეს პასუხისმგებლობა დაეკისრა ბატონ მერაბ ტურავას. ამას წინ დიდი პროფესიული გზა უძღოდა: საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ მე ვსწავლობდი მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში; გავხდი მეცნიერებათა დოქტორი; წლების განმავლობაში ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას და, ამავდროულად, ვმუშაობდი იუსტიციის სამინისტროში კანონშემოქმედებითი საქმიანობის კუთხით. ჩემი პროფესიული ზრდისთვის კარგი პერიოდი დამემთხვა – ეს იყო სამართლებრივი და საკანონმდებლო რეფორმის პირველი ეტაპი ქვეყანაში, ვმუშაობდი იმ სახელმწიფო კომისიაში, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსს ქმნიდა. ამ კომისიაში მდივანიც ვიყავი და წევრიც.

**– თქვენ იყავით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პირველი ქალი ხელმძღვანელი. მაშინ დაიწყო თქვენი მეგობრობა პარლამენტის თავმჯდომარესთან? როგორც ამბობენ, მასთან ძალიან ბევრი წელი და ახლო ურთიერთობა გაკავშირებთ.**

– არც ამას ვმალავ – ჩვენ უნივერსიტეტში ვსწავლობდით ერთად. ჩვენი მეგობრობა დაიწყო იმ ასაკში, როცა ადამიანები განსაკუთრებით გულწრფელები და ალალები არიან; ჩვენ დაგვაკავშირა ამ ლაღმა წლებმა, საერთო იდეალებმა. ჩვენგან არცერთს არ დაურღვევია „საიაში" დადებული „ფიცი" და არ აგვირევია ერთმანეთში საქმე და მეგობრობა. 1994 წელს, როცა სულ რამდენიმე თანამოაზრემ დავაფუძნეთ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია," ჩვენი მიზანი იყო, შეგვექმნა აქტიური საზოგადოებრივი სექტორი. ჩვენ ერთად გვქონდა დათქმული ის პრინციპები, რასაც მე სასამართლოში გამოვიყენებ – კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. 1998 წელს მე მომიწია იუსტიციის სამინისტროს დატოვება და გავხდი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" პირველი ქალი თავმჯდომარე. სხვათა შორის, როცა მე მოსამართლის ფიცს ვდებდი, პირველი, რაც გამახსენდა, იყო „საიაში" დადებული „ფიცი" – ეს იყო ორგანიზაციის წესდება, აგებული იმ პრინციპებზე, რომლისთვისაც არ მიღალატია. როცა მოსამართლის ფიცი დავდე, ისე განვიცადე, რომ ტემპერატურამ ამიწია *(იცინის)*. სხვათა შორის, იგივე დამემართა რამდენიმე რთული საქმის განხილვის დროს. ასეთ საქმეთა შორის იყო ჩეჩნების ექსტრადიციის საქმე, რომელთა გადაცემასაც რუსეთი მოითხოვდა. პროცესი ისე გართულდა, რომ, ისიც კი ითქვა, თუ ჩეჩენ მებრძოლებს არ გადავცემდით რუსულ მხარეს, ისინი ყაზბეგს დაბომბავდნენ. ეს იყო დილემა, შესაბამისად, ამ საქმის განხილვა ბევრი თვალსაზრისით ალოჩნ-

(გაგრძელება მე-17 გვერდზე)

**დამოუკიდებელი ექსპერტი ზაზა ალთუნაშვილი წლების განმავლობაში იყო ქვეყნის პირველი ექსპერტ-კრიმინალისტი. პროფესიული საქმიანობა სამთო-გეოლოგის სპეციალობით დაიწყო, თუმცა, აფეთქებების სპეციალური ცოდნისა და მაღალი კვალიფიკაციის წყალობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ სამსახურში მოხვდა, სადაც რთულ კრიმინალურ პერიოდში ყველაზე მძიმე და გახმაურებულ საქმეებზე მუშაობდნენ. ბატონი ზაზას „ანგარიშზეა" 90-იანი წლების ბევრი რეზონანსული საქმე. დღეს ბალისტიკასა და კრიმინალისტიკას დროდადრო კონსულტანტის რანგში უბრუნდება, თუმცა, კარგად ახსოვს ის თითოეული დეტალი, რომელიც მისი პროფესიული ბიოგრაფიის ნაწილი გახდა.**

# რა აღმოაჩინა ექსპერტ-კრიმინალისტმა ზაზა ალთუნაშვილმა „ცეერუს" აგენტისა და გიორგი სანაიას მკვლელობების გამოძიების დროს

**ზაზა ალთუნაშვილი:** პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე და, როგორც წარმატებული სტუდენტი კათედრაზე დამტოვეს სამუშაოდ. პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი – მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ლექციების კითხვა დავიწყე. სტუდენტებთან გავდიოდით დისციპლინას – ფეთქებადი სამუშაოები, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე ისწავლებოდა. ეს ის სფერო იყო, რომელიც სპეციალისტების სიმრავლით არ გამოირჩეოდა. აფეთქებები, რომლებიც სამრეწველო საქმეში გამოიყენებოდა, მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას. ჩვენ საქმე გვქონდა მიმართულ აფეთქებებთან, რაც სამხედრო დანიშნულების აფეთქებებისგან დიდად არ განსხვავდება – თუ სამუშაო სრული სიზუსტით არ შეასრულე, სანტიმეტრიან ცდომილებასაც კი შეიძლება, რთული და მძიმე შედეგი მოჰყვეს. სტუდენტობის დროს გავიარე სავალდებულო სამხედრო სამსახური შორეულ აღმოსავლეთში, სადაც მოვხვდი სპეცდანიშნულების ნაწილში. ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ ჩემი პროფესია დაემთხვა სამხედრო მომზადების პროფილს. 90-იან წლებამდე კრიმინალური აფეთქებები და ტერორისტული აქტები თითქმის არც ყოფილა; მოსახლეობაში საბრძოლო მასალა არ იყო და თუ რამე მოხდებოდა, მას ისეთი რეზონანსი ჰქონდა, საკავშირო მნიშვნელობის სპეციალისტები ჩამოდიოდნენ. მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და აირია ყველაფერი, საქართველოში მძიმე კრიმინალური მდგომარეობა შეიქმნა. ხალხში გაჩნდა დიდი ოდენობით საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალა, ყოველდღე უამრავი მძიმე დანაშაული ხდებოდა. ჩვენ არ გვყავდა სპეციალისტები, რომლებიც ამ მიმართულებით იმუშავებდნენ, შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კადრების მოძიება და თანამშრომლობა დაიწყო ჩვენთან, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიაში, სადაც მე მასწავლებლობით დავიწყე და ლაბორატორიის ხელმძღვანელი გავხდი. ჯერ კიდევ ინსტიტუტში მუშაობის დროს, როგორც აფეთქების დარგში სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირს, მიწევდა დასკვნებზე მუშაობა – ასე აღმოვჩნდი შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტურ სამსახურში, ბალისტიკურ განყოფილებაში.

**– როგორი იყო პროფესიული ნათლობა უკვე კრიმინალისტის რანგში?**

– იმ წლებში ძალიან ბევრ თემაზე მომიწია მუშაობა. ამ მიმართულებით კრიმინალისტურ სამსახურში მარტო მე ვმუშაობდი. დღე არ გავიდოდა, სასტიკი მკვლელობა და აფეთქება არ მომხდარიყო. აფეთქებები ხდებოდა როგორც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე, ასევე, იყო გახმაურებული ტერორისტული აქტებიც, მაგალითად, გია ჭანტურიაზე განხორციელებული თავდასხმა, რომლის დროსაც სამი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღიდან დაახლოებით სამასზე მეტი ვაზნა იყო გასროლილი. ვმუშაობდი გია გულუას საქმეზეც. 1995 წელს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტი იყო კლასიკური ტერაქტი – ზუსტად ის სამხედრო დანიშნულების ასაფეთქებელი „მონები" იყო გამოყენებული, რომლებიც სამხედრო საქმეში გამოიყენებოდა. ეს იყო სუპერპროფესიონალურად გაკეთებული დანაღმვა. პროფესიონალი იყო ის, ვინც მაშინ დანაღმა ედუარდ შევარდნაძის ავტომანქანა: ყველაფერი უნიკალურად იყო გათვლილი და დამონტაჟებული; თუმცა, რამდენადაც მაღალ დონეზე იყო ჩადებული ნაღმი, იმდენად არაპროფესიონალურად მოხდა მისი აფეთქება დისტანციური პულტით, იმიტომ რომ, დამნაღმველი სხვა იყო, აფეთქება კი განახორციელა სხვამ და იმიტომაც არ დადგა ის შედეგი, რაზეც იყო გათვლილი. ამ საქმეზე მუშაობის დროს ძალიან ბევრი ექსპერიმენტი ჩავატარეთ: სამხედრო ნაწილში გავაკეთეთ აფეთქება, რომ აღგვედგინა სურათი. ექსპერტის მთავარი ფუნქცია არის ინფორმაციის მიღება საგნებიდან და ამის შემდეგ ის მოდის „უკან", რომ აღადგინოს სურათი. ექსპერტმა უნდა იცოდეს, რა ეძებოს, სად ეძებოს, როგორ დააფიქსიროს, ამოიღოს და გამოიკვლიოს. ამ საქმეზე ჩვენ იმდენი სამუშაო ჩავატარეთ, რომ ფილმიც გადაიღეს „დისქავერისთვის." მე, ასევე, ვმუშაობდი ედუარდ შევარდნაძეზე 1998 წელს განხორციელებული ტერაქტის გახსნაშიც. ჩვენი ლაბორატორია იყო ქვეყნის წამყვანი ლაბორატორია, სადაც თავს იყრიდა, ფაქტობრივად, ყველა საქმე: მკვლელობა, ყაჩაღობა, ნარკოტიკები. ისეთი მძიმე დრო იყო, სულ სამსახურში მიწევდა ყოფნა, წლების განმავლობაში სამსახურში გვეძინა. ექსპერტის პოზიციით დავიწყე და საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს უფროსის პოსტამდე მივედი. ჩვენი სამსახური აქტიურად იყო ჩართული გამოძიების პროცესში – კრიმინალისტები საგამოძიებო ჯგუფში შევდიოდით. სამინისტროს ხელმძღვანელების დიდი მხარდაჭერა გვქონდა. როცა მუშაობა დავიწყე, სულ 33 კაცი ვიყავით, მაგრამ, როცა სამსახურიდან წამოვედი, უკვე 400 თანამშრომელი გვყავდა და ცენტრალიზებული სისტემა გვქონდა აწყობილი. ყველა რეგიონში და რაიონში იყო ექსპერტი, რომელსაც მინისტრის რანგი ჰქონდა – ვერც პოლიციის უფროსი ეხებოდა და ვერც ვერავინ, რომ მათი დამოუკიდებლობა არ შეზღუდულიყო. მთელი ამოღებული მასალა: იარაღი, ნარკოტიკი, ბომბი, საკვები, ბიოლოგიური და ქიმიური ნივთიერებები, საბრძოლო მასალა – ინახებოდა ჩემთან. ეს იყო უდიდესი არსენალი. ერთხელ ჩემი მეგობარი მოვიდა ჩემთან, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი იყო. მაშინ ლუდის ქილებს საფერფლეებად იყენებდნენ, ჩემს კაბინეტში კი ამ ქილებს სხვა დანიშნულება ჰქონდა – ვიყენებდით იმისთვის, რომ დენთი არ გაბნეულიყო. ჩემი მეგობარი სიგარეტს ეწეოდა და იმ ლუდის ქილისკენ წაიღო ხელი ჩასაფერფლებლად, რომელშიც დენთი ეყარა. ფერი წაუვიდა, როცა გაიგო, რას ვინახავდით ამ ქილებში. რა გეშინია, დაიხედე, რაზე ზიხარ-მეთქი. დაიხედა და ნახა, რომ ოთახი სავსე იყო გამშვები რაკეტებით – ეს ჩემთვის ჩვეულებრივი რამ იყო *(იცინის).* იმ პერიოდში ჩვენს ლაბორატორიაში შემოდიოდა კვების პროდუქტებიც. მთელი სამეგობრო მე მირეკავდა და მეც გავცემდი ინფორმაციას, რისი ჭამა შეიძლებოდა და რისი – არა *(იცინის).*



**ჩვენს ლაბორატორიაში შემოდიოდა საკვები პროდუქტიც. მთელი სამეგობრო მე მირეკავდა და მეც გავცემდი ინფორმაციას, რისი ჭამა შეიძლებოდა და რისი – არა**

**– ლაბორატორია, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით, იმ პერიოდში რა ტექნიკურ რესურსს ფლობდა? როგორ აკეთებდით იშვიათ ექსპერტიზებს?**

– მაშინ, რა თქმა უნდა, არ გვქონდა ამდენი რესურსი, რაც არის ახლა, მაგალითად, არ კეთდებოდა დნმ-ის ანალიზი, მაგრამ, კეთდებოდა ბიოლოგიური ექსპერტიზები სისხლზე, სპერმაზე. ვაკეთებდით ანალიზების ხელნაწერებს, რადგან მაშინ საბუთების გაყალბებების პერიოდი იყო. მაშინ ჩვენი სამსახურის დაფინანსება სულ 20 ათასი ლარი იყო და რა რესურსი უნდა შეგვექმნა ამ თანხით?! დიდი წვალებით გვიწევდა საჭირო მასალის მოძიება, ექსპერტიზების შედეგები კი დგებოდა უფრო ცოდნის დონეზე. არ არსებობდა დაქტილოსკოპიური ანალიზის აპარატურა, თვალით შედარებებით კეთდებოდა ანაბეჭდების ანალიზი. ღამეებს ათენებდა ხალხი ანაბეჭდებზე, თუმცა, ამ ექსპერტიზით მაინც ბევრი საქმე იხსნებოდა. როგორც ექსპერტი, ჩართული ვიყავი გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიებაშიც. ჩვენ ოთხი თვის შემდეგ ვიპოვეთ იარაღი, რომლითაც მოხდა მკვლელობა. დანაშაულში ბრალდებული დარწმუნებული იყო, რომ იარაღს ვერ ვიპოვიდით. ჩვენს სამსახურში შემოდიოდა ოდოროლოგიური ექსპერტიზაც – მეცნიერება, რომელიც მუშაობს სუნის მიხედვით კვალის დადგენაზე. ჩვენ ძალიან აქტიურად ვიყენებდით ამ ექსპერტიზას და გამოვიყენეთ გიორგი სანაიას საქმეშიც: ერთ-ერთ ეჭვმიტანილზე არსებობდა მთელი რიგი ოპერატიული მასალა. ჩვენ შემთხვევის ადგილიდან ამოვიღეთ სუნი და ჩავატარეთ ექსპ-

**(გაგრძელება მე-17 გვერდზე)**

# რა უნიკალურ ოპერაციებს აკეთებენ ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში და რატომ ირჩევენ მას პაციენტები

*რატომ ენდობიან პაციენტები ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და მის დამფუძნებელს, ბატონ კოტე მარდალეიშვილს. რითია კლინიკა გამორჩეული და რატომ ირჩევენ მას სიმსივნით დაავადებული პაციენტები. ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მძლავრ პროფესიულ-სამეცნიერო ბაზას ეფუძნება და საქართველოში დღეს ამ დარგის პრიორიტეტულ სამედიცინო დაწესებულებად სახელდება. კლინიკის განვითარების სამომავლო გეგმებსა და სამუშაო პრინციპებზე სასაუბროდ ბატონ კოტე მარდალეიშვილს კაბინეტში მაშინ ვეწვიეთ, როცა რამდენიმე წარმატებული ოპერაციის შემდეგ მცირედი დრო გამონახა ჩვენთან სასაუბროდ.*

*საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თავისა და კისრის ონკოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კონსტანტინე მარდალეიშვილი ცნობილია საქართველოსა და ევროპის სამედიცინო საზოგადოებისთვის როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო მოღვაწეობითა და ორგანიზებული საქმიანობით. საქართველოში კონსტანტინე მარდალეიშვილის მოღვაწეობა 30 წლის განმავლობაში წარმოდგენილია რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, სამეცნიერო პედაგოგიური, პრაქტიკული და ორგანიზაციული მხრივ. მან აღზარდა ახალგაზრდა ქირურგთა მთელი პლეადა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპის წამყვან სამედიცინო ცენტრებში. ამ ხნის განმავლობაში პრაქტიკულად შეიქმნა კონსტანტინე მარდალეიშვილის ქირურგიული სკოლა, რომელსაც ძალუძს თავისა და კისრის პათოლოგიებით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის ყველა საკითხის მაღალპროფესიულად გადაწყვეტა. კონსტანტინე მარდალეიშვილის მიერ საქართველოში პირველად შესრულდა მთელი რიგი ოპერაციებისა, რომლებმაც მნიშვნელოვნად აამაღლეს ონკოლოგიურ პაციენტთა გამოჯანმრთელების მაჩვენებლები. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კონსტანტინე მარდალეიშვილი, ონკოლოგიაში მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობის გამო, დაჯილდოებულია საპატიო სიგელებით, ღირსების მედლითა და ორდენით, ხოლო მის მიერ ონკოლოგიურ პაციენტთა ქირურგიული რეაბილიტაციის ახალი მეთოდების დანერგვის გამო მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება.*

*2012 წელს კონსტანტინე მარდალეიშვილმა ჩამოაყალიბა ონკოლოგიის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელშიც მოიწვია სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთის ცნობილი კლინიკებიდან.*



**– ბატონო კოტე, როდის ჩამოყალიბდა კლინიკა და როგორ ვითარდებოდა მისი სამუშაო ფუნქციები ბოლო წლების განმავლობაში?**

– მკურნალობის ევროპული სტანდარტების საქართველოში დანერგვის მიზნით, 1995 წელს, გერმანელ კოლეგებთან, პროფესორ ვ. მესმერთან და პროფესორ ა. შელერთან ერთად, დაარსდა ქართულ-გერმანული სპეციალიზებული ონკოლოგიური კლინიკა, რომელიც წარმოადგენდა ახალგაზრდა კადრების მომზადების ბაზას. ამ კლინიკის ბაზაზე ყოველწლიურად იმართებოდა საერთაშორისო კონსილიუმები მძიმე ონკოლოგიური პაციენტების შემდგომი მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით. აღნიშნულ კონსილიუმებში მონაწილეობდნენ ევროპაში განთქმული ონკოლოგები, რომლებიც, აუცილებლობის შემთხვევაში, მზად იყვნენ, პაციენტები მიეღოთ საკუთარ კლინიკებში. 2000 წელს ჩვენი ინიციატივით, ქართულ-გერმანული კლინიკის ბაზაზე შეიქმნა ოცდამეერთე საუკუნის მეცნიერებად მიჩნეული მსოფლიო სტანდარტებით აღჭურვილი ღეროვანი უჯრედების ლაბორატორია, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა უჯრედული სუბსტანციების მეშვეობით ორგანიზმის სხვადასხვა პათოლოგიების მკურნალობა. პირველ ეტაპზე კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევები მიმდინარეობდა ფეტალური ღეროვანი უჯრედების გამოყენებით. შესაძლებელი გახდა ღეროვანი უჯრედის მიღების გზების დახვეწა, ფეტალური ღეროვანი უჯრედების გამრავლების მეთოდების შემუშავება, გამრავლებულ ღეროვან უჯრედებში ქრომოსომული აბერაციების არსებობის შესწავლა და სხვა. პარალელურად, მიმდინარეობდა ფეტალური ღეროვანი უჯრედების გამოყენების კლინიკური კვლევა ნეიროდეგენერაციული დაავადებების სამკურნალოდ. კვლევაში ჩართული იყო 17 პაციენტი, რომელთაგანაც 12 შემთხვევაში მიღებულ იქნა დაავადების სტაბილიზაცია და მდგომარეობის გაუმჯობესება. 2006 წლიდან ღეროვანი უჯრედების ლაბორატორიის ინტერესი გახდა ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები; შეიქმნა ჭიპლარის სისხლის ბანკი – „ჯეოქორდი“, სადაც ხდება ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების მიღება, შენახვა და დამუშავება თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად და ხანგრძლივი დროით.

ამ დარგის პერსპექტიულობიდან გამომდინარე, უკვე 2009 წელს დაფუძნდა უჯრედული ტექნოლოგიებისა და თერაპიის ცენტრი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა უჯრედული სუბსტანციის მომზადება და მათი საშუალებით ორგანიზმის სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ეფექტურობის განსაზღვრა. ლაბორატორიის ინტერესის სფეროს შემოემატა აუტოლოგიური ძვლის ტვინის მეზენქიმური და სისხლმბადი ღეროვანი უჯრედების კლინიკური გამოყენება რეგენერაციულ მედიცინაში: გულის უკმარისობის, მიოკარდიუმის ინფარქტისა და ღვიძლის ციროზის (ჩაილდის მეორე და მესამე სტადიების) დროს. როდესაც კონსერვატული და ქირურგიული საშუალებები ამოწურული იყო, ამ მიზნით ძირითადად გამოიყენებოდა ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები. დღემდე აღნიშნული სუბსტანციების მეშვეობით ნამკურნალევია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე 13 პაციენტი, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული 17 პაციენტი. ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები გამოყენებულია ძვლოვანი

სტრუქტურის მთლიანობის აღსადგენად 5 შემთხვევაში, ხოლო რბილქსოვილოვანი დეფექტების აღდგენის მიზნით – 6 შემთხვევაში.

**– ბოლო წლებში განხორციელებულ მიღწევებზე რას გვეტყვით?**

– 2011 წლის მიწურულს კლინიკის ბაზაზე შეიქმნა ღეროვანი უჯრედების დონორთა საქართველოს ეროვნული რეესტრი, რომლის დანიშნულებაა საქართველოში ძვლის ტვინის პოტენციური დონორების აღრიცხვა და მათი HLA ტიპირება, რათა საჭიროებისას მოხდეს მათგან ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების შეგროვება პაციენტისთვის გადასანერგად. აღნიშნული პროექტი განხორციელდა ამერიკელი კოლეგების – ლოს-ანჯელესის კიბოს ცენტრის დახმარებით. ასევე, ბოლო წლებში, ლაბორატორიაში ფრანგ მეცნიერ ანდრე ლეფევრთან ერთად დანერგილია ლიმფოკინაქტივირებული კილერების მიღება (ლაკ) და მისი გამოყენება კიბოს იმუნოთერაპიისთვის თავისა და კისრის ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების სამკურნალოდ. ლაბორატორიაში, აგრეთვე, დანერგილია პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების გამოთავისუფლებისა და კულტივაციის მეთოდიკა, რომელიც განხორციელდა თელ-ავივის უჯრედული თერაპიისა და კიბოს იმუნოთერაპიის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, პროფესორ შიმონ სლავინის ხელმძღვანელობით. ეს მეთოდიკა ინდივიდუალური ვაქცინის მომზადებისა და გამოყენების საშუალებას იძლევა.

**– ბატონო კოტე, თქვენ მიერ ჩატარებული უნიკალური ოპერაციების შესახებაც გვიამბეთ...**

– ჩვენ მიერ თავისა და კისრის სიმსივნეებით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის მიზნით ჩატარებულია 15 000-მდე ოპერაცია, რომელთა შორის, უმეტესობა გაფართოებულ-კომბინირებულ ხასიათს ატარებდა, მათ შორის პირველად შესრულებულია საქართველოში ოპერაციები სიმსივნეების კრანიოორბიტალური გავრცელების შემთხვევები; პირის ღრუს ავთვისებიანი სიმსივნეების დროს ქვედა ყბის აღდგენილი ოპერაციები კან-კუნთოვან-ძვლოვანი ავტოლოგიური ტრანსპლანტანტის გამოყენებით; პირ-ხახის სიმსივნეების დროს ლოყის ლორწოვან-კუნთოვანი ნაფლეთის მეშვეობით ხორხ-ხახის დეფექტის აღდგენა. პროფესორ ნ. ბოხუასთან ერთად პირველად კლინიკურ პრაქტიკაში შევასრულეთ ხორხ-ხახის ადგილობრივად გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნეების გაფართოებულ-კომბინირებული ოპერაციების შემდეგ საყლაპავის კისრის ნაწილის პლასტიკა. აღნიშნული ჯგუფის პაციენტებისთვის ქირურგიული რეაბილიტაციის ეს მეთოდი ყველაზე ფიზიოლოგიური და ერთ-ერთი უნიკალური საშუალებაა. საყლაპავის კისრის ნაწილობრივი დეფექტების არსებობის შემთხვევაში, პროფესორ ივა კუზანოვთან ერთად წარმატებით იქნა განხორციელებული საყლაპავის კისრის ნაწილის პლასტიკა თორაკო-დორზალური ნაფლეთების გამოყენებით; ხოლო პროფესორ კ. ყიფიანთან და პროფესორ კახა ქუთელიასთან ერთად, კიდევ ერთი მეთოდი უკავშირდება კიბოს გავრცელებული რეგიონული მეტასტაზების ქირურგიული მკურნალობის საკითხს, როდესაც აღინიშნება მათი ჩაზრდა მაგისტრალურ სისხლძარღვებში. ამ მეთოდების შედეგები არაერთხელ იქნა მოხსენებული სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, სადაც აღინიშნა, რომ მსგავსი ოპერაციები მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმისა და დიდი გამოცდილების მქონე კლინიკების ხვედრია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი დამსახურება ხორხის კიბოთი დაავადებულ ლარინგექტომირებული პაციენტების ხმის აღდგენითი ოპერაციების დანერგვაში. საქართველოში აღნიშნული ტიპის ოპერაცია პირველად განხორციელდა 2000 წელს, შვედ სპეციალისტებთან ერთად, რამაც საფუძველი დაუდო მრავალი პაციენტის სოციალურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. დღეისათვის 50-ზე მეტი პაციენტი საზოგადოების სრულფასოვანი წევრია. ჩვენს სახელთან არის დაკავშირებული სუნთქვის აღდგენითი ოპერაციების მეთოდოლოგიური ასპექტების დამუშავება და კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვა. როგორც წესი, მსგავსი ოპერაციების განხორციელება ესაჭიროებათ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის მქონე, ან ფარისებურ ჯირკვალზე ნაოპერაციევ პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებათ მბგერავი იოგების ორმხრივი დამბლა. ეს განაპირობებს ხმის ტემბრის მნიშვნელოვან შეცვლასა და ჰაერის ქრონიკულ უკმარისობას. პაციენტის ჰიპოქსიის მდგომარეობიდან გამოყვანა და სრულფასოვანი სუნთქვის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული ოპერაციების, ანუ მბგერავი იოგის ლიტერალიზაციის განხორციელებით.

**– ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი ცენტრი ფართოვდება. კონკრეტულად რა სამომავლო გეგმები გაქვთ?**

– დღეს არსებული კლინიკის გვერდით ვაშენებთ რადიოლოგიისა და რადიოქირურგიის ცენტრს, სადაც პაციენტები მიიღებენ რადიაცულ მედიცინასთან დაკავშირებული მკურნალობის სრულ სპექტრს, რომელიც მოიცავს რადიონუკლიდურ თერაპიას, ახლოფოკუსიან რენტგენოთერაპიას, ბრაქითერაპიას, დისტანციურ გამათერაპიას, სხივურ თერაპიას ხაზოვან ამაჩქარებლებზე და სხვა.



**– ბატონო კოტე, თქვენი, როგორც ექიმის გრაფიკი განუზომლად დატვირთულია. რა გრძნობა გეუფლებათ, როდესაც ოპერაციიდან გამოდიხართ?**

– ოპერაციის მიმდინარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე, კლინიცისტმა, როგორც წესი, იცის, როგორ განვითარდება პოსტოპერაციული პერიოდი, რა რადიკალურ შედეგებთან გვექნება საქმე. გააჩნია სიმსივნის ფორმას, ჩაზრდის ხარისხს, კავშირს სხვადასხვა ანატომიურ ორგანოსთან და ასე შემდეგ. ზოგადად კი, უდიდესი ბედნიერებაა, როცა იცი, რომ შენს ოპერაციას ექნება პოზიტიური შედეგი, როდესაც პაციენტს უბრუნებ შანსს, იცხოვროს სრულყოფილად!

**ეკა ნაკაიძე**

**მსახიობი თამუნა ერგემლიძე მაყურებელმა სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან,“ მინისტრ თეას როლით გაიცნო. მიუხედავად იმისა, რომ თამუნა პროფესიით მსახიობია, ეს მისთვის პირველი როლია. მას აქამდე, არცერთ ფილმსა და სპექტაკლში არ მიუღია მონაწილეობა. მიზეზი საპატიო ჰქონდა, ოჯახი შექმნა და ტყუპი ბიჭების აღზრდაზე დაიწყო ზრუნვა. მსახიობი ამჟამად, სერიალის პარალელურად, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტში მუშაობს, რაც ძალიან მოსწონს. თუმცა, ამბობს, რომ გადასაღები მოედანი სულ სხვა ბედნიერებას ანიჭებს.**

# რა მიაჩნია სიყვარულის დროს წარმოუდგენლად თამუნა ერგემლიძეს და როგორ იქორწინა მან ურთიერთობის სამი თვის თავზე

**თამუნა ერგემლიძე**: ცნობადობის კოეფიციენტი ძალიან მაღალია, ალბათ, ჩემი ხუჭუჭა თმის გამო ***(იცინის).*** მაგრამ, რაც ჩემი და ვატოს ურთიერთობა შეიცვალა, დამოკიდებულებაც უარყოფითი გახდა. უფრო ვატოს მიმართ, თუმცა მეც კარგად გამომლანძღეს. ერთხელ, მაღაზიაში შევედი, სადაც დედა შემოვიდა ორი ბავშვით. ბავშვებმა მიცნეს. ისინი უფრო გამოხატავენ ხოლმე ამას და მეც გავუღიმე. ცხოვრებაში პირველად ბავშვებმა არ გამიღიმეს. ავნერვიულდი. მერე დაველაპარაკე. ვუთხარი: თეა, ალბათ, არ მოგწონთ, მაგრამ მე მსახიობი ვარ, თამუნა მქვია და საერთოდ, გილოცავთ ახალ წელს-მეთქი. დიდი დამრგვალებული თვალებით მიყურებდნენ და ძალიან გაუხარდათ. ამდენი წლის შემდეგ, ჩემს პროფესიას დავუბრუნდი, რაც ახალ შეგრძნებებს იწვევს ჩემში. მსახიობობის გარდა, ძალიან მიყვარს წერა. მისი საშუალებით, ჩემს გრძნობებსა და შეგრძნებებს გადმოვცემ. პირველად ჩემს შვილებს ვაკითხებ ხოლმე. რაც შეეხება მსახიობობას, ეს გადაწყვეტილება ბოლო კლასში სწავლისას მივიღე.



საიდუმლოს ვერ გავცემ, თუმცა ძალიან დიდი ინტრიგებია

**– თუმცა მსახიობის პროფესია აქამდე არ გამოგიყენებიათ. რატომ?**

– ამას არაჩვეულებრივი მიზეზი ჰქონდა. ეს იყო ჩემი შვილები: გიორგი და თორნიკე. მე მათ ვჭირდებოდი, ისინი კი მე მჭირდებოდნენ. სხვა პრიორიტეტი ჩემთვის არ არსებობდა. არც მიფიქრია ამაზე. რა თქმა უნდა, ჩემს შვილებთან ყოფნა ვარჩიე. მსახიობობაზე უარის თქმა არ გამჭირვებია, რადგან პრიორიტეტები დავაწყვე მანამ, სანამ შვილები შემეძინებოდა – მაშინვე, როგორც კი გავიგე, რომ ორი შვილის დედა გავხდებოდი. ბევრი ფიქრიც არ დამჭირვებია. გული და გონება ერთს მეუბნებოდა. ჩემს შვილებთან ერთად მერჩივნა ყოფნა. ბავშვების გაზრდის მომენტში, პერიოდულად, როცა ჩემს მეგობრებს ვუყურებდი, მეც მინდებოდა იქ ყოფნა. მოვიტყუები, რომ თქვა, ასე არ იყო-მეთქი. თუმცა, ზუსტად ვიცოდი, რას ვაკეთებდი.

**– მეუღლეც გაახარეთ, ალბათ, თქვენი გადაწყვეტილებით?**

– რასაკვირველია. მეუღლე ძალიან ბედნიერი იყო. ახლა ჩემი შვილები ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში სწავლობენ ბიზნესადმინისტრირებაზე. გახსნეს სტუდია, სადაც „ჰიპ-ჰოპს“ ასწავლიან. ეს ახალი ეტაპია მათ ცხოვრებაში და მე წარმატებას და იღბალს ვუსურვებ. არ აქვს მნიშვნელობა, არტისტი ხარ, ცეკვავ თუ რას აკეთებს სცენაზე, როცა იქ დიდ ენერგიას და გულს დებ, ბედნიერი ხდები. მე ამას ჩემს შვილებში ვხედავ. მეც ვცეკვავდი სკოლის ასაკიდან. „სუხიშვილების სტუდია“ მაქვს დამთავრებული. ინსტიტუტშიც ძალიან ბევრ ცეკვაში სოლისტი ვიყავი. ასე რომ, ეს უნარი ჩემს შვილებს ჩემგან აქვთ ***(იცინის).*** პროფესიით კი, მამის გზას გაჰყვნენ. ჩემი მეუღლეც ეკონომისტია. მოკლედ, ვერ აუარეს გვერდი მშობლების უნარებს და ორივესგან აიღეს რაღაც ***(იცინის).***

**– როგორ მოსწონთ შვილებს და მეუღლეს თქვენი როლი და თუ ნერვიულობენ, როცა ეკრანზე გხედავენ?**

– ბიჭებს ახარებთ ის, რომ ახალ ამპლუაში მხედავენ. მათ არ ვყავდი ნანახი სცენაზე. რასაც უყურებენ, მოსწონთ. ბუნებრივია, პერსონაჟით არ არიან მოხიბლულები, უბრალოდ, მოსწონთ სხვა ამპლუაში რეალიზებული დედა. მეუღლემ ძალიან კორექტულად იცის ხოლმე შექება. ვფიქრობ, რომ ნერვიულობაც ახლავს ამ პროცესს. თუმცა, სერიალის დროს, ბიჭები ხან მუშაობენ, ხან დარბაზში არიან სავარჯიშოდ და მერე უწევთ ხოლმე ყურება. ამიტომ ხშირად ერთად ვერ ვუყურებთ. შენიშვნებს არ მაძლევენ. ჩვენ სხვანაირი დამოკიდებულებები გვაქვს. შეიძლება, რაღაც დააკლდეს როლს, მაგრამ ეს მათგან არ გამიგია. ეს ყველაზე კარგად მე ვიცი.

**– საინტერესოა, როგორი იყო მათი რეაქცია, როცა ამდენი ხნის შემდეგ პროფესიას დაუბრუნდით?**

– ადრეც მქონდა შემოთავაზებები და არცთუ ისე ცოტა, მაგრამ არ ვდგამდი ამ ნაბიჯს. ამ შემთხვევაში, საჭირო დროს, საჭირო მომენტში მივიღე შემოთავაზება და დავთანხმდი. მეუღლეს და შვილებს პირდაპირ გადაწყვეტილება გავაცანი ***(იცინის).*** ჰო, მაგარია, თამოო, – მითხრეს. წინააღმდეგები არ

**მეუღლეს და შვილებს პირდაპირ გადაწყვეტილება გავაცანი**

ყოფილან. ისეთ გადაწყვეტილებას მე თვითონ არ მივიღებ, რომ ოჯახის წევრები უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო.

**– თეას ვატოსთან ურთიერთობაზე რას ფიქრობთ?**

– ის ქიმია, რაც ორ ადამიანს შორის ხდება, იმ ორი ადამიანისთვის არის აღმოჩენა. ამას სხვა ვერ იგრძნობს. არ აქვს მნიშვნელობა არც ასაკს, არც მანძილს, არც სოციალურ სტატუსს და არც სხვა არაფერს, როცა გაბედნიერებს ის ერთი და სხვა არავინ, როგორიც არ უნდა იყოს ის. ვატოს რაც შეეხება, როგორც სერიალიდან ჩანს, არის მიზანდასახული, კარიერისტი ბიჭი, რომელიც ყველაფერზე მიდის მიზნის მისაღწევად. მართალია, სცენარის წაკითხვისას მეც სახტად დავრჩი, მაგრამ ასე ცხოვრებაშიც ხომ ხშირად ხდება. არა მგონია, თეას არ ეგრძნოს ვატოს კარიერული ლტოლვა. არ მესმის იმ სიყვარულის, რომელიც უკეთესს არ გაგხდის, ვიდრე ხარ. ვატოც თავისებურად აბედნიერებს თეას, თუმცა დგება დრო, როცა თეას და ვატოს ურთიერთობაში კრიზისი ჩნდება და ეს პლასტმასის სიყვარული ველარ უძლებს დროს.

**– რადგან ასე საუბრობთ სიყვარულზე, თქვენი და თქვენი მეუღლის სიყვარულის შესახებ მომიყევით.**

– მე და ჩემმა მეუღლემ სამი თვის თავზე ვიქორწინეთ. მანამდე ვიცნობდი, მერე რაღაც პაუზა გვქონდა და მოგვიანებით, ისევ აღვადგინეთ ურთიერთობა. ადამიანს რომ გაიცნობ, ის ან არის შენი, ან არა. მერე შეყვარება, ალბათ, ცოტა დაძალებითია. მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულები ვართ. მე ძალიან რომანტიკული ვარ, ის – არა, თუმცა ეს ხელის შემშლელი საერთოდ არ არის ურთიერთობაში, პირიქით, ალბათ, ასეთი ადამიანები უფრო იზიდავენ ერთმანეთს. მთავარია, რომ წყვილს შორის არ იყოს „მხიარული სტარტები“, ანუ შეჯიბრის მომენტი, რაც ძალიან აფუჭებს ურთიერთობას. ჩვენ შეყვარებულები ოთხმოცდაათიანებში ვიყავით, მანქანა კი მყავდა, მაგრამ მახსოვს, რომ ძალიან ბევრს დავდიოდით ფეხით, რაც ორივეს ძალიან მოგვწონდა. დილა რომ თენდებოდა, ცხრაზე მეწყებოდა ლექციები და ის ცხრის ნახევარზე, უკვე ქვემოთ მელოდა. ინსტიტუტშიც რომ შევდიოდი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც სწავლობდა, მე მელოდებოდა გარეთ. ლამის რვა საათამდე მქონდა ხოლმე ლექციები. სულ ერთად ვიყავით და არ გვბეზრდებოდა. სახლშიც რამდენჯერ ტელეფონზე ჩამოკიდებულს დამძინებია. მაშინ თერთმეტ საათზე კომენდანტის საათი იწყებოდა და ხუთი წუთი რომ აკლდა, ზუსტად მაშინ ვცილდებოდით ერთმანეთს. ახლა გამახსენდა და თვალებშიც სხვა სხივი ჩამიდგა. გამიხარდება, თუ ამდენი წლის შემდეგ კიდევ რამით გავაოცებთ ერთმანეთს.

**– თეას პერონაჟი ისეთივე აქტიურად განაგრძობას არსებობას?**

– საიდუმლოს ვერ გავცემ, თუმცა ძალიან დიდი ინტრიგებია. დაელოდოს მაყურებელი და ყველაფერი ძალიან საინტერესოდ განვითარდება. ქეთი დევდარიანი ამჯერადაც არ ულალატებს პრინციპს და მაყურებელს გააოცებს.

**ქეთი კაპანაძე**

(მე-12 გვერდიდან)

# ვის უკერავდა ნინო გვენეტაძე ვაკეში ქურთუკებს და როგორ დარჩა ის მარტო

და რთული. მე ვერ აღვწერ ჩემს მდგომარეობას ბოლო სხდომაზე, როცა გადაწყვეტილება უნდა მიმეღო – იმ დღეს ყველაზე მძაფრი განცდები მქონდა. მხოლოდ ერთი წუთი დავყავი დარბაზში გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ. არ დამავიწყდება დარბაზის რეაქცია და ერთ-ერთი ქალბატონის მზერა, რომელიც, როგორც მერე გავიგე, ჩეჩენი მებრძოლის დედა იყო. მის თვალებში იყო ყველაფერი – დედის ტკივილი, თხოვნა, მოლოდინი... ეს იყო უხილავი ბმა ადამიანებს შორის, როცა შენ, მოსამართლე, არ შეიძლება, რომ შეცდე. ეს პროცესი ისტორიულ დარბაზში მიმდინარეობდა. მაშინ უსაფრთხოების ზომები არ იყო ისეთი, როგორიც ახლაა და, ამიტომ, სწრაფად დავტოვეთ დარბაზი, გავიხადეთ მანტიები და ისეთი ოპერატიული სისწრაფით ავედით სამუშაო კაბინეტებში, რომ კარგ სპორტსმენებს ვგავდით *(იცინის)*. რაღაც პერიოდის შემდეგ გერმანიაში მომიწია კოლეგებთან შეხვედრა, რომლებმაც მითხრეს, იმ გადაწყვეტილების მიღება, რაც თქვენ მიიღეთ, ჩვენც კი გაგვიჭირდებოდა თვით ჩვენს ქვეყანაში. ამის გამო ისეთი ამაყი ვიყავი, მაგრამ, ისე დავიბენი, არც კი ვიცოდი, რა მეპასუხა მათთვის.

როდესაც სასამართლო სისტემიდან გამომიშვეს, შინაგანად ისეთი შეურაცხყოფილი დავრჩი, მყისვე პედაგოგიური საქმიანობა რომ არ გამეგრძელებინა, არ ვიცი, როგორ გადავიტანდი იმ რთულ პერიოდს. მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს, დარჩე მარტო, რომ, შეიძლება, აღარც კი მოგესალმოს შენი კოლეგა და ასეთიც არაერთი შემხვედრია; სამაგიეროდ, ამაყად შევდიოდი ლექციებზე და ამაყად ვასწავლიდი ჩემს სტუდენტებს იმ პრინციპებს, რაზეც უნდა იდგეს მართლმსაჯულება. ძალიან მენატრებოდა ჩემი საქმე. ერთი წამი არ მიფიქრია, მიმეტოვებინა მტკივნეული, მაგრამ ემოციური სამართლებრივი გზით ბრძოლა. მაშინ ჩემი შვილი ძალიან პატარა იყო, გამიჭირდა ცხოვრება. თიკოს მარტო ვზრდიდი, მხოლოდ ჩემი და მეხმარებოდა. ჩვენი გადარჩენის გზა იყო პედაგოგიური საქმიანობა, თუმცა, მერე უნივერსიტეტიდანაც გამომიშვეს. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, „საქართველოს უნივერსიტეტში" ვიყავი მიწვეული, სადაც ერთი წელი ვიმუშავე. მაშინ ბევრი კეთილი ადამიანი დამიდგა გვერდში. დღეს თიკო უკვე 11 წლისაა, აქტიური ხასიათი აქვს, ძალიან ინფორმირებულია. თავისი ასაკის მიუხედავად, ხვდება, რა წლები გადავიტანე მაშინ, თუმცა, ისიც კარგად მახსოვს, როგორ მიჭერდა ხალხი მხარს ყვითელ ავტობუსებში; როგორ გამოხატავდნენ სიმპათიებს, მილებდნენ ბილეთს... უცებ გამიცნო მთელმა ქვეყანამ *(იცინის)*.

**– როგორია თქვენი ცხოვრება კადრს მიღმა?**

– ძალიან ჩვეულებრივი: ვცხოვრობ ჩემი შვილით და საქმით – ეს არის ჩემი სამყარო. ბუნებით ლიბერალი ვარ, სამართლიანი, თუმცა, ზოგჯერ მკაცრიც, რაც ჩემს შვილს არ გამოეპარება ხოლმე. მე მაინც დამყოლი ადამიანი მგონია თავი, მით უმეტეს – ბავშვებთან. მიყვარს მათი სურვილების შესრულება. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული კულინარი ვარ, თუმცა, სახლის საქმე, დალაგება, სარემონტო სამუშაოები ყველაფერი – საკუთარ თავზე მაქვს აღებული. ხელმარჯვე ნამდვილად ვარ, მიყვარს ქსოვა, კერვა. ძალიან კარგად ვკერავ, მთელი სტუდენტობა მეც და ჩემს მეგობრებსაც ჩემი შეკერილი ტანსაცმელი გვეცვა; ზამთრის ქურთუკებსაც კი ვკერავდი. ჩემი მოდელები ძალიან პოპულარული იყო. ჩვენი მოდა თითქოს იქვე, უნივერსიტეტთან „იქმნებოდა". მაშინ მარტო ვცხოვრობდი და ჩემი სამეგობრო სულ ჩემთან იყრიდა თავს. ზოგჯერ ერთ ოთახში თერთმეტ ადამიანს ეძინა, ყველას თავისი ნივთი ჰქონდა ჩემთან დატოვებული. ოთახის შუაში იდგა მაგიდა და ზედ საკერავი მანქანა, ბურდას თარგები ელაგა. ხან მიფუჭდებოდა ხოლმე მეგობრების „შეკვეთები", მაგრამ, რა მექნა? მქონდა ძველისძველი „ზინგერი," რომელიც ელექტრომანქანით შევცვალე, მაგრამ ახლა კერვისთვის აღარ მცალია. მიყვარს მუსიკის მოსმენა, თუმცა, ამის დროც არ მაქვს. მიყვარს მიწასთან ურთიერთობა. მამაჩემი ყოფილი პედაგოგია. ის წარმოშობით იმერეთიდანაა, მაგრამ, მამიდასთან არის გაზრდილი ხაშურში და იქ დაფუძნდა. მეც ხაშურში დავამთავრე სკოლა და მიყვარს იქაურობა. როცა დრო მაქვს, ჩავდივარ ხოლმე. მამას პატარა ბოსტანი აქვს და ვეხმარები კიდეც თავის გამოსაჩენად, თუმცა, ბევრი არაფერი გამომდის. ყველანაირი სამუშაო შემისრულებია, არაფერი მეთაკილება – სახლს რომ ვაშენებდით, პატარა ვიყავი, მაგრამ, იქაც კი მაქვს წვლილი შეტანილი.

**– თქვენი მანტია უფრო დამძიმდება და შესაბამისად, უფრო დამძიმდება თქვენი ცხოვრება პირველი მოსამართლის რანგში. როგორ ფიქრობთ, რასთან შელევა მოგიწევთ?**

– მოსამართლის მანტია მოითხოვს უდიდეს მსხვერპლს ადამიანური რესურსის სახით; მსხვერპლს შენი ოჯახის, შვილის წინაშე. ეს არის პასუხისმგებლობა, რომელიც მოიცავს შენს ყოველ ნაბიჯს, ქმედებას. მოსამართლეობა გარკვეულწილად არის ასკეტური ცხოვრება – იმ წლებში მე ეს ცხოვრება მქონდა, თუმცა, ბედნიერი ვიყავი, რომ გარშემო მყოფები ამას იგებდნენ. ვიცი, რომ მყავს უამრავი განაწყენებული ადამიანიც, ვინც მთხოვა სამართლებრივი დახმარება ან რეკომენდაცია დასაქმებაზე და მე ეს ვერ შევძელი, თუმცა, სამართლებრივი კონსულტაციების მიცემა ყოველთვის იყო ჩემი მოწოდება. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ის საქმე, რომელსაც ვემსახურებოდი. ალბათ, მქონდა შეცდომებიც – ამისგან არავინ არაა დაზღვეული. ვიცი, რომ წინ მელის ბევრი სირთულე და გამოწვევა, მაგრამ, მზად ვარ ყველაფრისთვის – საკუთარ თავს შევძახებ, რომ ეს ტვირთი ღირსეულად უნდა ვზიდო და ეს აუცილებლად გამომივა.

**თამუნა სამადაშვილი**

(მე-13 გვერდიდან)

# რა აღმოაჩინა ექსპერტ-კრიმინალისტმა ზაზა ალთუნაშვილმა „ცეერუს" აგენტისა და გიორგი სანაიას მკვლელობების გამოძიების დროს

ერტიზა. ის ეჭვმიტანილი ვერც კი მიხვდა, რომ მასზე ვაკეთებდით ექსპერტიზას. ამ დასკვნამ მოგვცა საფუძველი, რომ ის არანაირ კავშირში არ იყო ჩადენილ დანაშაულთან.

**– ბოლო პერიოდში, როგორც ექსპერტი, რამდენიმე რეზონანსულ საქმეზე გამოჩნდით, მათ შორის – იური ვაზაგაშვილის აფეთქების დროს. როგორია დღეს აფეთქებების „ხელწერა," პროფესიონალი კრიმინალისტის აზრით?**

– როდესაც ეს აფეთქება მოხდა, თავიდანვე იყო საუბრები, რომ ეს პროფესიონალის მიერ იყო გაკეთებული. მე მაშინაც ვთქვი, რომ განსაკუთრებულ პროფესიონალთან არ გვქონდა საქმე. ეს გაკეთებული იყო იმ ადამიანის მიერ, რომელსაც ჰქონდა შეხება საბრძოლო მასალასთან. იმ წლებში, როცა მე ვმუშაობდი, ბევრი უკონტროლო ტერიტორია და დაჯგუფება არსებობდა და, შესაბამისად, ბევრად უფრო ხელმისაწვდომი იყო საბრძოლო მასალა. საბედნიეროდ, დღეს ასე არაა, და აფეთქებებიც არ ხდება. ამ საქმეს სპეციალური ცოდნა უნდა. მე ხუთი წელი აქ ვისწავლე, შემდეგ მქონდა უზარმაზარი პრაქტიკა; მოგვიანებით გავიარე მომზადება FBR-ის აკადემიაში. ამერიკელებთან მუშაობის გამოცდილება მქონდა თბილისშიც, როცა რასელ ვუდროფის მკვლელობაზე ვმუშაობდით. მე მაშინ ახალგაზრდა კრიმინალისტი ვიყავი და ავტომანქანის დათვალიერების დროს ზუსტად ვთქვი, საიდან იყო გაკეთებული გასროლა. - არა, ეს არაა ასე, მიმტკიცებდნენ ამ საქმეში ჩართული ადამიანები. ერთი კვირა იმუშავა „ეფბიაიმ" ამ საქმეზე და გასროლის რა მიმართულებაც მე დავაფიქსირე, იგივე დააფიქსირეს მათაც.

იყო ჩემს პროფესიულ კარიერაში ერთი საქმე, რომელსაც წლების განმავლობაში არაერთხელ „დავუბრუნდი". ამ საქმის გამო ძალიან დიდი პროფესიული „ჭიდილი" მქონდა საკუთარ თავთან. 2000 წელს თიანეთის ერთ-ერთ სოფელში ბერიანიძეების მთელი ოჯახი ამოწყვიტეს. შვიდი ადამიანი იყო მოკლული: ცოლ-ქმარი, ბებია და ოთხი შვილი. საწოლში მძინარეები იყვნენ დახოცილები ავტომატით, ერთადერთი ბავშვი იყო წამომდგარი, იმიტომ რომ, მასრაზე იწვა – როგორც ჩანს, სროლის დროს გაეღვიძა. არ ვიცი, რა იყო, რა მოხდა. ის ოჯახი არ იყო შეძლებული და გამოცანად დარჩა ჩემთვის ეს საქმე. ახლაც ბევრჯერ მახსენდება ხოლმე და სულ მაფიქრებს, რატომ ვერ გავხსენით, რამე ხომ არ დავაკელით საქმის გახსნას.

დღეს მე ამ საქმეში არ ვარ ჩართული, როცა დახმარებას მთხოვენ, კონსულტაციების დონეზე ვეხმარები. ექსპერტის სამსახურს სხვა უნარ-ჩვევები, ალღო სჭირდება. შეიძლება, მთელი ცხოვრება იმუშაო და ექსპერტი არ იყო, მაგრამ, შესაძლოა, ორი წელი იმუშაო და პროფესიონალი გახდე. იმდენ საქმეზე მაქვს ნამუშევარი 15 წლის განმავლობაში, უკვე აღარ მაქვს ჩემი „სტატისტიკა". მე სხვა დამოკიდებულება მქონდა – ეს საქმე იყო მთელი ჩემი ცხოვრება.

**თამუნა ნიჟარაძე**

**მანიკა ასათიანი და ნიკა ლაზარიაშვილი „ორი ვარსკვლავის“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ნიჭიერი წყვილია. პირადად მე ამ ორ არაჩვეულებრივ ადამიანს, რომლებიც ბევრი პოზიტივით, დადებითი ენერგიით, სითბოთი და ხალისით გამოირჩევიან, ყველაზე მეტად ვგულშემატკივრობ. ამიტომ, თქვენც, ვისაც მათი ნახვა დიდხანს გინდათ „ორ ვარსკვლავში“, დაუმესიჯეთ ნომერზე: 95208.**

# მანიკა ასათიანის რა მოთხოვნები დააკმაყოფილა ნიკა ლაზარიაშვილმა და რაში უზამს მას მხარს მანიკას მეუღლე

**მანიკა ასათიანი**: ნიკას პირადად არ ვიცნობდი. როცა მოვისმინე მისი ნამღერი, გამახსენდა და ვოკალიც მომეწონა. რომ გავიცანი, ახლა უფრო მეტად კმაყოფილი ვარ, ხასიათებითაც კარგად შევეწყვეთ.

**ნიკა ლაზარიაშვილი**: მანიკა „ჯეოსტარიდან“ მახსოვდა, ოღონდ, ძალიან ბუნდოვნად: ჟღალთმიანი გოგო. სახლში რომ მოვედი, ჩემს ძმას ვუთხარი, მანიკა მაჩვენე-მეთქი. გიგამ მაჩვენა, მომეწონა და გამიხარდა. რომ გავიცანი, უფრო დავახლოვდით და დავმეგობრდით. მისი შესაძლებლობები დიდად არ განსხვავდება ჩემგან, ისიც ძალიან მაგარი პროფია. რაღაც გამოცდილება ჰქონდა, მერე აღარ განაგრძო და ახლა მისი კუნთები ისევ უბრუნდება ძველ ფორმას. ძალიან მაგარი გოგოა და ერთად კარგი რაღაცეების გაკეთებას ვგეგმავთ.



**ნიკა: „სხვათა შორის, ბექას ბრალია, რომ მანიკას ყელი ამ დღეში აქვს“**

**– როგორ შეეწყვეთ ხასიათებით?**

– ძალიან ჯიუტია, მეც ჯიუტი ვარ და ეს თემაა, რა!.. ახლა რომ მოვდიოდით, დილომში ერთ შუქნიშანზე მიმტკიცებდა – გუშინ დააყენესო. არადა, დილომში ვცხოვრობ 25 წელია, სულ მანდ დავდივარ და ვიცი, ერთი თვის წინ დააყენეს. ვნახოთ, ვინ მოიგებს სუშის.

**მანიკა**: ამან რომ არ მითხრას, მეც ვიცი, რომ ჯიუტი ვარ.

**ნიკა**: ისეთ რაღაცეებზე მიმტკიცებს ხოლმე... მაგალითად, სახლში რაღაცას გავაკეთებ და, ეს მეუბნება, არა, ასე არ გაგიკეთებიაო. იმდენად მზრუნველი დედაა, ჩემზეც კი ზრუნავს. კიდევ, არაპუნქტუალურია. რეპეტიციაზე სულ ლოდინი მიწევს. მე იქვე ვცხოვრობ და 3 წუთში ვარ ადგილზე, ეს კი მთელი საათ-ნახევარი აგვიანებს. მისი მეუღლეც მხარს მიბამს: ხომ იცი, სულ ასეა და მეც აღარ მეშლება ნერვებიო.

**– შენ და ბექამ კოალიცია ხომ არ შეკმენით მანიკას წინააღმდეგ?**

**მანიკა**: ჰო, მაგრამ, ვერ მერევიან – ქალის ძალა ხომ იცი... ბექა ძალიან მგულშემატკივრობს და ძალიან ნერვიულობს. როგორც მე ვარ მისი აქტიური ქომაგი, ისეა ის ჩემი ქომაგი.

**ნიკა**: სხვათა შორის, ბექას ბრალია, რომ მანიკას ყელი ამ დღეში აქვს.

**– თამაშებზე რომ აყვირებს?**

**მანიკა**: აჰა, ესე იგი, ბექას ბრალი ყოფილა. მაგრამ, ახლა აღვიდგენ ძალებს.

**– რაც მთავარია, ორივე ძალიან მხიარულად ატარებთ დროს.**

– ორივე სულ ვიცინით 24 საათის განმავლობაში. ფოტოებს რომ ვათვალიერებთ, მეცინება: ყველაში ერთნაირი სახე გვაქვს და მერე გიჟებივით ვიცინით. თან, კარგად გვაფასებენ ხოლმე. გულით მიხარია, რომ ხალხში დადებით ემოციებს ვიწვევთ.

**– ნიკამ შენზე თქვა, ჯიუტია და აგვიანებსო, ახლა ნიკას უარყოფით თვისებებზეც მითხარი რამე.**

– ესეც ჯიუტია, სიმღერის დროს დაიწყებს ხოლმე ჯიჯღინს: მანიც არ მოგწონს ჩემი არჩეული, მაშინ, შენ აარჩიე და, რომ აარჩევ, მერე მომეცი და ვისწავლიო. მე ასე არ მინდა; მინდა, ორივე კმაყოფილები ვიყოთ და მოგვწონდეს სიმღერა.

**ნიკა**: ბოლო სიმღერით ორივე ძალიან კმაყოფილები ვართ.

**– დომინანტი მაინც ვისი აზრია?**

– მანიკასი, თუმცა, ვითვალისწინებთ ერთმანეთის აზრს.

**მანიკა**: კი, ვითვალისწინებ ნიკას აზრს, თან, პედაგოგებიც გვეხმარებიან და მერე საერთო ხმა წყვეტს.

**– ალბათ, ერთმანეთის რჩევებსაც ითვალისწინებთ.**

**ნიკა**: რჩევები უფრო ჩემგან მოდის. არც სჭირდება ბევრი არაფერი, რადგან, ჩამოყალიბებული ინდივიდია, კარგად მღერის, იმპროვიზაციისა და შესრულების ინდივიდუალური უნარი აქვს.

**მანიკა**: ძირითადად კარგი კომენტარები ისმის ჩვენი მიმართულებით, თუმცა, არის განსხვავებული აზრიც და მე არ ვარ არც ჯანსაღი კრიტიკის წინააღმდეგი და არც უარყოფითი კომენტარის. თუმცა, ვინც მიიჩნევს, რომ რაღაც გამოცდილება მაქვს და ასევე მომღერლად მთვლის, მინდა, გავცე პასუხი: მე არც ვმალავ, რომ პირველად არ ვდგავარ სცენაზე. როდესაც „ჯეოსტარში“ ვმონაწილეობდი, 15 წლის ვიყავი, ეს კი არ ნიშნავს მომღერლობას – სულ 4-5 ტურში ვიმღერე, ჩემი ბავშვური მოთხოვნილება დავიკმაყოფილე და ოცნება ავისრულე. არც იმას ვმალავ, რომ 13 წლამდე დავდიოდი სიმღერის მასწავლებელთან, რადგან ძალიან მიყვარდა ეს საქმე. მაგრამ მერე მოდელობა დავიწყე, 14-15 წლამდე არც მიმღერია, „ჯეოსტარის“ შემდეგაც არ გამიგრძელებია. შეიძლება, ვინმეს „დილის ეთერში“ აქვს ჩემი სიმღერა მოსმენილი, რადგან, გვქონდა მუსიკალური რუბრიკა, სადაც სიმღერებზე ისტორიებს ყვებოდნენ და, თუ იყო ისეთი სიმღერა, რომელიც შემეძლო მეც მემღერა, დღით ტექსტს მომაწოდებდნენ და ვმღეროდი. თუ კარგად გამომდიოდა – ძალიან კარგია, მაგრამ, თუ ეს ვინმესთვის მომღერლობაა, მოდი, მან თავისი კომპეტენცია და შეხედულებები გამოასწოროს. მე ჟურნალისტი ვარ და ვმღერი.

**ნიკა**: ზოგს მშობლიური ენა ავიწყდება, როდესაც სადმე მიდის და იმ ენაზე საუბრობს, სადაც ცხოვრობს. მანიკას იოგებსაც ასეთი რაღაც მოუვიდა – დაავიწყდა სიმღერა და ახლა იწყებს გახსენებას.

**მანიკა**: მე გამიხარდება, თუ ვინმეს ესიამოვნება ჩვენი სიმღერის მოსმენა, მაგრამ, თუ ვინმეს არ გაუხარდება და გულზე მოხვდება თუნდაც იმიტომ, რომ სხვისი გულშემატკივარია, არც ეს არის პრობლემა.

**ნიკა**: ნიჭიერი გოგოა და ბევრი რამ გამოსდის კარგად. ჩემი გადმოსახედიდან, ძალიან გამიმართლა, რომ სწორედ მანიკაა ჩემი მეწყვილე.

**მანიკა**: მეც ძალიან გამიმართლა, ვფიქრობ, კარგი წყვილი ვართ. მხოლოდ ის არ არის საკმარისი, რომ ერთმანეთს ვოკალურად შევეფერებოდეთ, ყველაფერს ვაქცევდით ყურადღებას – სიმაღლეც ვიკითხე, ვიზუალიც, როგორ შევეფერებით ერთმანეთს, რადგან, თავიდან ვიზუალი გხვდება თვალში, შემდეგ, თუ კარგი ვოკალიც არის და პლასტიკაც, მერე კარგი ნომერი გამოდის და კარგი წყვილია.

**– მანიკას გიო გაიცანი?**

**ნიკა**: ჯერ არა, დავინახე.

**მანიკა**: არ დამყავს, რადგან, იმდენად მიჯაჭვულია ჩემზე არავის დანახვა არ უნდა ხოლმე. ვერაფერს მოვახერხებთ. ნიკას „ფუას“ ეძახის. მამამისიც „ფუაა,“ როცა ჩემ გვერდით არის. მერე, ერთად რომ ვუყურებთ ტელევიზორს, უხარია: ბევრი დედა მინდაო.

**– ნიკა, შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

**ნიკა**: ასი შეყვარებული მყავს და მაინც არ ვარ კმაყოფილი...

**– ბოლო გამოსვლის დროს ჟიურიმ აღნიშნა, რომ მანიკამ უკეთესად იმღერა. ზოგს ამაზე საშინელი რეაქცია ექნებოდა, შენ კი კარგად მიიღე.**

– სიმართლეს უნდა ჩახედო თვალებში: აღიარებითა შენითა მოიპოვე სიმშვიდე შენიო. ასე იყო და მეც ვაღიარებ. რადგან გეუბნებიან, უნდა გამოასწორო, სხვისი უნდა გესმოდეს.

**მანიკა**: მეც სულ ვითვალისწინებ კომპეტენტური ხალხის – პედაგოგების, ჟიურის აზრს, რადგან, საბოლოოდ ეს გაძლევს შედეგს. აი,



**ნიკა: „ასი შეყვარებული მყავს, მაინც არ ვარ კმაყოფილი...“**

მაღალ ნოტებზე თუ დავხუჭე კიდევ თვალები...

**ნიკა**: როგორ არ უნდა დახუჭო, უბრალოდ, სულ დახუჭული არ უნდა გქონდეს. შიშით არ უნდა დახუჭო, თორემ, გრძნობა თუ მოიტანს, აბა, რა უნდა ქნა?!

**– „ახალი ხმის“ მერე აღარ ჩანდი.**

– ევროტურში ვიყავი. ბევრ კონცერტს დავესწარი, შემდეგ, ინსპირაციისთვის, ხელმეორედ წავედი ამსტერდამში. ძალიან შეიცვალა ჩემი ცხოვრება, რადგან, შევხვდი ადამიანს, რომელმაც ბევრი რამ სხვანაირად დამანახვა – სტეფანეს ვგულისხმობ. ბევრი კარგი რამ დავინახე, უფრო მარტივად ვუყურებ რაღაცეებს, გავიზარდე, სხვა ღირებულებები წამოვიდა წინ და ბედნიერი ვარ.

**ნათია უტიაშვილი**

**ამერიკაში, ვაშინგტონში ქართველი ხელოვანების მიერ დაარსებულმა სინეტიკის თეატრმა წელს ვაშინგტონის თეატრალურ „ოსკარად“ წოდებულ „ჰელენ ჰეისის“ 23 ნომინაციაში გაიმარჯვა. გასულ წელს კი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს – პაატა ციქურიშვილსა და მის მეუღლეს, სოლისტ ირინა ციქურიშვილს, ქალაქის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, „ვაშინგტონის საპატიო მოქალაქეების“ სტატუსი მიენიჭათ. წლევანდელი სეზონი კი თეატრმა ჩვეული წარმატებით დაიწყო. ამ ყველაფრის შესახებ პაატა ციქურიშვილს ვესაუბრეთ.**

# როგორ გახდნენ პაატა და ირინა ციქურიშვილები „ვაშინგტონის საპატიო მოქალაქეები“ და როგორ მოიპოვა მათმა შექმნილმა სინეტიკის თეატრმა წელს ვაშინგტონის „ოსკარად“ წოდებული „ჰელენ ჰეისის“ ოცდასამი ნომინაცია

**– ვალენტინობას ახალი სპექტაკლის პრეზენტაცია გქონდათ, როგორ ჩაიარა?**

– დიდი ამბები და ოვაციები მოჰყვა. დავდგით ახალი სპექტაკლი – შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“, რომელიც, თავისთავად, სიყვარულს ეხება და კარგად დაემთხვა ვალენტინობას. ალბათ, კიდევ ერთი კვირა ვითამაშებთ. საერთოდ, ძველ სპექტაკლებს ძალიან იშვიათად ვაბრუნებ. სულ ახლებს ვდგამ და უკვე სამოცი სპექტაკლი მაქვს დადგმული.



**– თქვენი და თქვენი დასის შემოქმედებისთვის წელს უამრავი ნომინაცია მოგენიჭათ. ჯამში – 23 და თან, ეს ძალიან პრესტიჟული, ვაშინგტონის თეატრის „ოსკარად“ წოდებული „ჰელენ ჰეისის“ ნომინაციებია.**

– „ჰელენ ჰეისის“ 23 ნომინაცია კი გამიხარდა, მაგრამ ნამეტანი ბევრია. ხომ არ დაგვცინიან-მეთქი, ერთი პერიოდი ეგეც კი ვიფიქრე ***(იცინის).*** ყველა სპექტაკლი, რომელიც 2014 წელს გამოვუშვით, ყველა კატეგორიაში ნომინირებულია. ყოფილა შემთხვევა, რომ გვქონია რამდენიმე ნომინაცია, მაგრამ ახლა, 23 რომ გამოაცხადეს, ვერ ავიტანე. ძალიან მიხარია. ირინა თითქმის ყოველ წელს ნომინირებულია და არაერთხელ თუ ორჯერ. თავის კატეგორიაში საკუთარ თავს ეჯიბრება ხოლმე. ამას უკვე მივეჩვიეთ, მაგრამ, ამჯერად რომ ყველამ ყველაფერში ნომინაცია მიიღო, ეს ძალიან დიდი წარმატებაა. სეზონი მნიშვნელოვანი ნახტომით დავიწყეთ. წამყვანი მსახიობი ქალის ნომინაცია ირინამ მიიღო, მამაკაცის – ბენ ქიუნისმა; მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლისთვის – ირაკლი კავსაძემ, ქალის მეორეხარისხოვანი როლისთვის – ირინკა კავსაძემ. ასევე, სპექტაკლის დიზაინერმა, კოსტიუმების დიზაინერმა, საუკეთესო დასმა ერთად, მე – რეჟისურაში. საუკეთესო სპექტაკლი გახდა „მეთორმეტე ღამე“. ასევე, საუკეთესო სცენარის ნომინაცია მიიღო სამმა სპექტაკლმა და მუსიკაში – კოკი ლორთქიფანიძემ და ტომას შაუერმა. მოკლედ, ძალიან ბევრი ნომინაციაა *(იცინის).*



**– საინტერესოა, რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო, მით უმეტეს, როცა ვაშინგტონში უამრავი თეატრი გიწევთ კონკურენციას?**

– უპირველესად, დაუღალავი შრომა. ალბათ, მიხვდები, რას ნიშნავს წელიწადში ხუთი ახალი სპექტაკლის გამოშვება. ეს არ არის ადვილი საქმე, მაგრამ ძალიან გვიყვარს, რასაც ვაკეთებთ და ეს გვეხმარება. ალბათ, სადღაც იღბალიც არის. მართალია, ვაშინგტონში კონკურენცია დიდია, ოთხმოცდაათი თეატრია, მაგრამ ჩვენ მაინც განსხვავებულები ვართ. ყველაფერს უცნაურად ვაკეთებთ. არატრადიციულ სპექტაკლებს ვდგამთ. სხვანაირი თხრობის ხელწერა გვაქვს. გვყავს ჩვენი დასი. აქ რა არის, იცი? როგორც ასეთი, რეპერტუარის თეატრი არ არსებობს, როგორც ჩვენთან. აქ მსახიობებს მოიწვევს, სპექტაკლს გამოუშვებ და „ვსიო“, კარგად იყავი. მე მოვახერხე და რაღაცნაირად, დასი შევკარი. ზოგი მსახიობი უკვე ძალიან დიდი ხანია, ჩვენთან არის – იმდენად ძლიერები და შეთამაშებულები არიან უკვე, რომ ეს გამოარჩევთ. ეს კი მე მეხმარება, რომ სპექტაკლები სწრაფად გავაკეთო. მნიშვნელოვანია გუნდური თამაშიც და ორგანიზებულობა. რომ არა ეს, არაფერი გამოვიდოდა. თუმცა, ყველაზე მთავარი, ალბათ, მაინც ჩვენი გამორჩეული სინთეზური ხელოვნებაა, რომელშიც კონკურენტი არ გვყავს.



**– გასულ წელს ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა. თქვენ და თქვენი მეუღლე, „ვაშინგტონის საპატიო მოქალაქეები“ გახდით. ელოდით ასეთ დაფასებას?**

– „ჰელენ ჰეიზი“ თეატრალური „ოსკარია“ და ასე თუ ისე, ველოდით. მაგრამ, „საპატიო ვაშინგტონელობაზე“, არც მიფიქრია. ეს არ არის თეატრალური ჯილდო. ამ ჯილდოზე ჩვენთან ერთად ათი კაცი იყო წარდგენილი. მათემატიკოსი, პოლიტიკოსი და ასე შემდეგ. ამ სტატუსით აჯილდოებენ მას, ვინც ვაშინგტონის განვითარებაში შეიტანა წვლილი. ჩათვალეს, რომ ჩვენ ვაშინგტონი გავხადეთ უკეთესი, ჩვენმა თეატრმა შეცვალა ვაშინგტონის თეატრალური სახე. 1996 წელს ჩამოვედით ჩვენ ამერიკაში და თავისთავად, ვცადე, გამეკეთებინა ის, რაც ვიცოდი. მაგრამ, იმდენად სხვანაირი და უცხო იყო ყველაფერი, რომ შოკში ჩავვარდი. არ არსებობდა არაფერი ტრადიციული, სპექტაკლების გარდა და მერე ჩვენ შევქმენით სინთეზური თეატრი. დღეს უკვე ვაშინგტონში ძალიან ბევრი თეატრია, სადაც ბევრ ისეთ რამეს იყენებენ, რასაც ჩვენ. ანუ, ჩვენი ზეგავლენა მათზე დიდია.

**– რაც ძალიან სასიამოვნოა. გარდა ამისა, გასული წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ თქვენ ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, დაბრუნდით სცენაზე, როგორც მსახიობი. რის გამო აიღეთ ამხელა პაუზა?**



– საერთოდ, მე ყველაფერი მსახიობობით დავიწყე და დღესაც მიმაჩნია, რომ არტისტი ვარ. მაგრამ, გქონდეს თეატრი, იყო სამხატვრო ხელმძღვანელი, თან, თეატრში, სადაც სახელმწიფო დაფინანსება არ გაქვს და თავად გიწევს ბიუჯეტზე ზრუნვა, თანხების მოზიდვა, სპექტაკლის გარდაც, ძალიან ბევრი სამუშაოა და ამდენი დრო აღარ მრჩება. როგორც რეჟისორი, ყოველწლიურად რომ ოთხ-ხუთ სპექტაკლს ვუშვებ, ეგეც ძალიან დიდი დატვირთვაა. ამიტომ, ფიზიკურად აღარ მრჩება დრო. მსახიობობას კიდევ ძალიან დიდი დრო უნდა. თან, როცა უკვე გათამამებული გყავს მაყურებელი, შენგან კიდევ უფრო მეტს ელიან. ყოველი სპექტაკლის შემდეგ ვფიქრობ, რა მეშველება, ახლა რა უნდა გავაკეთო-მეთქი ***(იცინის).*** თუმცა, იმდენად მინდოდა სცენაზე დაბრუნება, მოვახერხე და სიმართლე გითხრა, ძალიან ვისიამოვნე. როგორც ჩანს, მომნატრებია სცენა. ეს მაინც თავისებური და განსხვავებული შეგრძნებაა. ალბათ, კიდევ მოვძებნი რამეს საჩემოს. კიდევ ერთი მიზეზია, რაც არ უნდა კარგად ვლაპარაკობდე ინგლისურად, აქცენტი მაინც მაქვს. ამიტომ, უნდა მოვძებნო როლი, რომელიც ეგზოტიკური იქნება და აქცენტი მოუხდება. მაგალითად, დრაკულა. ადრეც მაქვს ნათამაშები და შესაძლოა, ცოტა შეცვლილი სახით დავაბრუნო.

**(გაგრძელება 31-ე გვერდზე)**

**ესპანეთის ძიუდოს დედოფალი, შეიძლება ასე ვუწოდოთ კარმენ სოლანას, რომელიც 11 წლიდან ამ სპორტითაა დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ კარმენი ქალია, ძიუდო თავისი ცხოვრების წესად აქცია და 35 წლის განმავლობაში აქტიურ სპორტშია ჩართული. ის შავი ქამრისა და მეშვიდე დანის მფლობელია, ასევე, 13-ჯერ ესპანეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო 9-ჯერ – ევროპის. ბოლო წლებია, კარმენს ქართველი ძიუდოისტები ჩაჰყავს ესპანეთში მასტერ-კლასების ჩასატარებლად. ჩვენც ამ საკითხით დავინტერესდით, თუმცა, კიდევ უფრო საინტერესო ისტორია მოვისმინეთ მისი ცხოვრების შესახებ.**

# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲬᲔᲕᲓᲐ ᲙᲐᲠᲛᲔᲜ ᲡᲝᲚᲐᲜᲐᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲗᲐᲜ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲛᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ

**ᲙᲐᲠᲛᲔᲜ ᲡᲝᲚᲐᲜᲐ**: ბილბაოსთან ახლოს, პატარა, ზღვისპირა სოფელში დავიბადე. ოჯახში თორმეტი დედმამიშვილი ვიყავით – თერთმეტი და და ერთი ძმა. პირველად ჩემმა ძმამ დაიწყო ძიუდოში ვარჯიში. მეც დამაინტერესა და გადავწყვიტე, მევარჯიშა. თავიდან, მშობლების დათანხმება გამიჭირდა. მიაჩნდათ, რომ ეს სპორტი გოგოსთვის შეუფერებელი იყო. ჩემი ძმა რომ ვარჯიშობდა, გული მწყდებოდა და ვტიროდი. ბოლოს დედამ მითხრა, რადგან ასე ძალიან გინდა, წადი და ივარჯიშეო. 11 წლის ვიყავი, პირველად რომ მივედი სავარჯიშო დარბაზში. 15 წლისამ ესპანეთის ჩემპიონატი – მოვიგე უფროსებში. მივხვდი, რომ ამ სპორტით ბევრის მიღწევა შემეძლო. მეც აღარ გავჩერებულვარ. 13 წლის ასაკში წამოვედი სოფლიდან და იქვე, პატარა ქალაქში დავბინავდი დასთან ერთად. სახლიდან წამოსვლის მიზეზი, რა თქმა უნდა, ძიუდო იყო. უფრო კარგ სკოლაში დავიწყე ვარჯიში. იაპონელი მწვრთნელი მავარჯიშებდა. სწორედ მან გამაცნო ბილბაოელი ტრენერი, რომელმაც თავისთან მიმიწვია. 16 წლიდან ბილბაოში ვაგრძელებ კარიერას. თავიდან, დედას ბიძაშვილთან ვცხოვრობდი, შემდეგ სტუდენტურ საცხოვრებელში გადავედი და ერთ ოთახში 5-6 გოგო ვიყავით. ეს პერიოდი ძალიან მიჭირდა. სულ მარტო ვიყავი უცხო ქალაქში, არავის ვიცნობდი. ევროპის ჩემპიონატზე 16 წლის გავედი და იქაც უფროსებს ვეჭიდავე, 24 წლისანი იყვნენ. შეჯიბრებაზე რომ გავსულიყავი, ფედერაციის ხალხი მოვატყუე, ვითომ 18-ის ვიყავი. არასრულწლოვანს არ მაჭიდავებდნენ. ძალიან ბევრი გაჭირვება შემხვდა, მაგრამ მაინც შევძელი თავის დამკვიდრება.

**– ფედერაციის წევრების მოტყუება როგორ შეძელით? დამამტკიცებელი საბუთი არ გჭირდებოდათ, რომ ნამდვილად 18 წლის იყავით?**

– მამაჩემი დამეხმარა და საბუთები გამიკეთა. 3 წლით უფროსი და მყავდა გარდაცვლილი და მისი სახელით ვიასპარეზე. ეს რომ არ გამეკეთებინა, ვერ გამოვიდოდი ჩემპიონატზე. საერთაშორისო შეჯიბრებებზე ყოველთვის პირველ ადგილს ვინარჩუნებდი. სწრაფად ვჭიდაობდი. ესპანეთის ჩემპიონატი მეორედ რომ მოვიგე, ექვსი შეხვედრიდან, თითოეულის მოსაგებად ორ წუთზე მეტი არ დამჭირდა.

**– სპორტდარბაზში თქვენ გარდა, კიდევ იყვნენ გოგონები?**

– სპორტდარბაზში ყველა ბიჭი იყო. მხოლოდ სამი გოგო ვიყავით და აქედან არც ერთ მათგანს არ სურდა ჩემთან ჭიდაობა. ამიტომ, ბიჭებთან მიწევდა ჩხუბი. ეს არ იყო მარტივი, მაგრამ ისეთ გაჭირვებაში ვცხოვრობდით, როგორმე თავი უნდა დამეღწია. ერთადერთი გამოსავალი კი ძიუდო იყო. ამიტომ მიზნად დავისახე ესპანეთის, ევროპისა და მსოფლიოს მოგება. არ მინდოდა, მთელი ცხოვრება სოფელში გამეტარებინა. რთული იყო ისიც, რომ ოჯახს ვიყავი მოწყვეტილი, მშობლებს, და-ძმას ვერ ვხედავდი. დედა მშრომელი ქალი იყო, მამა – მეთევზე. მასწავლებელი რომ მავარჯიშებდა, თვიურ ანაზღაურებას ვერ ვუხდიდით, საშუალება არ გვქონდა. ამიტომ მამა თევზსა და სხვადასხვა ზღვის პროდუქტს უგზავნიდა მას. ამით სცემდა პატივს. მერე რა, რომ გოგო ვიყავი, ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. ჩემი დევიზია, თუ დაეცემი უნდა წამოდგე და ბრძოლა გააგრძელო. მეც ბევრჯერ დავცემულვარ ცხოვრებაში, მაგრამ ფარ-ხმალი არასდროს დამიყრია. ბავშვი ვიყავი, ბილბაოში რომ ჩამოვედი, ბევრჯერ ცუდად ვყოფილვარ. დედა რომ მირეკავდა და მეკითხებოდა, როგორ ხარო, ვატყუებდი. ჩემს ავადმყოფობას, ან რაიმე მსგავს თუ გაიგებდა, ვიცოდი, სოფელში დამაბრუნებდა. ეს კი არ მინდოდა.

**– ტრავმები ხშირად გქონდათ?**

– კი, რამდენიმე ოპერაციაც მაქვს გაკეთებული. მეორე ევროპის ჩემპიონატზე რომ გავდიოდი, ორი თვით ადრე თითი მოვიტეხე და მყესი გამიწყდა. 17 წლის რომ ვიყავი, მარტო წავედი საავადმყოფოში ოპერაციის გასაკეთებლად. მერე დავურეკე დედას, არ მინდოდა, ენერვიულა ჩემს გამო, ისედაც ბევრი პრობლემა ჰქონდა. ევროპის ჩემპიონატზე ნახევარ ფინალამდე ყველას მოვუგე. შემდეგ ნაკერები გამიწყდა და სისხლი ვერ შემიჩერეს, ამიტომ შეჯიბრებიდან მომხსნეს. ძალიან მტკიოდა თითი ბრძოლისას, მაგრამ ვინც შემხვდა, ყველა დავამარცხე. ვიდრე ჩემპიონატი დაიწყებოდა მსაჯმა მკითხა, თითზე რა გჭირსო. გახურების დროს დამიზიანდა და შევიხვიე-მეთქი. 13-ჯერ გავხდი ესპანეთის ჩემპიონი, 9-ჯერ – ევროპის და 4-ჯერ – მსოფლიო პრიზიორი. 96 წლამდე ყველა შეჯიბრება მოვიგე, მაგრამ ოლიმპიადაზე მაინც არ გამიშვეს.



ქართველი მამაკაცის შემთხვევაში, მინდა დამიცვას, მაგრამ, რომ მაკონტროლოს – არა

**– რამდენი წლისამ დაანებეთ აქტიურ სპორტს თავი?**

– 36 წლის ასაკში დავანებე თავი აქტიურ სპორტს. ახლა ვარ მასწავლებელი, ტრენერი, ძიუდოს ოფიციალური მსაჯი. ბოლომდე ვერ შევეშვებოდი სპორტს, რომელსაც მთელი ცხოვრება მივუძღვენი, ამიტომ ახლა ჩემს გამოცდილებასა და ცოდნას მომავალ თაობას გადავცემ. ხშირად მიწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში, ქალაქებში, მასტერ-კლასების ჩასატარებლად. მეც ავდგები გადავიკიდებ მხარზე ჩემს კიმონოს და მივდივარ *(იცინის).*

**– ქართველ ძიუდოისტებზე რას ფიქრობთ?**

– ქართველებთან ჩემ თავს ვაიგივებ. საქართველოშიც ისევე უჭირთ, როგორც მე – ბავშვობაში. ისინიც იმისთვის იბრძვიან, რომ გაჭირვებას თავი დააღწიონ. ძალიან მაგარი ბიჭები გყავთ, ბოლომდე დებენ თავს წარმატების მოსაპოვებლად. ასეთ პატარა ქვეყანას ამდენი წარმატებული ძიუდოისტი რომ ჰყავს, ნამდვილად დასაფასებელი და საამაყოა. მსოფლიო რეიტინგში ყოველთვის პირველები არიან. მოკლედ, ძალიან ძლიერები და მაგრები ხართ, ქართველო ძიუდოისტებო.

**– რამდენადაც ვიცი, ქართველი ძიუდოისტები ჩაგყავთ ესპანეთში მასტერ-კლასების ჩასატარებლად... რას სთავაზობთ მათ და ვინ გყავდათ მიწვეული?**

– პირველად, გიორგი ზარანთია ჩამოვიყვანეთ. აქ ის ყველას კუმირია. ძალიან სპეციფიკურ და თავისებურ ძიუდოს ჭიდაობს. ახლა ვარლამ ლიპარტელიანი გვყავს მოწვეული. გვინდა, რომ მათ თავიანთი ცოდნა და ილეთები ესპანელ ბავშვებსაც ასწავლონ.

**– საქართველოში ჩამოსვლას არ აპირებთ?**

– ძალიან მინდა, საქართველოში ჩამოსვლა. იმდენს მელაპარაკებიან ბიჭები, რომ ჩამოვალ *(იცინის).* მინდა თქვენი მთებისა და ზღვის ნახვა. ასევე, აუცილებლად უნდა დავაგემოვნო ქართული ღვინო.

**– პირად ცხოვრებას როგორ უთავსებდით ასეთ დატვირთულ რეჟიმს?**

– 20 წლამდე სერიოზული ურთიერთობა არ მქონია. სულ ვვარჯიშობდი და დროს ვერ ვუთმობდი. შემდეგ ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონი გავიცანი და მასთან მქონდა ურთიერთობა. ძირითადად სულ მოჭიდავე ბიჭები მაყვარებდნენ თავს *(იცინის).* ვარჯიშთან ერთად ვმუშაობდი, ბინის ქირა რომ გადამეხადა. ამიტომ, სადაც ვიყავი ის გარემო არ იყო ჩემთვის საკმარისი ცხოვრების მეგზურის ასარჩევად. უფრო შორს მიმიწევდა გული. ძიუდოისტობის მიუხედავად, ძალიან რომანტიკული, მოსიყვარიულე და მგრძნობიარე ვარ.



**– ოჯახის შექმნაზე არ გიფიქრიათ?**

– როგორ არა. 28 წლის რომ ვიყავი მინდოდა ოჯახის შექმნა, მაგრამ სპორტიდან გამომდინარე, ისევ ვერ შევძელი. სამაგიეროდ, 18 დისშვილი და ძალიან ბევრი მოსწავლე მყავს. ესაა ჩემი ოჯახი და ესენი მახარებენ.

**– ქართველ მამაკაცს თუ წაყვებით ცოლად?**

– თუ შემიყვარდება, კი. ქართველები ძალიან მოსიყვარულე და კეთილშობილები არიან. თან, მათ იციან საკუთარი ქალის დაცვა. ეს თვისება ძალიან მიყვარს მათში. ქართველი მამაკაცის შემთხვევაში, მინდა დამიცვას, მაგრამ, რომ მაკონტროლოს – არა *(იცინის).*

**ᲔᲗᲝ ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔ**

**კავკასიელთა ცხოვრებას წარმართავდა იმ ღვთაებებთან ურთიერთობა, რომლებსაც ისინი თავისად მიიჩნევდნენ და რიტუალების მეშვეობით, მათ მიერ დადგენილ წესრიგს ინარჩუნებდნენ. მაგრამ, ღვთაებების გარდა, სამყარო დასახლებული იყო ბოროტი ძალებით, რომლებთანაც ადამიანს უხდებოდა შეხება. ამის შესახებ გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი ქეთევან სიხარულიძე:**

# რომელი იყო ქინქაობის თვე და როდის გადაიქცეოდა ქინქა ადამიანისა და მისი ოჯახის ყურმოჭრილ მსახურად

– სამყაროში ორი საწყისის – კეთილისა და ბოროტის არსებობა ძველ კოსმოგონიებშივე გამოიკვეთა, სადაც ორი, თითქმის თანაბარძალიანი ღვთაება ებრძვის ერთმანეთს. გამარჯვებულმა ღმერთმა ბოროტი ღვთაება ჩაამწყვდია ჩაკეტილ სივრცეში და კოსმოსი – მოწესრიგებული სამყარო გადაურჩა მის დამანგრეველ ძალას. მაგრამ, კოსმოსის გარე სკნელში დარჩა ქაოსი, რომელიც დემონურ ძალთა სამყოფია. ისინი პერიოდულად ცდილობენ კოსმოსში შესვლას, მაგრამ ღვთაებებთან ბრძოლის უნარი მათ არ გააჩნიათ, ამდენი ძალა არ ჰყოფნით. ამიტომ, ადამიანებს ეტანებიან. ადამიანის მოწესრიგებული ცხოვრება მიედინება სივრცის იმ ნაწილში, რომელიც მის „შინას" წარმოადგენს. ამავე დროს, მას უწევს გარე სამყაროში გასვლა ოჯახის ან საზოგადოების საჭიროებისთვის. სწორედ იქ ელოდება საფრთხე ავსულების სახით, რომლებიც ტყე-ღრეში, ხევებსა და სხვა მიუვალ ადგილებში ბინადრობენ და ეტანებიან მარტო მიმავალ მგზავრს. დარგობრივი ღვთაებების მსგავსად, დემონურ არსებებსაც აქვთ არჩეული სამოქმედო სფეროები, როცა ისინი ადამიანს ეჩვენებიან (მგზავრობა, ნადირობა, სამეურნეო საქმიანობა).

**– რით გამოირჩევიან ავსულები, რა არის მათთვის დამახასიათებელი?**

– კუდიან ავსულთა დამახასიათებელია გრძელი თმა და ფრჩხილები. დემონური არსებები მაქციები არიან. მათ შეუძლიათ, სხვადასხვა სახის მიღება, მათ შორის ნაცნობი ადამიანისაც. ხმასაც დაამსგავსებენ და ამით შეცდომაში შეჰყავთ მგზავრი, რომლის მონადირებასაც აპირებენ. ზოგჯერ ლამაზი, ოქროსფერთმიანი ქალის სახით ეჩვენებიან და მამაკაცებს სასიყვარულოდ იწვევენ. ასეთები არიან ტყის ალები, რომლებიც ხშირად ხვდებოდნენ დაგვიანებულ მგზავრებს. მის გარშემო გამართავდნენ ფერხულს და მღეროდნენ: თუ ადამიანი გონს არ კარგავდა, ძალას მოიკრებდა და ამღერდებოდა პასუხად: „წინდა მაცვია ეშისა, ქალამანი მაქვს მეშისა, წმიდა გიორგიმ დასწყევლოს ფერხული ეშმაკებისა". წმიდა გიორგის სახელზე ალები გაიფანტებოდნენ და ადამიანი მშვიდობით ბრუნდებოდა სახლში. ავსულების სასიცოცხლო ძალა გრძელ თმასა და ფრჩხილებშია. თუ ადამიანი მოახერხებდა ქინკისთვის (ან ალისთვის) თმის ან ფრჩხილების დაჭრას, ის იმორჩილებდა კუდიანს და იმსახურებდა. ავსული ვერ ტოვებდა სახლს, რადგან ფრჩხილებისა და თმის გარეშე ვერსად წავიდოდა.

**– ვისი სახე ჰქონდა ქინკას, რომლის სახელიც ხალხში განსაკუთრებულად იყო გავრცელებული?**

– ხალხში ამბობდნენ, რომ ქინკა ორივე სქესისაა. მამრი პატარა ბიჭის სახით ჩნდება, ქალი ლამაზია, თეთრი სახითა და გრძელი თმით, ოღონდ ორივეს სხეული ბალნით აქვს დაფარული. ისინი ადამიანებთან სასიყვარულო კავშირსაც ამყარებენ. ერთ კაცს დაუახლოვდა ქინკა. ის ცოლს აღარ ეკარებოდა და ღამით ბეღელში წვებოდა, სადაც მისი საყვარელი მოდიოდა. ცოლი ჩაუსაფრდა. ქინკა მიუწვა კაცს და მისი გრძელი თმა გადმოეკიდა მიწაზე. როცა დაიძინა, ცოლი მიეპარა და ნაწნავები შეაჭრა. გაიღვიძა ქინკამ და ძალიან შეწუხდა. იმდენი ქნა კაცმა, რომ აიძულა ცოლი, დაებრუნებინა ქინკისთვის ნაწნავები. სხვა გადმოცემით, ერთხელ ღამე კაცი მოდიოდა ცხენით და შემოუჯდა მამრი ქინკა. კაცმა დაიჭირა და ცარიელ ქვევრში ჩაამწყვდია. ქინკა ევედრებოდა, გამოეშვა, თან ჰპირდებოდა, რომ მისი ოჯახიდან არავის და არაფერს ავნებდა. კაცმა პირობა ჩამოართვა და სათითაოდ ჩამოუთვალა ოჯახის წევრები და საგნები. ჩამოთვლისას ცეცხლის ხსენება დაავიწყდა. გამოუშვა ქინკა, რომელიც გაიქცა და შორიდან დაუძახა: „ყოველ კალანდას ცეცხლი გიქრებოდეს". მართლაც, მათ ოჯახში ახალ წელს დილით შეშა ცუდად იწვოდა. თუ ქინკა დაწყევლიდა ოჯახს, მათი საქმე ცუდად წავიდოდა. ქინკას მსხვერპლი, როგორც წესი, ჭკუიდან იშლებოდა. ხალხში იყო წარმოდგენა, რომ ქინკები წელიწადის ერთსა და იმავე დროს ამოცვივდებიან და ხშირად მოაქვთ ცუდი ამინდი – ქარი და წვიმა. იმერლების თქმით, ქინკობის თვე ოქტომბერია. ქინკობის წინა ღამეს სასიმინდეს და ბეღლებს გამოკეტავდნენ ან ნალს დაადებდნენ – რკინას ქინკა ვერ ეკარებაო. საერთოდ, ავსულებს ლითონის ეშინიათ, განსაკუთრებით ბასრპირიანი საგნების. ამიტომ, ღამით მოსიარულე კაცებს ხანჯალი ქარქაშიდან ამოწეული ჰქონდათ ქინკებისგან თავის დასაცავად. ქინკობისას სიმინდს არ გამოიტანდნენ, ნიორს ან ცერცვს არ დათესდნენ, რომ ქინკას არ წაეღო. ბავშვს არ დაბანდნენ, ტანსაცმელს არ გაუჭრიდნენ. რამე თუ დარჩებოდათ გარეთ, ცეცხლზე გადაატარებდნენ. ქინკა თმას მალავს, რადგან ერთი ღერიც თუ ჩაუვარდა ადამიანს, მის მორჩილ მსახურად იქცევა და სხვათა შორის, არნახული სისწრაფითა და ბარაქიანობით ემსახურება ოჯახს. ქინკობის თვეში რაც არ უნდა გაეკეთებინათ, მისთვისაც უნდა ეწილადებინათ. თუ ქსოვდა ქალი, ქინკისთვისაც უნდა მოექსოვა პატარა წინდა, თორემ მოვიდოდა და ეტყოდა: „წინდა მომე, წინდა, თორემ შენ შეგჭამ". ხალხის წარმოდგენით, ქინკა ბავშვის ტანისაა და ტიტველია. ქინკები ტყეში ცხოვრობენ, ასევე ღელეების ნაპირას და სხვადასხვა მივარდნილ ადგილზე. ადამიანს გზის პირას ხვდებიან და სახელს დაუძახებენ. ქინკა იმასაც ეტყვის, თუ სად მიდის ის, გულში რას ფიქრობს და ჯიბეში რა უდევს. ქინკების მთავარი თვისებაა, ჭკუაზე შეშალონ მათ წრეში ჩავარდნილი ადამიანი. ქინკებს უყვართ ადამიანის გამასხარავება. უხარიათ, როცა ქვებს ესვრიან სახლების სახურავებზე და აკრთობენ მის ბინადართ. ხან სახურავიდან კერის გარშემო დამსხდარ ხალხს სიბინძურეს აყრიან. ქინკებს ბავშვის ხმა აქვთ, ამიტომ ისე მშვენივრად აჯავრებენ ბავშვის ტირილს, რომ კაცს ეგონება, ადამიანის შვილი ჩარჩენიათ ტყეშიო. ძებნას რომ დაუწყებს, წააწყდება ქინკების მთელ გროვას, რომლებიც მისცვივდებიან კაცს და მოუნდომებენ ცემასა და ჭკუიდან შეშლას. ქინკისთვის დამახასიათებელია გამოსკვნა, დაკირკატება. ამ ოინბაზობით აწვალებენ ადამიანს. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ადამიანს დილით უნახავს თავისი ცხენი დაწნული ძუით, მაგრამ ისე ჩახვეული, რომ ვერც კი გაუხსნია. საერთოდ, დახვევა ქინკეულისა და ქაჯების თვისებაა. ხევსურეთში ხვეული სახის ორნამენტიან ხმალს ქაჯისთმიანს უწოდებენ. თავად ქსოვის პროცესიც ერთგვარად ქაჯურ ბუნებას უკავშირდება. დამცავი ჯაჭვი ნაქსოვია და მას ქაჯი აკეთებს. სიტყვა „დაკირკატება" (ჩახვევა) და კრიმანჭულის მეორე სახელწოდება „კირკანტული" ერთი ძირიდან მომდინარეობს. გურული ახალგაზრდები, ღამით რომ არ შეშინებულიყვნენ, მაშინ მღეროდნენ „კირკანტულს". სამეგრელოში ქინკობას „ჭეჭეთობა" ერქვა. „ჭიჭე" პატარას ნიშნავს და იმ წარმოდგენიდან მომდინარეობს, რომ ქინკა ზომით პატარაა. ქაჯი ასევე, ქალის სახით წარმოედგინათ – გრძელი თმით და საშინელი ღონით. მან საშინელი ყვირილი იცის, ცდილობს მამაკაცებთან ურთიერთობას. ხალხის წარმოდგენით, წელიწადში ერთხელ მზაკვრები ანუ ეშმაკეულები ყველა კუთხიდან მიდიან ტაბაკონას მთაზე თავიანთ უფროსთან – როკაპთან და იმის ანგარიშს აბარებენ, თუ რა მავნებლობა ჩაიდინეს წლის განმავლობაში. ეს ხდება ჭეჭეთობის ანუ ქინკობის დროს ივლისში ან აგვისტოში. ამ დღეს სამეგრელოში დაბინდებისთანავე ემზადება მთელი სოფელი მზაკვრების დასახვედრად. ყველამ იცის, რომ ამ ღამეს მზაკვრები ტაბაკონაზე უნდა წავიდნენ როკაპთან ძღვენის მისართმევად. ვინც ამ ღამემდე ვერ მოასწრო ადამიანებისთვის ევნო რამე, ამ ღამეს მაინც ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ თავის უფროსს ხელცარიელი არ წარუდგეს და მისი წყრომა და რისხვა არ დაიმსახუროს. სოფლელნი, თავის მხრივ, ცდილობდნენ, ამ ბრძოლიდან უვნებელნი გამოსულიყვნენ. ამისთვის ისინი მოჭრილ იელს გადააჯვარედინებდნენ, ან სარზე დაამაგრებდნენ ჯვარს, ეკლის გვირგვინსაც წამოაცვამდნენ და თვალსაჩინო ადგილას მიწაში ჩაარჭობდნენ, რათა მზაკვარის თვალი პირველად მას მოხვედროდა. ამით მის ჯადოქრობას ძალა ეკარგებოდა. იმ ღამეს არავის არ უნდა დაეძინა. სოფლელები სასოფლო მოედანზე იკრიბებოდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ. შუა მოედანზე დაანთებდნენ დიდ ცეცხლს და ყველა მისული გადაახტებოდა, რადგან ცეცხლის გამანადგურებელი ძალა სპობდა არაწმინდა არსებას და მის ბოროტ განზრახვას. ფიქრობდნენ, რომ მზაკვრებს სოფელში თანამოაზრეები და ხელშემწყობები ჰყავდათ. ასეთი ეჭვმიტანილები ზოგჯერ ძალიან უცემიათ, სახლ-კარი დაუწვავთ და მდინარეში ჩაუგდიათ. მიაჩნდათ, თუ მდინარე ჩაძირავდა, მაშინ უდანაშაულო იყო, ხოლო თუ ამოატივტივებდა, ეს ნიშნავდა მის ნამდვილ კუდიანობას. ასეთ ადამიანს დაღავდნენ და ჩაქოლავდნენ.



**ქინკების მთავარი თვისებაა, ჭკუაზე შეშალონ მათ წრეში ჩავარდნილი ადამიანი**

**ნათია უტიაშვილი**

**წელს, 12 აპრილს, მართლმადიდებლური სამყარო მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს, რომელსაც წინ 23 თებერვალს დაწყებული დიდმარხვა უძღვის.**

# რა დღეებია არჩეული აღდგომის მარხვაში ზიარებისთვის და რის წინააღმდეგ საბრძოლველად არის დიდმარხვა განკუთვნილი

**– მამაო, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს ვინახავთ აღდგომის მარხვას, მისადმი დამოკიდებულება მაინც ხშირად ბუნდოვანი და გაუაზრებელია. თითქოს ყველაფერი ვიცით, მაგრამ, სინამდვილეში, არასწორად ვცხოვრობთ და ვიცავთ მარხვას.**

მამა გიორგი *(ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი):* ვისაც არ გააჩნია სიმდაბლე ან სურვილი სიმდაბლისა, ბუნებრივია, მას არანაირი მარხვა არ სჭირდება და არ სჭირდება მას მაცხოვარი. ერთადერთი ცოდვა, რითაც ადამიანი სამოთხეში დაეცა, ხოლო ანგელოზი – სასუფეველში, ეს იყო მედიდურობა, ეს იყო საკუთარ თავზე გადამეტებული შეხედულება, მოხიბვლა საკუთარი მდგომარეობით, ღმერთისგან განშორება, ღმერთის გარეშე ღმერთობა. ადამიანი უნდა ევედრებოდეს ღმერთს და აღიარებდეს საკუთარ ცოდვებს. მთელი აღდგომის მარხვის განმავლობაში შენდობა ითხოვეთ სხვა ადამიანებისგან; უარი თქვით სიზარმაცეზე, ულოცველობაზე, მარხვის არშენახვაზე, უზიარებლობაზე; იყავით თავმდაბლები; ითხოვეთ სიმშვიდე, სიყვარული; არ განიკითხოთ სხვა; იპოვეთ საკუთარ თავში ცოდვები და უფალი ამ ყველაფერს ასმაგად მოგაგებთ.



**დღეს მარხვა ჩვენს შეგნებაში წარმოჩინდება როგორც დრო, რომლის განმავლობაში აკრძალულია ზოგი რამ, მაგალითად, ხორცი, ცხიმი, ცეკვები და გართობა**

**– რის კეთებაა აუცილებელი დიდმარხვის განმავლობაში?**

– დიდი მარხვის დროს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ეკლესიაში სიარული, საეკლესიო წესების შესრულებაში მონაწილეობის მიღება. კვირაში ერთი დღე მაინც უნდა მივუძღვნათ პირველშეწირულის ლიტურღიაზე დასწრებას, რომელიც მთელი მარხვის განმავლობაში აღესრულება. პირველშეწირულის ლიტურღიის პირველი და მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ეს ღვთისმსახურება საღამოჟამს აღესრულება. უფრო სწორად, ეს არის ზიარება მწუხრის შემდეგ. საეკლესიო ცხოვრების ადრეულ ისტორიულ პერიოდში ეს საღვთისმსახურო წესი მოკლებული იყო დღევანდელ საზეიმო ხასიათს. დიდი მარხვის განმავლობაში, საეკლესიო ტიპიკონის თანახმად, ოთხშაბათსა და პარასკევს მოითხოვება საჭმლისგან სრული თავშეკავება მზის ჩასვლამდე, ამიტომაც, დიდი მარხვის სწორედ ეს დღეებია არჩეული ზიარებისთვის, რომელიც დიდი მარხვის სულიერ ბრძოლაში უმთავრეს იარაღს წარმოადგენს, ისევე, როგორც მარხვის სწორად დაცვა. ქრისტეს სწორედ მარხვის დროს შეხვდა სატანა, მოგვიანებით კი იესომ თქვა, რომ სატანის დამარცხება მხოლოდ მარხვითა და ლოცვით შეიძლება. მარხვა ნამდვილი ბრძოლაა ბოროტის წინააღმდეგ: ადამიანი მშიერია, მაგრამ ესმის, რომ სინამდვილეში შესწევს იმის ძალა, არ დაემორჩილოს შიმშილს, არ დაილუპოს მისგან, არამედ, პირიქით – აქციოს შიმშილი სულიერი ძალებისა და გამარჯვების წყაროდ. საბოლოო ჯამში, მარხვა ერთი რამ არის: უნდა განვიცადოთ შიმშილი, უნდა მოგვშივდეს ან უნდა მივაღწიოთ იმ სიცოცხლის ზღვარს, რომელიც ჩვენში მთლიანად საკვებზეა დამოკიდებული და, შიმშილის საშუალებით აღმოვაჩინეთ, რომ ეს დამოკიდებულება არ არის ადამიანის უკანასკნელი ჭეშმარიტება; რომ თვით შიმშილი, უპირველეს ყოვლისა, არის სულიერი მდგომარეობა და თავის უკანასკნელ სიღრმეში ის ღმრთის შიმშილია. დიდი მარხვა ის დროა, როდესაც ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური იმას, რასაც ვამბობთ, რადგან, ჩვენი სამყარო საოცრად მჭევრმეტყველია, სიტყვებმა დაკარგეს თავისი მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე – ძალაც; დიდი მარხვა ის დროა, როცა ადამიანი თითქოს კვლავ პოულობს სარწმუნოებას და თვით სიცოცხლესაც მისი საღმრთო მნიშვნელობით: თავს ვიკავებთ საჭმლისგან და კვლავ აღმოვაჩენთ მის გემოს, ვსწავლობთ ღმრთისგან მის მიღებას სიხარულითა და მადლიერებით; ვამცირებთ გართობას, მუსიკის სმენას, უაზრო საუბარსა და ზედაპირულ ფიქრებს; ვიღებთ ადამიანებს და, ყოველივე ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ კვლავ ვიპოვოთ თვით ღმერთი და დავუბრუნდეთ მას.

**– მხოლოდ აღდგომის მარხვაში იკითხება ეფრემ ასურის ლოცვები, რომლის წაკითხვა და შინაარსის გააზრება ბევრს უჭირს და ამიტომ ხშირად მხოლოდ ზედაპირულად უდგებიან. გარდა ამისა, მის წაკითხვას თან ახლავს მეტანიების შესრულებაც, რომელიც ბევრისთვის ასევე რთულია.**

**უნდა განვიცადოთ შიმშილი ან უნდა მივაღწიოთ იმ სიცოცხლის ზღვარს, რომელიც ჩვენში მთლიანად საკვებზეა დამოკიდებული და, შიმშილის საშუალებით**

– თანამედროვე ადამიანები ხშირად ვართ ჩავარდნილი უსაქმურობის ცოდვაში, რომლისგან დახსნასაც შევთხოვთ უფალს ამ ლოცვის დასაწყისში. აქ საუბარია არა მარტო ხორციელ უსაქმურობაზე, არამედ სულიერზეც, როდესაც ადამიანი არ ლოცულობს, არ ადიდებს უფალს, არ მარხულობს. ჩვენი სულიერი უმოქმედობა იწვევს ჩვენს ფიზიკურ უმოქმედობას და ეს, თავის მხრივ, მრავალ ცოდვას წარმოშობს, მაგალითად, ისეთს, როგორიც არის მიმწვილველობა, ანუ მოწყენილობა. ეფრემ ასურის ლოცვაში ასევე ნახსენებია მთავრობისმოყვარეობა. ამ ცოდვაში შეიძლება ჩავარდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც დიდებისმოყვარეობისკენ არიან მიდრეკილი; სურს, რომ ყველა მის გარშემო ტრიალებდეს და, რადგან ეს ასე არ ხდება, ამიტომ ვარდება ის მრისხანების ცოდვაში. მრისხანება კი წარმოშობს ცუდმეტყველებას: საერონი ხშირად ბილწსიტყვაობენ, ხოლო სასულიერონი მრავლისმეტყველებაში ვარდებიან. ლოცვის მომდევნო მუხლებში ვითხოვთ, რომ უფალმა მოგვმადლოს: სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა. რადგან ადამიანი არის ხატება და მსგავსება ღვთისა, ის აუცილებლად უნდა იყოს წმიდა. უფალი ამას მოითხოვს ჩვენგან: „წმიდა ვარ და წმიდა იყავით თქვენც." სიწმიდეში კი მხოლოდ სულიერი სიწმიდე არ იგულისხმება, ადამიანი გარეგნულადაც უნდა იყოს მოწესრიგებული; ის სულზეც უნდა ზრუნავდეს და ფიქრობდეს და საკუთარ სხეულზეც. თუ ადამიანი სიწმიდეში ცხოვრობს, მარხულობს, ეზიარება, ის ხვდება, რომ ღმერთი ყველაფერია, თვითონ კი – არარაობა; ღმერთი სიყვარულია, თვითონ კი – ბოროტება; ღმერთი დიდია, თვითონ კი – პატარა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მძიმე განსაცდელში მხოლოდ ბოლომდე მომთმენები ცხონდებიან. თუ ადამიანი არ იცხოვრებს სიწმიდეში, ვერ მიხვდება საკუთარ შეცოდებებს, მას არ ექნება სიყვარული, ვერ დაინახავს საკუთარ ცოდვებს და მუდმივად მოყვასის, სხვა ადამიანების განკითხვაში იქნება. მცნებების დაცვაში კი ერთ-ერთია სხვის განკითხვაზე უარის თქმა. ჩვენთვის ძალიან იოლია, დავინახოთ სხვისი ცოდვა, განვიკითხოთ და ვერ შევძლოთ იმის დანახვა, თუ როგორ ვცოდავთ ჩვენ. დღეს მარხვა ჩვენს შეგნებაში წარმოჩინდება როგორც დრო, რომლის განმავლობაში აკრძალულია ზოგი რამ, მაგალითად, ხორცი, ცხიმი, ცეკვები და გართობა. დადებითი თვალსაზრისით, მარხვა განიხილება როგორც დრო, როცა ჩვენი რელიგიური მოვალეობები უნდა შევასრულოთ, ანუ აღსარება ვთქვათ და ვეზიაროთ არაუგვიანეს ბზობის კვირისა. ამ მოვალეობების შესრულების შემდეგ დიდი მარხვა მთლიანად კარგავს ყოველგვარ დადებით მნიშვნელობას. იმის მაგივრად, რომ დავსვათ ისეთი კითხვები, როგორიც არის: როგორ ვიმარხულოთ, რა არის დიდი მარხვა, – ჩვენ მხოლოდ მარხვის სიმბოლიკით ვკმაყოფილდებით. გაცილებით მეტი ძალები იხარჯება სამარხვო კერძების მომზადებასა და სააღდგომო გახსნილებაზე, ვიდრე თვით მარხვასა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის საიდუმლოში მონაწილეობაზე.

**ნათია უტიაშვილი**

# სულიერი სიბრმავისგან განკურნება

ჩემმა ნაცნობმა ა.ვ-მ მიამბო შემდეგი: მე და ნატალია ნ. ერთად ვმუშაობდით სამკერვალო ფაბრიკაში. ის ათეისტი იყო და მორწმუნეებს დასცინოდა, მაგრამ გული კეთილი ჰქონდა და ყველას ეხმარებოდა. ჩვენი მეგობრობა 1927 წლამდე გრძელდებოდა, შემდეგ ის სხვაგან გადავიდა სამუშაოდ და ჩვენი გზები გაიყარა. ნატალიას მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, 1947 წელს შევხვდი. ამ შეხვედრისას მან მიამბო სასწაულის შესახებ, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება შეცვალა:

„1942 წელს მე ვმუშაობდი ატელიეში, კალუგის ქუჩაზე, – მითხრა ნატალიამ, – ომი იყო და ყველა ის ტანჯვა გამოვცადე, რაც ომს მოაქვს – შიმშილი და სიცივე.

ერთხელ სამსახურში მივდიოდი. მეტროდან დილის 6 საათზე გამოვედი. გვიანი შემოდგომის დილა იყო, სუსხიანი; ქუჩები ჩაბნელებული და უკაცრიელი იყო. მოედანზე გადასვლისას დიდ გუბეში ჩავვარდი. ვცდილობ, წამოვდგე, მაგრამ ვერ ვახერხებ – ვდგები და ისევ ვეცემი, თითქოს რაღაც მითრევს გუბეში. ძალ-ღონე გამომელია, ტირილი ამივარდა და სლუკუნით ვამბობ: „უფალო, თუკი შენ ნამდვილად არსებობ, დამეხმარე, ხომ ხედავ, როგორ ვიტანჯები“.

უეცრად დავინახე, რომ ზეციდან დიდი ხატი დაეშვა და ჩემ წინ გაჩერდა – ეს იყო ღვთისმშობლის ხატი „ზეციური ნიშანი“, მე კი მუხლებზე ვდგავარ გუბეში და ვყვირი: „დედაო ღვთისა, შეგვეწიე ჩვენ!“

ღვთისმშობელმა ხატიდან მომმართა: „ნატალია, შენ გზა აგებნა, ჩემს ძეს ევედრე“.

ამ სიტყვებით ხატმა ზეცისკენ იწყო ასვლა და, სანამ გაუჩინარდებოდა, მესმოდა მისი ხმა: „მოექეცი, შენ გზააბნეული ხარ“.

ამ დროს გამვლელებიც გამოჩნდნენ, მოვიდნენ და წამომაყენეს. მე ვეკითხები: „დაინახეთ, ხატი რომ ჩამოვიდა ციდან?“ – მაგრამ, ჩემ მეტს ის არავის დაუნახავს.

სამსახურში სველი და ტალახში ამოსვრილი მივედი და ტირილით ვითხოვე სახლში გაშვება, რადგან მუშაობის ძალა აღარ მქონდა. მაშინვე გამათავისუფლეს. სახლში დავბრუნდი, ტანსაცმელი გამოვიცვალე და ნოვოდევიჩის მონასტერში წავედი. იქ ვნახე დედაღვთისას ხატი „ზეციური ნიშანი“. სანთელი ავანთე და დიდხანს ვტიროდი გულამოსკვნით მის წინაშე. ჩემი განცდები იმდენად ძლიერი იყო, რომ გარშემო მყოფთ ვერც კი ვამჩნევდი.

შემდეგ აღსარება ვთქვი და ვეზიარე.

– ბედნიერი ადამიანი ყოფილხარ, როგორც ჩანს, კეთილი გული გაქვს, – მითხრა მღვდელმა.

ახლა ეკლესიაში ხშირად დავდივარ, ჩემი ქალიშვილიც მოვნათლე (20 წლის ასაკში) და შვილიშვილებიც. ხშირად ვეზიარები. ჩემი ცხოვრება ნათელი და მშვიდი გახდა. იმდენად ბედნიერი ვარ, რომ, არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი მადლიერება ღვთისადმი მისი გულმოწყალებისათვის.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რა მოვალეობები აკისრია ქრისტიანს გარშემო მყოფთა მიმართ?**

**პასუხი:** ქრისტიანს ყველა უნდა უყვარდეს უფლის მიერ; სხვა ადამიანები უნდა დააყენოს საკუთარ თავზე წინ; მოთმინებით უნდა აიტანოს მათი უძლურებანი და უგუნურებანი; არავინ არ უნდა შეურაცხყოს; სარგებლობა უნდა მოუტანოს მათ და ილოცოს მათთვის.

**კითხვა: რას ურჩევს ეკლესია ქრისტიან მშობლებს შვილების სასიკეთოდ?**

**პასუხი:** წმინდა მამები ქრისტიან მშობლებს ურჩევდნენ, ხშირად მიეყვანათ შვილები საზიარებლად – ამგვარად ისინი უფრო ჯანმრთელები, ჭკვიანები და ბედნიერები იქნებიანო.

**კითხვა: როგორ უყურებს მართლმადიდებლობა სიძუნწეს?**

**პასუხი:** სიძუნწე არ არის სწორი და მართებული, თუმცა, არც უზომოდ და უანგარიშოდ არ უნდა გასწიოთ უსარგებლო ხარჯი. ჭეშმარიტი ქრისტიანი ზომიერების ფარგლებში შეძლებს, იცხოვროს მომჭირნედ.

**კითხვა: ეკლესიურად აუცილებელია თუ არა მიცვალებულისთვის ქელეხის, ორმოცისა და წლისთავის დიდი სუფრით გადახდა, მით უმეტეს, თუ ოჯახს ამის საშუალება არ აქვს და თანხა უნდა ისესხოს?**

**პასუხი:** დიდი სუფრის გაშლა და განსაკუთრებული ხარჯის გაწევა აუცილებელი არ არის. მიცვალებულს გადაუხადეთ ეკლესიაში პანაშვიდი, გაეცით თუნდაც მცირედი მოწყალება მის სახელზე და ილოცეთ მისი სულისთვის.



# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### „... მთელი ალექსანდრია გაოცდება“

წმიდა იოანე მოწყალეს ძმისწული გიორგი ერთმა კაცმა გაანაწყენა და შეურაცხყოფა მიაყენა. იგი მივიდა თავის ბიძასთან და ცრემლიანმა უამბო მისთვის მიყენებული მძიმე წყენის შესახებ. ღვთის კაცმა ნახა, რომ გიორგი ძლიერ გაბრაზებული იყო და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს თვითონაც განრისხდა.

– როგორ გაბედა დაბალი წარმოშობის ადამიანმა პატრიარქის ძმისწულის შეურაცხყოფა! – წამოიძახა მან, – ღმერთია მოწმე, რომ სამაგიეროს გადავუხდი შეურაცხმყოფელს: მას ისე მოვექცევი, რომ მთელი ალექსანდრია გაოცდება.

ახალგაზრდა კაცმა ბიძის სიტყვები სიმართლედ მიიჩნია და ძალიან გაუხარდა.

მაგრამ უეცრად, იოანეს ხმა შეეცვალა და სინაზით აღსავსე ხმით გამოუტანა მას განაჩენი:

– მისმინე, გიორგი! თუ გსურს, რომ ჩემი ძმისწული გერქვას, უნდა აიტანო არა მხოლოდ წყენა, არამედ შეურაცხყოფაც. ღვთის გულისათვის ყველაფერი უნდა მიუტევო მოყვასს. თუ გსურს, რომ დიდსულოვანი იყო, მაშინ სათნოებებში ეძიე მადლი და არა წარმომავლობაში, რადგან წინაპრები კი არ გვაცხოვნებენ, არამედ, ღვთივსათნო ცხოვრება. ცნობილი ადამიანის შვილი თუ ძმისწული, რომელსაც სათნოებანი არ გააჩნია, გაღატაკებული მდიდრის შვილს ჰგავს.

ღირსი მოსაგრის ასეთი დამოძღვრით შეძრულ ძმისწულს თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ ეს უნიდღებულივით სიბრაზისა და სანაცვლოს მიგების სურვილით როდი იყო გამოწვეული, არამედ, სირცხვილითა და სინანულით.

მაგრამ იოანე ამით არ დაკმაყოფილდა. მან მოიხმო საეკლესიო მშენებელი და უბრძანა, ის მდაბიო, რომელმაც გიორგის შეურაცხყოფა მიაყენა, საეკლესიო გადასახადისგან გაეთავისუფლებინა. თავისი დაპირებისამებრ, ასე მოექცა წმიდა მამა შეურაცხმყოფელს და ამით მართლაც გააოცა მთელი ალექსანდრია.

ყოველგვარი შეურაცხყოფა კეთილ საქმედ მიიჩნიე, რამეთუ იგი ამდაბლებს ამპარტავან სულს და ამით აახლოებს მას ღმერთთან.

### მოძულეს სათნოება არ ძალუძს

ქრისტიანების დევნის დროს, რწმენის გამო დააპატიმრეს ორი ძმა, რომლებიც ერთმანეთზე გაბოროტებულნი იყვნენ. ჩვეულებრივი დაკითხვის შემდეგ მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მაშინ ერთმა მეორეს უთხრა: „შევრიგდეთ, საყვარელო ძმაო! ხვალ ღვთის წინაშე წარვდგებით.“ მაგრამ ძმამ მისი მოსმენაც არ ისურვა.

მეორე დღეს ისინი დასასჯელად მიიყვანეს და, რა მოხდა?! ის ძმა, რომელმაც შერიგებაზე უარი თქვა, ქრისტეს განუდგა; ხოლო მეორე, რომელმაც ძმას შეუნდო, ქრისტეს რწმენისთვის აღესრულა. გაოცებულმა ჯალათმა პირველს ქრისტეს უარყოფის მიზეზი ჰკითხა, მისგან კი შემდეგი პასუხი მოისმინა: „მასთან შერიგებაზე გადაჭრილი უარის თქმისთანავე, მეყსეულად დამტოვა ღვთის შეწევნამ და ძალამ – აი, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც უარი ვთქვი ქრისტეს რწმენაზე“.

სიძულვილით სავსე კაცი, რომელიც განუწყვეტლივ ეძებს სხვადასხვა საშუალებას, რათა ბოროტება გაუკეთოს მას, ვინც ეჯავრება, აღარ ჰგავს ადამიანს, არამედ სრულიად ემორჩილება დამღუპველ სულს; და განა ძალუძს მას რაიმე სათნოების აღსრულება, რასაც ღვთისა და მოყვასის უდიდესი სიყვარული ესაჭიროება?!

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**



### კანზე გაჩენილი გამონაყარი, ლაქები და ნაოჭები კონკრეტულ დაავადებაზე მიუთითებს

ყველა შინაგანი ორგანო სახის გარკვეულ ნაწილთან არის დაკავშირებული. სახის კანის მდგომარეობის მიხედვით შეგიძლიათ, გაიგოთ, თუ რა გაწუხებთ.

თუ გამონაყარი შუბლზე გაგიჩნდათ, უნდა ივარაუდოთ, რომ ფილტვებთან და სასუნთქ გზებთან დაკავშირებით გაქვთ პრობლემები; ასევე, შესაძლოა, ეს კუჭ-ნაწლავის სისტემის არასწორი ფუნქციონირების მანიშნებელიც იყოს. ხშირად ასეთი გამონაყარი ორგანიზმის გამწმენდი პროცედურების შემდეგ ქრება ან წვრილი გამონაყარით იცვლება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ორგანიზმი გაიწმინდა, წვრილი გამონაყარი კი ტოქსინების მოშორებით გამოწვეული მოკლევადიანი რეაქციაა.

თუ შუბლზე წითელი ლაქები გაგიჩნდათ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ საკვები, რომელსაც იღებთ, დიდი რაოდენობით მარილს შეიცავს. ამ დროს, ასევე, არ არის სასურველი ხორცის მიღება, მაგრამ, თუ შუბლი, პირიქით, გაფერმკრთალდა, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბევრ ყავასა და ტკბილს ეტანებით და მადა უნდა აკონტროლოთ.

თუ ცხვირის ფუძის ზემოთ, შუბლთან ახლოს, ღრმა, ვერტიკალური ნაოჭები გაჩნდა, ეს ღვიძლის დისფუნქციაზე მეტყველებს, მაგრამ, თუ შუბლზე ვერტიკალური და ჰორიზონტალური ნაოჭები მომრავლდა, ესე იგი, თქვენ გადაჭარბებით იღებთ ცილოვან საკვებს.

თუ ნაოჭები ქუთუთოების ზემოთ გაგიჩნდათ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ელენთა არასწორად ფუნქციონირებს და მას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოთ, მაგრამ, თუ ასეთივე ნიშნები ქუთუთოების ქვემოთაც გაჩნდა ან მათი შეშუპება, შესიება და ფერის შეცვლა დაიწყო, ესე იგი, ღვიძლი ითხოვს შველას.

ცხვირზე ან ყვრიმალებზე გაჩენილი გამონაყარი კუჭ-ნაწლავის სისტემის დისფუნქციაზე მიუთითებს. ასეთი სიმპტომები ახასიათებს კოლიტს.

ცხვირის წვერი გულის ფუნქციონირებაზე გვაძლევს მინიშნებას. თუ ცხვირის წვერზე არსებული კაპილარები გაფართოვდა და ადვილად შესამჩნევი გახდა, ესე იგი, გული ცუდად მუშაობს და ყურადღება მიაქციეთ.

ცხვირზე ან ლოყებზე დიდი რაოდენობით გაჩენილი ფერისმჭამელები ან გამონაყარი იმაზე მეტყველებს, რომ იმუნიტეტი დაქვეითებული გაქვთ. ამ დროს ნუ ჩართავთ კვებით რაციონში რძის პროდუქტებს.

ნიკაპი სასქესო ორგანოებზე იძლევა მინიშნებას. მასზე არსებული ნებისმიერი ცვლილება სწორედ ამ ორგანოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე მეტყველებს. თუ ნიკაპზე გამონაყარი ჩნდება ან კანი აჭრელებული და გაუხეშებულია, სავარაუდოდ, ადამიანს სოკოვანი დაავადება სასქესო ორგანოზე აქვს.

ტუჩის გარშემო გამონაყარი საჭმლის მომნელებელი სისტემის დისფუნქციაზე მიუთითებს, მაგრამ, თუ ტუჩების სიმშრალე გაწუხებთ და კანიც გექერცლებათ, მაშინ ორგანიზმი დაბინძურებულია წიდებით და სასწრაფოდ ჩაიტარეთ გამწმენდი პროცედურები.

### მარილების დაგროვებასა და სახსრების ტკივილს ხალხური მედიცინით უმკურნალეთ

მარილების დაგროვება ორგანიზმში უამრავ პრობლემას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. მარილების დაგროვებისა და სახსრების ტკივილის დროს შემდეგი ხალხური და აპრობირებული რეცეპტი გამოგადგებათ:

* გაატარეთ 10 ცალი ლიმონი ხორცის საკეპ მანქანაში, მოათავსეთ ქილაში, დაუმატეთ 20-30 გრამი ინგლისური მარილი და ერთი ლიტრი ანადუღარი წყალი. კარგად აურიეთ ერთმანეთში. ერთი დღე-ღამის განმავლობაში გააჩერეთ და შემდეგ მარლაში გაწურეთ. წვენი მიიღეთ ღვინის ჭიქით, ჭამამდე, დღეში 3-ჯერ. მკურნალობის კურსი 3 დღეა. ამ დროს იკრძალება ალკოჰოლი.

* მარილების დაგროვების სამკურნალოდ, 10 ცალ დაფნის ფოთოლს დაასხით 300 მილილიტრი წყალი, ხარშეთ 5 წუთის განმავლობაში. შემდეგ თბილად შეფუთეთ და გააჩერეთ 4-5 საათი. ერთი კვირის შემდეგ კურსი გაიმეორეთ. სახსრების ტკვილი აუცილებლად გაგივლით.

ორგანიზმიდან მარილების გამოსადევნად ხალხური მედიცინის კიდევ ერთი რეცეპტი დაგეხმარებათ:

წვრილად დაჭერით 1 საშუალო კონა ნიახური, დაასხით 1 ქილა მაწონი და დილამდე გააჩერეთ. დალიეთ დილით, უზმოზე; ან წვრილად დაჭერით ერთი კონა ნიახური, დაასხით 300 მილილიტრი ცივი წყალი და დალიეთ უზმოზე, დილაობით, ერთი კვირის განმავლობაში.

### წვენების მიღება ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია

ხილის წვენი წმენდს ორგანიზმს, გამოაქვს წიდები და შხამები, ავსებს აუცილებელი ნივთიერებებით, კერძოდ, ამინომჟავებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით, რომლებიც გაზაფხულის მიჯნაზე განსაკუთრებით აუცილებელია ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

გაითვალისწინეთ, რომ ხილისა და ბოსტნეულის მხოლოდ ახალგამოწურული წვენია სასარგებლო. წვენი აუცილებლად უზმოზე დალიეთ, რადგან ამ დროს ის უფრო სწრაფად და აქტიურად მოქმედებს.

***სტაფილოს*** წვენი აუმჯობესებს მხედველობას, კბილების სტრუქტურას, შეიცავს დიდი რაოდენობით A, B, C, D, E ვიტამინებს; მისი დალევა კარგია სისხლნაკლებობის დროს.

***ვაშლის*** წვენი მდიდარია რკინით, რომელიც აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას და ააქტიურებს ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებს.

***ჭარხლის*** წვენი ყველაზე სასარგებლოა სისხლის წითელი ბურთულების წარმოსაქმნელად და აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას, წმენდს ღვიძლს, თირკმელებს, ნაღვლის ბუშტს. ჭარხლის წვენი უნდა მიიღოთ დღის განმავლობაში მხოლოდ ნახევარი ჭიქა.

***კიტრის*** წვენი კარგი შარდმდენი საშუალებაა. ის შეიცავს კალიუმის დიდ რაოდენობას, რის გამოც სასარგებლოა ჰიპერტონიის დროს; ასევე, აჩერებს თმის ცვენას და აუმჯობესებს მეხსიერებას.

***კარტოფილის*** წვენი შველის კუჭის დაავადებებს. თუ ჭამის შემდეგ კუჭის არეში სიმძიმესა და ტკივილს გრძნობთ, დალიეთ უმი კარტოფილის წვენი და პრობლემა მოგეხსნებათ.

### შიმშილი სქესობრივი ლტოლვის დაკარგვას იწვევს

სასქესო ჯირკვლები საჭიროა როგორც მთლიანი ორგანიზმის ნორმალური ცხოველმყოფელობის უზრუნველსაყოფად, ასევე, ნორმალური სქესობრივი ცხოვრებისთვის. ისინი ასრულებენ შერეულ ფუნქციას, ანუ, წარმოქმნიან არა მხოლოდ გარეგნული, არამედ შინაგანი სეკრეციის პროდუქტებსაც, რომლებიც, მოხვდებიან თუ არა სისხლში, ახალგაზრდავებენ ორგანიზმს.

ყოველდღიურ საკვებ რაციონში აუცილებელი ელემენტების სიმცირე ან არარსებობა უარყოფითად მოქმედებს სასქესო ჯირკვლების ფუნქციაზე და შეუძლია გამოიწვიოს უნაყოფობა. სასქესო ჯირკვლებისთვის აუცილებელია A, C, E და B ჯგუფის ვიტამინები.

***ვიტამინი A*** უზრუნველყოფს საკვერც-

ხებისა და წინამდებარე ჯირკვლის ნორმალურ ცხოველმყოფელობას. წინამდებარე ჯირკვლის ფუნქციის დარღვევას იწვევს კვების რაციონში A ვიტამინის ნაკლებობა.

***B ჯგუფის ვიტამინები*** აუცილებელია სქესობრივი პოტენციისა და აქტის შესანარჩუნებლად. ამ ვიტამინის უკმარისობას მოსდევს ნევროზი, შიში, გაღიზიანება, რაც, თავისთავად, სქესობრივი აქტივობის დაქვეითებას იწვევს.

საკვერცხეების ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ***ვიტამინი C***. მისი არარსებობა იწვევს ანემიას. მამაკაცებში ვიტამინ C-ს უკმარისობა აქვეითებს ჯერ ჩასახვის უნარს, შემდეგ კი იწვევს სქესობრივი ლტოლვის სრულიად გაქრობას.

***ვიტამინი E*** ზრდის შთამომავლობის წარმოქმნის უნარს. ამ ვიტამინის ნაკლებობას შეუძლია გამოიწვიოს სქესობრივი სტერილიზაცია.

შიმშილი იწვევს სქესობრივი ლტოლვის დაკარგვას. სასქესო ჯირკვლების ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ცილოვანი დიეტა, არგინინი კი შეუცვლელი ამინომჟავაა, რომელიც შედის ერთ-ერთ ცილაში. ასევე, აუცილებელია მინერალური ნივთიერებები – რკინა და სპილენძი.

თევზი, კარტოფილი, კომბოსტო, თალგამი, პომიდორი და ღვიძლი უხვად შეიცავს ვიტამინ A-ს.

ვიტამინ E-ს წყაროა: ხორბალი, კვერცხის გული, ღორის ქონი, მზესუმზირის ზეთი და მარცვლოვანი კულტურები.

არგონინს შეიცავს: კვერცხი, რძე, შვრია, არაქისი, ხორბალი, საფუარი.

რკინას შეიცავს: ლობიო, ნიგოზი, ხორბალი, შვრია, ჩამიჩი, კვერცხი, მწვანე ბოსტნეული და ხორცი.

სპილენძის წყაროა: ხორბალი, ლობიო, ოხრახუში, სოკო, ღვიძლი, სატაცური.

ასე რომ, საკვებსა და სქესობრივ ცხოვრებას შორის უდიდესი კავშირია და, თუ ყოველდღიურ რაციონს სწორად გადაანაწილებთ, ამ პრობლემის წინაშე არასდროს აღმოჩნდებით.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 24 წლის, ბავშვობიდან მაქვს საკმაოდ მაღალი პულსი – 90-100. შეგიძლიათ, მითხრათ, ეს საშიშია თუ ბუნებრივია? თავს კარგად ვგრძნობ.**

**პასუხი**: თქვენს ასაკში ასეთი პულსი არ არის დაავადების სიმპტომი. მიუხედავად ამისა, სასურველია, ერთხელ მაინც მიმართოთ ექიმს, რათა გამოირიცხოს დაავადება.

**კითხვა: დაახლოებით ორი თვეა, რაც კუჭის მოქმედებასთან შემექმნა პრობლემები. კერძოდ, ხან შეკრულობა მაწუხებს, ხან კი პირიქით – უცებ შეიძლება, ფაღარათით შეიცვალოს. მაწუხებს გულის რევის შეგრძნებაც და ბოყინი, ასევე ხანდახან პირში მიგროვდება ბევრი ნერწყვი. მაწუხებს ყრუ მუცლის ტკივილიც. თუ შეგიძლიათ, ამ სიმპტომების მიხედვით, სავარაუდოდ, რამე დასკვნის გამოტანა? ერთი წლის წინ გაკეთებული მაქვს მუცლის ღრუს ექოსკოპია. რამე სერიოზული დაავადება არ მქონია, ნაღვლის ბუშტი მქონდა გაღიზიანებული.**

**პასუხი**: სამწუხაროდ, მხოლოდ მუცლის ღრუს ექოსკოპიური გამოკვლევის ჩატარება მოცემულ შემთხვევაში, საკმარისი არ არის. პაციენტი საჭიროებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დამატებით გამოკვლევებს (რენტგენოსკოპია, ან გასტრო-დუოდენო-ფიბროსკოპია) სრულფასოვანი და ზუსტი დიაგნოსტიკისათვის. საქმე უნდა გვქონდეს დისბაქტერიოზის ფონზე მიმდინარე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული ანთების გამწვავებების პროცესთან, რომლის დიაგნოსტირება მხოლოდ ექოსკოპიური გამოკვლევით შეუძლებელია.

**კითხვა: ამ ბოლო დროს შევამჩნიე, რომ დილით თვალები შეშუპებული მაქვს და სიმძიმის შეგრძნებასთან ერთად, თითქოს გამომიშრა კიდეც. სამსახურში მიწევს კომპიუტერთან მუშაობა მთელი დღე. შეიძლება, ამას გამოეწვია? ნატურალური ცრემლი რომ ჩავიწვეთო და კომპიუტერთან მუშაობის დროს სათვალე ვიხმარო, ამ პრობლემას მოვაგვარებ?**

**პასუხი**: სავარაუდოდ, გაქვთ მშრალი თვალის სინდრომი. იხმარეთ ნატურალური ცრემლი (უნდა ჩაიწვეთოთ, საშუალოდ, 3-4 საათში ერთხელ კომპიუტერთან მუშაობისას). ექიმების უმრავლესობა პაციენტებს ურჩევს შეზღუდონ კომპიუტერთან მუშაობის ხანგრძლივობა, სწორად შეარჩიონ მონიტორის მდებარეობა და დროდადრო შეისვენონ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონიტორის სწორად შერჩევას.

**კითხვა: ექიმმა დამინიშნა L-თიროქსინი, 50 მილიგრამი. TSH – 8.89 მაქვს. თმა წინ შემითხელდა და წონაშიც მოვიმატე. შესაძლოა, რომ ამ პრეპარატის მიღების შემდეგ წონაშიც დავიკლო და თმაც ისევ ამომივიდეს? შესაძლებელია, რომ ჰორმონები არასწორი დიეტის შედეგად მომმატებოდა და რამდენიმე წელი ასე, მომატებული ყოფილიყო?**

**პასუხი**: დიეტა არ არის ჰიპოთირეოზის მიზეზი. ჰორმონული ფონის კორექციამ გავლენა უნდა მოახდინოს წონაზე და, შესაძლოა, აღდგეს თავზე თმიანი საფარველის სიხშირე, თუკი თმის ფოლიკულები ცოცხალია და თმის შეთხელების მიზეზი მხოლოდ აღნიშნული პათოლოგიაა; პარალელურად, ყურადღება უნდა მიაქციოთ მენიუს: შეამცირეთ ცხიმებისა და ნახშირწყლების წილი და გაზარდოთ ცილების რაოდენობა, სანამ ნორმალურ წონას მიაღწევთ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## მუცლის არეში ტკივილს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ

უნდა გახსოვდეთ, რომ მუცლის არეში ტკივილი ბევრად უფრო მძიმე პათოლოგიით შეიძლება იყოს გამოწვეული, ვიდრე გასტრიტია. ამიტომ, საჭიროა, მწვავე გასტრიტის დიფერენცირება მწვავე აპენდიციტის ატიპურ ფორმებთან, მწვავე პანკრეატიტთან, პერიტონიტთან, ნაწლავთა მაღალ გაუვალობასთან, რომელიც ნაწლავების ზედა ნაწილში განვითარებული პროცესით არის გამოწვეული. მას ახასიათებს ღებინება და მოვლითი ტკივილები ჭიპის არეში, რაც გულის კოვზისკენ გადაეცემა. ამონაღებ მასაში არის ნაღვლის მინარევები, რაც იმას ნიშნავს, რომ სწრაფად პროგრესირებადი ინტოქსიკაცია მიმდინარეობს.

მწვავე აპენდიციტის ატიპური ფორმები ხასიათდება სწრაფად პროგრესირებული ტკივილის სინდრომით, რომელსაც თერაპიული მკურნალობა ვერ აცხრობს.



მწვავე პანკრეატიტს კი ახასიათებს ტკივილი მარცხენა მხარეს, კერძოდ, მარცხენა ნეკნქვეშა არეში და ზურგში. ტკივილი გადაცემითია და ახასიათებს მუცლის მკვეთრი შებერილობა, ასევე, ნაწლავთა პერისტალტიკის დათრგუნვა, ცვლილებები სისხლსა და შარდში.

პერიტონიტს ყოველთვის თან ახლავს მუცლის ფარის ანუ პერიტონეუმის გაღიზიანების სიმპტომები, რომელიც არ აღინიშნება მწვავე გასტრიტის დროს.

ყოველთვის გულდასმით დააკვირდით, როგორ გტკივათ მუცელი, რა ადგილას აღინიშნება მოვლითი ტკივილები, საით გადაეცემა ტკივილი და სპეციალისტთან ვიზიტის შემდეგ მიიღეთ შესაბამისი ზომები.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

**როდესაც ადამიანი წარმატებულია, კარიერულ თუ პირად ცხოვრებაში ერთნაირად უმართლებს და მასზე ამბობენ, იღბლიანია და ბედი სწყალობსო. მაგრამ, თუ ის უიღბლოა, მეტად ბოროტდება და ირგვლიც მყოფებზეც ცუდ გავლენას ახდენს. როგორც პარაფსიქოლოგი, ბატონი გია ამბობს, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეასრულოს ის ელემენტარული წესები, რაც მას შემდგომში აუცილებლად მოუტანს წარმატებასა და იღბალს, რაშიც ჩვენივე განწყობა, ქმედებები და აზროვნება გვეხმარება.**

# რა ენერგეტიკას მოიზიდავს ჩვენ გარშემო გაუაზრებელი ფიქრები და რა საფრთხეს გვიქმნის შურიან ადამიანებთან კონტაქტი

**გია**: ზოგადად, თუ დააკვირდებით, ადამიანები ძალიან სულწასულები და დაუდევრები ვართ. გვინდა, თითოეულმა საქციელმა თუ გადადგმულმა ნაბიჯმა დღესვე მოგვცეს სასურველი შედეგი და ვერ ვითმენთ, რომ ხვალინდელ დღეს დაველოდოთ.

**– გეთანხმებით, ზოგჯერ ისე სწრაფად და დაუდევრად ვიქცევით, რომ შედეგს წლების განმავლობაში ვიმკით. მაგრამ, ეს ხომ გაუცნობიერებლად, დაუდევრობით ხდება?**

– დიახ, ასეა, ადამიანი არ უფიქრდება რა შეიძლება მოჰყვეს მის აჩქარებულ გადაწყვეტილებას, ემოციურ ფონზე გადადგმულ ნაბიჯებს და, შეცდომას რომ დაუშვებს, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს წუწუნს. არადა, ჩვენი აზრიც კი გარკვეული ენერგიაა. გვინდა თუ არა, აზრები ქმნის ენერგეტიკას, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ მატერიალურ სამყაროში რეალიზდება. დარწმუნებული ვარ, ამას ბევრი თქვენგანი არ აქცევს ყურადღებას. აზრობრივი ენერგია ადამიანისთვის ძალიან საშიში და დამანგრეველიც კი შეიძლება გახდეს. როცა ერთ ადამიანს მეორე ადამიანის შურს და ეჭვის თვალით უყურებს მის ნებისმიერ სიტყვასა თუ საქციელს, ამით უდიდეს ზიანს აყენებს მის ენერგიას და, ზოგადად, წარმატებას. ამ დროს იქმნება გარკვეული აზრობრივი ენერგეტიკა, რომელიც შურის ობიექტს პრობლემებს უქმნის. შური ძალიან ცუდი თვისებაა. ამიტომ, თუ გსურთ, არ ავნოთ არც სხვას და არც საკუთარ თავს, არასდროს არავისი შეგშურდეთ.



**– გამოდის, რომ შური წყევლაზე საშიში ყოფილა?**

– შური და წყევლა განსხვავებული ქმედებებია, თუმცა, ორივეს შედეგები სავალალოა. ადამიანი შურის დროს ქმნის უარყოფით აზრ-ფორმას და კონკრეტულ ობიექტს ცუდს უსურვებს, რაც შემდეგში აუცილებლად უარყოფითად იმუშავებს მასზე. წყევლის დროს კი ხდება ძალიან დიდი, დამანგრეველი ენერგიის გადინება ადამიანის ორგანიზმიდან. ამ მომენტში ადამიანი გარკვეულ დონეზე სასიცოცხლო ენერგიასაც კი ხარჯავს და მისი აღდგენა, შესაძლოა, ველარც კი მოახერხოს. ამიტომ, გირჩევთ, სანამ ვინმეს დაწყევლით, მანამდე კარგად დაფიქრდით.

**– თუ ადამიანი გულით არ იწყევლება?**

– არ მესმის, რომ ამბობენ, გულით არ ვიწყევლებიო. იმ მომენტში აზრის დონეზე ხომ უსურვებს ცუდს მეორე ადამიანს და ხომ უქმნის მას საფრთხეს?! ამიტომ, წყევლის გამართლება, რომ ამას გულით არ აკეთებთ, აბსურდია.

**– პირად საუბარში ახსენეთ, აზრის მაგიას შეუძლია ადამიანისთვის წარმატების მოტანაო. ეს რას ნიშნავს?**

– გაიხსენეთ და დაფიქრდით, რომელ პერიოდში იყავით ყველაზე წარმატებული, როდის გამოგდიოდათ საქმე იოლად, მოკლედ, გააკეთეთ ორიენტაცია ასეთ მომენტებზე, შემდეგ დახუჭეთ თვალები და დაფიქრდით, წარმოიდგინეთ ყველაზე წარმატებული წუთები და გაიხსენეთ, რა გეცვათ ან გეკეთათ და ვინ იყო თქვენ გვერდით იმ მომენტში, როცა თავს ბედნიერად გრძნობდით. ქვეცნობიერ დონეზე ხელახლა გამოიწვიეთ ეს შეგრძნებები და, დამიჯერეთ, ამ დროს თქვენი ცხოვრების წარმატების არხი აუცილებლად გაიხსნება. ამ ემოციის ფონზე განვითარებული აზრი მაგიურ თვისებებს იძენს და აუცილებლად თქვენს სასიკეთოდ იმოქმედებს.

**– ესე იგი, ადამიანმა წარმატებული დღეები ხშირად უნდა გაიხსენოს და ამ ასოციაციის ფონზე გახსნას თავისი ბედნიერების არხი?**

– სწორედ, ასეა! რაც მეტად გაიხსენებთ ასეთ წარმატებულ დღეებს აზრის დონეზე, მით მეტად გაგიმართლებთ მომავალში. მეტად წარმატებულ ადამიანებს კი ეს ბედნიერების არხი დაბადებიდან აქვთ გახსნილი და ნაკლები ძალისხმევით შეუძლიათ დიდი წარმატების მიღწევა. აზრობრივი მაგია ჩვენს ენერგიაზეა დამყარებული – ამ დროს ადამიანი საკუთარ ენერგიას გაიღებს და არა სხვისას. ამიტომ, სწორად დახარჯული ეს ენერგია ცხოვრებაში მეტ წარმატებას მოგიტანთ იღბლის ხაზით. გონებაში ადამია-

## წყევლის გამართლება, რომ ამას გულით არ აკეთებთ, აბსურდია

ნისთვის ცუდის სურვილი ან წყევლა ერთგვარი აზრობრივი მაგიაა და განსაკუთრებით საშიში ძალა აქვს. მაგალითად, ახალ მთვარეზე წყევლა ან ვინმესთვის თუნდაც აზრის დონეზე ცუდის სურვილი განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან ამ დროს ნებისმიერი აზრი კოლოსალურ ძალას იძენს. ამ დღეებში განსაკუთრებით ადვილია მისი ახდენა კონკრეტულ ადამიანზე. ამ დროს გააქტიურებულია როგორც კეთილი, ასევე, ბოროტი ძალები და, თუნდაც გაფიქრებულმა ერთმა ცუდმა აზრმა, შესაძლოა, ადამიანის ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალოს. ეს ენერგეტიკულად ცუდი ფონი კი სწორედ ახალ მთვარეზე აღწევს პიკს. მაგალითად, როცა მშობელი წყევლის შვილს, ამ მომენტში ირგვლივ იქმნება გაღიზიანების ენერგიით გაჯერებული ველი და ხდება ნეგატიური ენერგიის დიდი დოზით გამოფრქვევა. აზრის დონეზეც კი არ შექმნათ ასეთი ნეგატიური ველი, თუ გსურთ, რომ რაიმე საფრთხე არ დაემუქროს თქვენს საყვარელ ადამიანებს. აქვე, გეტყვით, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძალით იუბედურებენ თავს ბედსა და ცხოვრებაზე წუწუნითა და მოთქმა-ვიშით, ადრე კარგად ვცხოვრობდი, ხელი მემართებოდა, წარმატებული ვიყავი და ახლა ცუდ დღეში ვარ, დასწყევლოს ღმერთმა ასეთი ცხოვრებაო. ამას ამბობენ და, არც კი იციან, როგორ საფრთხეს იქმნიან. თუ არ შეწყვიტეთ ბედის სამდურავი სიტყვების წარმოთქმა, წინ ვერ წახვალთ და ვერც წარმატებას მიაღწევთ, უკან კი ნამდვილად დაიხევთ ცხოვრებაში. საერთოდ, ოპტიმისტი ადამიანები აზრის მაგიის დონეზეც კი ძალიან წარმატებულები არიან.

**– პარაფსიქოლოგებისგან გამიგია, რომ სურვილის დონეზე, ასოციაციით გამოწვეული წარმატება საკმაოდ პოზიტიურად მოქმედებს ადამიანის ბედზე.**

– დიახ, ეს კიდევ ერთი წესია, რომელიც წარმატებას გიქადით; ეს არის ასოციაციით გამოწვეული წარმატება სურვილის დონეზე. მთავარია, სურვილი წარმოიდგინოთ, შემდეგ აზრის დონეზე გამოიწვიეთ მისი ასოციაცია და სურვილის რეალიზება რეალურ ცხოვრებაში ნამდვილად მოხდება. უნდა იყოთ ოპტიმისტები და გჯეროდეთ უკეთესი მომავლის. დეპრესიული ადამიანები კი თვითონ ქმნიან უარყოფითი ენერგიის ველს თავის გარშემო და სხვებსაც საფრთხეს უქმნიან წარმატების კუთხით. თუ დეპრესიული ადამიანის გარემოცვაში მოგიწიათ ყოფნა, მისი ასოციაციები და ემოციები თქვენ ირგვლივაც შექმნის უარყოფით ენერგეტიკას, ეს კი, ცხადია, თქვენც დაგაზარალებთ. ერთ ადამიანს ვიცნობ, რომელიც ხშირად წუწუნებდა თავისი ბედის გამო. მან ვერც წინ წაიწია ცხოვრებაში და მეგობრებიც ჩამოშორდნენ – ველარ გაუძლეს მის მოთქმა-გოდებას. არაერთხელ დავარიგე, მაგრამ, არ გაითვალისწინა ჩემი რჩევა. იმ მეგობარსაც, რომელმაც მთხოვა, მესწავლებინა, როგორ მიეღწია წარმატებისთვის და თავი დაეღწია უიღბლობისთვის, იგივე წესები ვასწავლე. იმუშავა საკუთარ თავზე და, არცთუ დიდ დროში საკმაოდ წარმატებულიც გახდა, პირადი ცხოვრებაც აიწყო და სამსახურშიც მეტად დააფასეს. ამიტომ, იფიქრეთ მხოლოდ კარგზე, არავინ დაწყევლოთ, არავისი შეგშურდეთ და, დამერწმუნეთ, ყველაფერი გამოგივათ ამ რთულ ცხოვრებაშიც კი.

**ნონა დათეშიძე**

# ლებრონ ჯეიმსი – პირველი შავკანიანი „ვოგის“ ყდაზე

მხოლოდ ლებრონ ჯეიმსმა, მისი კერპის, მაიკლ ჯორდანის მსგავსად, შეძლო ერთ სეზონში მოეგო: NBA-ის ჩემპიონის ტიტული, ოლიმპიური თამაშების ოქრო, MVP-ის სეზონისა და MVP-ის ფინალური სერიის წოდებები.




ლებრონი დღეს არა მარტო მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელია, არამედ კალათბურთის ისტორიის საუკეთესო მცოდნეც. ის პირველი შავკანიანია, რომელიც ჟურნალ „ვოგის“ ყდაზე დაბეჭდეს. ტვიტერზე ლებრონს 9 მილიონი ფოლოვერი ჰყავს.

ბავშვობაში მას პრობლემები ჰქონდა მხედველობასთან დაკავშირებით, თუმცა მოგვიანებით, ლაზერული კერატომილეზის ოპერაციის შემდეგ, ყველაფერი მოგვარდა.

ლებრონი წერს და ჭამს მარცხენა ხელით, ბურთს კი მარჯვენათი ისვრის.

კალათბურთს 8 წლის ასაკში ეზიარა.

სკოლის პერიოდში სპორტულმა მაღაზიამ ჯეიმსს NBA-ის ორი 845 დოლარად ღირებული რეტრომაისური აჩუქა. მან კი, თავის მხრივ, ნება დართო, მისი სახე სარეკლამო პოსტებში გამოეყენებინათ. სკოლის სპორტულმა ასოციაციამ ის გუნდს ჩამოაშორა და ლებრონი მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუბრუნდა კალათბურთს. მაშინ იმ მატჩებზე, რომელშიც ლებრონი მონაწილეობდა, ბილეთი 100-120 დოლარი ღირდა.

მეათე კლასში Adidas ABCD Camp-ში Nike-ში გამოწყობილი მონაწილეობდა, Nike All-american Camp-ში კი – Adidas ეცვა.

როდესაც ჯეიმსი 198 სანტიმეტრამდე გაიზარდა, თავისი ბავშვობის კერპის, მაიკლ ჯორდანის სიმაღლემდე, შემდეგ უკვე მან უარი თქვა სიმაღლის გაზომვაზე. ოფიციალურად, მისი სიმაღლე 206 სანტიმეტრია, წონა 111 კილოგრამი, სიმაღლეზე ნახტომი – 111 სანტიმეტრი, ვინგსპენი – 214, სხეულში კი 5 პროცენტი ცხიმი აქვს.

ჯეიმსი მულტსერიალ „სიმპსონების“ ფანია. როდესაც მას შესთავაზეს, მონაწილეობა მიეღო ეპიზოდის შექმნაში, სიხარულით დათანხმდა. თავადაც გაახმოვანა. ეს მიწვევა მან დიდ დაფასებად ჩათვალა.

ლებრონს არ უყვარს კითხვა, მაგრამ დაწერა წიგნი – „მეტეორიტები“, სადაც იმ ზეწოლაზე მოგვითხრობს, რაც მან კარიერის დასაწყისში განიცადა – გადატვირთული ტრიბუნები, ჟურნალისტების მაქსიმალური ყურადღება, ცდუნებები...

მატჩებსა და ვარჯიშებზე ჯეიმსი ველოსიპედით დადის. ის ველოსიპედების მწარმოებელი კომპანიის, Cannondale-ის თანამფლობელია.

ლებრონს NBA-ში ჯერ კიდევ არ ჰქონდა არცერთი წუთი ნათამაშევი, როდესაც 90-მილიონიანი ხელშეკრულება დადო Nike-თან. 2013 წელს კი ლებრონი მეორე ადგილზე იყო ამერიკის ყველაზე მდიდარ სპორტსმენებს შორის – სეზონზე მისმა შემოსავალმა 66,5 მილიონი დოლარი შეადგინა, აქედან – 17,5 მილიონი ხელფასის სახით, 39 მილიონი კი კონტრაქტებით მიიღო სპონსორებისგან.

ლებრონმა 2,5 მილიონი დოლარი ქველმოქმედებას მოახმარა, 20 ათასი დოლარი ობამას წინასაარჩევნო კამპანიას შესწირა.

ჯეიმსი კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა, სადაც ტატუირებას ალმაცერად უყურებდნენ. ამიტომ, ის თავის პირველ, – ლომის გამოსახულების ტატუს მარჯვენა ხელზე, მალავდა. მეორე ტატუ მან ზურგზე მაშინ დაიხატა, როდესაც Sports Illustrated-ის საიუბილეო გამოშვების ყდაზე დაბეჭდეს სათაურით – „რჩეულები“. ახლა კი მარცხენა ხელზე თავისი პირველი შვილის, ჯეიმს-უმცროსის სახე აქვს ამოსვირინგებული.



# ნილ პატრიკ ჰარისი: „კმაყოფილი ვარ გეის ცხოვრების წესით“

ამერიკის კინოაკადემიის პრემიით – „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიალს წელს ნილ პატრიკ ჰარისი გაუძღვა.



ამერიკელი მსახიობი, მომღერალი და ილუზიონისტი, მაგიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნილ ჰარისი დაიბადა ნიუ-მექსიკოს შტატში. მამა ადვოკატი იყო, დედა – მწერალი. მსახიობობა მეოთხე კლასიდან, სკოლის თეატრში დაიწყო. 15 წლისა უკვე ფილმებში გადაიღეს. „კლარას გული“ – ასე ერქვა ფილმს, რომელშიც ნილი თამაშობდა, მთავარი როლი კი ვუპი გოლდბერგმა შეასრულა. ფილმმა „ოქროს გლობუსი“ მიიღო. 16 წლის ნილ ჰარისი უკვე მთავარი როლის შესასრულებლად მიიწვიეს სერიალში „დუგლი ნოუსერი – მედიცინის დოქტორი“; ამას მოჰყვა როლები ფილმებსა და სერიალებში – სერიული მკვლელებიდან – კომიკურის ჩათვლით. ნილმა ერთ-ერთ ფილმში საკუთარი პაროდიაც კი ითამაშა; გაახმოვანა მულტფილმები, მათ შორის – „პინგვინები მადაგასკარიდან“. იგი ცნობილი გახდა სერიალით „როგორ შევხვდი თქვენს დედას“. ყველაზე ნაყოფიერი კი გამოდგა ფილმი „გამქრალები“, რომელსაც უამრავი პრემია მიენიჭა. ნილ ჰარისი არის „ოქროს გლობუსის“ ნომინანტი და „ტონისა“ და „ემის“ პრემიების ლაურეატი. 2011 წელს მას ჰოლივუდის ვარსკვლავთა ხეივანში ვარსკვლავი გაუხსნეს. 2015 წელს ნილის ნახვა მაყურებელს შეეძლება სერიალ „საშინელებათა ამერიკული ისტორიის“ მეოთხე სეზონში.



ნილმა 2006 წელს ღიად განაცხადა, რომ გეია. „ამაყი ვარ, რომ შემიძლია, ვთქვა: მე სრულიად კმაყოფილი ვარ გეის ცხოვრების წესით და უდიდეს კმაყოფილებას განვიცდი, რომ წილად მერგო, მემუშავა შესანიშნავ ადამიანებთან იმ საერთო საქმეზე, რომელიც მიყვარს“... მისი პარტნიორია მსახიობი დევიდ ბარტკა, რომელმაც ეპიზოდური როლი შეასრულა სერიალში „როგორ შევხვდი თქვენს დედას“. 2010 წლის 12 ოქტომბერს დაიბადნენ ტყუპები – გოგონა და ვაჟი, რომლებსაც წყვილი სუროგატი დედისგან ელოდა. 2011 წლის 24 ივნისის კი, ერთსქესიანი ქორწინების კანონის მიღების შემდეგ, ნიუ-იორკში მათი ჯვრისწერაც გაიმართა. 2014 წლის პირველივე დასვენების დღეებში წყვილმა ეს ურთიერთობა უკვე ოფიციალურად იტალიაში დააკანონა და ორივე მოვლენაზე ინფორმაცია ნილმა ტვიტერზეც დადო.

გვერდი მოამზადა ლაშა გაბელიამ



# არის თუ არა ბედნიერი პირად ცხოვრებაში ძლიერი ქალი, როცა კაცს თავის სისუსტეებს არ უჩვენებს

**საჭიროა თუ არა, ქალი ძლიერი იყოს?! საჭიროა კი არა, აუცილებელია – თანამედროვეობა ხომ თამაშის მკაცრ წესებს გვიყენებს. დიახ, ქალი ჭეშმარიტად ძალიან ძლიერი უნდა იყოს, რადგან, სერიოზული ბრძოლების გადატანა უწევს, მან ჩვეულებრივად უნდა მოიპოვოს ადგილი ამ სამყაროში და გადაირჩინოს თავი. რაც ნაკლებად იქნება ის დამოკიდებული სხვაზე, თუნდაც ძალიან საყვარელ მამაკაცზე, მით უფრო თავისუფალი იქნება ის. თუმცა, ქალმა აუცილებლად უნდა იცოდეს ისიც, რომ ზოგჯერ თავისი ძლიერი მხარეების დამალვაც მოუწევს...**

**ლენა *(41 წლის):*** ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვუმტკიცებდი საკუთარ თავს: „მე ძლიერი ვარ, ძალიან ძლიერი... მე ყველაფერი შემიძლია"... მკითხავთ, რატომო და პასუხიც ბევრისთვის ნაცნობი იქნება – არ მქონდა ადვილი, დალხენილი ცხოვრება; ლანგარზე დადებული არაფერი მოურთმევიათ ჩემთვის. ადრევე მივხვდი, რომ მარტოს უნდა მიმეღო გადაწყვეტილებები და მარტოს მეომა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შეძლებულ ოჯახში გავიზარდე, არაფერი მომკლებია და არც არაფერზე მიზრუნია, საკმაოდ სწორი ხედვა ჩამომიყალიბდა, ცხოვრებასთან მიმართებაში. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მამაკაცებთან ურთიერთობა ვისწავლე.

**– რას გულისხმობთ?**

– ძალიან ბევრ რამეს. ზოგი ქალი ინტუიციით გრძნობს მამაკაცს და თავის ჭკუაზე ატრიალებს. ასეთ ქალებს კარგი მსახიობური ნიჭი აქვთ.

**– ეს ცუდია?**

– არა, პირიქით, კარგია. მაგრამ მე არ მაქვს ეს ნიჭი – ის ვარ, რაც ვარ და ამით ცხოვრებაში ვერაფერი მივიღე. იყო პერიოდი, როცა მხოლოდ სიამოვნებას ვიღებდი იმით, რომ ვიყავი მამაკაცებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი როგორც მორალურად, ისე მატერიალურად. მაშინ მიმაჩნდა, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

**– ეჭვი რატომღა შეგეპარათ?**

– გარკვეული გარემოებების გამო. ადვილი არ ყოფილა დამოუკიდებლობის მოპოვება და ძლიერი ქალის როლში ყოფნა. ეს ყველაფერი ნელ-ნელა მოვიდა. რომელ ქალს არ უნდა, რომ მასზე ზრუნავდნენ და ყვავილივით უვლიდნენ?! სულელი უნდა იყო, რომ ამაზე უარი თქვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა ისეთი მამაკაცი, რომელსაც ბოლომდე დაეყრდნობი და ენდობი. მამაკაცების რეპუტაცია საკმაოდ შერყეულია. იმდენი ცუდი მაგალითი მქონია, არც მიფიქრია, მაღალი ნდობა მქონოდა იმ კაცის მიმართ, ვისაც ცხოვრებას დავუკავშირებდი.

**– წინასწარ შეიქმენით განწყობა, რომ მამაკაცს არ უნდა მინდობოდით?**

– შეიძლება, ასეც ითქვას. მშობლები კი ძალიან მანებივრებდნენ, მაგრამ, იმასაც მასწავლიდნენ, რომ ცხოვრებაში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა მქონოდა. მათ ჩემზე მეტი ინფორმაციაც ჰქონდათ და ჩემზე მეტი გამოცდილებაც და ამიტომ ცდილობდნენ ჩემს დაცვას მომავალი იმედგაცრუებებისგან. ძლიერ ქალს რომ ძნელად ჩაგრავენ მამაკაცები, ესეც ხომ ფაქტია?! ვერ გავიმეტებდი საკუთარ თავს ვიღაცის მონობისთვის. მამაკაცების ძალიან დიდ უმრავლესობას მოსწონს და უნდა მბრძანებლობა. თუ ოდნავი საშუალება მიეცი ამისა, შანსს აუცილებლად გამოიყენებს.

**– გათხოვებამდეც ასე ფიქრობდით?**

– მეტ-ნაკლებად. 33 წლის გავთხოვდი. გავაჩინე ორი შვილი და უარს არ ვიტყოდი, ოჯახზე მთელი პასუხისმგებლობა ჩემს ქმარს რომ აეღო. რატომაც არა. თუმცა, ისიც ვიცოდი, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ყველაფერს – ჩემი ქმრის ერთპიროვნულ მბრძანებლად ჩამოყალიბება... არც შევმცდარვარ. ერთ დღეს ჩემმა ქმარმა გამომიცხადა, რომ სხვასთან მიდის.

**– ეს მოულოდნელი იყო თქვენთვის?**

– გაგიკვირდებათ, მაგრამ არა. ზედმეტად ემოციური და რომანტიკული არ ვარ. არც ღრუბლებში დავფრინავ. ყოველთვის ვიცოდი, რომ მამაკაცების უმრავლესობა სწორედ ასე იქცევა და ამიტომ არ გამოვრიცხავდი ჩემი ქმრის შემთხვევაშიც იმავეს. მაგრამ ქმარს მაინც ვუთხარი – როგორ შეგიძლია, ეს ასე მშვიდად მითხრა-მეთქი. შენ კი როგორ შეგიძლია, ისტერიკის გარეშე მომისმინოო. ანუ, უნდოდა, გადარეულს მეყვირა და მეტირა, წარმოგიდგენიათ?! ეგრევე აზრზე მომიყვანა ამ შოკურმა თერაპიამ. საკუთარ თავს ვუთხარი, ჩემს ქმარს იმ სიამოვნებას არ მივანიჭებ, რომ გატეხილი, დაჩაგრული მნახოს-მეთქი...

**– არცერთხელ არ გიტირიათ?**

– ჩემთვის როგორ არ მიტირია, მაგრამ, არავისთვის მიჩვენებია, არც უახლოესი მეგობრებისთვის. ამით არ ვამაყობ, უბრალოდ, გეუბნებით. რა საჭირო იყო, რას გამიკეთებდნენ ისინი, ჩემი მეგობრები – მხოლოდ შემიცოდებდნენ, ხომ ასეა?! ჩემი პრობლემა მაინც ჩემი გადასაჭრელი იყო. ზოგადად, ყველა თავად აგვარებს საკუთარ პრობლემებს და წუწუნი ამაში მხოლოდ ხელს გვიშლის. რაც მეტს შეგიცოდებენ, მით უფრო შეიცოდებ საკუთარ თავს. დაელოდები მხსნელს, ვიღაც გადამრჩენელს; ჩამოუშვებ ხელებს და დეპრესიამდეც ერთი ნაბიჯი დაგრჩება. მე ეს არ მინდოდა, მით უმეტეს – მარტოდ დარჩენილს. თან, შვილებზეც უნდა მეზრუნა. ძალიან სწრაფად, მყარად უნდა დავმდგარიყავი ფეხზე. მგონი, საღად ვმსჯელობ. წუწუნი, ტირილი და თავის შეცოდება ფუფუნებაა და მე ამ ფუფუნების უფლებას ვერ მივცემდი საკუთარ თავს. გესმით, ხომ, ჩემი? ჰოდა, მომაწებეს კიდეც ძლიერი ქალის იარლიყი.

**ვერ გავიმეტებდი საკუთარ თავს ვიღაცის მონობისთვის. მამაკაცების უმრავლესობას მოსწონს და უნდა მბრძანებლობა**

**– ანუ, ძლიერი ქალები ბედნიერები არ არიან?**

– მე ვიტყოდი, ნაკლებად. შეიძლება, სხვას სხვა აზრი აქვს, მაგრამ, კაცთან ურთიერთობაში სისუსტით შენიღბული ძლიერების ჩვენებაა აუცილებელი. თუმცა, მე არ ვიცი, ეს როგორ უნდა გაკეთდეს. არასოდეს გამომდიოდა და, ალბათ, არც არასდროს გამომივა.

**– ფიქრობდით იმაზე, რომ სწორედ ამ სიძლიერებით დაიბრუნებდით ქმარს?**

– არა, არანაირად, იმიტომ რომ მითხრა, შენ ქმარი აშკარად არაფერში გჭირდება, მცდელობაც კი არ გქონია ჩემი შეჩერებისო. თითქოს, კისერზე რომ ჩამოვკიდებოდი, დარჩებოდა. უბრალოდ, შეურაცხყოფილი დარჩა, ასე ვთქვათ, „გაუტყდა", რომ მისთვის არ ვიბრძოლე, ის ვიღაც ქალი არ ვათრიე თმით და ასე შემდეგ.

**– ხომ არ ნანობთ, რომ სწორედ ასე არ მოიქეცით?**

– არა, მაგრამ, მაინტერესებს, როგორ მოიქცეოდა ჩემი ქმარი ასეთ შემთხვევაში. მითხრა, შენი სიხისტითა და ძლიერებით შიშსაც კი იწვევ ჩემში. რომ დამენახა შენი უსუსურობა, იქნებ, კარის გახურვა ვერც კი მომეხერხებინაო. და, რა, ასე სიბრალულ-შეცოდებაში მეცხოვრა? მცოდნოდა ის, რომ, ქმარი, ამიტომ არის ჩემთან, რომ ვებრალები? შეიძლება, მე ახლა ბედნიერი არ ვარ, მაგრამ, მაშინაც არ ვიქნებოდი ბედნიერი. ჩემი ქმრის ფრაზებს ეტყობოდა, რომ სხვანაირი ქალის გვერდით უნდოდა ცხოვრება, ისეთის, მუდმივად ქმრების ნივთებში, მობილურში რომ იქექებიან – არიქა, რამე ვიპოვოო. მითხრა, ვერც კი შეამჩნიე, საყვარელი რომ მყავდა, იმდენად არ გაინტერესებდა ჩვენი ურთიერთობაო. იმას ვერ მიხვდა, რომ მიყვარდა და ვენდობოდი. მითხარით, რაში მჭირდებოდა ასეთი მამაკაცი, ან ახლა რაში მჭირდება?

**– ისევ ქმართან ხართ? ამის თქმა გინდათ?**

– ზუსტად სამ კვირაში მობრუნდა უკან. შემოვუშვი, თუმცა, არ მისაუბრია მასთან და არც ურთიერთობა გამირკვევია. უბრალოდ, კარი გავუღე და შემოვიდა. უკვე ორი თვეა, ასე ვცხოვრობთ – ერთ სახლში, ოღონდ, ის თავისთვის არის, მე ჩემთვის. იმას კი უნდა, ყველაფერი ძველებურად იყოს, მაგრამ, მე არ შემიძლია. ვერ ვიქნები მოსულელო ქალი და ვერ ვითამაშებ გახარებული, ქმარზე გადარეული ცოლის როლს, გამორიცხულია.

**– თქვენი ძლიერება გიშლით ხელს ქმართან ურთიერთობაში?**

– შეიძლება, არ გამოვრიცხავ. მე ამაყი ვარ, მესმის საკუთარი თავის ფასი და ვერანაირი სიყვარულის გამო ვერ ვიქნები უთავმოყვარეო ჩვარი. ჩემი აზრით, სიყვარული არ არის უაზრო გრძნობა, პირიქით, საკმაოდ მაქვს გაცნობიერებული. მე სიყვარული ასე წარმომიდგენია – ორი თავისუფალი, ღირსეული, თანაბარუფლებიანი ადამიანის კავშირი.

**– ანუ, ქმარს არასოდეს აპატიებთ ღალატს?**

– პატიებაა უკვე, ჩვენთან რომ ცხოვრობს. მე სისუსტეში ვუთვლი იმას, რომ ჯერ წავიდა, მერე კი უკან დაბრუნდა – ასეთი კაცი საკუთარ თავს არ სცემს პატივს. ვნახოთ, რა მოხდება. შვილებს უნდათ და სჭირდებათ მამა, მისი ყოველდღიური ყურადღება, სიახლოვე და მე ამას ხელს ვერ და არ შევუშლი, თუმცა, არ ვიცი, ვაჩვენებ თუ არა იმ სისუსტეს, რომლის დანახვაც, შეიძლება, ჩემს ქმარს უნდა. ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ, მე მიჭირს ამის გაკეთება.

**დალი მიქელაძე**

## ალიარეთ შეცდომები

ამბობენ, რომ ჭეშმარიტი მამაკაცი ის არის, ვისაც შეუძლია შეცდომების აღიარება. თუმცა, ამის უნარი ყველას არ შესწევს იმ მარტივი მიზეზით, რომ უჭირს საკუთარი ამბიციის დათრგუნვა. ზოგადად, თუ ხარ ძლიერი (მამაკაცი კი ნამდვილად არის ძლიერი სქესი), დათმობა და სუსტის პატივისცემა უნდა შეგეძლოს, რადგან, მიტევებისა და შეცდომების აღიარების ნიჭი ძლიერთა ხვედრია. სუსტს შეცდომის აღიარების ისტერიული შიში აქვს. შეიძლება, მამაკაცი ვერ მიხვდეს, როდის და როგორ აწყენინა ქალს, მაგრამ, როცა ხედავს, რომ ის ნაწყენია, სასწრაფოდ უნდა აღიაროს ის შეცდომაც კი, რომელიც, შეიძლება, არც კი ჰქონდეს სრულად გაცნობიერებული.

რა დაშავდება იმით, თუკი მამაკაცი იტყვის, მართალი არ ვიყავიო?! პირიქით, ქალი ამას ჯეროვნად დაუფასებს, ანუ, აღიარებით არაფერს წააგებს, პირიქით, დივიდენდებსაც კი მიიღებს. კაცი, რომელიც ამას ხვდება, ქალებში ძალიან პოპულარულია.

მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელიც უფრთხილდება თავის ურთიერთობას ქალთან, სიტუაციის გარკვევას არ დაიწყებს – პირდაპირ აღიარეთ, მართალი არ ვიყავიო და პრობლემაც მოგვარდება. მერე, როცა მოუბოდიშებთ და ქალი დამშვიდდება, შეგიძლიათ, ფრთხილად გაარკვიოთ სიმართლე – ეს უკვე აღარ იქნება შესამჩნევი და მტკივნეული. მეორედ და მესამედ, როცა ქალი მართალი არ იქნება, ის აუცილებლად გამოტყდება ამაში, რადგან მისი ნდობა თქვენ უკვე მოიპოვეთ – ის მშვიდად არის და იცის, რომ არ დაჩაგრავთ! ანუ, თამამად აღიარეთ შეცდომები, მამაკაცებო!

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ველარ ვახერხებ ქმართან ნორმალურ თანაცხოვრებას იმ ღალატის შემდეგ, რაც მან ჩაიდინა. წყენამ ვერაფრით გამიარა. თუმცა, ვაპატიე და მეგონა, რომ შევძლებდი ყველაფრის დავიწყებას. მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ გვერდით სრულიად უცხო ადამიანი მყავს, რომლის მიმართაც გრძნობა აღარ გამაჩნია. ღირს მასთან ცხოვრების გაგრძელება მხოლოდ იმიტომ, რომ მქონდეს ოჯახი და ჩემს შვილს გვერდით მამა ჰყავდეს?**

**გამოხმაურება:** მაინც ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. ახლა კი ფიქრობთ ასე, მაგრამ შეიძლება, ხვალ სულ სხვა აზრზე იყოთ. ამიტომ მიეცით დრო მასაც და საკუთარ თავსაც. რაღაც პერიოდი აუცილებლად დაგჭირდებათ, რომ ქმრის მიმართ ხელახლა გაგიჩნდეთ ნდობა.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

## ახალი ცხოვრება...

ყოველთვის შეგიძლიათ, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან, ანუ ხელახლა დაიწყოთ. საჭიროა მხოლოდ სურვილი და ცოდნა – როგორ გააკეთო ეს სწორად.

უპირველესად, დაფიქრდით, რა რესურსს ფლობთ. შეაქეთ საკუთარი თავი იმისთვის, რაც აქამდე გაგიკეთებიათ. შეიძლება, ყველაფერი კარგად არ გამოგდიოდათ, მაგრამ, შეცდომები მოსდის ყველას – ამისგან თავს ვერავინ იზღვევს და გამონაკლისი არც თქვენ ხართ! რატომ უნდა შეიცოდოთ ან შეიძულოთ საკუთარი თავი.

ამოარჩიეთ მთავარი პრიორიტეტები ცხოვრებაში და დაიწყეთ აქედან.

სწორად დაისახეთ მიზანიც. ნუ მოინდომებთ ერთბაშად, ნელ-ნელა, ეტაპობრივად მიჰყევით. ჰკითხეთ საკუთარ თავს – რისთვის გჭირდებათ ცვლილებები და კონკრეტულად, რისი შეცვლაა მნიშვნელოვანი და აუცილებელი. შედეგებზეც უნდა იფიქროთ – ხომ არ ექნება მას „უკუჩვენებები"?! – იყავით მზად იმისთვისაც, რომ ცვლილებებს მხოლოდ პოზიტივი არ მოაქვს. რით არ მოგწონთ ის ცხოვრება, რომელიც ახლა გაქვთ?!

შეეცადეთ, იპოვოთ ის კონკრეტული მიზეზი, რომელმაც ხელი შეგიშალათ მიზნის მიღწევასა თუ ცხოვრების უკეთესად წარმართვაში.

მიეცით საკუთარ თავს დრო გონზე მოსვლისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ ცოტა რამ მაინც უნდა გააკეთოთ პირადი სიამოვნებისთვის, მაგალითად, რამდენიმე დღე იცხოვრეთ ისე, რომ მოეშვათ და დაისვენოთ – მინიმუმ 1-2 კვირა მაინც არის ხოლმე საჭირო ამისთვის.

ზოგადად, მოტივაცია ძალიან მნიშვნელოვანია და, ეს, ფაქტობრივად, საქმის ნახევარია. ხელს შეგიშლით დანაშაულის განცდა და თვითგვემა. ამიტომ, აი, საიდან უნდა დაიწყოთ – საკუთარი თავის დაფასებიდან!

## შენ ის მიყვარს...

სასიყვარულო სამკუთხედი საკმაოდ ხშირია – შენ ის გიყვარს, მაგრამ, არსებობს კიდევ მესამე, რომელიც თქვენ შორის დგას, ეს კი, არჩევნის გაკეთებას ვერ ახერხებს, ვერ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რითაც ანწვალებთ თქვენც, საკუთარ თავსაც და იმასაც... გადის დღეები, თვეები, მან კი მაინც არ იცის, რომელი უფრო ძვირფასი და ახლობელია მისთვის. ცხოვრება სერიალს ემსგავსება და მხოლოდ ბოლოს ხვდები, რომ გამოსავალი თავად უნდა იპოვო, თუნდაც ტკივილის ფასად. რეალურ ცხოვრებაში სასიყვარულო სამკუთხედში ყოფნა ნებისმიერი ადამიანისთვის არასასურველია და შოკის მომგვრელი. რა არის მთავარი? არ დაკარგოთ საკუთარი თავი თქვენს სიყვარულში, თორემ, თქვენი შანსი ამით რამდენადმე შემცირდება და, კიდევ უარესიც – მთლიანად მამაკაცის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდებით. თუ მართლა გინდათ მასთან ყოფნა და თქვენი სიყვარულის გადარჩენა, სიტუაცია თავად უნდა აიყვანოთ კონტროლზე. არ ეძებოთ დამნაშავე, მით უფრო – საკუთარ თავში. მართალია, გარკვეულწილად, თქვენი ბრალეულობაც იქნება ამაში, მაგრამ, ამის გამწვავება თქვენს სასარგებლოდ ნამდვილად არ იმუშავებს.

არ იყოთ სირაქლემას პოზაში – აზრი არა აქვს, ამით მხოლოდ გაღრმავდება კრიზისი და პრობლემა. ჰკითხეთ საკუთარ თავს და უპასუხეთ გულახდილად: რასთან შეგიძლიათ შეგუება, რათა რეალურად შეაფასოთ ის სიტუაცია, რაც გაქვთ... ყველაფერს კი აჯობებს, მონახოთ საკუთარ თავში ძალა და გამოეთიშოთ „სამკუთხედს", ნაცვლად იმისა, რომ ჯიუტად და უთავმოყვარეოდ იმეოროთ: „მე ის მიყვარს!"

## ცხოვრება ომში

ზოგჯერ მხოლოდ ცხოვრების ბოლოს აცნობიერებს ქალი, რომ ომის პირობებში უცხოვრია და ეს ომი თავის ყველაზე საყვარელ ადამიანთან ჰქონია. თუ ამაზე არ დაფიქრდები, შეიძლება, ვერც კი მიხვდე, ვერ გააცნობიერო...

გიყვარს, ნერვიულობ მასზე, განიცდი და გტკივა, ცრემლებს ღვრი, ღამეებს ათენებ, ცდილობ, გაიგო, რა უნდა მას – რა გაახარებს და გააბედნიერებს... ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ უნდა იცოდე დანამდვილებით, რას გრძნობს შენ მიმართ? ხდება ისე, რომ, გეუბნება, მიყვარხარო, მაგრამ, ქვეცნობიერში გრძნობ, რომ რაღაც ისე არ არის; ან, პირიქით – საერთოდ არ იღებს ხმას თავის გრძნობაზე... ერთი სიტყვით, რთულია, მამაკაცს გაუგო, ჩასწვდე მის გულისნადებს და ასე გვიწევს, მუდმივად ომში ცხოვრება, რომელიც ბოლოს ისე გვღლის და გვფიტავს, სიცოცხლე აღარ გვიხარია... ერთხელ უნდა სცადო და მისცე მამაკაცს საშუალება, გამოავლინოს თავისი ცუდი თვისებები, ოღონდ, მათი შედეგები საკუთარ თავზე იწვნიოს – ინერვიულოს და განიცადოს. შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი გაიგოთ საკუთარ პარტნიორზე, ამიტომ, ნუ შეუშლით ხელს, იყოს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია; მოეშვას და ბუნებრიობა თვალსაჩინო გახადოს. კიდევ ერთი რჩევა: ნუ ენდობით ისე, როგორც საკუთარ თავს, მით უმეტეს, რომ ბოლომდე საკუთარი თავის ნდობაც არ შეიძლება...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# რატომ იცინოდა ბერია მიხეილ ჯავახიშვილის ცემის დროს

***„ჩვენს ახალ თაობას ჰაერივით ესაჭიროება ერის პირუთვნელი ისტორია დღეს, როცა საბჭოური რეჟიმის დროს ნაცხოვრებ ბევრ ადამიანსაც კი ჰგონია, რომ სტალინმა უკანონობათა შესახებ არაფერი იცოდა, ბერიას კი საქართველოსთვის სიკეთე უნდოდა... სურათი, რომელიც კიდევ ერთხელ დაგვაბრუნებდა იმ საშინელ რეალობაში, ჩვენს თაობებს თანამდევ ცოდვად რომ გადმოჰყვა, დღემდე გვაფორიაქებს და გვაფრთხილებს – ვიბრძოლოთ იმისათვის, რათა არასდროს განმეორდეს ის სისხლიანი დრო...” – ამბობს მწერალი რევაზ კვერენჩხილაძე თავის წიგნში – „საბუთები ღაღადებენ,” რომელშიც საბჭოთა რეჟიმის დროს ნაწამებ ქართველ მწერლებზე, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვისა და დახვრეტის დეტალებზე მოგვითხრობს. მოვუსმინოთ მას, ეს უაღრესად საინტერესოა:***



„ლ. ბერიას 1937 წლის 15 მაისის მოხსენებაში მკაცრად გაკიცხული მწერლებიდან, პაოლო იაშვილის შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილის საბოლოო დამუშავების ჯერი დადგა. იგი ადრიდანვე ლანძღეს „კვაჭი კვაჭანტირაძისთვის” (ავანტიურისტული რომანიაო), „ჯაყოს ხიზნებისთვის” (კომუნისტების მაგინებლებს ბრიყვი ქართლელებიც დაემატნენო), „დამპატიჟესათვის” (ყალბი, საბჭოთა წყობილების ცილისმწამებლური მოთხრობა არისო) და სხვა ნაწარმოებებისთვისაც. ასე ძალადობდნენ მთელ ჭეშმარიტ ქართულ მწერლობაზე და ეს კარგად ჩანს უბის წიგნაკში მიხეილ ჯავახიშვილის 1924 წლის ჩანაწერიდან: „ლიბრეტოსაც კი მოსკოვი ამტკიცებს... ესაა, რომ, აქ მოსკოვის ნაცვლად საბჭოთა თბილისი იძლევა ნებართვას – რა დაიწეროს, რა დაიდგას...”



1937 წლის 8 ივნისს პრეზიდიუმის სხდომაზე მას ყველანაირი უბედურება დააბრალეს. ბესო ჟღენტი ბეჭდავს წერილს – „მოღალატური სიტყვა და საქმე”; შემდეგ მთელი ცხოვრება მოეწამლა ამაზე ფიქრით, თავს იმართლებდა – მაიძულესო. ეს არ არის სიმართლეს მოკლებული, რადგან, თვითონაც დასაჭერად ჰქონდა საქმე... ახლა ადვილია თქმა – ასე რატომ იქცეოდნენ, ხმას რატომ არ იღებდნენო... გულში ბევრი არ ეთანხმებოდა კომუნისტური ხელისუფლებისა და მისი შინსახკომის უსამართლობას და სისასტიკეს, მაგრამ, ხმის ამოღება სიკვდილს ნიშნავდა... იმდროინდელი ვითარების ერთგვარი გათვალისწინების შემდეგ გაეცანით ბესო ჟღენტის იმ წერილს (გთავაზობთ ნაწყვეტს): „...ის გარემოება, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენი სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების გარეწარი ხროვის მონაწილე აღმოჩნდა, უსაზღვრო ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველი საბჭოთა მწერლისა და მოქალაქის შეგნებაში... ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილს საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს მოღალატური და კონტრრევოლუციური „მოღვაწეობისა”... მან გაიხსენა თავისი დიდი ხნით მივიწყებული და უკუგდებული სამწერლო საშუალებანი და, მოინდომა, ლიტერატურულ ფრონტზე გაეშალა მუშათა კლასის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული „მუშაობა”...



ამხ. ბერიას სიტყვები: „არავის მივცემთ ნებას, მწერლის ან მხატვრის მაღალი წოდების ამოფარებით აკეთოს თავისი შავი საქმე ხალხის მტრებთან ერთად”.

დაპატიმრებიდან ორი დღის შემდეგ, 17 აგვისტოს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე კიდევ ერთხელ გაითახსირეს თავი. ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ... გარიცხვას ისეთი საშინელი მოთხოვნა დაუმატეს, მანამდე რომ არ გაუკეთებიათ: „მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი, გარიცხულ იქნეს მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული” – აი, ეს მოთხოვნა სამუდამო შავ ლაქად დააჩნდა მწერალთა კავშირს და იმ ხელისუფლებას, რომელმაც ეს შემოქმედებითი კავშირი აიძულა, ასეთი დადგენილება მიეღო...





მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგედიას გულისშემძვრელად გვისურათებს ბერიას ჯგუფის პროცესზე მთავარი სამხედრო პროკურორის, პოდპოლკოვნიკ ლობიშევის მიერ დაკითხული მიხეილ გიორგის ძე ნაცვლიშვილის ჩვენება: „1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ქართველი მწერალი მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი. მას ბრალად ედებოდა იატაკქვეშა ანტისაბჭოთა მუშაობა. პირველ დღეს ჯავახიშვილის დაკითხვა ჩაატარა ბერიამ, ქობულოვისა და საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსის, ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძის მონაწილეობით. ამ დაკითხვაზე ჯავახიშვილმა მისცა საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებები ან-





(მე-19 გვერდიდან)

**– შექსპირის იუბილესთან დაკავშირებით „ჰამლეტიც“ დააბრუნეთ, რომელიც დასაწყისშივე თქვენი წარმატების მიზეზი გახდა, არა?**

– შექსპირის „ჰამლეტი“ იყო ჩემი პირველი სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელთან“ ერთად. მე დავაბრუნე ეს სპექტაკლი შარშან. ისე, შექსპირის 11 სპექტაკლი მაქვს დადგმული. თვითონ შექსპირი იმდენად პოპულარულია ამერიკაშიც და მთელ მსოფლიოშიც, რომ გადავწყვიტე, გამეკეთებინა რამე განსხვავებული და ორიგინალური. დავდგი სპექტაკლი უტექსტოდ. გადაირივნენ, ისე მოეწონათ და მაშინვე აიტაცეს.

**– თქვენი შვილები თუ აგრძელებენ თქვენს გზას?**

– ჩემი ბიჭი დიდი ხანია, თეატრშია. 23 წლისაა და უკვე 18 სპექტაკლი აქვს ნათამაშები. ბავშვობიდან სცენაზე დგას ***(იცინის).*** მეორე გოგო მყავს, 13 წლის და ისიც უკვე იწყებს. თეატრში ცალკე მაქვს გაკეთებული თინეიჯერების ანსამბლი, სადაც ბავშვებს ვამზადებ და ვინც უკვე განვრთნილია, დასში გადმომყავს. ჩემი გოგო უკვე არის ჩართული.

**– თქვენ და თქვენი მეუღლე, სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც, ორი ხელოვანის ერთად ცხოვრება რთულია, ანგრევთ, არა?**

– კი, ჩვენ ეს სტერეოტიპი დავანგრიეთ. მე და ირინა რომ შევუღლდით, გვქონდა მიამიტური საუბარი და მე ირინას დავპირდი, რომ ერთ დღეს ამერიკაში გვექნებოდა ჩვენი თეატრი და მე მის გარშემო ავაწყობდი ყველაფერს. ასეც მოხდა ***(იცინის).*** თავიდან უცხო ქვეყანაში ძალიან რთული იყო. მერე ისე ინტენსიურად და სწრაფად განვითარდა ყველაფერი, ის ფაქტორი, რომ მე და ირინა ცოლ-ქმარი ვართ, მეორე პლანზე გადავიდა. ჩვენ ძალიან კარგად შეთამაშებული კოლეგები ვართ. მე ზედმიწევნით ვიცი მისი ხასიათი, მასზე უკეთესადაც კი.

# როგორ გახდნენ პაატა და ირინა ციქურიშვილები „ვაშინგტონის საპატიო მოქალაქეები“ და როგორ მოიპოვა მათმა შექმნილმა სინეტიკის თეატრმა წელს ვაშინგტონის „ოსკარად“ წოდებული „ჰელენ ჰეისის“ ოცდასამი ნომინაცია

ხშირად ვამბობთ, რომ ერთმანეთთან კი არა, ჩვენ თეატრთან ვართ შეუღლებულები. ასეც არის.

**– წეღან თქვით, რომ „სტუმარ-მასპინძელი“ დადგით. საინტერესოა, როგორ მიიღო ამერიკელმა მაყურებელმა ქართული თემატიკა?**

– გავრისკე, როცა „სტუმარ-მასპინძელი“ გავაკეთე. ხომ იცი, რომ იტყვიან, „ბუნებამ ამიტანა“. ვგრძნობდი, რომ გამოვიდოდა. ეს იყო 2001 წელი, როცა აქ ტერორისტული აქტი მოხდა და მაშინ გადავწყვიტე, როგორც არტისტს, ჩემი პროტესტი გამომეხატა რაც ხდებოდა იმის მიმართ და ამავე დროს, ვაჟას შედევრი შემეთავაზებინა ამერიკელებისთვის მუსლიმანურ-ქრიტიანულ-კავკასიური თემით. იმდენად ძლიერი გამოვიდა და ისეთი გამოხმაურება ჰქონდა, ხუთჯერ დავაბრუნე. პრესა წერდა, რომ ასეთი ამბავი შეიძლება, იყოს პაკისტანშიც და სხვა ცხელ წერტილებშიც. „ვაშინგტონ პოსტმა“ დაასახელა „ათწლეულის ხუთი საუკეთესო სპექტაკლი“ და ერთ-ერთი იყო „სტუმარ-მასპინძელი“. ამიტომაც ჩამოვიტანე საქართველოში, მინდოდა, ქართველებსაც ენახათ. კიდევ ჩამოვიდოდი საქართველოში დიდი სიამოვნებით, მაგრამ ამას დიდი ფინანსები სჭირდება.

**– დიდ წარმატებებს მიაღწიეთ, თუმცა, ალბათ, ამ გზაზე ბევრი დაბრკოლება შეგხვდათ, ყველაზე რთულად რომელი პერიოდი გახსენდებათ?**

– წარმატება თავისით არ მოდის. პირველი სირთულე აქაურობასთან შეგუება იყო. აქ ფილმებიდან მიღებული შთაბეჭდილებებით ჩამოდიხარ და გგონია, რომ დოლარები ხეებზე კიდია. თავიდან ეს ქვეყანა ძალიან თავისებური და უცხო აღმოჩნდა ჩემთვის. ვერ გავიგე, თეატრი როგორ ფუნქციონირებდა. ერთი წელიწადი გამოქცევაზე ვიყავი. მერე ნელ-ნელა გავაცნობიერე ყველაფერი და შევეჩვიე. გადავწყვიტე, სახეზე თეთრი ნიღაბი წამესვა და პანტომიმა მეთამაშა ბარებსა თუ სხვა ადგილებში. მერე სადღაც მიმიწვიეს, ვიღაც რეჟისორს შევხვდი და გადავწყვიტეთ, შეგვექმნა სტანისლავსკის თეატრი. როცა მე და ჩემს პარტნიორს შორის პირველი უთანხმოება მოხდა, მე ერთ რამეს მივხვდი, რომ ეს თეატრი კი კარგია, მაგრამ აქ ასეთი იმდენია, კონკურენციას ვერ გავუწევდით. მე მაინც სინთეზურ ხელოვნებაზე ვფიქრობდი და კონფლიქტი გვქონდა. ვუთხარი, შენ შენი სპექტაკლები გქონდეს და მე ცალკე გავაკეთებ-მეთქი. შევქმენი სინეტიკის თეატრი, სახელიც მე მოვიგონე. პირველი აღიარებისა და შვიდი ნომინაციის შემდეგ, იმდენად დაიბოღმა მეორე მხარე, რომ ზუსტად ერთ კვირაში მე და ირინა საკუთარი შექმნილი თეატრიდან გაგვაგდეს ***(იცინის).*** მე მაშინ არ ვიცოდი ადმინისტრაცია და აღმოვჩნდი ქუჩაში. ძალიან რთული პერიოდი იყო. მაგრამ, ამერიკა უნიკალური ქვეყანაა იმით, რომ აქ ყველაფერს თავად ხალხი ინახავს. ერთ-ერთი ქალბატონი დამიდგა გვერდში და დაგვასპონსორა, თორემ მე წამოსვლას ვაპირებდი. თქვა – მინდა ჩემს ქალაქს ვაჩუქო ასეთი თეატრი და მისი წყალობით, ფეხზე დავდექით. ის დღესაც ერთ-ერთი სპონსორია. რომ ჩამოვედი, ენა არ ვიცოდი და ესეც სირთულე იყო. ემიგრაციაში წასვლას რომ გადაწყვეტ, ენა უნდა ისწავლო ***(იცინის).***

**ქეთი კაპანაძე**

---

ტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ. მაშინვე მივმართე აბაშიძეს, რომელიც ჯავახიშვილის დაკითხვაში მონაწილეობდა და ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი? აბაშიძემ რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით მიპასუხა: ჩემთვის რომ ასე ეცემათ, მეც ვაღიარებდი, რომ სიამის ჯაშუში ვარო... ამის შემდეგ გამოვიძახე პატიმარი ჯავახიშვილი, რომელიც ორმა ვახტიორმა მოიყვანა, ვინაიდან მას დამოუკიდებლად სიარული არ შეეძლო. მარჯვენა ლოყაზე ყურის არე დალილავებული და გასიებული ჰქონდა. ჯავახიშვილის ცემის შესახებ აბაშიძემ მიამბო: ბერიას ბრძანებით, ყურში მუშტით ისეთი დარტყმა მივაყენე, რომ ჯავახიშვილი სკამიანად გაგორდა იატაკზე და გონება დაკარგა, ბერია კი იცინოდაო. შემდეგ ჯავახიშვილს წყალი ასხეს და გრძნობაზე მოიყვანეს, ხოლო ქობულოვს აბაშიძე გაუფრთხილებია, მეტი ჯავახიშვილს სახეში არ სცემოო. განმეორებითი ცემის შემდეგ, როგორც აბაშიძემ მითხრა, ჯავახიშვილი დათანხმდა, საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენება მიეცა... მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებები აშკარად გამონაგონი იყო, ჯავახიშვილმა ისინი არ უარყო ჩემ მიერ ჩატარებულ დაკითხვაზე და ერთი სიტყვაც არ გადაუკრავს, რომ ქობულოვისა და ბერიას მიერ დაკითხვისას სცემეს.“





ჯავახიშვილის დახვრეტის შემდეგ მალე დააპატიმრეს და დახვრიტეს საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძე, რომელიც ბერიასთან და ქობულოვთან ერთად მონაწილეობდა ჯავახიშვილის დაკითხვაში. რაში სდებდნენ ბრალს აბაშიძეს, არ ვიცი... ჩემი აზრი აბაშიძის დაპატიმრების შესახებ ასეთია: ის, ცხადია, დააპატიმრეს იმისათვის, რომ მრავალი თანამშრომლის თანდასწრებით ყვებოდა ჯავახიშვილის ცემის დეტალებს... სავსებით შესაძლებელია, რომელიმე თანამშრომელმა ამის შესახებ შეატყობინა ქობულოვს ან ბერიას და ეს შეიქნა ძირითადი მიზეზი მისი დაპატიმრებისა...

როგორც სასტიკმა შინსახკომელმა გაამჟღავნა, მიხეილ ჯავახიშვილის ცემისას ბერია იცინოდაო. მაგრამ, როგორც ირკვევა, ის არც პატიმრის, თანაც – ქალის, ცემას თაკილობდა – თურმე რეპრესირებულ პროლეტარულ მწერალთა ლიდერის, ბენიტო ბუაჩიძის ცოლს თვით ბერია სცემდა...“

**ეკა პატარაია**

# ეს საოცარი ბულგარული წიწაკა

სადაცაა, გაზაფხული მოგვადგება კარს და, ალბათ, ყველამ იცის, რომ წლის ულამაზეს პერიოდს ერთი ნაკლი აქვს – ამ სეზონზე ხილსა და ბოსტნეულში მინიმუმამდე მცირდება ვიტამინების შემცველობა, თუმცა, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ეს არ ეხება ბულგარულ წიწაკას; უფრო მეტიც, ის ვიტამინებს ინარჩუნებს ნებისმიერ „პოზიციაში": გაცხელების, გამოცხობის, მოხარშვის, შეწვის, მოშუშვის, გაყინვის, დამჟავებისა და დაკონსერვების დროსაც კი. ბულგარული წიწაკის ეს თავისებურება გამოწვეულია იმით, რომ მასში დაბალია იმ ფერმენტების აქტივობა, რომლებიც შლიან C ვიტამინს.



საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, მოტკბო გემოს მიუხედავად, ბულგარული წიწაკა სულაც არ არის ყველაზე მეტი შაქრის შემცველი ბოსტნეული; სამაგიეროდ, ის ჩემპიონია ყველა ხილსა და ბოსტნეულს შორის C ვიტამინის შემცველობით – 1 ცალი ბულგარული წიწაკა შეიცავს C ვიტამინის სადღეღამისო ნორმას, კაროტინოიდების (ცხიმის დაშლის უნარის მქონე A ვიტამინის) რაოდენობით კი ძალიან უახლოვდება სტაფილოს. სწორედ ამის გამო, სასურველია, ეს ბოსტნეული მიირთვათ ცოტა კარაქთან ერთად (ან მოამზადოთ კარაქით და არა ზეთით ან სხვა ცხიმით), რათა მისი სიმდიდრე მაქსიმალურად აითვისოს ორგანიზმმა და, მაშინ, გარდა წონაში დაკლებისა, მისი დადებითი თვისებებით კანიც ისარგებლებს – კარგი ტონუსი, ჯანმრთელი ფერი და ელასტიკურობა გარანტირებული გექნებათ.

ბულგარულ წიწაკას აღიარებენ დაბალნახშირწყლიანი დიეტების მომხრეები, რომლებიც კრძალავენ დიეტაში სტაფილოსა და კარტოფილის ჩართვას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თამამად გთავაზობთ დიეტას, რომლის უმთავრესი პერსონაჟიც ბულგარული წიწაკა იქნება. კერძების გასახალისებლად და კიდევ იმ მიზეზის გამო, რომ წითელი, მწვანე და ყვითელი წიწაკა ზოგიერთ მიკროელემენტს განსხვავებული რაოდენობით შეიცავს, შეგიძლიათ, სამივე გამოიყენოთ (ერთად ან ცალ-ცალკე).

დღის განმავლობაში უნდა მიირთვათ 1 კილოგრამამდე ბულგარული წიწაკა. კვების მრავალფეროვნებისთვის, სასურველია, ის წინასწარ, დიეტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, დაამწნილოთ ან ჩააწყოთ მარინადში.

გთავაზობთ დიეტის ერთი დღის ნიმუშს. შემდეგ დღეებში (დიეტა 5-დღიანია) უცვლელად დატოვეთ მხოლოდ ბულგარული წიწაკა, დანარჩენი კი, შეგიძლიათ, ჩაანაცვლოთ სხვა დიეტური პროდუქტებით.

**პირველი საუზმე** – 100 გრამი ხაჭო, 1 ცალი მოხარშული კვერცხი, უშაქრო მწვანე ჩაი ან ნალექიანი ყავა.

**მეორე საუზმე** – 1 პატარა კონა მწვანე სალათა, 2-3 ღერი მწვანე ხახვი, კამა, 2 ცალი ბულგარული წიწაკა (ყველაფერი დაჭრილი). 1 ჩაის ჭიქა უცხიმო მაწონი ან კეფირი.

**სადილი** – 200 გრამი მოხარშული ფილე (ან თევზი); გარნირი: 1 ცალი წითელი, 1 ცალი ყვითელი და 1 ცალი მწვანე ბულგარული წიწაკა (დამწნილებული ან მოშუშული) ხახვთან და ყველანაირ მწვანილთან ერთად; 1 ჭიქა ახალგამოწურული ხილის წვენი.

**სამხარი** – 100 გრამი უცხიმოდ მოხარშულ წიწიბურაში შეურიეთ 2 ცალი ოდნავ მოშუშული ან უმი ბულგარული წიწაკა, 1 პატარა თავი დაჭრილი ხახვი და ყველანაირი მწვანილი; 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი.

**ვახშამი** – ოდნავ მოთუთქული (ან უმი – თქვენი გემოვნების მიხედვით) 100 გრამი ყვავილოვანი კომბოსტო ან ბროკოლი, 2 ცალი (ნებისმიერი ფერის) დაჭრილი ბულგარული წიწაკა (უმი ან მოშუშული), ყველანაირი მწვანილი, 1-2 ცალი გახეხილი ბოლოკი, 1-2 ცალი გახეხილი უმი სტაფილო, ძალიან ცოტა მარილი.

კვებამდე და კვების შემდეგ ერთსაათიანი შუალედებით – ნებისმიერი ხილი და ტრადიციულად, დღის განმავლობაში 2 ლიტრი წყალი.

დიეტა შეგიძლიათ გაიმეოროთ 2-3-კვირიანი შუალედის შემდეგ.

# ტონალური კრემი – მთავარი პერსონაჟი

ნებისმიერი ტიპის სახის კანს რომ ინდივიდუალური მოვლა სჭირდება, ამაზე არაერთხელ გვისაუბრია და საჭირო რჩევებიც მოგვიცია. ამჯერად კი მხოლოდ ტონალურ კრემზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან, თუ გსურთ, რომ უნაკლოდ გამოიყურებოდეთ, უნდა იცოდეთ, როგორ კანს რომელი ტონალური უხდება.

პირველ ყოვლისა, ისევე, როგორც მკვებავის შერჩევის შემთხვევაში, ტონალური კრემიც კანის ტიპის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოთ.

თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, არ არის რეკომენდებული კრემის ფუძეზე დამზადებული ტონალური, მშრალი კანისთვის კი, პირიქით, აუცილებელია ალოე ვერას, კიტრისა და ფორთოხლის ყვავილების ზეთებითა და ექსტრაქტებით დამზადებული ტონალური კრემი.

ტონალურის ფერის დასადგენად მისი წასმა ხელისგულზე შეცდომაში შეგიყვანთ, რადგან, ხელისა და სახის კანი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც სტრუქტურულად, ისე ფერით. უმჯობესია, ტონალური ვიწრო ზოლად წაისვათ ყბის ძვალთან – მხოლოდ ასე მიხვდებით, ემთხვევა თუ არა ის თქვენი კანის ფერს.

თუ შუა ზამთარში რუჯის ეფექტი მოგენატრათ, სოლარიუმს კი დიდად არ ცნობთ, ნუ წაისვამთ თქვენ ბუნებრივ ფერზე გაცილებით მუქ ტონალურს. იდეალური ვარიანტია ბრონზერი, რომელიც თხელ ფენად უნდა წაისვათ სახის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მზის აბაზანების მიღებისას ყველაზე სწრაფად ირუჯება: წარბებს ზემოთ, ცხვირზე, ღაწვებსა და ნიკაპზე.

კანის ხარვეზების შესანიღბავად არ წაისვათ ტონალური სქელ ფენად – ამით უფრო თვალსაჩინოს გახდით ნაოჭებს, სახე კი ნიღაბს დაემსგავსება.

თუ გსურთ, მიიღოთ ჯანმრთელი, ბზინვარე კანის ეფექტი, პუდრი წაისვით სახის მხოლოდ იმ უბნებზე, რომლებიც არ გინდათ, რომ პრიალებდეს.

ფერისა და შემადგენლობის შერჩევის მიზნით, ტონალური კრემი აუცილებლად წაისვით შუადღემდე, დღის სინათლეზე, რადგან საღამოს საათებში კანი ხდება უფრო ცხიმიანი, ტენიანი და, შესაბამისად, ვერ მიხვდებით, ხომ არ გიშრობთ კანს თქვენ მიერ შერჩეული ტონალური. გარდა ამისა, ზოგიერთი ტონალური კრემი წასმიდან რამდენიმე ხანში იცვლის ფერს. ამიტომ, წასმის შემდეგ დაიცადეთ 10-15 წუთი და დააკვირდით, ხომ არ მიიღო თქვენმა კანმა მორუხო ან მოყვითალო ელფერი, ამის შემჩნევა კი დღის სინათლეზე უფროა შესაძლებელი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ტონალურმა კრემმა არ უნდა შეგიქმნათ არანაირი დისკომფორტი, პირიქით, მისი სწორად შერჩევის შემთხვევაში, თავი მაქსიმალურად კომფორტულად უნდა იგრძნოთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გაიკეთოთ შესაფერისი მაკიაჟი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: საჭიროა თუ არა სახის კანის მოვლა 20 წლის ასაკში და, თუკი აუცილებელია, რომელი პროცედურები უნდა ჩავიტარო?**

**პასუხი**: 20 წლის ასაკში კანის მოვლა აუცილებელია, რადგან, სწორედ ამ მოვლაზე იქნება დამოკიდებული, როგორი კანი გექნებათ 30 და 40 წლის ასაკში.

თუ გაქვთ ნორმალური (არა გაღიზიანებული) კანი, საკმარისია მარტივი გამწმენდი მცენარეული (ხილის, ბოსტნეულის) ან რძის პროდუქტების ნიღბები და შესაფერისი დამატენიანებელი და მკვებავი კრემები. სასურველია, ეს ყველაფერი გააკეთოთ კოსმეტოლოგთან კონსულტაციის შემდეგ.

**კითხვა: ხშირად გამიგია ტერმინი „დაღლილი კანი". როგორ კანს უწოდებენ კოსმეტოლოგები „დაღლილს", რა არის ამის მიზეზი და როგორ მოვუაროთ ასეთ კანს?**

**პასუხი**: კოსმეტოლოგები „დაღლილს" უწოდებენ მორუხო ფერის კანს, რომელსაც დაქვეითებული აქვს ტონუსი, ამის გამო დაკარგული აქვს ელასტიკურობა და მოშვებულია. დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, ეს გამოწვეულია დაბინძურებული გარემოთი, კომპიუტერთან დიდხანს ჯდომით, სუფთა ჰაერის დეფიციტით; ასევე, სტრესებითა და არასწორი და არაჯანსაღი კვებით. კანის მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია მასაჟითა და ჰიალურონის მჟავის, A, C, E და B ჯგუფის ვიტამინების შემცველი კრემებით.

**კითხვა: ვარ 31 წლის. ამ ასაკში უკვე აუცილებელია კა-**



**ნის დაბერების საწინააღმდეგო აქტიური კრემების გამოყენება?**

**პასუხი**: კანის დაბერების საწინააღმდეგო აქტიური კრემების გამოყენება იმ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, თუ რეგულარულად იყენებთ ჰიალურონის მჟავის შემცველ დამატენიანებელ კრემებს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

### მშობლებს ვეღარ ვიტან

ძალიან მრცხვენია, ამას რომ ვწერ, მაგრამ, გულში ვეღარ ვიტევ ამდენ დარდს და ტკივილს. მინდა ვაღიარო, რომ ვეღარ ვიტან ჩემს მშობლებს, ოღონდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, თუმცა, ემ მიზეზები ერთმანეთზეა გადაბმული.

დედაჩემი ერთი ჩუმი, წყნარი, ოჯახზე გადაგებული ქალია. თავისი პირადი ყველაფერი უარყო: კარიერაზეც უარი თქვა, ჩაცმა-დახურვაზეც, მეგობრებთან სიარულზეც და საერთოდ, ყველაფერზე. მთელი ცხოვრება ქმარს შესციცინებს თვალებში, ყველანაირ კომფორტს უქმნის და, ისე უყვარს დღემდე, მგონი, შვილებზეც კი უარს იტყვის, თუკი ამით მამაჩემს ასიამოვნებს. მამაჩემი კი, იმის ნაცვლად, დააფასოს ან დაინახოს მაინც ცოლის ასეთი ერთგულება, მთელი ცხოვრება ატყუებს და ღალატობს, თანაც, ყველასთან – მეზობლებთან, დედაჩემის ბავშვობის დაქალებთან, თავის თანამშრომლებთან, ნაცნობებთან თუ უცნობებთან, მოკლედ, არცერთ შემთხვევას არ „მაზავს“. ამ ყველაფერთან ერთად, დედაჩემს სულ სათითაოდ გამოაცალა ხელიდან ძვირფასი სამკაულები და, ზუსტად ვიცი, რომ თავის ბოზებში დაარიგა, ცოლს კი ხან რა ტყუილს ეუბნებოდა ხან – რას. დედასაც სჯეროდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს საკუთარი თვალით ნახა ხან თავისი ბეჭედი და ხან საყურე ზოგი – მეზობლის ხელზე, ზოგი – დაქალის ყურებზე, მაგრამ, თვალებს იბრმავებდა და ქმრისთვის საყვედური კი არა, შეკითხვაც არ დაუსვამს. ეტყობა, ცოლის ასეთმა მონურმა სიყვარულმა მამაჩემი უფრო გაათამამა და თავისი საყვარლების სახლში მოყვანაც დაიწყო, ერთ-ერთს კი ჩემი უმცროსი ძმა მოანათვლინა. მერე, დასასვენებლად რომ მივყავდით, ისიც მოჰყავდა ხოლმე და ჩვენთან ტოვებდა, ან, თუ არ ტოვებდა, ის ჰყავდა დედაჩემის სახლში დიასახლისად.

სანამ პატარა ვიყავი, რაღაცეები კი მიკვირდა, თუმცა, ბევრს ვერაფერს ვხვდებოდი, მაგრამ, რომ წამოვიზარდე, ვეღარ ავიტანე ამდენი და ერთხელ გავუბედე, ეს ქალები აქ აღარ მოიყვანო, თორემ, მე წავალ სახლიდან-მეთქი. კი მიყვირა და მეჩხუბა, მაგრამ, კარგა ხანს მართლა აღარავინ მოუყვანია. ამ ყველაფრის გამო საშინლად გამიცივდა გული მამაზე.

მოკლედ, მამაჩემი თავისი გარყვნილების გამო შემძულდა, დედაჩემს კი იმიტომ აღარ ვცემ პატივს, რომ ეს ყველაფერი იცის და მაინც ხმას არ იღებს, არაფერს ეუბნება. სულ მთლად ახალგაზრდა ქალია და ასი წლის მოხუცს დაემსგავსა. საერთოდ არ აქცევს თავს ყურადღებას, სარკეშიც კი აღარ იხედება. უკვე იმდენად ფეხებზე ჰკიდია საკუთარი თავი, შეუძლია, საშინაო ხალათზე შემოიცვას პალტო და, თავიც არ დაივარცხნოს, ისე წავიდეს პანაშვიდზე ან სადმე სხვაგან. არც ასეთი დამონება შეიძლება. ხანდახან ვფიქრობ, მამაჩემი იმიტომ დარბის ქალებში აღმა-დაღმა, რომ სახლში ყოველთვის თმაშეუღებავ-დაუვარცხნელი, წინსაფარგაკეთებული, დაღლილ-დაქანცული ცოლი ხვდება, რომელსაც ხელები ჭურჭლის რეცხვისგან აქვს დაწითლებული და მთელ სხეულზე ბორშჩის ან კატლეტის სუნი ასდის. კაცს ასეთი ცოლის აღარც ერთგულება აინტერესებს, აღარც სიყვარული და აღარც თან გადაყოლა. ქალის ვარიანტში ეს იგივე იქნება, ჩანჩურა, უუნარო, უმწეო და საცოდავი ქმარი რომ მყავდეს. ძალიან მეცოდება დედა და სწორედ ეს სიბრალული მაღიზიანებს ყველაზე მეტად. მინდა, ორივეს ვუთხრა, რისი ღირსებიც არიან, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვბედავ და იმიტომაც მოგწერეთ ეს წერილი – იქნებ დედაჩემმა წაიკითხოს, მიხვდეს, რომ ამას მისი შვილი წერს და ახლა მაინც გამოფხიზლდეს.

**ინგა, 19 წლის.**



### მამაჩემმა თავის დირექტორს უხამსობა არ აპატია

მამაჩემს სამსახურში ჰყავს თავისზე ბევრად ახალგაზრდა დირექტორი, რომელთანაც, ასაკში სხვაობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ მეგობრობს, თუმცა, ოჯახის წევრებთან მისი ხსენებისას ყოველთვის იმას უსვამდა ხაზს, ძალიან ჭკვიანი, მოხერხებული და შანსიანი ახალგაზრდაა, მაგრამ ეგეთ სიძეს ნამდვილად არ ვისურვებდიო. დედამ მიზეზი რომ ჰკითხა, მამამ უპასუხა – არ ვიცი, რატომ, მაგრამ, მიუხედავად ჩვენი საკმაოდ ახლო ურთიერთობისა, მას რომ ვუყურებ, წითელი მენთება ხოლმე და ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს რაღაც ცუდი უნდა დამემართოსო.

დედას გაეცინა – მგონი, უკვე დაგეტყო სიბერის ნიშნები. რას ერჩი იმ ბიჭს, ვერ გამიგიაო. მამამ აღარაფერი თქვა, მხოლოდ უსიამოვნო გამომეტყველებით გააქნია თავი და ტელევიზორის ყურება განაგრძო.

ამ დიალოგიდან ძალიან მალე მამაჩემი იმ დირექტორმა გამოიძახა და უთხრა, თქვენისთანა თანამშრომელი არ მყავს და პირველი რიცხვიდან განყოფილების უფროსად გადამყავხარო. ეს ყველას ძალიან გაგვიხარდა, რადგან, თანამდებობის გარდა, ხელფასიც მნიშვნელოვნად მოემატებოდა, რაც ჩვენს ოჯახს ძალიან სჭირდებოდა. ერთხელაც, ისე მოხდა, რომ მამამ თავისი დირექტორი და ვიღაც სხვა თანამშრომელი სახლში მოიყვანა. მე და დედამ მაშინვე სუფრა გავშალეთ. სტუმრებმა კარგად მოილხინეს, მამა კი მთელი საღამოს განმავლობაში დაძაბული უყურებდა თავის დირექტორს. ცოტა ხანში მივხვდი, რატომაც იყო მამა ასე – რომ შეთვრნენ, რამდენჯერმე დავიჭირე იმ კაცის მსუნაგი მზერა. იმდენიც კი გაბედა, თეფშს რომ ვუცვლიდი, უსიამოვნო ღიმილით შემხედა და რაღაცნაირი საძაგელი ხმით მითხრა – შენ რა ლამაზი გოგო ყოფილხარ, რატომ აქამდე არ ვიცოდი, მამაშენს გაცილებით ადრე დავაწინაურებდიო. ეს სიტყვები ისე ბილწად იყო ნათქვამი, ის მეორე თანამშრომელი შეცბა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მამა ამ დროს სუფრასთან არ იჯდა – ბუეფტიდან ეგრეთ წოდებულ „განსხვავებულ სასმისს“ იღებდა. ცხადია, ეს სიტყვები გაიგონა და ისე უცბად შემობრუნდა, რომ ბუფეტზე დაწყობილ თეფშებს გამოედო იდაყვით და ძირს ჩამოყარა. ჭურჭლის მტვრევის ხმაზე დირექტორმა მამისკენ გაიხედა და მისი გაცოფებული სახე რომ დაინახა, კი გაუკრთა შიში თვალებში, მაგრამ, ეტყობა, მაინც იფიქრა, ხვალ მის დაწინაურებას უნდა მოვაწერო ხელი და ვერაფერს გამიბედავსო, ამიტომ, ცინიკურად მიმართა: – ეს რა ლამაზი გოგო გყოლია, რატომ მიმალავდიო. დავინახე, როგორ დაიძრა მამა მისკენ, როგორ ჩაავლო ხელი საკინძეში, როგორ გაიტანა სახლიდან ჰაერში აწეული და, სადარბაზოდან გავიდა თუ არა, ისეთი დაარტყა ყბაში, ტკაცანი ბინაში გავიგონეთ. ის მეორე თანამშრომელი კი გაეკიდა მამაჩემს იმის ძახილით, არ მოკლა და შარში არ გაეხვიოო, მაგრამ მეტი ვერაფერი მოახერხა. ყბამონგრეული დირექტორი ჩვენი კორპუსის წინ დარგულ ბუჩქებში თავით შეფრინდა. თანამშრომელი მივარდა, რომ წამოეყენებინა და იქიდან წაეყვანა, მაგრამ, ის ნაძირალა, წამოდგა თუ არა, მამაჩემისკენ მოტრიალდა და დაემუქრა – შენ თუ ციხეში არ ამოგალპე, კაცი არ ვიყო. შენ იქ დაგაწინაურებენ, მე კი შენს ცოლ-შვილთან გავერთობიო. ეს სიტყვები დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ იმ თანამშრომელმა, რომელიც მის იქიდან წაყვანას ცდილობდა, ვეღარ მოითმინა ასეთი არაკაცობა და, ისე გაუერთიანა თავ-ყბა, მამაჩემის მუშტი იმასთან მოფერება იყო. დედას შეეშინდა, არ შემოაკვდესო და ძლივს გამოჰგლიჯა ხელიდან. დირექტორი ბანცალ-ბანცალით წავიდა თავისი მანქანისკენ, რომელშიც მძღოლი ელოდა. სხვათა შორის, იმ მძღოლმა ძალიან კარგად დაინახა, რომ მის უფროსს სცემდნენ, მაგრამ, არც კი უცდია მიშველება. მანქანის კარს რომ აღებდა, თანამშრომელი მიუახლოვდა და უთხრა, ჩივილი არ გაბედო, თორემ, მოწმედ წავყვები გიორგის და ისეთ ჩვენებას მივცემ, ათი წელი ციხიდან ცხვირს ვერ გამოყოფო.

მეორე დღეს დირექტორი მაინც მისულა სამსახურში შავი სათვალეებით (ჩალურჯებული თვალები დამალა) და უთქვამს, სადარბაზოს კიბეზე დამიცდა ფეხი და კინაღამ დავილეწეო. მერე კი მამაჩემის დაწინაურების საბუთზე მაინც მოუწერია ხელი (ეტყობა, შეეშინდა), მაგრამ მამა სამსახურში აღარ წასულა – იმ თანამშრომელს დაურეკა და სთხოვა, ჩემ მაგივრად შენ დაწერე განცხადება, მანდედან მოვდივარო. რამდენიმე დღეში ის თანამშრომელიც წავიდა იქიდან – ამ არაკაცთან ვერ ვიმუშავებ; ერთხელაც იქნება, თავს მომაკვლევინებს და მაგის გამო ციხეში როგორ წავიდეო. ცოტა ხანში დირექტორმა თავისი მძღოლი მოხსნა – რატომ არ მომეშველეო. იმან კი სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ მთელ სამსახურს უამბო, ვინ და როგორ გაიდო ფეხქვეშ და ცოტა ხანში ისეთი ჭორები აუგორეს, იძულებული გახდა, თვითონაც დაეწერა განცხადება და იქიდან წასულიყო.

**მარიანა, 23 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# როგორ აჯობა შაშხანიდან მიზანში სროლაში სტალინმა ფაშისტური გერმანიის ელჩს



ოცდაათიან წლებში, როდესაც სტალინმა წითელი არმიის მოდერნიზაციის ფორსირებული პროცესი დაიწყო, ჯარში „ვოროშილოვის მსროლელის" სამკერდე ნიშნების დარიგება დაიწყეს. მისი დამსახურება საკმაოდ რთული საქმე იყო და – მხოლოდ იმ ჯარისკაცებს ურიგებდნენ, ვინც ბრწყინვალედ ისროდა თითქმის ყველა სახის მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღიდან.

თავდაცვის მინისტრი ვოროშილოვი იყო. თავადაც ბრწყინვალე მსროლელად ითვლებოდა და ზემოთ აღნიშნული სამკერდე ნიშანი სტალინის პირადი ინიციატივით დაწესდა.

– მე მომახსენეს, რომ შენ რობინ ჰუდივით ზუსტი ხარ, ოღონდ, ტყვიით სროლაში, – უთხრა სტალინმა კაბინეტში შესულ მარშალს, – ამიტომ, გადავწყვიტე, შენი სახელობის სამკერდე ნიშანი მივანიჭო სროლაში გამოჩენილ სამხედროებს. ჯერჯერობით სიტყვიერი მოხსენებით დავკმაყოფილდები, მაგრამ, კლიმ ეფრემოვიჩ, ოდესმე პირადად შეგამოწმებ და, იცოდე, არ ჩაფლავდე! – გააფრთხილა სტალინმა სახელოვანი მარშალი და, სპეციალური ბრძანებით, რომელიც წითელი არმიის დღესასწაულს დაამთხვია, „ვოროშილოვის მსროლელის" სამკერდე ნიშანი დააწესა. ეს საუბარი 1937 წლის 23 თებერვალს შედგა, წითელი არმიის მე-19 წლისთავზე. 1938 წლის 23 თებერვალს მოსკოვში წითელი არმიის დაარსების მე-20 წლისთავს ზეიმობდნენ. დილით სამხედრო აღლუმი გაიმართა წითელ მოედანზე, საღამოს კი საზეიმო კონცერტი იყო დანიშნული დიდ თეატრში, მაგრამ, სტალინის ბრძანებით, დაგეგმილი ღონისძიება წითელი არმიის ახალაშენებულ უზარმაზარ სასახლეში გადაიტანეს. სამხედრო აღლუმს მოსკოვში აკრედიტებული ყველა სახელმწიფოს ელჩი და სამხედრო ატაშე დაესწრნენ; ისინი საზეიმო კონცერტსა და შემდგომ ბანკეტზეც იყვნენ დაპატიჟებული.

დაგეგმილი ორსაათიანი კონცერტი თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა. სტალინი ბრწყინვალე ხასიათზე იყო და მისი თხოვნით არტისტებმა რამდენიმე ნომერი „ბისზე" შეასრულეს. დიდი ბელადის განსაკუთრებული მოწონება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა დაიმსახურა. სტალინის თხოვნით, მათ სამჯერ იცეკვეს „ხორუმი" და ამდენჯერვე შეასრულეს მისი უსაყვარლესი სიმღერა – „გაფრინდი, შავო მერცხალო." სამთავრობო ლოჟაში, სტალინის გვერდით, მარცხნივ, მოლოტოვი იჯდა, მარჯვნივ – ფაშისტური გერმანიის ელჩი, გრაფი ფონ შელენბურგი, მის გვერდით კი – მარშალი ვოროშილოვი.

– გრაფ! – მიმართა სტალინმა შელენბურგს, როდესაც სცენაზე „ხორუმის" მწკრივი გამოჩნდა, – ეს ჩემი, მშობლიური ქვეყნის ცეკვაა. კარგად დააკვირდით და საოცარ სიმეტრიებსა და ტემპს ნახავთ. აი, ასეთი შემართებით იბრძოდნენ დავით მეფის მეომრები და ერთხელ მსოფლიოც გადაარჩინეს წარღვნისგან...

სტალინის სიტყვები უმალვე გადაუთარგმნა თარჯიმანმა, თუმცა, შელენბურგმა მშვენივრად იცოდა რუსული, მაგრამ, ერიდებოდა ხოლმე ამ ენაზე ლაპარაკს. მოგვიანებით, ვოროშილოვი, რომელიც კონცერტზე გრაფის გვერდით იჯდა, იხსენებდა: „ფაშისტების ელჩი მონუსხულივით მისჩერებოდა ქართველ მოცეკვავეებს, რომლებიც სასწაულებს სჩადიოდნენ სცენაზე. მის თვალებში ერთგვარი შიშის ნაპერწკალიც კი შევამჩნიე."

როგორც კი ცეკვა დასრულდა, დარბაზს ისეთი მქუხარე ტაში მოსწყდა, რომ ლამის ჭერი ჩამოინგრა.

– ბატონო სტალინ, ვინ იყო ის დავით მეფე, რომლის შესახებაც თქვენ წეღან მითხარით და როგორ გადაარჩინა მან მსოფლიო – ჰკითხა შელენბურგმა.

ამასობაში „ხორუმის" მოცეკვავეები „ბისზე" გამოვიდნენ. მთელი სამთავრობო ლოჟა გარინდული იყო და ცეკვას უყურებდა, სტალინი კი გერმანიის ელჩს დავით აღმაშენებელსა და დიდგორის ბრძოლაზე მოუთხრობდა მოკლედ. ამასობაში მოცეკვავეებმა მესამედ დაიწყეს „ხორუმი."

– საინტერესო ისტორია გქონიათ. ესე იგი, უკან დასახევი გზა ჩაჭრეს და ათჯერ მათზე მეტი რაოდენობის ლაშქარი გაანადგურეს ქართველებმა? – უფრო შეშფოთებით, ვიდრე ინტერესით იკითხა გრაფმა.

კონცერტი რომ დასრულდა, სტალინი სავარძლიდან წამოდგა და სტუმრები ბანკეტზე მიიწვია:

> **შელენბურგი „ხორუმს" უყურებდა და თვალებში შიშის ნაპერწკალი შელავდა**

– წამობრძანდით, ბატონებო! – მიმართა სტალინმა უცხოელ დიპლომატებს, – მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის – წითელი არმიის იუბილე აღვნიშნოთ, – გაღიმებულმა ბელადმა ხელით მიიპატიჟა ყველა.

სტალინი დინჯად მიაბიჯებდა მარმარილოს იატაკზე და მას უკან ელჩებისა და დიპლომატების მთელი ამალა მიჰყვებოდა.

საბანკეტო დარბაზი პირველ სართულზე მდებარეობდა.

როდესაც ყველანი პირველ სართულზე ჩავიდნენ და საბანკეტო დარბაზისკენ უნდა შეეხვიათ, სტალინი მოულოდნელად შეჩერდა. შეჩერდნენ სხვებიც და დიდ ბელადს მიაჩერდნენ.

– ჩემი აზრით, სადღესასწაულო სუფრა არსად გაიქცევა და, თუკი წინააღმდეგი არ იქნებით, მინდა, პატარა გართობა შემოგთავაზოთ, – ჩაილაპარაკა სტალინმა და სტუმრებს მოავლო თვალი.

ყველამ უხმოდ დაუკრა თავი და სტალინს ინტერესით მიაჩერდნენ.

– რადგან თანახმა ხართ, მე თქვენ ტირში დაგპატიჟებთ, – სტალინმა თვალით ვოროშილოვი მოძებნა და გაიღიმა, – კლიმ ეფრემოვიჩმა მითხრა, რომ ამ შენობაში მშვენიერი, თანამედროვე ტირი ყოფილა... ჰოდა, რადგანაც სამხედროების დღესასწაულს ვზეიმობთ, რატომ არ შეიძლება, ვისროლოთ კიდეც?

სტალინის სიტყვებმა ზოგი განაცვიფრა, ზოგს ღიმილი მოჰგვარა, მაგრამ პროტესტი არავის გამოუთქვამს, ამიტომ, ყველანი ერთად სასახლის სარდაფისკენ დაეშვნენ, სადაც ტირი იყო. იქურობა მართლაც უზადოდ იყო მოწყობილი. ტირს სამი საცეცხლე ხაზი ჰქონდა: 30 და 50-მეტრიანი ხაზები პატარა იარაღიდან სროლისთვის იყო განკუთვნილი, 100-მეტრიანი კი – კი შაშხანიდან სროლისთვის.

– ბატონებო! აირჩიეთ საცეცხლე ხაზები და იარაღის სახეობა! – შესთავაზა სტალინმა სტუმრებს, – აბა, ვნახოთ, ვის რა შეგვიძლია!

უცხოელებისგან მხოლოდ შელენბურგმა გამოთქვა სროლის სურვილი, დანარჩენებმა კი თავი შეიკავეს. საბჭოთა მხრიდან თავად სტალინმა ამოარჩია მსროლელები – მარშალ ვოროშილოვსა და მარშალ შაპოშნიკოვს უბრძანა ცეცხლის ხაზზე დადგომა, ასევე, თავისი დაცვის უფროსს – ვლასიკს. შელენბურგმა „ვალტერი" აირჩია, მარშლებმა და ვლასიკმა კი – „ბრაუნინგები." თავდაპირველად 30-მეტრიან ხაზზე დადგნენ და შელენბურგმა, ვოროშილოვმა და ვლასიკმა ერთნაირი შედეგები აჩვენეს, შაპოშნიკოვი კი გამოეთიშა შეჯიბრებას. 50-მეტრიან ხაზზე უკვე ვლასიკმა დათმო პოზიციები, თუმცა, ოციდან თვრამეტჯერ ათიანში მოარტყა, ერთხელ – ცხრიანში და ერთხელაც – რვიანში. შელენბურგმა და ვოროშილოვმა კი 19-19 ათიანი და თითო ცხრიანი დააზიანეს. დაინიშნა დამატებითი 5-5 სროლა და შელენბურგმა ყველა ათიანში მოარტყა, ვოროშილოვმა კი – 4 ათიანში და, ერთი – ცხრიანში

– ცუდად არ ისვრი, კლიმ ეფრემოვიჩ, მაგრამ, გერმანელმა გაჯობა! – უჩურჩულა სტალინმა მარშალს და ნაგანი აიღო.

– ბატონო ელჩო, ნება მიბოძეთ, მეც ვცადო ბედი და ჩემი მეგობრების გამო შური ვიძიო, – გაიღიმა მან და 50-მეტრიან ცეცხლის ხაზზე დადგა. იქაურობა სამხედრო ატაშეებით იყო სავსე და ყველას ღიმილი მოჰგვარა სტალინის საქციელმა. საქმე ის იყო, რომ ბრწყინვალედ მოასპარეზე გრაფს უზადო „ვალტერის" პისტოლეტი ეჭირა, სტალინს კი „ნაგანის" რევოლვერი, რომელიც არამცთუ 50 მეტრიდან მიაღწევდა მიზნამდე, არამედ, საეჭვო იყო, რომ მას საერთოდ ამ მანძილზე გაესროლა ტყვია. ეს კარგად იცოდნენ ატაშეებმა და ღიმილიც სწორედ ამით იყო გამოწვეული – მათი აზრით, სტალინი თავიდანვე განწირული იყო.

– ათ-ათჯერ ვისროლოთ. გთხოვთ, გრაფ, თქვენ პირველი ხართ, – მიიწვია სტალინმა შელენბურგი საცეცხლე ხაზთან და თვითონ განზე გადგა.

შელენბურგმა ათი გასროლიდან რვა ათიანში მოარტყა, ერთი ცხრიანში და ერთიც – შვიდიანში.

სტალინმა ორი ცალი „ნაგანი" დატენა და, ჯერ ერთიდან ისროლა ექვსი ტყვია, მერე მეორიდან – შედეგი აბსოლუტურად ერთნაირი იყო. შემდეგ მან შაშხანა აიღო, მასში 5 ტყვია

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### გამდლიშვილი

გვარის ფუძეა **გამეზარდა**. მისგანაა **გამზრდელი, გამდელი** და, ამათგან კი, გვარი – **გამდლიშვილი.**

**გამდლიშვილები** იყვნენ აზნაურები.

„**გამდლიშვილები**, თავიანთი ახოთი და ვენახით, დარჩა ნასყიდა დოლმაზაშვილს, 1696 წელს“.

**გამდლიშვილი** ველია, იოსებ და მამუკა, სახუნდარაში მცხოვრებლები, მოიხსენიებიან მეჩვიდმეტე საუკუნეში.

კახეთში, კერძოდ კი ანთოქში, მოიხსენიებიან **გამდლიშვილის** ყმები.

საქართველოში 223 **გამდლიშვილი** ცხოვრობს: გორში – 102, თბილისში – 78, გურჯაანში – 43.

### ყარაგვეზაშვილი-ყარაგოზაშვილი

გვარი **ყარაგვეზაშვილის** ფუძეა თურქული საკუთარი სახელი **ყარაგვეზ**. იგივე სახელი დაედო ფუძედ გვარებს: **ყარაგოზაშვილი და ყარანგოზაშვილი.**

ანალოგიური წესითაა ნაწარმოები რიგი ქართული გვარები. ასეთებია: **ყარაშვილი, ყარალაშვილი, ყარაბუდახაშვილი, ყარაჯაშვილი, ყარყარაშვილი**. გვარი – **ყარაშვილი, ყარალაშვილი**, კახეთის თავად-აზნაურთა საგვარეულო გახლდათ. **ყარაბუდახაშვილები, ბუდახაშვილები** და **ბუდაღაშვილები** კი ქვემოქართლელი მემამულეების გვარებია; **ყარაჯაშვილს** ფუძედ აქვს გამოყენებული თურქული მეტსახელი **ყარაჯა**, იგივეა, რაც შავი, შავგვრემანი.

გვარი **ყარაბუდახაშვილი** იგივეა, რაც შავტოტაშვილი (**ბუდახა** იგივეა, რაც ტოტი, რტო).

გადმოცემით, **ყარყარაშვილთა** ძველი გვარი ნაკაშაშვილი იყო. მათი წინაპარი ბატონს გამოჰქცევია, თან ერთი ყარყარა ლიტრით ოქრო წამოუღია და ამის გამო შეურქმევიათ **ყარყარაშვილი**.

საერთოდ, **ყარანგოზაშვილები** დუშეთიდან არიან, ფლობდნენ იქ მიწა-წყალსა და ყმა გლეხებს. იქვე იყო მათი წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში ისინი დიდი სახელითა და გავლენით სარგებლობდნენ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დუშეთის თავკაცი – ერთეოს **ყარანგოზაშვილი**.

გვარი **ყარანგოზაშვილი** არაგვის ერისთავთა ერთ-ერთი ლამაზი ასულიდან მომდინარეობს. თათართა შემოსევისას მათ წინ შემოხვედრიათ ლამაზი გოგონა; გაკვირვებულებს უკითხავთ, ვინაა ეს გოგო, რა ჰქვიაო და თავადვე გაუციათ პასუხი: **ყარანგოზია**, ანუ შავთვალა, შავგვრემანიო. სწორედ ეს გამხდარა იმის საბაბი, რომ ერისთავიდან **ყარანგოზაშვილი** გაჩენილიყო.

საქართველოში 26 **ყარაგოზაშვილი** ცხოვრობს: დედოფლისწყაროში – 19, თბილისში – 6, ახალციხეში – 1.

### სერგია

გვარი **სერგია** მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან – **სერგი**. გვხვდება, ასევე, საკუთარი სახელი **სერგია.**

არსებობს **სასერგიო**, ანუ, უბნები ზემო საფარცვანოსა და ციხეთში.

1569 წელს შედგენილ შეწირულობის წიგნში აღნიშნულია, რომ ხოფის ღვთისმშობლისთვის შეუწირავთ კაკულია **სერგია**.

1616-1621 წლებში „საცაიშლო დავთარში" დასახელებულნი არიან ცაიშის მცხოვრებლები: მასხულია **სერგია**, ხუხული **სერგია**, ჯგევშია **სერგია**, გეგელია **სერგია**, ხუხულია **სერგია**, გვანობა **სერგია** და ასე შემდეგ.

„**სერგი** ლათინურიდან ნასესხები სახელია. მისი კნინობითი ფორმაა **სერგია** და ის გვარადაც გვხვდება", – წერს ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოში 365 **სერგია** ცხოვრობს: თბილისში – 44, სენაკში – 37, ზუგდიდში – 20. არიან სხვაგანაც.



### არდიშვილი

**არდიშვილის** ფუძეა საკუთარი სახელი **არდი**, რაც ურარტუს ქვეყანაში მზის ღვთაების სახელია. მზეს ქართულად ოდესღაც „**არდი**" უნდა რქმეოდა. სიტყვა „**არდადეგი**" კი მზის დგომის დღეს აღნიშნავდა.

1886 წლიდან სოფელ წინწყაროში **არდიშვილები** ბერძნებად არიან ჩაწერილები და **არუდოვის** გვარს ატარებენ.

**არდიშვილები** მცირერიცხოვანი გვარია.

საქართველოში 29 **არდიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 15, ქუთაისში – 14.

### ასათაშვილი

გვარის ფუძეა არაბული სიტყვა – **ასათ**, რაც ქართულად ლომს ნიშნავს. აქედანაა ნაწარმოები გვარები: **ასათაშვილი, ასათიანი.**

გვხვდება, ასევე, საკუთარი სახელი **ასათა.**

**ასათაშვილის** გვარის ძველი ფორმაა **ასათისძე**. ვახუშტი „მთავართა გვართათვის" წერს: „... ხოლო გვარნი მთავართა, მათ ძველთანი არიან **ასათისძე**, კარიჭისძე, ქობულისძე".

მეფე დავით მეათის განჩინებით, ბარათაშვილთა გაყრისას, 1523 წელს, გერმანოზსა და მის ძმებს ენაგეთში შეხვედრიათ **ასათაშვილი.**

დემეტრე **ასათაშვილი** კი მოიხსენიება 1741 წელს, პირობის წიგნში, რომელსაც გრიგოლ ჩოლოყაშვილი აძლევს ფშაველებს.

სოფელ ენაგეთში 1756 წელს დაფიქსირებული არიან გაბრიელ, გიორგი, დავით და პეტრე **ასათაშვილები**, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ ოჯახებით.

საქართველოში 107 **ასათაშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 77, თბილისში – 20, თელავში – 10.

### ფხაკაძე

გვარის წარმოშობის ადგილად მიჩნეულია ფარცხანაყანევი, წყალტუბოს რაიონი.

ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულია შიო **ფხაკაძე** – „ფარცხანაყანევს მცხოვრები, გიორგი მეფემ შესწირა გულათს ულუხან ლორთქიფანიძის სამწირველად და დააკისრა ოცი კოკა ღვინო და ათი საკლავის თეთრი“ (1573 წელი).

გვხვდება გვარები: **ფხიკაძე, ფხეკია.**

გვარის ფუძედაა მიჩნეული მეტსახელი **ფხაკა.**

ალექსანდრე ღლონტი, წიგნში – „ქართველური საკუთარი სახელები“ – წერს: „**ფხაკა** – მეტსახელი გვარში **ფხაკაძე**“...

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის **ფხაკაძეთა** გვარს 129-ე ადგილი უკავია.

გვაქვს, აგრეთვე, ქართული გვარი – **ფხაკალაშვილი.**

საქართველოში 3 979 **ფხაკაძე** ცხოვრობს: ქუთაისში – 1 784, წყალტუბოში – 1 165, თბილისში – 512. არიან სხვაგანაც.

### ტიკურიშვილი-ძერყორაშვილი

**ტიკურიშვილის** გვარის ფუძედ გამოყენებულია სახელი **ტიკარა.** ვარაუდობენ, რომ ეს სახელი **ტიკთან** არის დაკავშირებული – **ტიკის** გამომყვანი, გამკეთებელი, ესე იგი, ხელობა-საქმიანობის გვარი უნდა იყოს. ამავე ფუძითაა წარმოქმნილი **ტიკარაძე, ტიკარიძე, ტიკაძე, ტიკიშვილი, ტიკურაშვილი.**

**ტიკურიშვილები** მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩანან დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ გოლთეთში. 1873 წლის აღწერით, მებატონე ანტონ ყორღანაშვილის დროებით ვალდებულ გლეხებად მოიხსენიებიან ანდრე, ზურაბ და გაბრიელ **ტიკურიშვილები**. გოლთეთში მოსვლისას **ტიკურიშვილებს** გვარი შეუცვლიათ, აქ მოსვლამდე მათი ადრინდელი გვარი **ძერყორაშვილი** ყოფილა. **ძერ-ყორა-შვილები** ახალგორის მხარიდან გადმოსულან.

**ძერყორაშვილ-ტიკურიშვილებიდან** გაჩენილი გვარებია: ბეკარიშვილი, მახარაშვილი, ხრიკული. მახარაშვილი არის დამოუკიდებლად გაჩენილი გვარიც.

საქართველოში 48 **ძერყორაშვილი** ცხოვრობს. ახალგორში – 35, თბილისში – 8, რუსთავში – 5.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

ჩადო, შემდეგ მხოლოდ მარჯვენა ხელით დაუმიზნა 100-მეტრიან ხაზს და ერთმანეთის მიყოლებით ხუთჯერ გაისროლა. შედეგი აქაც ფენომენალური იყო: ხუთივე ტყვია ლურსმნებივით იყო ჩამჯდარი ერთმანეთში. ყველა გაოგნებული უყურებდა სტალინს, რომელმაც შაშხანა დადო და ვოროშილოვს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. პირველად გრაფი მოეგო გონს და ტაში დაუკრა, მას სხვებიც აჰყვნენ და სტალინის წარმატება ასე აღნიშნეს.

ამასობაში ვოროშილოვმა ბელადს სამკერდე ნიშანი გადასცა. სტალინი შელენბურგს მიუახლოვდა და „ვოროშილოვის მსროლელის" სამკერდე ნიშანი პიჯაკზე მიამაგრა.

– გრაფ, თქვენ ნამდვილი „ვოროშილოვის მსროლელი" ხართ, ისე ბრწყინვალედ ხმარობთ იარაღს! – უთხრა სტალინმა შულენბურგს

– თქვენ კი, ბატონო სტალინ, ფენომენალური მსროლელი ყოფილხართ, – არ დაიბნა შელენბურგი, – სიტყვები არ მყოფნის, არც კი ვიცი, ვის შეგადაროთ, ალბათ, უფრო „დავითის მსროლელი" ხართ...

**მოამზადა**
**გიორგი ლაშაურმა**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

25 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სულიერი არსებები”** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

26 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მალე მოვალ წვიმად...”** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი - რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაყაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი”** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 12, 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

28 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი”** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 12, 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

28 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„რა საოცარი დღეა”** (ჩრდილების თეატრი) - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (მცირე სცენა), ავტორი და რეჟისორი: გელა კანდელაკი. მონაწილეობენ: ვადიმ შუბითიძე, ელენე მურჯიკნელი, პაატა შენგელია, ანჟელა აბშილავა, გიორგი ჭანტურია, ელენე ზურაბაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

24 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„თეთრი იასამანი”** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გია ბურჯანაძე, თამუნა ბუხნიკაშვილი, ქეთი ჩხეიძე, კატო კალატოზიშვილი, პაატა ინაური, თამარ სხირტლაძე, დავით დვალიშვილი, ალეკო მახარობლიშვილი, თეკო ჩუბინიძე, ლიკა ქობულაძე, ეკა მახარობლიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი”** - (ბილეთის ფასი - 4 - 10,50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

26 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი”** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

26 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ვიხსენებთ ოთარ მეღვინეთუხუცესს”** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორები: ლევან წულაძე, ირაკლი გოგია. მონაწილეობენ: გურანდა გაბუნია, ზურა ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„ტოიბელე და მისი დემონი”** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოგა თავაძე. მონაწილეობენ: ანა ვასაძე, მალხაზ აბულაძე, ნათია გუბენკო, პაატა პაპუაშვილი, მარლენ ეგუტია, გიგა გოგიჩაძე, ნიაზ ხუციანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„შერეული ემოციები”** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია;

28 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ”** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 120 წუთი;***

28 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო”** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 120 წუთი;***

1 მარტი, **კვირა** 20.00 - **„უცნობი ქალის წერილები”** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ნათია ბალაძე. მონაწილეობენ: ეკატერინე კვირკელია, გიორგი ტატიშვილი, ნიკოლოზ მანაგაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

24 თებერვალი, 1 მარტი, **სამშაბათი, კვირა** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი”** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ფაუსტი”** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, კახა აბუაშვილი, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 1 წუთი;***

26 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„შევხვდებით სამოთხეში”** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ზურაბ ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, გურამ ჯაში, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„თავისუფალი პეპლები”** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ანი ხიდეშელი. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, ანუკა გრიგოლია, თაკო ბერიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

28 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„საზღვრები”** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი და ქორეოგრაფი: გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ქიტიაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი ოსეფაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

24-25 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„შავი კვადრატი”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: ლია კაპანაძე, გურამ ლალიაშვილი, ნუცა მჭედლიშვილის, ილია ჭეიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

26 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„მაცეკვე ტანგო”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, ზაზა მიქაშავიძე, გია აბესალაშვილი, ქეთი ასათიანი, ბექა ჯუმუტია, ჯაბა სულაკაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„მელოტი მომღერალი ქალი”** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: ნანა შონია, თემო ნატროშვილი, ვანო თარხნიშვილი, მაია გელოვანი, გიორგი ნაკაშიძე, ნანუკა ლითანიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

28 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ჩუპრი-ჩუპარ, დარეჯან!”** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. მონაწილეობს: ლაურა რეხვიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

1 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ჩვენი პატარა ქალაქი”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, მზია არაბული, კოკო როინიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, ნატალია შენგელაია, ნინო ჩხეიძე, ნიკა წერედიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, დარეჯან ხაჩიძე, დარეჯან ჯოჯუა, ბექა ჯუმუტია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

24 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი”** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა”** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

26 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„თოჯინების სახლი”** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: ვანო ხუციშვილი. მონაწილეობენ: თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, ბაჩო ჩაჩიბაია, მაია ხორნაული, ნინო ფილფანი, დევი ბიბილეიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

1 მარტი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10, ტელ.: 292-38-70, 299-61-71.**

25 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ბეჩავი”** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: მიხეილ ჩარკვიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

27 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„ტროელი ქალები”** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

24 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„სხვა საქართველო სად არის?!"** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი: მერაბ ყოლბაია. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***
27 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„დედა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი სავანელი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**ალმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

26 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„გაყრა"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***
27 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„აკრძალული თამაშები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***
28 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ფსკერზე"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

27 თებერვალი, **პარასკევი** 18.00 - **„უფროსი ვაჟი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გიორგი (გოგი) მარგველაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***
28 თებერვალი, **შაბათი** 18.00 - **„ჭექა-ქუხილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***
1 მარტი, **კვირა** 12.00 - **„ზღაპარი სალთან მეფეზე"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

24-25-26-27 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი** 12.00 - **„წითელქუდა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***
24-25 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 12.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***
24-25 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 20.00 - **„7 + 1"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: გიორგი ქაჩიბაია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***
26-27 თებერვალი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 12.00 - **„ამიკო"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***
26 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ზურაბ კანდელაკი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***
27 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„სამი მუშკეტერი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი ქანთარია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***
28 თებერვალი, **შაბათი** 12.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***
28 თებერვალი, **შაბათი** 15.00 - **„სამეფო ძროხა"** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***
28 თებერვალი, **შაბათი** 13.00 - **„ივანენამ რა ჰქმნა?!"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***
28 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„კუკარაჩა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: შალვა გაწერელია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***
1 მარტი, **კვირა** 12.00 - **„კოლობოკი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ანატოლი ლობოვი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***
1 მარტი, **კვირა** 13.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***
1 მარტი, **კვირა** 16.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***
1 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ზამთრის ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დათა თავაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37 ტელ.: 99-63-14.**

24 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„საქართველოო ლამაზო"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 60 წუთი;***
27 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„კრიმანჭული"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

## ორშაბათი 23 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 03.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40**, "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"მეცამეტე მოციქული"** **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ **"მაკარტური"** **01.40** "პოპ-კულტურა".

**06.00, 16.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** მარაო **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30**, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"დრაკონებზე მონადირენი"** **7.55** "საქმიანი დილა" **9.40, 12.30, 13.05, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **10.05, 11.05** **სერიალი "ჩემი შვილები"** **13.35, 14.05** **სერიალი "სხვისი სხეული"** **15.35** გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **19.00** **სერიალი "მამის კვალდაკვალ"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.00** დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე".

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40, 03.25** ქრონიკა **10.05** სერ. **"უდანაშაულო"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღალატი"** **17.35** სერ. **"ქალის ხვედრი"** **5** სერ. **18.45, 19.03** სერ. **"დაკარგული"** **20.55** სერ. **"შურისძიება"** **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ **"ტრანსპორტერი"** (ჯ.სტეტჰემი) **01.50** მხ/ფ **"გატაცებული"** **03.35** ფარული კამერა **04.50** მხ/ფ **"კილიმანჯაროს თოვლიანი მთა"** (გ.პეკი).

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "ველური ბუნება" **07.45** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" V ნაწ. **07.10** დ/ფ "ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია" **07.35** მარხვისა და სინანულის შესახებ - მეუფე დანიელი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.30** განთიადის სიუჟეტი - მამა გაბრიელი **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** დ/ფ "აღდგომა თებერვალში" **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** სატელევიზიო ფილმი "წმინდა ოთხთავი" მათეს სახარება I ნაწ. **15.55** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ.გვასალია) **17.10** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **19.15** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (საკითხავი) ორშაბათი **19.30** დ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **20.40** ძილი ნებისა **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **21.50** ამბიონი **22.25** დ/ფ "არტერია" - ფშავი III ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სალვთისმსახურო წელიწადი I გად. **23.30** დ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **00.30** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **01.10** განთიადის სტუმარი **01.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## სამშაბათი 24 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 04.00** "პირადი ექიმი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00,21.00** ტ/სერ. **"მეცამეტე მოციქული"** **17.00** "კომუნიკა-ტორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** ქართ. ტ/ფ "მეთხუთმეტე ზაფხული" **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. **1/8** ფინალი: **მანჩესტერ სიტი – ბარსელონა**. შესვენებისას: ვიქტორინა **01.30** მხ/ფ **"ხულიას თვალები"**.

**06.00, 16.00** სერ.**"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **18.45** სერ.**"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ.**"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** სოციალური ცელი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30**, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"დრაკონებზე მონადირენი"** **7.55** "საქმიანი დილა" **9.40, 12.30, 13.05, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **10.05, 11.05** **სერიალი "ჩემი შვილები"** **13.35, 14.05** **სერიალი "სხვისი სხეული"** **15.35** გადაცემა "NX-სპიკერი" **16.05, 17.05** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **19.00** **სერიალი "მამის კვალდაკვალ"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **0.00** დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე".

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40, 03.00** ქრონიკა **10.05** სერ. **"უდანაშაულო"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღალატი"** **17.35** სერ. **"ქალის ხვედრი"** **6** სერ. **18.45, 19.03** სერ. **"დაკარგული"** **20.55** სერ. **"შურისძიება"** **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00** მხ/ფ **"ლამაზმანი და ურჩხული"** (ჯ.მარჩი) **01.45 2014** წლის MSV-ის ვიდეოკლიპების დაჯილდოების ცერემონია **03.10** ფარული კამერა **05.15** მხ/ფ **"ტრანსპორტერი"** (ჯ.სტეტჰემი).

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "ველური ბუნება" **06.45** დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" I-II ნაწ. **07.40** დ/ფ "მთასაყდარი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დ/ფ "არტერია" - ფშავი I-II ნაწ. **11.05** დ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **11.30** ამბიონი **11.40** ღვთის სახლი **12.10** დ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **13.15** ეფრემ ასურის ლოცვის განმარ-ტება **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** სატელევიზიო ფილმი "წმინდა ოთხთავი" მათეს სახარება II ნაწ. **16.00** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" VI ნაწ. **16.25** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **16.55** დ/ფ "საქართველო ჩვენია,გაიგე რუსო" **17.10** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (საკითხავი) სამშაბათი **19.45** პირველშეწირულის წირვის განმარტება (მამა ბიძინა გუნია) I გად. **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი საგანძური **23.30** დ/ფ "კაპელანი" **00.30** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **01.10** განთიადის სტუმარი **01.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი“
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**23 თებერვალი – 1 მარტი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.15 - **„სპანჯბობი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

19.45, 22.30 - **„გრეის ორმოცდაათი ელფერი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.00, 16.00, 17.45 - **„ცელქი ბავშვები 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.00 - **„მე ვარ ბესო”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.05 - **„ღამე მუზეუმში 3”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

14.30 - **„გრეის ორმოცდაათი ელფერი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

17.05, 20.05, 22.25 - **„იუპიტერის აღზევება”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.10, 14.15 - **„პადინგტონის თავგადასავალი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

17.15, 19.45 - **„ქალი შავებში 2: სიკვდილის ანგელოზი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.10 - **„ბრიყვი და უფრო ბრიყვი 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.15, 22.25 - **„ქალი შავებში 2: სიკვდილის ანგელოზი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.00 - **„გრეის ორმოცდაათი ელფერი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

19.55 - **„სპანჯბობი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი”
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

12.00, 14.30 - **„სპანჯბობი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

17.00, 19.45, 22.30 - **„გრეის ორმოცდაათი ელფერი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.30 - **„პადინგტონის თავგადასავალი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

22.30 - **„იმიტაციის თამაში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30 - **„იუპიტერის აღზევება”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

17.00 - **„გრეის ორმოცდაათი ელფერი”** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

20.00 - **„სპანჯბობი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

22.15 - **„ბერდმენი”** (რუსულად), *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი ბზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# გამომცხვარი კარტოფილი ბროკოლითა და თევზით











**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ნებისმიერი თევზის ფილე, 600 გრამი კარტოფილი, 500 გრამი ბროკოლი, 200 მილილიტრი 22-პროცენტიანი ნაღები, 100 მილილიტრი რძე, 4 კვერცხი, 120 გრამი მაგარი ყველი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, 1 ცალი ლიმონი, 4-5 წვეთი კეტჩუპი „ტაბასკო," – ცოტა სურნელოვანი პილპილი, გახეხილი მუსკატის კაკალი (ცოტა), ზეთი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გათალეთ, დაჭერით მოზრდილ კუბიკებად და მოხარშეთ. სანამ კარტოფილი იხარშება, ბროკოლი დაშალეთ კუნწულებად და გათუთქეთ მდუღარე მარილწყალში (7-8 წუთი მაინც უნდა იდუღოს) და ნახარში ცალკე ქვაბში გადაწურეთ. გააცხელეთ აირღუმელი 200 გრადუსზე. თევზი დააქუცმაცეთ მომცრო ნაჭრებად, დანამეთ ლიმონის წვენით, კეტჩუპით, მოაყარეთ მარილი და შავი პილპილი. შემდეგ ოდნავ მოთუთქეთ ბროკოლის ცხელ ნახარშში და გადაწურეთ.

გამოსაცხობ ფორმას წაუსვით ცოტა ზეთი, ფსკერზე მოათავსეთ ჯერ კარტოფილი, შემდეგ – ბროკოლი, ბოლოს – თევზი.

სოუსისთვის ერთმანეთში შეურიეთ ნაღები, რძე, კვერცხი და გახეხილი ყველი და კარგად ათქვიფეთ; უყავით ცოტა მარილი, პილპილი, წიწაკა, მუსკატის კაკალი და კიდევ ათქვიფეთ.

სოუსი მოასხით თევზს და აცხვეთ 20 წუთის განმავლობაში, 200 გრადუსზე. მიირთვით თბილი.

# გუფთები რძის სოუსში








**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ღორისა და ქათმის ხორცის ფარში, 1 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 3 ნაჭერი თეთრი, ფუნთუშასავით პური, 1 ჭიქა რძე, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 30 გრამი კარაქი, 3 სადილის კოვზი ზეთი, მარილი, პილპილი, ხმელი სუნელი, სხვადასხვა მწვანილი.

**მომზადების წესი:** ფარშში შეურიეთ პური, დანაყილი ნიორი, ხახვი და სუნელი. 1 სადილის კოვზი ფქვილი დაყარეთ ტაფაზე, დაუმატეთ კარაქი და ზეთი და მოშუშეთ კარგად. ნელ-ნელა დაასხით ერთი ჭიქა რძე და კარგად გახსენით, უყავით მარილი და პილპილი და ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში – ეს არის სოუსი. ფარშისგან გააკეთეთ მრგვალი გუფთები, ჩააწყვეთ სოუსში და შუშეთ 30-35 წუთის განმავლობაში. ბოლოს მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

# ცომის ყვავილები წიწიბურათი და სოკოთი







**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ფქვილი, 200 გრამი წყალი (ცომში), მარილი – გემოვნებით (ცოტა – ცომში), 3/4 ჭიქა წიწიბურა, 500 გრამი ქამა სოკო, 160 გრამი ხახვი (შიგთავსში), შავი პილპილი, 500 გრამი ზეთი (ნაწილი – ცომისთვის, ნაწილი – შიგთავსისთვის).

**მომზადების წესი:** ფქვილი აუცილებლად გაცერით, შეურიეთ ცოტა მარილი, წყალი, ზეთი და მოზილეთ ჩვილი, ელასტიკური ცომი. გააჩერეთ 30 წუთი.

წიწიბურა გარეცხეთ, დაასხით წყალი ზომაზე, უყავით ცოტა მარილი და მოხარშეთ.

სოკო მოხარშეთ, უყავით მარილი (შეგიძლიათ, ხარშვისას მარილის ნაცვლად სოკოს კუბიკი დაუმატოთ). წვრილად დაჭერით ხახვი, მოშუშეთ ზეთში, დაუმატეთ სოკო და ხრაკეთ 5 წუთის განმავლობაში. შეურიეთ მოხარშული წიწიბურა, მარილი და პილპილი. ცომი გააბრტყელეთ 0,6 სანტიმეტრ სისქეზე. ამოჭერით მასში 11 სანტიმეტრი დიამეტრის წრეები (სულ 10 ცალი წრე უნდა გამოვიდეს). თითოეული ოდნავ დატკეპნეთ ხელით და გააბრტყელეთ.

შუაში მოათავსეთ ფარში და შეკარით ლამაზად, ყვავილივით. შებრაწეთ თქვენი „ყვავილები“ მდუღარე ზეთში. არაჩვეულებრივად გემრიელია. შეგიძლიათ, არაყანთან ერთად მიირთვათ.

# ცხარე გარნირი ლობიოთი და ბრინჯით





**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი ბრინჯი, 100 გრამი ლობიო, 1 ცალი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი ცხარე წიწაკა – ჩილი, ყველანაირი მწვანილი, შავი პილპილი, მარილი, 1 ცალი პომიდორი, 2 სადილის კოვზი ზეთი.

**მომზადების წესი:** ლობიო წინა საღამოს ჩაალბეთ ცივ წყალში, შემდეგ მოხარშეთ (სასურველია, წყალი ხარშვისას ორჯერ გამოუცვალოთ). ზეთში მოშუშეთ დაჭრილი ხახვი და ნიორი; დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, კამა, ოხრახუში, ბულგარული წიწაკა და ცხარე წიწაკა. დაუმატეთ ბრინჯი, შუშეთ 5 წუთის განმავლობაში. შემდეგ დაასხით წყალი, ჩაუმატეთ კანგაცლილი და დაჭრილი პომიდორი, ლობიო, შავი პილპილი, მარილი და შუშეთ კიდევ 5 წუთი.

გადმოიღეთ პატარა ქოთანში და ზემოდან მორთეთ რგოლებად დაჭრილი პომიდვრით. მოათავსეთ ცხელ აირღუმელში 30 წუთით, 200 გრადუსზე.



# ბეკონის, სოკოსა და მაკარონის სალათა – მის თიკასგან



*ძალიან მიყვარს ქართული და ბერძნული სამზარეულო და ვცდილობ, ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული კერძები მოვამზადო. თუმცა, როგორი მზარეული ვარ, ეს მათ უნდა თქვან, ვინც ჩემ მიერ მომზადებულ კერძებს მიირთმევს. ასევე, მიყვარს სამზარეულოში ექსპერიმენტების ჩატარება და ადვილად მოსამზადებელი საჭმლის გაკეთება. ომლეტით დაწყებული, ელარჯითა და საცივით დამთავრებული, ყველაფერი ჩემი ხელით მაქვს გაკეთებული. ახლა კი შემოგთავაზებთ ბეკონის, სოკოსა და მაკარონის სალათას, რომელიც ძალიან გემრიელი და ნოყიერია.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი „პასტა" მაკარონი, 150 გრამი სოკო, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 150 გრამი პრასი, 100 გრამი ბეკონი, 150 მილილიტრი რძე, 2 ცალი კვერცხი, 3 ღერი ახალი ან ხმელი ბეგქონდარა, ცოტაოდენი ზეთი, მარილი და ახალდაფქული პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** „პასტა" მოხარშეთ მდუღარე მარილიან წყალში და გადაწურეთ. სოკოები შუა-შუა, წიწაკა – კუბიკებად, პრასი კი სქელ რგოლებად დაჭერით. ბეკონი შუა-შუა გაჭერით და გახურებულ ტაფაზე ოდნავ შებრაწეთ, შემდეგ ამოიღეთ და დასაწრეტად ქაღალდის ხელსახოცზე დააწყვეთ. დაჭრილი ბოსტნეული და სოკო ზეთში მოშუშეთ, მოაყარეთ მარილი და პილპილი. კვერცხი და რძე ათქვიფეთ, დაუმატეთ მარილი და პილპილი, შემდეგ – წვრილად დაკეპილი ან დაფქული ბეგქონდარა. „პასტა" ბოსტნეულთან ერთად მოათავსეთ ტაფაში. ზემოდან მოასხით რძისა და კვერცხის ნარევი და 12-15 წუთი დადგით საშუალო ცეცხლზე, თავდახურული. ძალიან ისიამოვნებთ.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# კურდღლის ჩახოხბილი

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 კილოგრამი კურდღლის ხორცი, 5 თავი ხახვი, 6 ცალი დაჭყლეტილი პამიდორი, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 ჭიქა წყალი, 2 ჩაის კოვზი შაქარი, 1 კონა ქინძი, 1 კონა ოხრახუში, 1 კონა რეჰანი, 100-150 გრამი კარაქი, 2 კბილი ნიორი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით, კარაქსა და დაჭრილ ხახვთან ერთად მოათავსეთ ქვაბში, მოაყარეთ მარილი, წიწაკა და მოშუშეთ. დაუმატეთ პომიდორი, წყალში გახსნილი ტომატ-პასტა, შაქარი და განაგრძეთ შუშვა. როცა მომზადდება, ჩაუმატეთ დანაყილი ნიორი, დაჭრილი მწვანილი და ერთხელ წამოადუღეთ.



# ქათმის სალათა მოხარშული კვერცხით



**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ქათმის ფილე, 5 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 6 ცალი კვერცხი, 3 სქელი ნაჭერი თეთრი პური, 1 კონა სალათის ფოთოლი, 2 კბილი ნიორი, 500 გრამი ცხიმიანი იოგურტი, 125 გრამი მაიონეზი, 1-2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 100 გრამი ყველი პარმეზანი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათმის ფილე გარეცხეთ და შეაშრეთ. ტაფაზე გააცხელეთ 2 სადილის კოვზი ზეთი, დააწყვეთ ხორცის ნაჭრები და თითო მხრიდან 5 წუთის განმავლობაში შეწვით. მოაყარეთ მარილი და პილპილი. კვერცხი მაგრად მოხარშეთ, გადაავლეთ ცივი წყალი, გაფცქვენით და დაჭერით რგოლებად. თეთრი პური პატარა კუბიკებად დაჭერით და გაცხელებულ ზეთში შებრაწეთ, შემდეგ კი საშრობ ქაღალდზე დააწყვეთ დასაწრეტად. ნიორი წვრილად დაკეპეთ. იოგურტი, მაიონეზი და ნიორი ერთმანეთს შეურიეთ; შეანელეთ ლიმონის წვენით, მარილითა და პილპილით. ქათმის ხორცი მოგრძო ნაჭრებად დაჭერით, ყველი მსხვილად გახეხეთ, სალათის ფოთლები ხელით დააქუცმაცეთ, ყველა ინგრედიენტი ფენა-ფენა მოათავსეთ და მოასხით იოგურტიანი სოუსი.

## ბოთლი-ლარნაკი

ჩვეულებრივი ბოთლისგან ძალიან ლამაზი დეკორატიული ლარნაკის დამზადება შეიძლება. ჩვეულებრივ ბოთლს წაუსვით წებო, მჭიდროდ დაახვიეთ მასზე ნებისმიერი, საქსოვი ძაფი და აცადეთ, გაშრეს. შემდეგ კი თქვენი გემოვნებით გაალამაზეთ: დააწებეთ ღილები, ყვავილები... ან, უბრალოდ, მოხატეთ – სახლს სიმყუდროვეს ნამდვილად შეჰმატებს.





## ბოტები – საყვავილეები

ძველი ბოტები სახლში თითქმის ყველას გვაქვს. ისინი საკმაოდ მალე ცვდება და სახმარად გამოუსადეგარი ხდება. ნუ იჩქარებთ მათ გადაყრას, რადგან, შესანიშნავად გამოგადგებათ საყვავილეებად. ჯერ მსხვილი ლურსმნით გაუხვრიტეთ ძირები, შემდეგ მოიმარაგეთ მძივები, დეკორატიული ფირფიტები, ჭურჭლის ნატეხები, მოზაიკა – ერთი სიტყვით, ყველაფერი გამოგადგებათ. ბოტებს გარედან წაუსვით სქლად წებო და მორთეთ იმ მასალით, რაც ხელთ გაქვთ. გაშრობის შემდეგ კი ჩაყარეთ მიწა და ჩარგეთ ყვავილები – გაილამაზეთ ეზო და აივანი!

* ნატის („ზამშის") ფეხსაცმელი, სასურველია, სახლში დაბრუნებისთანავე გაწმინდოთ. თუ სველია, ოთახის ტემპერატურაზე გააშრეთ, გამათბობლისგან მოშორებით. საცხი უკვე მშრალს წაუსვით. აცადეთ, შეაშრეს და მერე შეინახეთ.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 25 თებერვალი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 03.50 "პირადი ექიმი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**მეცამეტე მოციქული**" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 მხ/ფ "**კონფლიქტის ზონა**" 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. **1/8** ფინალი. ლევერკუზენის "**ბაიერი**" – მადრიდის "**ატლეტიკო**" შესვენებისას: ვიქტორინა 01.30 მხ/ფ "**დიდი ლებოვსკი**".

06.00, 16.00 სერ."**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 18.45 სერ."**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ."**ქარადაი**" 22.00 "ნანუკას შოუ" 23.30 მხ/ფ. 01.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" 7.55 "საქმიანი დილა" 9.40, 12.30, 13.05, 18.30 "ბიზნესკონტაქტი" 10.05, 11.05 **სერიალი "ჩემი შვილები"** 13.35, 14.05 **სერიალი "სხვისი სხეული"** 15.35 გადაცემა "NX-სპიკერი" 16.05, 17.05 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 19.00 **სერიალი "მამის კვალდაკვალ"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 0.00 დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე".

06.45 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40, 05.10 ქრონიკა 10.05 სერ. "**უდანაშაულო**" 11.20 სერ. "**ივნისის ღამე**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ღალატი**" . 17.35 სერ. "**ქალის ხვედრი**" 7 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**დაკარგული**" 20.55 სერ. "**შურისძიება**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 სასწრაფო დახმარება 01.00 მხ/ფ "**მეომარი**" (ჯ.რუსო) 02.50 ფარული კამერა.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დ/ფ "კაპელანი" 07.05 ჩვენი საგანძური 07.25 მწვანე არქიტექტურა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სიახლენი 10.35 კვირიაკეს სიუჟეტი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 დ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი" - მარო მაყაშვილი 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 სატელევიზიო ფილმი "წმინდა ოთხთავი" მარკოზის სახარება 16.00 "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" VII ნაწ. 16.25 კვირიაკეს სიუჟეტი 16.50 ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დ/ფ "ულმერთოთა ღამე" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.35 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ანდრია კრეტელის დიდი კანონი (საკითხავი) ოთხშაბათი 23.30 საქართველოს ქალაქები 00.30 ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) 01.30 განთიადის სტუმარი 01.50 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## ხუთშაბათი 26 თებერვალი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 03.20 "პირადი ექიმი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**მეცამეტე მოციქული**" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ "**კამერა**" (ფ.დანაუეი) 02.50 "პოპ-კულტურა".

06.00, 16.00 სერ."**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 18.45 სერ."**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ."**ქარადაი**" 22.00 პროფილი 23.30 მხ/ფ. 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" 7.55 "საქმიანი დილა" 9.40, 12.30, 13.05, 18.30 "ბიზნესკონტაქტი" 10.05, 11.05 **სერიალი "ჩემი შვილები"** 13.35, 14.05 **სერიალი "სხვისი სხეული"** 15.35 გადაცემა "პულსი" 16.05, 17.05 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 19.00 **სერიალი "მამის კვალდაკვალ"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 0.00 დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე".

06.45 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35, 02.10, 03.50 ქრონიკა 10.05 სერ. "**უდანაშაულო**" 11.20 სერ. "**ივნისის ღამე**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ღალატი**" 17.35 სერ. "**ქალის ხვედრი**" 8 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**დაკარგული**" 20.55 სერ. "**შურისძიება**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "**შურისძიება**" (მ.სთოუ) 02.20 მხ/ფ "**მეომარი**" (ჯ.რუსო) 04.00 ფარული კამერა.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" VI - VII ნაწ. 07.30 საქართველოს ქალაქები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სიახლენი 10.40 "ივერიის ეკლესია" 11.00 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 დ/ფ "ულმერთოთა ღამე" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 სატელევიზიო ფილმი "წმინდა ოთხთავი" ლუკას სახარება 16.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 16.40 კვირიაკეს სიუჟეტი 17.00 ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.15 ანდრია კრეტელის დიდი კანონი (საკითხავი) ხუთშაბათი 20.25 ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მწვანე არქიტექტურა 22.25 დ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში" 00.30 ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) 01.20 განთიადის სტუმარი 01.40 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## პარასკევი 27 თებერვალი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 02.30 "პირადი ექიმი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**მეცამეტე მოციქული**" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 00.00 მხ/ფ "**საით მივყავართ ოცნებებს**" მელოდრამა. რეჟ: ვ. უორდი/რ. უილიამსი) 02.00 "პოპ-კულტურა".

06.00, 16.00 სერ."**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 18.45 სერ."**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ."**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 1 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" 7.55 "საქმიანი დილა" 9.40, 12.30, 13.05, 18.30 "ბიზნესკონტაქტი" 10.05, 11.05 **სერიალი "ჩემი შვილები"** 13.35, 14.05 **სერიალი "სხვისი სხეული"** 15.35 გადაცემა "ქალაქი და ადამიანი" 16.05, 17.05 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 19.00 **სერიალი "მამის კვალდაკვალ"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 0.00 დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე".

06.45 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 03.55 ქრონიკა 10.05 სერ. "**უდანაშაულო**" 11.20 სერ. "**ივნისის ღამე**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ღალატი**" 17.35 სერ. "**ქალის ხვედრი**" 18.45, 19.03 სერ. "**დაკარგული**" 20.55 სერ. "**შურისძიება**" 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ "**ედისონი**" 01.55 მხ/ფ "**შურისძიება**".

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" 07.05 დ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მწვანე არქიტექტურა 11.00 ღვთის სახლი 11.15 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 სატელევიზიო ფილმი "წმინდა ოთხთავი" იოანეს სახარება 16.15 დ/ფ "საქართველო,ჩემი სამშობლო" 16.40 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება (გ.სარია) 16.55 კვირიაკე 17.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დ/ფ 20.10 დ/ფ "მეფე და ბერი" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 შაბათის სახარების განმარტება - I კვირა 23.30 დ/ფ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## შაბათი 28 თებერვალი

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.20 ან/ფ "მეკობრეები" რომლებიც არაფერს არ აკეთებენ" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**უკანასკნელი საზღვარი**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 დ/ფ "ჰენრიკ იბსენი და საქართველო" (რეჟ: ო. ჟღენტი) 13.30 მხ/ფ "**მისტერ ბინი დასასვენებლად მიემგზავრება**" 15.00 "ეტალონი" 16.30 ქართ. მხ/ფ "**ნატვრის ხე**" 18.30 "ჩვენი ეზო" 18.55 **რაგბი**. ერთა თასის გათამაშება: **ესპანეთი – საქართველო** 21.00 ტ/სერ. "**მეტამეტე მოციქული**" 22.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "**სიყვარულის ზღვა**" 02.00 "ეტალონი" 03.00 დ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ. 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქერის უბანი 14.00 სიცილის ზონა 15.30 მარაო 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 22.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 2 23.30 მხ/ფ 01.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" 9.00, 2.30 **სერიალი "კარმა"** 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30, 2.00 გადაცემა "პულსი" 11.00, 1.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 18.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 19.00 **სერიალი "მამის კვალდაკვალ"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 22.30, 3.30 მხ/ფ "**ღამის მზვერავი**".

07.00 სერ. "**სონის შანსი**" 07.30 მხ/ფ "**სახლში მარტო დარჩენილი 2**" 10.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 11.00 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ერთხელ საქართველოში 12.00 შალვა რამიშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40 სერ. "**ღალატი**" 17.35 სერ. "**ქალის ხვედრი**" 18.45, 19.03 სერ. "**დაკარგული**" 20.55 სერ. "**შურისძიება**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-2**" 4 სერ. 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 მხ/ფ "**წითელი განთიადი**" (კ.ჰემსვორტი) 01.15 მხ/ფ "**კურდღლის სორო**" (ა.ეკჰარტი) 02.45 მხ/ფ "**ედისონი**".

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "დავით გარეჯი" I ნაწ. 07.15 შაბათის სახარების განმარტება - I კვირა 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "ჩვენი საგანძური". გვანცელაძე 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ მულტფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ამბიონი 12.10 დ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ" 13.25 მწვანე არქიტექტურა 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 კონცერტი - პატრიარქის საგალობლები (იავნანა) 16.45 დ/ფ "სინა - ადგილი უფლისა და ადამიანის შეხვედრისა" 18.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური "ახალმოწამენი" 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 დ/ფ "მონასტრის ბინადარნი" I ნაწ.

## კვირა 1 მარტი

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.20 მხ/ფ "**ძიძა მაკფი**" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**უკანასკნელი საზღვარი**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ფერმა" 13.00 მხ/ფ "**ბოროტების ძალი**" (ტ.ჰენკსი) 15.00 "ქართული ჯარი" 15.30 "ვაშინგტონი დღეს" 16.30 დ/ფ "არქიტექტურა" 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 18.00 მხ/ფ "**პირველი გვერდი**"(ჯ.ლემონი) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 ქართ. მხ/ფ "**რეკორდი**" 22.00 "მშვიდობით იარაღო" 23.00 მხ/ფ "**ჰადსაქერის შემცვლელი**" 00.50 მხ/ფ "**კარი იატაკში**" 02.50 "შეხვედრები მწერალთა სახლში".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ. 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 22.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 3 23.30 სოციალური ცელი 01.00 მხ/ფ. 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 0.30, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" 9.00 **სერიალი "კარმა"** 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 16.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 18.30 გადაცემა "მონიტორი" 19.00 **სერიალი "მამის კვალდაკვალ"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 22.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 23.00, "ოთარ ტატიშვილის შოუ" 1.00 **სერიალი "რვაფეხა"** 2.30 გადაცემა "პულსი" 3.00 **სერიალი "კარმა"**.

07.30 სერ. "**სონის შანსი**" 08.00 მხ/ფ "**ტყეში დაკარგულები**" 10.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-2**" 4 სერ. 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.30 იმედის გმირები 14.45 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 16.25 ერთხელ საქართველოში 17.30 ორი ვარსკვლავი 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 მხ/ფ "**უნივერსალური ჯარისკაცი 3**" (დ.ლუნდგრენი) 01.25 მხ/ფ "**ტალღების დამპყრობელი**" (ე.შუ) 03.20 მხ/ფ "**კურდღლის სორო**" (ა.ეკჰარტი).

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.25 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ "**ლომა, დავიწყებული მეგობარი**" 13.20 ქრისტიანული ხელოვნება 14.05 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 გამოყენებითი ხელოვნება 16.05 ერთსულოვნების სალონი 17.00 ეპოქის სახელები 17.25 დიდი მარხვა - მართლმადიდებლობის ზეიმი (მამა მაქსიმე) 18.30 დროის ჩანაწერები 19.15 დ/ფ "უბისა" 19.40 დ/ფ "მაცხოვრის სუდარა" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "კლდესა ამასა ზედა" 00.30 პორტრეტები 01.20 დ/ფ "მონასტრის ბინადარნი" II ნაწ.

# როდის გაედინება ადამიანის სასიცოცხლო ენერგია კოსმოსში და რატომ არ უნდა მოექცეთ სხვისი გავლენის ქვეშ

ნებისმიერ ადამიანს სურს, დაცული იყოს გარემო უარყოფითი ფაქტორებისგან; მეტად უმართლებდეს; აიცილოს შესაძლო საფრთხეები და ასე შემდეგ. ჩვენს სხეულს გარშემო სპეციალური გარსი აკრავს, რომელიც ჩვენსავე დაცვას უზრუნველყოფს და, მისი დარღვევის შემთხვევაში, უამრავი პრობლემა იჩენს თავს.

დღეს ბევრს აინტერესებს, თუ საიდან იღებს ენერგიას ჩვენი ბიოველი; რატომ იცვლის ის ფერს განწყობის მიხედვით; როგორ უნდა გავწმინდოთ სახლი უარყოფითი ენერგიებისგან და ასე შემდეგ. ამ კითხვებს ის ადამიანები სვამენ, ვინც ასტროლოგიურ საკითხებში ოდნავ მაინც არიან ჩახედულები.

ადამიანს სხეულის გარშემო აკრავს დამცავი გარსი, ანუ, ეგრეთ წოდებული ენერგოინფორმაციული ველი. ის კოსმიური ძალების ზეგავლენით იცვლება, თვალით უხილავია და გვიცავს გარე ძალების არასასურველი ჩარევისგან. სუფთა და უბოროტო ადამიანის ბიოველის გარღვევა და დაზიანება ძალიან რთულია. შესაბამისად, ასეთი ადამიანები მეტად დაცულები არიან გარე ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედებისგან, ანუ, ასეთი ადამიანების ბიოველში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა რთულია.

საერთოდ, აურა ადამიანის გარშემო მანათობელი გარსია, რომელიც ამა თუ იმ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიხედვით იცვლის ფერს; ბიოველი კი, იგივე აურაა, რომელიც სიმეტრიულად არის განაწილებული ადამიანის სხეულის გარშემო. ადამიანს აქვს ფარული ენერგიების დიდი მარაგი, რაც ხშირად ფიზიკურ ამტანობაში ვლინდება. ექსტრემალურ სიტუაციაში ორგანიზმში ილვიძებს ფარული რეზერვები, უმჯობესდება ტვინის მუშაობა, მახვილდება ყნოსვა და სმენა. რაც შეეხება ადამიანის ბიოველის ფერს, ის ფერს იცვლის ადამიანის განწყობის მიხედვით. ბიოველს თავისი ფერები აქვს. ბიოველის დარღვევა და დეფორმირება კი იწვევს ისეთ დაავადებებს, რომელთა განკურნებაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. დარღვევები შთამომავლობით, შვილებსა და შვილიშვილებზე გადადის და ეს გადაცემა ენერგეტიკულ დონეზე ხდება. დადებითი ემოციები ზრდის ბიოველს. მაგალითად, თუ ადამიანი ადვილად ექცევა სხვისი ენერგეტიკული ზემოქმედების ქვეშ, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, იღებს თვალს და დადის გათვალული, მისი აურა თანდათან დეფორმირდება, ირღვევა და სასიცოცხლო ენერგია კოსმოსში გაედინება. ენერგიის გაცვლა-გამოცვლა ბუნების დაუწერელი კანონია და, ნებისმიერი ენერგეტიკული გამონატყორცნი, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი, ყოველთვის თავის უპირველეს წყაროს უბრუნდება.

რწმენა, სიყვარული, იმედი, სიხარული და სხვა დადებითი გრძნობები და განცდები, ადამიანს ენერგეტიკულად აძლიერებს; ხოლო, უიმედობა, შიში, დეპრესია, შური, ეჭვიანობა თუ სამაგიეროს გადახდის სურვილი – ენერგიას აკარგვინებს და ბიოველს უსუსტებს. მობილური ტელეფონი, ტელევიზორი, კომპიუტერი და სხვა ტექნიკა ჩვენს აურას საგრძნობლად ასუსტებს. ამის გამო უამრავი დაავადება იჩენს თავს, რომლებიც ბიოველის დასუსტებით არის გამოწვეული. თქვენ წარმოიდგინეთ, რამხელა უარყოფითი ენერგიების ნაკადი გროვდება ჩვენს ბინებში, სადაც ტელეფონიც არის, ტელევიზორიც და კომპიუტერიც. ამიტომ, აუცილებელია, გაწმინდოთ ბინის ბიოველი, ანუ აურა. მილეული მთვარის პერიოდში, ღამით, გააღეთ ფანჯრები და კარი, საიდანაც ბინაში შემოვა სუფთა ჰაერი და მას კოსმოსიდან შემოჰყვება მილეული მთვარის ენერგეტიკა, რომელიც ბინის აურაზე დადებითად მოქმედებს. რაც შეეხება ადამიანის აურას, მთავარია, იზრუნოთ, რომ ის არ დაზიანდეს და არ დეფორმირდეს. ამისთვის კი გირჩევთ, არ ჩაიდოთ გულში ბოღმა, შური და სამაგიეროს გადახდის სურვილი; იყავით მეტად ოპტიმისტი, შეინარჩუნეთ სტაბილურობა და ასე დაეხმარეთ საკუთარ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. იყავით უბოროტო და სუფთა, რათა ბოროტმა ადამიანებმა ვერ მოახერხონ თქვენი ბიოველის გარღვევა, მასში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა და ამით თქვენი დასუსტება.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1994 წლის 9 ნოემბერს. რა არის ჩემი კარმული მისია?**

**პასუხი**: თქვენი კარმული მისიაა, იყოთ არა აგრესიული და დეპრესიული, არამედ, მშვიდი და დაეყრდნოთ დიპლომატიას. ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და დაუნდობელი ურთიერთობების დროს. დაიცავით თანასწორუფლებიანობის პრინციპი და იყავით კომუნიკაბელური, ოპტიმისტი. დაეყრდენით ცოდნის ბაზას.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 4 ნოემბერს. რომელი ქვა ვატარო წარმატებების მისაღწევად?**

**პასუხი**: ქვებიდან თქვენთვის კარგია: ზურმუხტი, ნეფრიტი, ლაზურიტი, მწვანე ჟადეიტი, ოპალი და ტოპაზი.

**კითხვა: დავიბადე 1998 წლის 9 იანვარს, ღამით. რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი**: თქვენთვის პროფესიებიდან მისაღები და წარმატების მომტანია: დრამატურგია, სცენარისტობა, რეჟისურა, კომპიუტერული ტექნიკა, აუდიო-ვიდეო სისტემების ბიზნესი ან შემოქმედება, სოციოლოგია, ავიაციის ბიზნესი, სამეცნიერო კვლევა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საკონსტრუქტორო, საგამომგონებლო საქმე, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ასევე, პედიატრია.

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 5 ივნისს. მაინტერესებს, რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მელის სასურველი სასიყვარულო-პარტნიორულ-რომანტიკული ურთიერთობა?**

**პასუხი**: სასიყვარულო პარტნიორებიდან თქვენთვის კარგია და მისაღები ურთიერთობა ტყუპების, კირჩხიბის, მერწყულის, სასწორის ან ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან.

**კითხვა: დავიბადე 1999 წლის 20 ნოემბერს, დილის 7 საათზე. რომელი პროფესია ავირჩიო ცხოვრებაში, რომ წარმატებული ვიყო?**

**პასუხი**: თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია შემდეგი პროფესიები: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფერო, საგამოძიებო საქმე, მედიცინიდან – რეანიმატოლოგია, გინეკოლოგია, სტომატოლოგია, ქირურგია, ფსიქიატრია, არატრადიციული მედიცინა; პედაგოგიკა, ფილოსოფია და ფსიქოლოგია.

**კითხვა: დავიბადე 2001 წლის 21 მარტს, ღამის საათებში. მაინტერესებს, რომელი პროფესიაა ჩემთვის წარმატების მომტანი მომავალში?**

**პასუხი**: პროფესიებიდან თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა, მედიცინის ფართო სპექტრი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, სარეკლამო, საგამომცემლო საქმე, პედაგოგიური მოღვაწეობა, მთარგმნელობითი საქმე, ლინგვისტიკა, პოლიტიკის ფართო სპექტრი, მშენებლობა, საინჟინრო საქმე, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო.

**კითხვა: ჩემი ძმა დაიბადა 2005 წლის 25 დეკემბერს. რომელი პროფესიაა მისთვის მისაღები ასტროლოგიური კუთხით?**

**პასუხი**: პროფესიებიდან ძალიან კარგია: ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან საქმიანობა, მედიცინა, პროფესიონალური დიპლომატია, პოლიტიკა, იურისპრუდენცია, საკანონმდებლო საქმიანობა, სამართალდამცავი ორგანოები, ტექნიკა-მექანიკის სფერო, საბანკო-ეკონომიკური, სავაჭრო-კომერციული საქმიანობა.

### ვერძი

თავი შეიკავეთ საეჭვო საქმიანობისგან. არ გარისკოთ და მოერიდეთ ძალისმიერ მეთოდებს. ასევე, არვარგა ვალის აღება და ახალი საქმის დაწყება. დროულად მოაწესრიგეთ პირად ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემები. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, მიაკითხეთ ექიმს.

### კურო

ენერგია საკმარისი გექნებათ, რომ დაასრულოთ ძველი საქმეები და შემოქმედებითად იმუშაოთ. გაიზრდება თქვენი ამტანობა. ფინანსური საკითხების გადასაწყვეტად დაიხმარეთ გავლენიანი მეგობრები. საყვარელ ადამიანთან კი მეტად მომთმენი იყავით.

### ტყუპები

აქტიურად მუშაობის დროა. წინააღმდეგობები გონივრულად გადაწყვიტეთ. დაუჯერეთ უფროსი ადამიანების რჩევებს. ეცადეთ, არ იკამათოთ. კარგია პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება. ერიდეთ უეცარ სასიყვარულო კავშირებს.

### კირჩხიბი

მომხიბვლელობით ბევრი ადამიანის ყურადღებას მიიპყრობთ. კარგია ახალი ნაცნობობა, პარტნიორული კავშირები. სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობები მეტად მშვიდი და სტაბილური გახდება. ეს დრო არა მარტო საქმისთვის, არამედ, გართობისთვისაც გამოიყენეთ.

### ლომი

გაიზრდება თქვენი მგრძნობელობა და მიმდინარე პროცესებისადმი ინტერესი. ბედი გაგიღიმებთ საბანკო საქმესა და კომერციაში. დაუჯერეთ ინტუიციას. მიღებული ინფორმაცია კარგად გადაამოწმეთ და ისე იმოქმედეთ. სასიყვარულო სფეროში ურთიერთობა სწრაფად განვითარდება. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

### ქალწული

აქტიურად ჩაერიეთ ოჯახის საქმეებში. გაიზრდება თქვენი თავდაჯერებულობა. სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი სამეგობრო წრეში, რაც თქვენს პროფესიონალურ საქმიანობაზე აისახება. გააქტიურდება სასიყვარულო სფეროც, თუმცა, მოერიდეთ ეჭვიანობას და გახდით მეტად რომანტიკული.

### სასწორი

ბევრ დროს წაგართმევთ სამსახური. სირთულეებია მოსალოდნელი კოლეგებთან. იყავით დიპლომატი და მშვიდად განახორციელეთ თქვენი გეგმები. უეცრად განვითარებული სასიყვარულო გრძნობა ხანმოკლე აღმოჩნდება, ამიტომ მასზე დიდ იმედებს ნუ დაამყარებთ.

### მორიელი

გამოიჩინეთ მეტი პასუხისმგებლობა და საქმის ერთგულება. იზრუნეთ ფინანსების გაზრდაზე, რაშიც ახალი კავშირები დაგეხმარებათ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. სასიყვარულო ურთიერთობაში კი მეტი რომანტიზმი შეიტანეთ.

### მშვილდოსანი

ძირითადი ყურადღება გაამახვილეთ კარიერულ ზრდაზე. თქვენი ენერგეტიკული მაჩვენებელი დაბალია, ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ ჯანრთელობას და ნუ გადაილებით ფიზიკურად. არ გირჩევთ მოგზაურობას. საყვარელ ადამიანთან კი მეტად თავდაჭერილი იყავით და ნუ აჰყვებით ემოციებს.

### თხის რქა

აქტიური ცხოვრება დაგეხმარებათ საინტერესო ადამიანების გაცნობაში. ეს დრო კარგია ადრე დასახული მიზნების მისაღწევად. გულდასმით მიუდექით დაკისრებულ მოვალეობას. მოერიდეთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. პირად ცხოვრებაში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

### მერწყული

არაერთგვაროვანი დროა. მეტი დრო დაუთმეთ წვრილმანებს. ნუ დახარჯავთ ბევრ ფულს დროსტარებაში, რათა ვალების აღება არ მოგიწიოთ. გადაწყვეტილებების მიღების დროს კი დიდხანს ნუ იყოყმანებთ და მიენდეთ ინტუიციას.

### თევზები

გაიზრდება თქვენი ამტანობა. პროფესიონალური შრომა და საქმიანობა დაგიფასდებათ, რაც გაზრდის თქვენს ენთუზიაზმს. კარგია ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, ახალი კავშირების დამყარება, პირადი და სასიყვარულო შეხვედრები.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 20 მარტი, 09:35 სთ.**

### ორშაბათი

მოსალოდნელია საქმეებში წინაღობები. კარგია აბაზანის მიღება, კოსმეტიკური პროცედურები. მოერიდეთ რისკს და სულსწრაფობას. ატარეთ ლიმონისფერი, ყავისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი ან ონიქსი. ნუ მოუყვებით სიზმრებს სხვებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### სამშაბათი

მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს. მოერიდეთ მშენებლობასა და სასამართლო პროცესების დაწყებას, ასევე, სულსწრაფობასა და რისკს. კარგია გამოცდების ჩაბარება, ხელმძღვანელობასთან კონტაქტი. დაიცავით სამართლიანობა. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ამეთვისტო ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, შემოქმედებითი მუშაობა, გართობა, ვაჭრობა, მოგზაურობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

დაიცავით წესრიგი და ნუ მოადუნებთ ყურადღებას. მოერიდეთ ჭორაობას, ინტრიგებს, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, სასიყვარულო კავშირებს. ატარეთ ნაცრისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ცისფერი, იასამნისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ნეფრიტი, იაგუნდი, აკვამარინი ან სარდიონი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია საბანკო ოპერაციები, მშენებლობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება სასუნთქი სისტემა, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ნუ ენდობით ინტუიციას, მეტად დაეყრდენით ლოგიკურ აზროვნებას. მოერიდეთ ფიზიკურ გადატვირთვას, სასიყვარულო კავშირებს, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. ატარეთ ნაცრისფერი, ოქროსფერი, იასამნისფერი, ნარინჯისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ცირკონი, ციტრონი, ობსიდიანი ან ამაზონიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ რემონტის დაწყებას, თმის შეჭრას. კარგია საბანკო ოპერაციები, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება სასუნთქი სისტემა, ბრონქები, ფილტვები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### პარასკევი

აუცილებლად გაითვალისწინეთ საქმიანი პარტნიორების ინტერესები. კარგია სავაჭრო გარიგებები, კონტაქტები, მოლაპარაკებები. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, იასამნისფერი, ცისფერი, ოქროსფერი, მწვანე, იისფერი, თეთრი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, საფირონი, სარდიონი, ზურმუხტი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სწავლა, საბანკო ოპერაციები, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები, მკერდი, კუჭი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი

იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. ამ დღეს დაწყებული საქმეები კარგ შედეგებს მოგცემთ. კარგია ახალი ცოდნის მიღება, შემოქმედებითი მუშაობა; არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფელის შეცვლა, სესხის აღება. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. ატარეთ მწვანე, თეთრი, ვერცხლისფერი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, რუხი ტოპაზი, ყვითელი იასპი, ოპალი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ვაჭრობა, შოპინგი. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

იმოქმედეთ გეგმის მიხედვით. ნუ ჩაერევით სხვების საქმეებში. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა, სახლის მშენებლობის დაწყება, ვალის აღება. ატარეთ თეთრი, მწვანე, ცისფერი, ვერცხლისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, ოპალი, მარჯანი ან მალაქიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, საოჯახო საქმიანობა, ვაჭრობა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# შეიძლება თქვენზე დაყრდნობა?!

*ყველას ისეთი ადამიანი გვჭირდება გვერდით, რომელზე დაყრდნობაც შეიძლება. ერთგულება ურთიერთობაში მთავარია. ის მას ბევრად უფრო მყარს და სტაბილურს ხდის.*

*თქვენ ფიქრობთ, რომ ხართ საიმედო და სტაბილური? საინტერესოა, ხომ არ გეშლებათ და თქვენზე ახლობლები სხვა აზრის არიან?! გამოიყენეთ ეს ტესტი, რათა საკუთარ თავზე ბევრი საინტერესო სიახლე შეიტყოთ...*

**1. საქმიან შეხვედრებზე ყოველთვის დროულად და პუნქტუალურად მიდიხართ? ემზადებით წინასწარ ამისათვის?**

**2. თქვენთვის უთქვამთ, რომ სანდო ადამიანი ხართ და თქვენზე დაყრდნობა შეიძლება? ამაში ეჭვი თავადაც არ გეპარებათ?**

**3. „შავი დღისთვის“ ფულის გადანახვას ახერხებთ? ეს თქვენთვის პრობლემა არ არის?**

**4. თუკი შეიტყობთ, რომ რომელიმე ახლობელმა უკანონო საქციელი ჩაიდინა, ან ასეთი რაღაც თქვენ თვალწინ მოხდა, პოლიციას აცნობებთ?**



**5. გაქვთ ჩვევა, თუკი ბუნებაში გახვალთ პიკნიკზე, არ დატოვოთ ნაგავი... დაასუფთავოთ იქაურობა?**

**6. ახერხებთ სტაბილურ ვარჯიშს? სპორტული ცხოვრების წესი თქვენი ყოველდღიურობისთვის ნორმაა?**

**7. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ჯანსაღი, სწორი კვების მიმართ? ცდილობთ, არ შეჭამოთ ჯანმრთელობისთვის საზიანო პროდუქტები?**

**8. თქვენ როგორ ცხოვრობთ – პირველ ადგილას სამუშაოს და საქმეს აყენებთ და ფიქრობთ, რომ ეს სწორია?**

**9. სოციალურად აქტიური პიროვნება ხართ? იღებთ მონაწილეობას საზოგადოებრივ აქტივობებში?**

**10. როგორ პასუხობთ მესიჯებს? – მაშინვე, მოგვიანებით თუ საერთოდ არ პასუხობთ? – ეს არ არის უყურადღებობა, თქვენი აზრით და ზოგადად ხართ ყურადღებიანი?**

**11. არსებობს ასეთი გამონათქვამი – თუ რამეს აკეთებ, გააკეთე ეს საქმე ხარისხიანად და კარგად. ეთანხმებით ამას?**

**12. მნიშვნელოვან შეხვედრაზე, ან თუნდაც, პაემანზე მიხვალთ მაშინაც კი, თუკი თავს შეუძლოდ იგრძნობთ?**

**13. როდესმე გქონიათ უსიამოვნო ინციდენტი პოლიციელებთან ან კანონთან ყოფილხართ წინააღმდეგობაში?**

**14. როდესმე რამის ან რამდენიმეკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელი ყოფილხართ?**

**15. როცა პატარა იყავით, უფროსებს ეხმარებოდით საოჯახო საქმეებში.**

### როგორ უნდა გაშიფროთ ტესტი:

*ყველა შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში დაიწერეთ თითო ქულა, მხოლოდ მე-13 კითხვის პასუხისას ყველაფერი პირიქით იქნება? უარყოფითი პასუხი მოგიტანთ 1 ქულას. დადებითი კი არ შეფასდება. კარგად დაითვალეთ და ნახეთ, როგორი ყოფილხართ.*

*1-2 ქულა: თუ სიმართლე გაინტერესებთ, თქვენი ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ ძალიან უპასუხისმგებლო, არასერიოზული ადამიანი ბრძანდებით. რომ თქვენზე დაყრდნობა არ შეიძლება. ფაქტობრივად, არაფერში გენდობიან. ვერ ხვდებით, რომ ძალიან ბევრ რამეში გიშლით ხელს ხასიათის ეს უარყოფითი თვისებები? თუ არ გინდათ რეალობას თვალი გაუსწოროთ? დაფიქრდით, როდემდე უნდა იცვალოთ სამუშაო ადგილები. ასე ფულიც არასოდეს გექნებათ სამყოფი.*

*3-9 ქულა: როცა მოინდომებთ, შეგიძლიათ იყოთ სანდოც და საჭირო პასუხისმგებლობაც გამოიჩინოთ. რატომ ხდება ისე, რომ ხშირად სრულიად გაუაზრებლად იქცევით? საკუთარ თავსაც არ უტყდებით იმაში, რაც მერე თქვენვე გაზარალებთ. გაააქტიურეთ თქვენი ხასიათის საუკეთესო თვისებები. ეს თქვენს ცხოვრებას ბევრად სრულფასოვანს და წარმატებულს გახდის.*

*10-15 ქულა: შეგვიძლია, მხოლოდ მოგილოცოთ – ძალიან მოწესრიგებული, წესიერი, ერთგული ადამიანი ხართ. თქვენნაირი ადამიანები ბევრნი არ არიან. ამიტომაც უნდათ თქვენთან სიახლოვე. ყურადღებიანობა, მგრძნობიარე ბუნება, სიფრთხილე ადამიანებთან ურთიერთობაში და ზრდილობა იშვიათ ფასეულობებს და წონას გძენთ. თქვენზე დაყრდნობა ნამდვილად შეიძლება.*

**ელენე წულუკიძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 23 თებერვალი

1863 – ინგლისელმა მოგზაურებმა, სპიკმა და გრანტმა, აღმოაჩინეს მდინარე ნილოსის სათავე.

1874 – უოლტერ უინგფილდმა გამოიგონა მაგიდის ჩოგბურთი – ტენისი.

1893 – რუდოლფ დიზელმა (გერმანია) დააპატენტა „დიზელის ძრავა“ და „დიზელის საწვავი“.

1910 – ფილადელფიაში შედგა საერთაშორისო შეჯიბრება რადისტთა შორის, მორზეს ანბანის გადაცემის სისწრაფეში.

1996 – ერაყში სადამ ჰუსეინმა სიკვდილით დასაჯა თავისი ორი „მოღალატე“ სიძე.

1997 – „დაიბადა“ პირველი კლონირებული ცხვარი – დოლი.

### 24 თებერვალი

1525 – სავიის ბრძოლაში ესპანელებს ტყვედ ჩაუვარდათ საფრანგეთის მეფე, ფრანსუა პირველი.

1848 – საფრანგეთში დაიწყო „თებერვლის რევოლუცია,“ რომელმაც დაამხო მეფე ლუი-ფილიპი.

1938 – მაღაზიებში გასაყიდად გამოვიდა პირველი სინთეტიკური კბილის ჯაგრისები.

1964 – კასიუს კლეი (მუჰამედ ალი) პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი კრივში.

### 25 თებერვალი

1836 – სემუელ კოლტმა დააპატენტა თავისი სახელობის რევოლვერი.

1921 – მოხდა საქართველოს „გასაბჭოება“.

1932 – ჰიტლერმა მიიღო გერმანიის მოქალაქეობა.

1946 – წითელ არმიას ოფიციალურად ეწოდა „საბჭოთა არმია.”

### 26 თებერვალი

1815 – ნაპოლეონი გაიქცა გადასახლებიდან (კუნძულ ელბიდან).

1848 – ლონდონში კარლ მარქსმა გამოაქვეყნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

1935 – შოტლანდიელმა მეცნიერმა უოტსონ-უატმა დააპატენტა რადარი.

1952 – უინსტონ ჩერჩილმა გამოაცხადა, რომ ინგლისსაც აქვს თავისი ატომური ბომბი.

### 27 თებერვალი

1879 – აღმოაჩინეს შაქრის შემცვლელი ნივთიერება – სახარინი.

1900 – შეიქმნა ინგლისის ლეიბორისტული პარტია.

1932 – ჯეიმს რედვილმა აღმოაჩინა ნეიტრონი.

1974 – ნიუ-იორკში გამოვიდა ჟურნალ Peaple“-ის პირველი ნომერი.

### 28 თებერვალი

380 – რომის იმპერატორმა, თეოდოსი პირველმა, ოფიციალურად დააკანონა მართლმადიდებლური აღმსარებლობის ბატონობა.

1066 – ლონდონში გაიხსნა ვესტმასტერის სააბატო.

1904 – დაარსდა პორტუგალიური საფეხბურთო კლუბი „ბენფიკა“.

1919 – გამოცხადდა ავღანეთის დამოუკიდებლობა.

### 1 მარტი

1780 – პენსილვანია გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი შტატი, რომელმაც თავის ტერიტორიაზე მონობა აკრძალა.

1912 – ალბერტ ბერი იყო პირველი ადამიანი სენტ ლუისიდან, ვინც თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა.

1947 – დაიწყო მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა.

2001 – ინდოეთის მოსახლეობამ გადააჭარბა 1 მილიარდს.

# სიყვარული ნისიად

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №4-7(738)**

ვერიკოს 5 საათამდე ეძინა. თვალი რომ გაახილა, ვერც კი მიხვდა, სად იყო; ვერც ის გაიხსენა, დილა იყო თუ საღამო, მოკლედ, დროისა და სივრცის შეგრძნება დაკარგა. რამდენიმე წუთს იწვა ასე გაშტერებული, მერე თავს ძალა დაატანა, თვალები მოიფშვნიტა და წამოჯდა. საათს რომ



დახედა, გაოცებისგან დაუსტვინა – ასე ბავშვობაში იცოდა ხოლმე. სტვენა ბიჭებმა ასწავლეს. თვითონ ძალიან მოსწონდა, მამა იცინოდა, დედა კი კატეგორიულად უკრძალავდა. როგორც კი ყურს მოჰკრავდა, როგორი დაკავებულიც არ უნდა ყოფილიყო, თავს წამოადგებოდა ხოლმე – სტვენა რა გოგოს საქმეა, მეორედ აღარ გავიგონოო. ახლაც ასე მოხდა – მეგიმ იმწამსვე შეაღო შვილის ოთახის კარი და აღშფოთება ვერ დამალა:

– რით ვერ გადაეჩვიე, პატარა ბიჭი ხარ თუ პოლიციელი?

– კარგი, რა, დედიკო, ქუჩაში ხომ არ ვუსტვენ? – მთქნარებით თქვა ვერიკომ და გაიზმორა, – იმდენი მეძინა, სულ მთლად მოვითენთე, ადგომის თავიც კი არ მაქვს.

– გინდა, ყავა მოგიტანო? – თემა შეცვალა დედამ, – სანამ შენ ნებივრობდი, ხაჭაპური გამოგიცხვე. თუ გინდა, გაგიფიცხებ.

– როდის მოასწარი? – ვერიკომ კიდევ ერთხელ დაამთქნარა, თმა ხელით შეისწორა და ზანცალით წამოდგა საწოლიდან, – არა, სამზარეულოში გამოვალ და მარტო ყავას დავლევ, მერე კი თავს მოვიწესრიგებ, თორემ, მგონი, ალს ვგავარ.

– რამე მოიცვი, არ გაცივდე. სანამ გამოხვალ, ყავას მოგიდუღებ.

– კარგი, – ვერიკომ სკამზე გადაკიდებული ხალათი მოიცვა და მობილური აიღო, – ერთი ვნახოთ, ვინმემ ხომ არ დამირეკაო, – ჩაილაპარაკა, მერე ღილაკს თითი დააჭირა და გაოცებით წამოიძახა: – უცნობი ნომერია! ხუთჯერ აქვს დარეკილი, ნეტავი ვინ არის? – კიდევ დააჭირა თითი ღილაკს და პირველივე ზარის შემდეგ თეას ხმა გაიგონა:

– რა გჭირს, სად დაიკარგე, ხომ მშვიდობაა?

– ჰო, მშვიდობაა. უბრალოდ, მე და დედაჩემმა ღამე ლაპარაკში გავათენეთ და მერე ისე მკვდარივით მეძინა მთელი დღე, ზარის ხმაც კი არ გამიგია. დღეს მე თვითონ ვაპირებდი შენთან დარეკვას და ბოდიშის მოხდას, არ გამომივიდა კარგად...

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, ყველაფერი ძალიან კარგად გამოგვივიდა. იმ ტუტუცის ატანა აღარ შემეძლო, იმას ვფიქრობდი, როგორ მოვიშორო უმტკივნეულოდ-მეთქი და შენ ცოტათი წამეხმარე, მეტი არაფერი.

– მართლა არა ხარ ნაწყენი?

– არა-მეთქი, დედას გეფიცები.

– მაშინ, ჩემთან გამოდი, დედაჩემსაც გაგაცნობ და მის გამომცხვარ საფირმო ხაჭაპურსაც გაჭმევ.

– ახლა?

ვერიკომ პაუზა გააკეთა და მერე მორიდებით უთხრა:

– არა, ერთ საათში. ხუთი წუთის წინ გავიღვიძე და, ცოტა გონზე თუ არ მოვედი, ლაპარაკის თავი არ მაქვს.

– თუ გინდა, ხვალ მოვალ.

– არა, დღეს, ერთ საათში. კარგი?

– კარგი, ერთ საათში შენთან ვარ, – თეამ ყურმილი გათიშა და რამდენიმე წამში ისევ დაურეკა სიცილით:

– შენ ჭიჭიკიაზე ერთი ძველი ანეკდოტი იცი?

– რა ანეკდოტი? – დაიბნა ვერიკო.

– მისამართთან დაკავშირებით, – ჩაიკისკისა თეამ.

– არა... რა მისამართთან? – ვერიკო ცოტა დაიძაბა – ვერ მიხვდა, თეა აშაყირებდა თუ მართლა რაღაც ანეკდოტს ახსენებდა.

– რა და, ჭიჭიკიამ ბიჭიკია თავისთან დაპატიჟა – გამეიარეო. ბიჭიკიამ ჰკითხა, სად ცხოვრობო. ჭიჭიკიამ – მაგი არაა შენი საქმე, შენ გამეიარეო.

– უი, მისამართი არ მითქვამს? – ჩაბჟირდა ვერიკო, – ეგ ანეკდოტი, მგონი, ჩემი ბავშვობისდროინდელია, საიდან გაგახსენდა?

– ბოლოს და ბოლოს, მეტყვი თუ არა მისამართს? – სული რომ მოითქვა, ჰკითხა თეამ.

ვერიკომ მისამართი უთხრა და, უკვე გამოფხიზლებული, სწრაფი ნაბიჯით გავიდა სამზარეულოში. მეგის კოხტად ჰქონდა მაგიდა გაწყობილი, ახალდასხმულ ყავას კი სურნელოვანი ოხშივარი ასდიოდა. ვერიკომ სასწრაფოდ დაავლო ხელი პატარა ფინჯანს და ქაფქაფა ყავა არაყივით გადაკრა.

– გამოგეფუფქება გულ-მუცელი, რას შვრები! – შეჰყვირა დედამ.

– არ გამომეფუფქება, ხომ იცი, რომ ძალიან ცხელი ყავა მიყვარს, – მერე ვერიკომ ხაჭაპურის ნაჭერს წვეტი მოაკბიჩა და ფაციფუცით გავარდა აბაზანისკენ.

– დაჯექი, ადამიანო და შეირგე ლუკმა, რას დარბიხარ? – გაბრაზდა მეგი.

– დე, ერთ საათში თეა მოვა ჩვენთან და ეს ყველაფერში ჩემს ოთახში გაგვიწყვე, რა!

მეგის აღარაფერი უთქვამს, რაც ჰქონდა მაცივარში და კარადაში, ყველაფერი ლამაზად დააწყო სინებზე და შვილის ოთახში გაიტანა.

***

ორშაბათს ვერიკო ადრიანად მივიდა სამსახურში – რაღაც წვრილმანი საქმეები ჰქონდა დასამთავრებელი და ძალიან გაუკვირდა, თეა უკვე მისული რომ დახვდა.

– როგორ ხარ? – შინაურულად გაუღიმა და თავისი ოთახისკენ გასწია.

– რაც შენგან წამოვედი, იმის მერე კარგ ხასიათზე ვარ. ძალიან ლამაზი დედა გყოლია, თან, ნამდვილი არისტოკრატი. ვგიჟდები ასეთ ქალებზე, – ვერიკომ იგრძნო, რომ თეა აბსოლუტურად გულწრფელი იყო და ესიამოვნა.

– დედაჩემსაც ძალიან მოეწონე.

– მართლა? – გაუხარდა თეას, – რაო, რა თქვა ჩემზე?

– ძალიან ჭკვიანი და განათლებული გოგო ჩანს, თან, ლამაზიც არისო.

მეგიმ მართლა ასე უთხრა შვილს და ამიტომ ვერიკოს არ მოუწია ზრდილობის გამო სასიამოვნო ტყუილის შეთხზვა.

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს არაფერზე და მერე ორივე თავის საქმეს შეუდგა. ერთ საათში თანამშრომლებმა დაიწყეს მოსვლა, 12 საათისთვის კი გენოც გამოჩნდა, ამაყი სახით ჩაუარა მის დანახვაზე გაჩუმებულ ქალებს და თავის კაბინეტს მიაშურა. შეიკეტა თუ არა კარი, უზარმაზარ ოთახს, რომელშიც ოცამდე ქალი და ხუთიოდე ახ-




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

ალგაზრდა მამაკაცი უსხდნენ კომპიუტერებს, უცებ ამოვარდნილი ქარივით გადაუარა ჩურჩულმა, რომელიც ნელ-ნელა გაძლიერდა და მალე შეკავებულ გნიასში გადაიზარდა. ბიჭებიდან ორმა, რომლებიც გვერდიგვერდ ისხდნენ, ჯერ აკრიახებულ ქალებს მოავლეს თვალი, მერე ერთმანეთს შეხედეს და უცებ სიცილი აუტყდათ.

– აუ, ამათ რაღა დააწყნარებს! – უკმაყოფილოდ თქვა ერთმა, – ისედაც პახმელია ვარ და თავი მისკდება.

– ერთი ხუთი წუთი მოიცადე და გაჩუმდებიან, – უპასუხა მეორემ ისე, რომ თავისი კომპიუტერის ეკრანისთვის თვალი არ მოუშორებია.

– ვითომ?! – დაეჭვებით იკითხა პირველმა.

– აგერ ნახავ, – ისევ ეკრანზე თვალმოუშორებლად უპასუხა მეორემ.

მართლაც, ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ ერთმანეთის მოპირდაპირე კუთხეებიდან სამი გოგო ადგა. ერთს ყავის ჭიქა ეჭირა ხელში, მეორეს – ქაღალდებით სავსე ფაილი, მესამეს სულაც არაფერი და, შესაბამისად, არაფრისმთქმელი, საქმიანი და შეწუხებული სახეებით ერთი მიმართულებით დაიძრნენ, დანარჩენები კი შეთანხმებულებივით გაისუსნენ და შურიანი, გამკილავი, დამცინავი და კიდევ მრავალნაირი მზერა გააყოლეს ტანის რხევით მიმავალ სამეულს. ყველა მათ უყურებდა, ერთის გარდა, რომელიც ძალიან მონდომებული სახით კრეფდა კომპიუტერზე რაღაც ტექსტს და სახეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა.

– სად მიდიან? – ისე ჩუმად იკითხა პირველმა ბიჭმა, რომ, მეორემ კი ვერ გაიგონა, უბრალოდ, მიხვდა, რა ჰკითხეს და პასუხად საჩვენებელი თითი მიმართა ჭერისკენ (იდეაში – ზეცისკენ) და ეს ჟესტი სახის მრავალმნიშვნელოვანი მიმიკით გააძლიერა.

– ჰმ?! – მიხვდა პირველი.

– ჰმ! – დაეთანხმა მეორე, თვალით ანიშნა, გოგოებს გახედეო და ორივემ ერთად მოავლო თვალი გასუსულ ქალებს.

– რა ხდება? – ბოლომდე მაინც ვერ მიხვდა პირველი.

– მაგას, ანუ შედეგს, დღის მეორე ნახევარში გავიგებთ, – აუხსნა მეორემ.

– იმასთან რა უნდათ? სხვებიც შემიმჩნევია ხოლმე... – პირველი ახალი თანამშრომელი იყო და აქაური „სისტემისა“ ჯერ არაფერი გაეგებოდა.

– აბეზღებენ ხოლმე, – ცოტა სევდიანად უპასუხა მეორემ.

– ვის? – ისევ ვერ მიხვდა პირველი.

– ყველას: ერთმანეთს, მე, შენ, ტექნიკურ პერსონალს... დამლაგებელსაც კი, თან, განსაკუთრებით დაწვრილებით უყვებიან იმათ პირად ცხოვრებასა და ინტიმურ ამბებს, ვინც თითოეულ მათგანს თავის კონკურენტად მიაჩნია, ოღონდ, რა თქმა უნდა, ნახევარზე მეტი ტყუილია, მათივე გამოგონილი.

– რის კონკურენტად, ვაკანსიაა რამე თანამდებობაზე? – მთლად დაიბნა პირველი.

– ბიჭო, შენ დაწყებითი კლასების დამთავრების შემდეგ დაიწყე აქ მუშაობა? საერთოდ აზრზე არა ხარ, რაებიც ხდება ცხოვრებაში? რა თანამდებობა!.. თუმცა, ჰო, გარკვეულწილად, თანამდებობაა – დროებითი საყვარლის, რომელსაც მუდმივი ცოლის თანამდებობაზე გადაყვანის დაუოკებელი სურვილი და უზარმაზარი იმედი აქვს. ამიტომაც, ყველაფერს კადრულობენ – ხომ გაგიგია, მიზანი ამართლებს საშუალებასო.

– მაშ, გენოზეა ნადირობა? – სიცილი აუტყდა პირველს, – რამდენია კონკურენტი?

– სულ მცირე – ამათი ნახევარი.

– ანუ, გამოდის, რომ ყოველდღე ამათ ქასთინგებს უნდა ვუყუროთ? ყველამ ერთად რომ მოინდომოს შესვლა?

– რა გინდა, გაერთობი. თან, გენოს მდივანიც საქმეშია გასული და მხოლოდ თითო-თითოს უშვებს თავისი შეფის კაბინეტში, ისიც, ათ-ათი წუთით.

– აუ, ამათი გაძლება არ გინდა?! – პირველმა უჯრიდან „ბორჯომი“ ამოიღო პატარა ბოთლით, მოიყუდა და თან ისევ გადახედა ქალებს.

– დღეს მაკამ გაიმარჯვა მარათონში, – ჩუმად თქვა მეორემ და ჩაიცინა, – ეგ უფალი გენოს ფავორიტი ნაშაა და კარგა ხანს აღარ გამოვა იქიდან, – მერე თვითონაც მოავლო დარბაზს თვალი და პირველს უთხრა: – ხედავ, რა შურიანები არიან ქალები? უკლებლივ ყველამ მიატოვა საქმე და ლამის ენაგადმოგდებულები ელიან, როდის და როგორი გამოვა მაკა იქიდან.

– ყველა არა, – არ დაეთანხმა პირველი, – საბედნიეროდ, არის ამ დარბაზში თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც ჭორებზე და ქალურ შურზე მაღლა აღმოჩნდა.

– მართლა? აბა, რომელი?

პირველმა ფანჯარასთან მჯდარ გოგოზე მიუთითა, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა, რა ხდებოდა მის გარშემო და ისევ დინჯად კრეფდა კომპიუტერზე რაღაც ტექსტს.

– ნახე? რამდენი ხანია, ვუყურებ და, თავიც არ აუწევია, ისე მუშაობს. ჩანს, წესიერი ადამიანებიც არსებობენ!

მეორემ მითითებულ მხარეს გაიხედა და ისე გაიცინა, რომ ქალებს არ შეემჩნიათ.

– რას ფხუკუნებ? – დაინტერესდა პირველი.

– ეგ შენი „წესიერი ადამიანი“ ამათ შორის ყველაზე ეშმაკი და ჭკვიანია. შენ გგონია, ახლა სამსახურის საქმეს აკეთებს?

– აბა?

– პირდაპირ კომპიუტერით უგზავნის თავის მოპოვებულ მასალებს ყველას შესახებ. იმდენად ჭკვიანია, რომ სხვის დასანახავად გენოსთან არასდროს შედის და, შესაბამისად, მტრებსაც არ იჩენს. და რადგან აქ მყოფ ქალებს ჰგონიათ, რომ ტატას გენო იმიტომ არ აინტერესებს, რომ უფრო მდიდარი საყვარელი ჰყავს, თავის საიდუმლოსა და გულისნადებს მას უმხელენ და, როგორც ჭკვიან ქალს, რჩევასაც ეკითხებიან. ვის რა რჩევებს აძლევს, აზრზე არა ვარ, მაგრამ, მაგრად სათავისოდ რომ იყენებს ამ შენილბული პუტანკების მიწოდებულ ინფორმაციებს, ეგ ზუსტად ვიცი.



– შენ საიდანღა იცი ამდენი? – დაეჭვდა პირველი.

– ისევ ამათგან. იციან, რომ მე ნაღდად არ გამოვდგები კონკურენტად და გულის დარდებს მიყვებიან ხოლმე; მოკლედ, დაქალი გავხდი, – მეორეს ცოტა ხმამაღლა მოუვიდა გაცინება და შემკრთალმა გახედა ქალებს, მაგრამ მისთვის არავის ეცალა ტატას გარდა – მხოლოდ მან გამოხედა მკაცრი სახით.

– მგონი, დაგვერხა, – უთხრა პირველს და უსიამოვნოდ შეიჭმუხნა სახე.

– რატომ?

– ტატა გვიყურებდა და აშკარად მიხვდა, რომ ვლაპარაკობდით. ამიტომ, არ გაგიკვირდეს, რომ ხვალ დილიდან ახალი სამსახურის ძებნა მომიწიოს.

– რატომ?

– გული მიგრძნობს, რომ დღევანდელ გაგზავნილ ტექსტში მეც ვიქნები მოხსენიებული, თან, ჩემთვის ფრიად უსიამოვნო ეპითეტებით.

– რას გერჩის?

– აქ რომ მოვედი, ძალიან ზანძურად დამიწყო ჩალიჩი და პირდაპირ ვუთხარი, შენნაირი გოგოები არ მომწონს-მეთქი.

– დედა შეგიგინებია და ვერ მიმხვდარხარ.

– ჰო, ვაღიარებ, ძალიან ცუდად გამომივიდა. ჩემი უტაქტობით დაუძინებელი მტერი შევიძინე. მიუხედავად იმისა, რომ ორ დღეში „გადაერთო“ გენოზე ნადირობაზე, მე მაინც ამოჩემებულად მემტერება და, ცდილობს, არ გამახაროს.

– ერთი ეს გამაგებინე, ამ სამსახურში ერთი ნორმალური და წესიერი გოგოც არ მუშაობს? – პირველი აშკარად დაიძაბა და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

– როგორ არ მუშაობს, მაგრამ, ისინი ბევრს ვერაფერს გიშველიან.

– რა მჭირს საშველი? – კიდევ უფრო დაიძაბა პირველი.

– რა და, ტატა ახლა შენც გიყურებდა და, ეჭვი მაქვს, რომ დასაბეზღებელთა სია კიდევ ერთი კაცით გაიზრდება.

– ღადაობ? – შეშინებული ხმით იკითხა პირველმა და, როდესაც მეორემ თავი გაუქნია – არაო, ფეთიანივით წამოხტა, მაგიდაზე დაგდებულ სანთებელას ხელი დაავლო და ფოიესკენ გავარდა.

მეორემ ღიმილით გააყოლა თვალი დამფრთხალ თანამშრომელს და თავის კომპიუტერს მიუბრუნდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

კითხვა: **გინურას ფოთლებს წყალი რომ მოხვდეს, ხომ არ დააზიანებს?**

**პასუხი:** მის ფოთლებზე წყლის დასხმა სასურველი არ არის. ეცადეთ, მორწყვისას წყალი პირდაპირ მიწაზე ან ლამბაქზე დაუსხათ. ზაფხულობით მისი მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზამთარში კი იშვიათად მორწყეთ.

კითხვა: **როგორი სახის შეიძლება იყოს სურო?**

**პასუხი:** სურო ძალიან მრავალფეროვანია, შესაბამისად, სხვადასხვაგვარია მისი ფოთლების ზომა და ფორმა: ბუჩქოვანი, ხვიარა ან დაკიდებული. რაც შეეხება მის ფერს, შეიძლება შეხვდეთ მწვანეს, ყვითელსა და თეთრს.

კითხვა: **როგორი სინათლე მოსწონს ჰიპოესტესს?**

**პასუხი:** თუ გსურთ, რომ ამ მცენარემ მკვეთრი ფერები მიიღოს, კაშკაშა სინათლეზე დადგით. ზაფხულში მზეს მოარიდეთ, ზამთარში კი – პირიქით, ყველაზე მეტად სჭირდება მზე.

კითხვა: **როგორ ავაყვავო გარდენია ხელმეორედ?**

**პასუხი:** გარდენია განთქმულია თავისი ულამაზესი ყვავილებით. მართალია, მისი გაზრდა რთული არ არის, მაგრამ, ძნელია მისი ხელმეორედ აყვავება. ამისათვის საჭიროა სტაბილური ტემპერატურა და ტენიანობა. ტემპერატურის უეცარმა ცვლილებამ, ორპირმა ქარმა და ცვალებადმა ტენიანობამ შეიძლება მცენარეს კოკრები დააყრევინოს, ამიტომ მას ძალიან დიდი ყურადღება და კარგი მოვლა სჭირდება. შესაძლებელია ის მეორედ ველარ ააყვავოთ და ახალი მცენარის შეძენა მოგიწიოთ.

კითხვა: **როგორ მოვუარო ფიტონიას?**

**პასუხი:** ფიტონიასათვის აუცილებელია სითბო და მაღალი ტენიანობა. ზაფხულის თვეებში, მცენარის აქტიური ზრდის პერიოდში, ფიტონია მორწყეთ გაზავებული ბალანსირებული სასუქით. ზედმეტ წყალს ნუ დაუსხამთ, განსაკუთრებით – ზამთარში, თორემ, შეიძლება ღეროები დაულპეს. ზაფხულობით მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, არა სველი. კარგი იქნება, თუ მცენარეს ქილაში ან აკვარიუმში ჩადგამთ.

კითხვა: **როგორი პირობები უნდა შევუქმნა აგავას, რომ კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** ამ მცენარეს განსაკუთრებული პირობები არ სჭირდება, ის ზამთრის დაბალ ტემპერატურასაც კი უძლებს. მთავარია, მშრალ ადგილას არ დადგათ. როდესაც მცენარე ზრდის პერიოდში იქნება, რეგულარულად მორწყეთ, ზამთარში კი ყურადღება მიაქციეთ, რომ მიწა მთლიანად არ გამოშრეს. მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა უნდა აცადოთ.

კითხვა: **როგორ მოვახერხო, რომ ადიანტუმი მალე გაიზარდოს?**

**პასუხი:** ადიანტუმისთვის ფორმის მიცემა ძალიან იოლია. თუ გსურთ, რომ სიმაღლეში მალე გაიზარდოს, ტენი არ უნდა მოაკლოთ. თუ მისი ფორმა აღარ მოგეწონებათ, შეგიძლიათ, გაკრიჭოთ – ან ყველა რტო ძირში მოაჭრათ – ახალი ყლორტები მალე ამოუვა. გირჩევთ, ეს გაზაფხულზე გააკეთოთ.

კითხვა: **შეიძლება ალოეს ხშირი მორწყვა?**

**პასუხი:**: ალოეს ზაფხულში მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ზედმეტი წყალი არ მოგივიდეთ – შეიძლება ამით მცენარე დაზიანდეს. მჭიდროდ ჩარიგებულ ფოთლებს წყალი არ მოახვედროთ. ორ კვირაში ერთხელ მიანოდეთ გაზავებული, ბალანსირებული თხევადი სასუქი. ალოეს ზამთარში უფრო იშვიათად სჭირდება წყალი, თუმცა, მიწის გამოშრობაც არ არის სასურველი. ამ დროს დამატებითი კვებაც არ სჭირდება.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

ანატოლ ფრანსი

კითხვა: **გთხოვთ მაცნობოთ, ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის შეიძლება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ არასამთავრობო ორგანიზაციებს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ზოგადად იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო, კომერციულ ან არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს ან მის უფლებამონაცვლეს. არასამთავრობო ორგანიზაციები არსებობენ არაკომერციული იურიდიული პირების ფორმით, შესაბამისად ისინი წარმოადგენენ და შესაძლებელია იყვნენ დანაშაულის სუბიექტები.

კითხვა: **გთხოვთ მაცნობოთ, როგორ და რა შემთხვევებში შეიძლება გადაუვადდეს მსჯავრდებულს სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდა?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამოტანის შემდეგ – განჩინებით, შემდეგი საფუძვლების არსებობისას: მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე; მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.

კითხვა: **ომში გამოჩენილი გმირობისთვის მოქალაქე დააჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის სახელობის მეორე ხარისხის ორდენით. დაჯილდოებისას, გამოქვეყნების მიზნით, მას სურათი გადაუღო ერთ-ერთმა ფოტოკორესპონდენტმა. მოქალაქემ მოითხოვა, არ გამოქვეყნებულიყო სურათი, რადგან, საბრძოლო მოქმედებების დროს მან ხელი დაკარგა და არ სურდა, ფიზიკური ნაკლი სურათში გამოჩენილიყო. ეს სურათი გამოქვეყნდა ახლახან. რამდენად კანონიერია მოქალაქის მოთხოვნა და შეუძლია თუ არა მას, მოითხოვოს კომპენსაცია მორალური ზიანის ანაზღაურებლად?**

პასუხი: საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, რომელიც ყველაზე მაღალი იურიდიული ძალის მქონე კანონია, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია", სიტყვით „ხელშეუვალი" ის მიუთითებს, რომ ადამიანის ღირსება და პატივი არის ყველაზე დიდი სიკეთე და რომ არ შეიძლება ადამიანის ღირსება და პატივი გახდეს საშუალება რაიმე სხვა მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ, თუ ფოტოგრაფმა ისე წარმოაჩინა და გადაიღო სურათი, რომ დაჯილდოებული მოქალაქის პატივი და ღირსება შეილახა, მოქალაქეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს მისი პატივისა და ღირსების შემლახავი ქმედებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

კითხვა: **ვარ პენსიონერი. ძალიან მიჭირს. მინდა სადმე მუშაობის დაწყება. თუ შევძელი ამის გაკეთება, მომეცემა თუ არა პენსია სრულად?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. შესაბამისად, თუ თქვენ მუშაობას დაიწყებთ საჯარო სამსახურში, შეგიწყდებათ პენსიის მიღება.

# რჩევები ავტომოყვარულებს

**კითხვა: გთხოვთ, მირჩიოთ, ოჯახისთვის რომელი ავტომობილი შევიძინო: „აუდი A3" (1.8 ძრავის მოცულობით), „მერსედესი C 180" თუ „გოლფ 3"? უპირატესობას ვანიჭ-ებ ავტომობილის სალონის სიდიდესა და სისწრაფეს. იქნებ, მითითებული ავტომობ-ილები დაახასიათოთ: რამდენს წვავს, როგ-ორი ხარისხისაა და რამდენად სწრაფია?**

**პასუხი:** ეს სამივე ავტომობილი ერთმან-

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

ეთისგან რადიკალურად განსხვავდება როგორც მონაცემებით, ისე მანევრით, სისწრაფით, საწვავის წვით, სტილით, ამორტიზაციის სისტემით და ასე შემდეგ. ჩვენ სამივეზე გესაუბრებით და საბოლოოდ არჩევანი თავად გააკეთეთ. „აუდი A3-ს" ტევადი და დიდი სალონი აქვს. ის საკმაოდ მძიმეა იმისთვის, რომ სწრაფად იაროს, მით უმეტეს, თუ აქცენტს 1.8 მოცულობის ძრავის მქონე მოდელზე აკეთებთ. ეს ძრავა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ასეთი სიმძიმის ავტომობილი სწრაფად ატაროს. ამასთან, „აუდის" წინა თვლების დაკიდების სისტემა ძალიან რთულია. ეს საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს ჩვენი გზების პირობებში და ძალიან ხშირად ფუჭდება, სირთულის გამო კი შეკეთება ძალიან ძვირი ჯდება. მაგალითად, თუ „გოლფ 3-ის" ერთ მხარეს მხოლოდ ერთი ეგრეთ წოდებული „შარავოი" აქვს (რაც ჩვენი გზის საფარის პირობებში ყველაზე ხშირად ფუჭდება), „აუდს" ეს დეტალი ოთხი აქვს, მხოლოდ ერთ მხარეს, თან, გაფუჭების შემთხვევაში, რამდენიმე მათგანის მთლიანად შეცვლა ხდება საჭირო. რაც შეეხება „მერსედეს C 180-ს," მას სალონის სიდიდეს ნამდვილად ვერ დავუწუნებთ. ამასთანავე, ის საკმაოდ ეკონომიურია. შესაძლოა, სიჩქარის აკრეფა ცოტა უჭირს, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან კარგად ასრულებს მკვეთრ მანევრებს და ძალიან იშვიათად ფუჭდება. „გოლფ 3" კი იმ მანქანების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც მაშინ ვყიდულობთ, როცა სხვა ავტომობილის შეძენის საშუალება არ გვაქვს, ანუ, მისი სათადარიგო ნაწილების შოვნა საკმაოდ იოლია და, თან – იაფი. სალონშიც თავისუფლად ეტევა ოთხი ადამიანი. საჭიროების შემთხვევაში კი – მეხუთეც. ძლიერი ძრავის შემთხვევაში, „გოლფ 3" საკმაოდ სწრაფად ივლის, ხოლო თუ სუსტი ძრავა აქვს, მას სისწრაფეს ნამდვილად ვერ მოვთხოვთ. ერთადერთი მოთხოვნა, რაც შეიძლება „გოლფ 3-თან" გვქონდეს, ეს მისი ეკონომიურობაა, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ამის მიღწევაც საკმაოდ რთული ხდება. აქედან გამომდინარე, თქვენს ადგილზე რომ ვიყო, „მერსედეს C 180-ს" შევიძენდი, თუკი, რა თქმა უნდა, ამის საშუალება გაქვთ.

**კითხვა: იქნებ მირჩიოთ, შევიძინო თუ არა „ჰონდა DX", 1.6 ძრავის მოცულობით. ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ სისწრაფეს. მაინტერესებს, რამდენ საწვავს მოიხმარს 100 კილომეტრზე და ამ მოცულობის ძრავის მქონე ავტომობილს ხომ არ გაუჭირდება ადგილიდან სწრაფად დაძვრა.**

**პასუხი:** „ჰონდა" 1.6 მოცულობის მქონე სამ სხვადასხვა ტიპის ძრავას აწარმოებს. ესენია: ერთვატიანი თექვსმეტსარქვლიანი (ანუ, თექვსმეტკლაპანიანი) ძრავა; ერთვატიანი „ვიტეკი" – თექვსმეტსარქვლიანი და, ორვატიანი „ვიტეკი" – თექვსმეტსარქვლიანი. სამივე ძრავა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ, ნებისმიერი მათგანით აღჭურვილი „ჰონდა სივიკი," 100 კილომეტრ-საათში სიჩქარემდე სიარულის შემთხვევაში, საწვავს საკმაოდ ეკონომიურად დაწვავს. რაც შეეხება მაღალი სიჩქარით ტარებას ან ადგილიდან სწრაფ დაძვრას, ასეთ რეჟიმში ორვატიანი „ვიტეკი" ბევრად სწრაფად ივლის, მაგრამ, გაცილებით მეტ საწვავს მოიხმარს. ანუ, ტარების სტილის მიხედვით, ამ ტიპის ძრავის მქონე ავტომობილი 5-დან 13 ლიტრამდე საწვავს მოიხმარს. 1.6 ერთვატიანი „ვიტეკის" ძრავა ყველაზე ეკონომიურია – მისი წვა 5-დან 9 ლიტრამდე მერყეობს. 1.6 თექვსმეტსარქვლიანი ძრავით აღჭურვილი ავტომობილის წვის დიაპაზონი 7-დან 10 ლიტრამდეა. რაც შეეხება ადგილიდან დაძვრას, ჯერ არ შექმნილა ისეთი „ჰონდა", რომელსაც ეს უჭირს.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: აუცილებელია, ძაღლის აცრა ერთი თვის ასაკიდან დავიწყოთ?**

**პასუხი:** ძაღლების აცრა ერთი თვის ასაკიდან კი არა, დაბადებიდან 45 დღის შემდეგ იწყება. ეს აუცილებელია ძაღლის ჯანმრთელობისთვის, რადგან მაღალ კლასიფიცირებული ვაქცინა რამდენიმე დაავადების საწინააღმდეგო შტამებს შეიცავს. ესენია: ენტერიტი, ჰეპატიტი, ძაღლის ჭირი, პარაგრიპი, ლეპტოსპიროზი და ძაღლსაშენების ხველების სინდრომი. თუ ძაღლი მაინც დაავადდა, ეს აცრები იმის საშუალებას იძლევა, რომ ძაღლი გადარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფექციური ენტერიტი, რომ იტყვიან, შიდსზე საშიშია, რაც ცხოველის სიკვდილით მთავრდება. მაგალითად, კუჭ-ნაწლავის საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა ენტერიტი, რომელსაც ენტეროვირუსები იწვევს და გამოვლინდება შეუჩერებელი ფაღარათით, რომელსაც მძაფრი, შემაწუხებელი სუნი აქვს. ძაღლს ეწყება უმადობა, გულიც ცემა აჩქარებული აქვს და თანდათან აპათიური ხდება.

**კითხვა: ხშირია შემთხვევა, როცა სახლში კატა და ძაღლი ერთად არიან. ბევრს ჰგონია, ეს დაუშვებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთად გაზრდილ ცხოველებს ერთმანეთის მიმართ აგრესია არ უყალიბდებათ.**

**პასუხი:** მართალია, შეიძლება, კატა და ძაღლი გარეთ ერთმანეთს ერჩიან და ეს ხშირ შემთხვევაში ასეცაა. მაგრამ, ლეკვებს, რომლებიც სახლში კატებთან ერთად იზრდებიან, შემდგომში კატების მიმართ ლოიალური დამოკიდებულება უყალიბდებათ. მაგალითისთვის, ანალოგიურია ისეთი მწყემსი მეცხვარე ძაღლების დამოკიდებულება, რომლებიც ცხვრებთან ერთად იზრდებიან. მათში ნადირობითი დამოკიდებულება ცხვრების მიმართ ქრება. ასევე არიან სოფლის ძაღლები, რომლებიც არ ახრჩობენ ქათმებს და სხვა ეზოს ბინადრებს, თუ მათთან ერთად იზრდებიან.

**კითხვა: 8 წლის მეტისი გვყავს, რომელიც ეზოს პირობებში ცხოვრობს მთელი ეს წლები. ბოლო დროს პრობლემები შეექმნა ჯანმრთელობის მხრივ. გვირჩიეს, ოპერაციის გაკეთება. დასაშვებია ამ ასაკში ქირურგიული ჩარევა?**

**პასუხი:** უკეთესი იქნებოდა, დაგეფიქსირებინათ, თუ რა პრობლემები შეექმნა თქვენს ძაღლს და რა სახის ოპერაციაზეა საუბარი. ზოგადად, გეტყვით, რომ ასაკის თაობაზე რაც იკითხეთ, არ არის მართალი. ასაკოვან ცხოველებს ქირურგიულ ოპერაციას უკეთებენ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. რეალურად, ყველაზე ხშირად ოპერაციულ ჩარევას ასაკოვანი ცხოველები საჭიროებენ. ამ დროს ოპერაციულ ჩარევას სასიცოცხლო ჩვენება აქვს. თუმცა, მაღალია ანესთეზიოლოგიური რისკი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული რისკის ხარისხის შეფასება ხდება კლინიკური და სხვა სახის გამოკვლევების მონაცემთა ობიექტური შეფასების საფუძველზე. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების მიღება გაუკეთდეს თუ არა ცხოველს ოპერაცია.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

# მაფიის შვილობილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-7(738)

– რა დონეზე იცი?

– ძლიერი კომპიუტერი რომ მქონდეს, საიდუმლო, დახურულ პროგრამებშიც შევაღწევ.

რამზან ბეიმ შალაშის მარჯვენა კუთხისკენ გაიშვირა ხელი და ჯამალს უთხრა:

– იმ კომოდში ნოუთბუქი დევს. გამოიღე



და მაჩვენე შენი უნარი.

ჯამალმა კომპიუტერი გამოიღო, შეათვალიერა, ისევ მასპინძლის წინ დაჯდა და უთხრა:

– ცუდი კომპიუტერი არაა. ბოლო მოდელია, მაგრამ, ამით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ.

– მაინც, რისი გაკეთებაა შესაძლებელი?

– დიდი-დიდი, ნებისმიერი ბანკის კლიენტის საიდუმლო ანგარიში გავტეხო.

– შვეიცარიის ბანკშიც შეაღწევ?

– დიახ.

რამზან ბეის შვეიცარიის ერთ-ერთ ბანკში რომან ბასკოვის სახელზე ოცი მილიონი დოლარი ჰქონდა შენახული და ჯამალს უთხრა:

– აბა, სცადე და ამ ბანკში რომან ბასკოვის ანგარიში და თანხის რაოდენობა გამიგე.

ჯამალმა კომპიუტერი ჩართო. მანიპულაციებს შეუდგა და, ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ რამზან ბეის უთხრა:

– რომან ბასკოვის ანგარიშზე ამ ბანკში ოცი მილიონი დოლარი ირიცხება.

– გასაგებია. ძალიან კარგი. კომპიუტერი გამორთე და შეინახე, – უთხრა რამზან ბეიმ ჯამალს და ბიჭი კვლავ მის წინ რომ მოკალათდა, ჰკითხა:

– ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურების მონაცემთა ბაზის კოდების გატეხვას შესძლებ?

– ძალიან ძნელია, მაგრამ, თუკი შესაბამისი მოწყობილობა მექნა, რაღაც დონეში მაინც შევაღწევ.

– გექნება. შენ მხოლოდ მითხარი, რა გჭირდება და გიშოვით.

– მე მჭირდება... – დაიწყო ჯამალმა, მაგრამ რამზან ბეიმ შეაჩერა და უთხრა:

– მერე იყოს. ახლა წადი და ტანსაცმელი გამოიცვალე. წვერი აღარ გაიპარსო და ამერიკული ტერმინები არ წამოგცდეს. მეომარი ძმები გაჭმევენ და ჩვენი ცხოვრების წესს გაგაცნობენ. ჩემს ერთ-ერთ მეთაურს ვეტყვი, რომ მოგხედოს და, აბა, შენ იცი. ახლა კი თავისუფალი ხარ.

ჯამალი წამოდგა და მასპინძელს უთხრა:

– რამზან ბეი, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს...

– გისმენ, ჯამალ.

– ჩვენმა ძმებმა რომ დამაკავეს, ყველა ნივთი ჩამომართვეს. რაც აშართვაეს, მათი ფეშქაში იყოს, მხოლოდ ჯიბის კალკულატორი დამიბრუნონ.

– ყველაფერს დაგიბრუნებენ, მაგრამ, ჯიბის კალკულატორში რა არის ასეთი მნიშვნელოვანი?

ჯამალს გაეცინა:

– ეს ჯიბის კალკულატორი უჩვეულო ელექტრომოწყობილობაა, რომელიც მე გავაკეთე და მხოლოდ ჩემი ცერი თითის დადების შემდეგ მოქმედებს. მას ორი კილომეტრის რადიუსში ნებისმიერი რადიოტალღის დაჭერა და გაშიფვრა შეუძლია, ანუ, ამ მანძილზე ნებისმიერ სატელეფონო საუბარს მოვისმენ. ამ მოწყობილობამ ბევრჯერ გადამარჩინა მტრისგან და ჩვენც გამოგვადგება. მაგალითად, „ნატოს“ ქვედანაყოფების ერთმანეთთან საუბარს მოვუსმენთ და ჩვენთვის სასარგებლო ინფორმაციებს შევიტყობთ.

– კარგი. თუ დაგვჭირდა, გამოვიყენებთ. ნახვამდის.

– ნახვამდის, რამზან ბეი, – ჯამალმა თავი დაუკრა მასპინძელს და შალაშიდან გავიდა.

რამზან ბეიმ ადიუტანტი იხმო და უთხრა:

– ჯალალს დაუძახე!

ჯალალ ჯეინადინი, საიდ რამზან ბეის ასმეთაური, ნდობით აღჭურვილი პირი და მისი მარჯვენა ხელი იყო. ახალგაზრდა, ცისფერთვალება, ათლეტ ჯალალს სპარსული წარმოშობა ჰქონდა და ირანში იყო დაბადებული, თხუთმეტი წლის ასაკიდან კი ავღანეთში იბრძოდა ჯიჰადისტების მხარეზე. მას მამაცი, უშიშარი და დაუნდობელი მებრძოლის სახელი ჰქონდა. განათლება არ გააჩნდა და, ყურანის გარდა, სხვა წიგნი არ ჰქონდა წაკითხული. თუმცა, საკმაოდ საზრიანი იყო და განსაკუთრებული ეშმაკობით გამოირჩეოდა. რამზან ბეი, რომლის ლიკვიდაციისთვისაც ძალიან დიდი ფულადი ჯილდო იყო დაწესებული, ჯალალს სიკვდილს ჰყავდა გადარჩენილი. სწორედ ამის გამო დაიახლოვა ავღანელმა საველე მეთაურმა მამაცი სპარსი მეომარი და ყველაზე მეტად მას ენდობოდა. ერთხელ, როდესაც რამზან ბეის რაზმი დისლოკაციის ადგილს იცვლიდა და პატარ-პატარა ჯგუფებად გადაადგილდებოდნენ, ამერიკელი რეინჯერების ალყაში მოექცნენ. სასტიკი ბრძოლის დროს, ამერიკელებმა რამზან ბეის მრავალი მებრძოლი გაანადგურეს. თავად მეთაური კი ფეხში დაიჭრა და გადაადგილება არ შეეძლო. ჯალალმა უწყვეტი ცეცხლის ქვეშ გაიარა ასიოდე მეტრი ბრძოლით, დაჭრილი რამზან ბეი ზურგზე მოიგდო და ახლომდებარე გამოქვაბულს შეაფარა თავი. ისინი სამი დღე იმალებოდნენ კლდეებში და მთელი ამ დროის განმავლობაში ჯალალი გვერდიდან არ მოშორებია რამზან ბეის – უვლიდა მას და, სისხლისგან რომ არ დაცლილიყო, ჭრილობა ნაკვერჩხლით მოუწვა. თანაც, მალვის მეოთხე დღეს, მძინარე რამზან ბეის გიურზამ უკბინა. ჯალალს ვაქცინა ანტიგიურზინი აღმოაჩნდა, მეთაურს შეუშხაპუნა და მეორედ იხსნა სიკვდილისგან. ბრძოლიდან ერთი კვირის შემდეგ ჯალალმა მისუსტებული და გონებამიხდილი რამზან ბეი ახალ ბანაკში ზურგით მიიყვანა. მან ჯერ მეთაური დააწვინა ლეიბზე, შემდეგ კი თავადაც მოწყვეტით დაეცა, რადგან უკანასკნელი ძალები გამოელია. რამზან ბეი აღფრთოვანებული იყო ჯალალის სიმამაცითა და ერთგულებით, ამიტომ ის ასმეთაურად დანიშნა, დაიახლოვა და მომავალში მნიშვნელოვანი დავალების მიცემას გეგმავდა.

– მეძახდით, რამზან ბეი? – ჰკითხა მეთაურს შალაშში შემოსულმა ჯალალმა.

– დაჯექი და მომისმინე.

– გისმენთ, – უთხრა რამზან ბეის ხალიჩაზე ფეხმორთხმულმა ჯალალმა.

– ჯამალ ჯურთიზე მინდა დაგელაპარაკო.

– ამერიკელზე?

– მასზე.

– გისმენ, რამზან ბეი.

– ეს ამერიკელი ძალიან საეჭვო და საშიში ადამიანი ჩანს. შენ კი იმიტომ დაგიბარე, რომ შენებურად მოჰკიდო ხელი და გაარკვიო, რა სულის კაცია.

ჯალალს გაეცინა და მეთაურს უთხრა:

– თქვენ მხოლოდ მიბრძანეთ, რამზან ბეი და ერთ საათში გამოვტეხავ.

– არა, ჯალალ, ასე არ ივარგებს. რომ ვაწამოთ და სუფთა აღმოჩნდეს, წყენას გულში ჩაიდებს და სერიოზულ მტერს გავიჩენთ. ამიტომ, სხვაგვარად უნდა ვიმოქმედოთ.

– მიბრძანეთ, რა ვქნა, რამზან ბეი.

– შენს რაზმში უნდა ჩარიცხო, გვერდით იყოლიო და თვალი არ მოაშორო. თუ ამერი-

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

კელების შემოგზავნილია, აუცილებლად გაიშიფრება და სამაგალითოდ დავსჯით – თავს მოვაჭრით და მის პატრონებს გავუგზავნით. ხოლო თუ ყველაფერს სიმართლეს ამბობს, მაშინ ჩვენს რიგებს ძალიან ერთგული, ჭკვიანი და თავდადებული ალაჰის მებრძოლი შეემატება.

– დიდება ალაჰს! – თქვა ჯალალმა და წვერებზე ხელები ჩამოისვა.

– დიდება ალაჰს! – იგივე გაიმეორა რამზან ბეიმაც და ჯალალს უთხრა:

– აშკარად ეტყობა, რომ კარგი მომზადებულია და ყველაზე მეტად სწორედ ამან დამაეჭვა. მისივე თქმით, მას თვითმომზადება აქვს გავლილი, მაგრამ ბევრი რამ იცის და, შეძლებდა კი ასეთი ახალგაზრდა კაცი სპეციალური ინსტრუქტორების გარეშე ასეთი დონის მიღწევას? აი, რამ დამაფიქრა.

– რამზან ბეი, მართალია, რომ თითქოს ეს ამერიკელი შაჰ ომარის ვაჟიაო?

– შაჰ ომარს მართლა ჰყავდა ვაჟი, რომელიც ამერიკელებმა გაიტაცეს. ეს ის ამერიკელია თუ მის მაგივრად სხვა შემოგვიგზავნეს, ამის გარკვევა შეუძლებელია, რადგან, ამჟამად ყველა დახოცილია, ვისაც შაჰ ომარის ვაჟის ამოცნობა შეეძლო და ყველაზე მეტად სწორედ ეს მაეჭვებს.

– სურათიც არ არსებობს?

– არა მგონია.

– კარგი, რამზან ბეი, მე მას გვერდით ვიყოლიებ, თვალს არ მოვაშორებ და, თუ შემოგზავნილია, აუცილებლად გავშიფრავ. ერთი აზრიც მომივიდა თავში.

– რა აზრი?

– მას ჩვენ დეზინფორმაცია უნდა მივაწოდოთ და, თუ ის გაჟონავს და რეაგირება მოჰყვება, ესე იგი, ამერიკელი შემოგზავნილია.

– კარგი აზრია, მაგრამ, ჯერ ნუ ვიჩქარებთ. ამ ეტაპზე მხოლოდ დააკვირდი, დეზინფორმაცია კი მერე იყოს. თანაც, ყველაფერი საგულდაგულოდაა მოსაფიქრებელი.

– შეიძლება, ის მართლაც შაჰ ომარის ვაჟია და ამერიკელებმა გადაიბირეს.

– არც ესაა გამორიცხული, – მიუგო ჯალალს რამზან ბეიმ, – ძმებს უთხარი, რომ ამერიკელს ყველა ჩამორთმეული ნივთი დაუბრუნონ. ჩვენებურად გამოაწყვე, კარგად გამოკვებე და, ფორმაში რომ ჩადგება, თავისი ნივთებიანად მომიყვანე. მას რაღაც გონებამახვილური მოწყობილობა ჰქონია და მინდა გამოვცადო.

– გასაგებია, რამზან ბეი. წავალ, საქმეს მივხედავ, – ჯალალმა თავი დაუკრა საველე მეთაურს და შალაშიდან გავიდა.

***

„ეფბეერის“ დირექტორმა გულდასმით მოისმინა თავისი მოადგილის მოხსენება და გენერალ პოულს ჰკითხა:

– რამდენი წლისაა აგენტი უშბა?

– ოცდაერთის, სერ.

– ოცდაერთის, ოცდაერთის... – გაიმეორა დირექტორმა, – მის ასაკში მე და შენ ქალალდებში ვიქექებოდით, ის კი სტრატეგიული მნიშვნელობის ოპერაციის ცენტრალური ფიგურაა. გაუძლებს კი ამხელა ტვირთს?

– გაუძლებს, სერ! უშბა საუკეთესოთა შორის საუკეთესოა!

– კარგი, გასაგებია, – „ეფბეერის“ დირექტორმა საათს დახედა, – წადი და მოემზადე. ნახევარ საათში ქვემოთ გელოდები, თეთრ სახლში მივდივართ. პრეზიდენტს პირადად მოახსენებ!

– გასაგებია, სერ! ნება მიბოძეთ, წავიდე!

– წადი. ნახევარ საათში მანქანასთან გელოდები.

ერთი საათის შემდეგ გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი და მისი პირველი მოადგილე თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში შევიდნენ. პრეზიდენტის გარდა იქ იმყოფებოდნენ პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში და ორმოცდაათიოდე წლის, მრგვალსათვალიანი უცნობი მამაკაცი. ახალმოსულებს პრეზიდენტმა ხელი ჩამოართვა და მრგვალსათვალიანი გააცნო:



– იცნობდეთ – მისტერ თომას ბრაუნი, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს სპეცოპერაციების დაგეგმვის ახალი უფროსი. მისი დანიშვნის ბრძანებას ნახევარი საათის წინ მოვაწერე ხელი. სპეციალურად ამ საუბრისთვის მოვიწვიე, რომ საქმის კურსში ჩავაყენოთ.

თომას ბრაუნმა უხმოდ ჩამოართვა ხელი ახალმოსულებს და კვლავ სავარძელში მოკალათდა. პრეზიდენტმა კი „ეფბეერელებს“ სავარძლებზე მიუთითა და თქვა:

– ბატონებო, პირველ ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ ჩვენი ეს საიდუმლო შეხვედრა უმნიშვნელოვანესია. არ იწერება და ჩვენ შორის უნდა დარჩეს, – პრეზიდენტმა პაუზა გააკეთა, კაბინეტში მყოფთ მზერა შეავლო და, როდესაც მათი უსიტყვო თანხმობა მიიღო, განაგრძო: – ჩემგან არ გესწავლებათ ამერიკის ინტერესების სამსახური. თითოეულ თქვენგანს დიდი წვლილი მიგიძღვით ამერიკული დემოკრატიის განმტკიცების საქმეში. აქ კი იმიტომ მოგიწვიეთ, რომ ერთი სტრატეგიული საკითხი განვიხილოთ, რომელიც მომავალში ამერიკის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ლაპარაკია ოპერაცია „კარტელზე,“ რომელსაც გამოძიების ფედერალური ბიურო ატარებს ავღანეთში და გენერალ პოულს მოვუსიმნოთ – ის ამ ოპერაციის დეტალებს გაგვაცნობს. გისმენთ, მისტერ პოულ, იჯექით და ისე ილაპარაკეთ.

მცირე პაუზის შემდეგ პოულმა თქვა:

– ოპერაცია „კარტელის“ მთავარი მიზანია ტერორისტი ავღანელი საველე მეთაურების ფიზიკური განადგურება. ჩვენს სიაში ასეთი ოცი ადამიანია. გეგმის მიხედვით, ოცივე ტერორისტი ერთად უნდა შეიკრიბოს და, ან მოწამლულები უნდა იქნენ, ან მათ ჩვენი ელიტური სპეცდანაყოფები გაანადგურებენ. უკიდურეს შემთხვევაში, ტერორისტების შეკრების ადგილზე განხორციელდება საავიაციო იერიში და ამგვარად მოხდება მათი ლიკვიდაცია. მათ ერთად შესაკრებად დამხმარე ოპერაცია დავგეგმეთ, რომელიც ეტაპებადაა დაყოფილი. უფრო დეტალურად გსურთ, სერ, ამ ოპერაციაში ჩაწვდომა? – ჰკითხა პოულმა პრეზიდენტს.

– დიახ, გენერალო, სწორედ ამიტომ მოგიწვიეთ აქ, – მიუგო პოულს პრეზიდენტმა და თომას ბრაუნს გადახედა, რომელსაც წარბიც არ შეუხრია.

– გასაგებია, – თქვა პოულმა და მოხსენება განაგრძო, – მოგეხსენებათ, რომ ავღანელი ტერორისტები თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას ნარკოვაჭრობით აფინანსებენ. მართალია, ამ ბოლო ხუთ წელიწადში ავღანური ჰეროინის წარმოება ორჯერ შევამცირეთ, მაგრამ მათ მსოფლიოში ჰეროინის ბაზრის ორმოცი პროცენტი უკავიათ და კვლავ პირველ ადგილზე იმყოფებიან. ავღანური ჰეროინის წარმოება და შავ ბაზარზე გატანა სწორედ იმ ოც საველე მეთაურს აქვს გადანაწილებული. ამის გამო მათ შორის არაერთხელ მომხდარა შეიარაღებული დაპირისპირება. თუმცა, ისინი მალევე თანხმდებოდნენ და კონფლიქტიც წყდებოდა. ჩვენს დამხმარე ოპერაციაში სწორედ იმ მომენტს გამოვიყენებთ. ავღანეთის ერთ-ერთი საველე მეთაურია ვინმე აჰმად მანსური. წარმოშობით ის ტაჯიკია და საკმაოდ კარგად ორგანიზებული ტერორისტთა რაზმი ჰყავს, ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ერთადერთი საველე მეთაურია, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული.

– განათლებული ავღანელი საველე მეთაური? – გაუკვირდა პრეზიდენტს.

– დიახ, სერ. თანაც, მას უმაღლესი კლასის განათლება აქვს მიღებული ევროპაში – ის სორბონის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის დოქტორია, ძალიან ნაკითხი და ფართოდ განათლებული ადამიანი.

– უცნაურია, – თავი გააქნია პრეზიდენტმა.

– ეს – ერთი შეხედვით, სერ. აჰმად მანსური საბჭოთა ტაჯიკეთშია დაბადებული და გაზრდილი. მას სორბონამდე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშალა და მანსური საფრანგეთში გაემგზავრა და სწორედ პარიზში დაუახლოვდა ჯიჰადისტებს. მანსური მათ ღრმად ჩაითრიეს და საფრანგეთის უშიშროების სამსახურს ორი კვირა ჰყავდა დაკავებული. მერე გამოუშვეს, მაგრამ ქვეყანაში აღარ გააჩერეს. მანსური სამშობლოში არ დაბრუნებულა, ალჟირში გაემგზავრა


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



და სამხედრო მომზადება გაიარა ერთ-ერთ არალეგალურ ბაზაზე. ამის შემდეგ აჰმად მანსური ავღანეთში ჩავიდა და შეიარაღებულ ბრძოლაში ჩაერთო. სულ რაღაც ერთ წელიწადში გავლენიანი საველე მეთაური გახდა, პარალელურად კი ჰეროინის წარმოება-გასაღების ერთ-ერთ მსხვილ ხაზს დაეუფლა. მანსური თავის კოლეგებს გულზე არ ეხატებათ ორი რამის გამო: ესაა მისი ევროპული განათლება და არაავღანური წარმოშობა. სხვა საველე მეთაურები მას უცხო კაცად მიიჩნევენ. ორჯერ პრეტენზიებიც კი წაუყენეს, თითქოს ის მთელი ჩრდილოავღანური ჰეროინის წარმოების ხელში ჩაგდებას ცდილობდა. თუმცა მანსური ამ სიტუაციიდან სუფთად გამოვიდა. სამჯერ მისი მოკვლაც სცადეს და ერთხელ დაჭრეს კიდეც. მიუხედავად ამისა, აჰმად მანსური დღესაც ცოცხალია და მნიშვნელოვან გავლენას ინარჩუნებს კოლეგებს შორის, – პოულმა პაუზა გააკეთა, წყალი დალია და განაგრძო, – ასე დეტალურად იმიტომ შევჩერდი მანსურზე, რომ ჩვენი დამხმარე ოპერაციის არსში კარგად ჩაწვდეთ. ჩვენ ვაკონტროლებთ ჰეროინის იმ სამ ნარკოტრასას, რომელსაც მანსურის მოძულე კოლეგები ფლობენ. გეგმის მიხედვით, ჩვენი უწყება ევროპაში სწორედ იმ სამი ნარკომწარმოებლის ჰეროინს დააკავებს და გაანადგურებს, მანსურისას კი გაატარებს – ამით მათ შორის დაპირისპირებას კიდევ უფრო გავაღრმავებთ. პარალელურად, მანსურის დაჯგუფების ჩვენი აგენტი წევრი კლაუს ჰაშეკს მოკლავს, მკვლელს კი ჩვენ გავანადგურებთ და, ერთი მხრივ, ჩვენს კვალს მოვსპობთ ამ საქმეში, მეორე მხრივ კი ხმებს გავავრცელებთ, რომ თითქოს ეს ყველაფერი მანსურმა მოიმოქმედა. სწორედ ამის საფუძველზე მოხდება ავღანელ ტერორისტთა მეთაურების შეკრება და ასე შევყრით მათ საერთო ქვაბში, სადაც ისინი განადგურდებიან.

– კლაუს ჰაშეკი ვინღაა? – იკითხა პრეზიდენტმა.

– უმსხვილესი ევროპელი ნარკოდილერი. ძირითადად ის შეისყიდის ავღანური ჰეროინის პარტიებს და შემდეგ ანაწილებს. ჩეხეთის დაზვერვის ყოფილი თანამშრომელია, ვიცე-პოლკოვნიკი. სავარაუდოდ, ორმაგი აგენტი იყო და საბჭოთა „კაგებეზეც“ მუშაობდა.

პრეზიდენტმა ბრაუნს გადახედა, შემდეგ კი პოულს ჰკითხა:

– ახლა აგენტ უშბაზე გადადით. როგორც ვიცი, ის ამ ოპერაციის ცენტრალური ფიგურაა.

– აგენტი უშბა განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული საიდუმლო აგენტია და ჩვენ ის საგანგებოდ შევარჩიეთ. შემდეგ უმაღლესი დონის სპეცმომზადება გავატარეთ და ავღანეთში გადავისროლეთ ყველაზე გავლენიან საველე მეთაურთან, საიდ რამზან ბეისთან. უშბას ორი ძირითადი და ერთი სათადარიგო ფუნქცია აკისრია: პირველი ძირითადი ფუნქციაა რამზან ბეის კონტროლი და ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაციების მოწოდება; მეორე ძირითადი ფუნქციაა რამზან ბეის დეზორიენტირება და მისი დეზინფორმირება, სათადარიგო ფუნქციად კი უშბას ლიკვიდატორობა დავაკისრეთ, ანუ, თუკი ასეთი საჭიროება დადგება, ჩვენი აგენტი რამზან ბეის ფიზიკურად გაანადგურებს და, შეიძლება, არა მარტო მას.

– გასაგებია, – თქვა პრეზიდენტმა, – როგორც ვიცი, ეგ უშბა ოცდაერთი წლისაა.

– უკვე ოცდაორის, – გაეღიმა პოულს, – თუ ავღანური დროით ვიხელმძღვანელებთ, უკვე ორი საათია, რაც ის ოცდაორი წლის შესრულდა.

– მოხარული ვიქნებოდი, რომ ეს თარიღი მისთვის პირადად მიმელოცა. მაგრამ, ალბათ, ის დროც დადგება, როდესაც ამას გავაკეთებ, – თქვა პრეზიდენტმა და კვლავ ბრაუნს გადახედა, შემდეგ ეფბეერელებს მიაპყრო მზერა და მათ უთხრა: – ბატონებო, ოპერაცია „კარტელში” კორექტირება უნდა შევიტანოთ, ამას ჩვენი სტრატეგიული გეგმა მოითხოვს – დღეიდან მისტერ ბრაუნთან ერთად გაუწევთ კოორდინაციას, – პრეზიდენტმა ბრაუნზე გადაიტანა მზერა და უთხრა:

– გისმენთ, თომ, გააცანი ჩვენს მეგობრებს „კარტელის” ახალი მიმართულება.

მანამდე წარბშეუხრელი ბრაუნი ერთბაშად გამოცოცხლდა. პოზა შეიცვალა და თქვა:

– ბატონებო, ოპერაციის სახელწოდება იგივე რჩება, თქვენ მიერ შემუშავებულ გეგმაში შედის მხოლოდ ცვლილებები. გარკვეულ მოვლენათა გამო, რომლებიც მომავალში უნდა მოხდეს, იცვლება ამ ოპერაციის მიზანი და ავღანელ ტერორისტ საველე მეთაურთა ლიკვიდაცია აღარაა საჭირო. აქედან გამომდინარე, უქმდება ყველა დამხმარე ოპერაციაც, რაც, თავისთავად გამორიცხავს კლაუს ჰაშეკის ლიკვიდაციასა და თქვენდამი კონტროლირებად ნარკოტრაფიკზე ჰეროინის დაკავებას. სამაგიეროდ, აგენტ უშბას უნარჩუნდება თავისი ფუნქციები და, ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება, ახალი ფუნქციაც კი დაემატოს, – ბრაუნმა პაუზა გააკეთა. ეფბეერელებს გაუღიმა და დაამატა: – ბატონებო, როგორც ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, ამ წუთიდან ამ ოპერაციაში ჩვენი უწყება, ანუ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ჩაერთვება და კოორდინირებულად ვიმოქმედებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა ახალი ინფორმაცია ოპერაცია „კარტელთან” დაკავშირებით, დაუყოვნებლივ მე უნდა გადმომეცეს და ჩემ გარეშე უშბას არაფერი არ უნდა დაავალოთ. ჩემი მხრივ კი, ამ ოპერაციასთან დაკავშირებულ სიახლეს თქვენ გაცნობებთ. ჩემი ვარაუდით, პირველ ასეთ შეტყობინებას ხვალ, მაქსიმუმ ზეგ მიიღებთ და მას თქვენ ჩემი პირადი კავშირის ოფიცერი მოგიტანთ. აი, სულ ესაა, რისი თქმაც მინდოდა.

მარტინ პოულს ხმა არ ამოუღია. „ეფბეერის“ დირექტორმა პრეზიდენტს შეხედა და უთხრა:

– მისტერ ბრაუნთან შეკითხვა მაქვს, შეიძლება?

– ბრძანეთ, – მიუგო პრეზიდენტმა.

– მისტერ ბრაუნ, თქვენ არ გითქვამთ „კარტელის“ შეცვლის მიზანი. შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ?

– ბატონო დირექტორო, ჩვენი საბოლოო, ისევე, როგორც ყოველდღიური მიზანია ამერიკის სიძლიერე და ყველანი აქედან გამოვდივართ. ხომ მეთანხმებით? – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ბრაუნმა.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა ბრაუნს „ეფბეერის“ დირექტორი, – მაშინ, მე გეტყვით.

– ბრძანეთ, – მიუგო ბრაუნმა.

– „კარტელის” მიზანზე მისტერ პოულმა უკვე მოგახსენათ და გავიმეორებ: ჩვენ მიერ შემუშავებული ოპერაციის მთავარი მიზანი, ისევე, როგორც ყველა ჩვენი ქმედებების მიზანი, რა თქმა უნდა, ამერიკის სიძლიერეა. ავღანელი ტერორისტების ერთბაშად განადგურება ორ მიზანს ემსახურებოდა – ტერორისტული საფრთხის მნიშვნელოვნად შემცირებასა და ავღანური ნარკობიზნესის მინიმუმამდე დაყვანას. ოპერაციის კორექტირება კი ყველაფერს თავდაყირა დააყენებს, ტერორიზმის საფრთხეც გაიზრდება და, ნარკობიზნესიც, მინიმუმ, გაორმაგდება, ეს კი ამერიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება და, ვერ ვხვდები, რატომ შეიცვალა ოპერაცია „კარტელის“ მიმართულება. გამოდის, რომ მტრების წისქვილზე ვასხამთ წყალს?

– არა, ბატონო დირექტორო. უბრალოდ, ამ ეტაპზე კონტროლის მექანიზმია ასაწყობი და ჩვენი მტრების სტრუქტურებში უფრო ღრმად უნდა შევაღწიოთ. ბოლოს კი, გარწმუნებთ, რომ ოპერაცია „კარტელი” თავის პირვანდელ სახეს დაუბრუნდება და მათ ჩვენ ფესვებიანად ამოვგლეჯთ, ერთხელ და სამუდამოდ გავანადგურებთ.

– მაინც, როდისთვის ვარაუდობთ ამის გაკეთებას?

– ამის განსაზღვრა შეუძლებელია, დრო გვიჩვენებს.

– პროცესი რომ უმართავი გახდეს?

– სწორედ პროცესის მართვაა ახლა ჩვენი მთავარი მიზანი. დავაკვირდებით, შევაღწევთ, ბოლოს კი ერთიანად მოვსპობთ. მე მგონი, ძალიან კონკრეტული პასუხია, – მიუგო ბრაუნმა დირექტორს. მარტინ პოულს კი მოეჩვენა, რომ მრავალსათავალიანის პასუხი სპონტანური იყო და ბრაუნს თავადვე მოეწონა ასეთი მიგნება.

„ეფბეერის“ დირექტორს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ბოლო მომენტში თავი შეიკავა და ხმა არ ამოუღია. ამით პრეზიდენტმა ისარგებლა და თქვა:

– რადგან ყველაფერი გარკვეულია და კითხვები აღარაა, მაშინ ჩვენი შეხვედრა დასრულებულია. გმადლობთ, ბატონებო. იმედია, ყველაფერი წარმატებით დასრულდება და ამერიკის ძლიერებაში მეტ წვლილს შევიტანთ.

საიდუმლო შეხვედრის მონაწილეები ფეხზე წამოდგნენ. ეფბეერელებს ჯერ პრეზიდენტმა ჩამოართვა ხელი, შემდეგ დანარჩენებმა და მათ ოვალური კაბინეტი დატოვეს, პრეზიდენტის თანაშემწე და ბრაუნი კი კაბინეტში დარჩნენ.

ეფბეერელები უხმოდ წამოვიდნენ თეთრი სახლიდან და ისე იმგზავრეს, სიტყვაც არ დაუძრავთ. სამსახურში რომ დაბრუნდნენ, დირექტორმა თავისი მოადგილე კაბინეტში შეიყვანა და ჰკითხა:

– რას იტყვი, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა შეხვედრიდან?

მარტინ პოული „ეფბეერის“ დირექტორის

დიდი ნდობით სარგებლობდა და თავადაც ენდობოდა მას. არასიტყვაძუნწობის მიუხედავად, პოული ფრთხილი ადამიანი იყო და ზედმეტ ლაპარაკს უახლოეს ადამიანებთანაც კი ერიდებოდა. მან ზუსტად იცოდა, რომ დირექტორის კაბინეტი არ ისმინებოდა და შეფს მიუგო:

– კონკრეტულად რა ხდება, ღმერთმა უწყის. ძალიან ნეგატიური შთაბეჭდილება დამრჩა.

– ალბათ, ბრაუნზე.

– ბრაუნზე თავისთავად, მაგრამ, ზოგადად – ამ სიტუაციაზე. ბურუსით მოცული ამბავია. ყველაფერი თავდაყირა დადგა და თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. რა გამოდის, ჩვენსავე პრინციპებს ვღალატობთ?

– ბურუსი გაიფანტება, თუკი ბრაუნის პიროვნებიდან ამოვალთ, – თქვა დირექტორმა და მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა.

– კონკრეტულად, სერ?

– მისტერ თომას ბრაუნი ძველი კანტორელია და პირველი წრთობა სწორედ იქ მიიღო.

– „ცეერუს" გულისხმობთ?

– სწორედაც.

– მერე, სერ?

– მერე ის, რომ ოცდაშვიდი წლის წინ „ცეერუს" კავშირის ოცდახუთი წლის ოფიცერი, თომას ბრაუნი მჭიდროდ იყო დაკავშირებული კოლუმბიურ ნარკოკარტელთან და ევროპაში მათ ტრანზიტს კურირებდა.

– რას ამბობთ, სერ!

– ჯერ სად ხარ, მომისმინე.

– გისმენთ, სერ.

– ბრაუნს ჩვენმა ოპერჯგუფმა ჩაავლო, რომელიც კოლუმბიაში მუშაობდა და ნარკოკარტელის გამოაშკარავების ოპერაციას ატარებდა. იმ ჯგუფს ჩემი მეგობარი მეთაურობდა. სხვათა შორის, ის ჩემ მაგივრად გაუშვეს იქ, რადგან, ბოლო მომენტში ჩემი მექსიკაში გაგზავნა გადაწყდა და როლები შევცვალეთ. ბრაუნი შტატებში ჩამოიყვანეს და საქმე აღძრეს, თუმცა, პირველივე დაკითხვიდან ის კანტორამ წაიყვანა და საქმე მოსპეს, ჩემი მეგობარი კი გააფრთხილეს, რომ გაჩუმებულიყო. ოპერჯგუფის დანარჩენი წევრები ისედაც ჩუმად იყვნენ, მაგრამ ხუთივე ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალა საკმაოდ უცნაურ ვითარებაში. ყველაზე ბოლოს ჩემი მეგობარი დაიღუპა. ის გარდაცვლილი იპოვეს საკუთარ სახლში – გაზით იყო გაგუდული. ყველაფერი უბედურ შემთხვევას მიაწერეს და საქმეც კი არ აღძრულა. სიკვდილამდე ოთხი დღით ადრე ჩემი მეგობარი ინკოგნიტოდ მეწვია სახლში, ბრაუნის ამბავი მომიყვა და მითხრა: ვგრძნობ, რომ ჩემზე ნადირობენ და განაჩენი გამოტანილი მაქვს. ამიტომ, მინდა იცოდე, რომ, ხშირ შემთხვევაში, ამაღლებული იდეალების მიღმა ბინძური თამაში მიმდინარეობს და ზოგჯერ ჩვენც კი არ ვიცით, ისეთ შავბნელ საქმეებში ვეხვევით. წასვლის წინ კი დაამატა, – ნარკომაფიისა და იარაღის ბიზნესის მიღმა უაოლ-სტრიტის ზოგიერთი ბოსი დგას. თომას ბრაუნი კი მათი ინტერესების გამტარებელიაო. რამდენიმე დღეში კი ჩემი მეგობარი გარდაიცვალა.

– რას ამბობთ, სერ?!

– ხვდები, ხომ?

– ძირითადად – კი.

– ერთი სიტყვით, ბრაუნის კვალს დავადექი, თუმცა, ვერაფერი აღმოვაჩინე – არათუ რამე სამხილი, მისი სურათიც კი ვერ მოვიპოვე. ეს ამბავი დიდი ხნის განმავლობაში მივიწყებული მქონდა. მხოლოდ მას მერე ვცადე, ამ საქმეს დავბრუნებოდი, როდესაც ბიუროს დირექტორად დავინიშნე. მაგრამ, ბრაუნის კვალს ვერც აქ მივაგენი. დღეს კი ის ნაძირალა ოვალურ კაბინეტში დაგვხვდა! აბა, ვინ წარმოიდგენდა ამას?

– კი მაგრამ, პრეზიდენტთან დაახლოება როგორ მოახერხა? – მხრები აიჩეჩა პოულმა – არადა, აშკარაა, რომ პრეზიდენტი მას ახლოს იცნობს. უბრალოდ, მარტო სახელით მიმართა. თანაც, აშკარად ეტყობოდა პრეზიდენტს, რომ ბრაუნს ანგარიშს უწევს.

– ასეა, მეც შევამჩნიე.

– რით აიხსნება მათი ახლობლობა?

– როგორც ჩანს, ბრაუნი პრეზიდენტთან უოლ-სტრიტის ერთმა ჯგუფმა დააახლოვა და მათივე რჩევით დაინიშნა ის ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე. იმ ჯგუფზეა ლაპარაკი, ვინც იარაღისა და ნარკობიზნესის შავ ბაზარს აკონტროლებს – იმათზე, ვინც ჩემი მეგობარი მოკლეს და ვინც ამერიკულ იდეალებს ამოფარებული, დიდ ბოროტებას სჩადის. ახლა ხვდები, რატომ შეიცვალა ოპერაცია „კარტელის" მიმართულება და ყველაფერი თავდაყირა რატომ დადგა?

– რა დიდი მიხვედრა უნდა? – თავი გააქნია პოულმა, – ამ ჯგუფის ინტერესებშია, რომ ავღანური ნარკობიზნესი გაიზარდოს და ამ საქმიდან ორმაგი მოგება ნახოს: ერთი მხრივ, ავღანური ჰეროინის წარმოებიდან, მეორე მხრივ კი – ავღანელი ტერორისტებისთვის იარაღის არალეგალური მიწოდების შედეგად.

– სწორედ ასეა.

– ამ ყველაფერს კი, რომ არაფერი ვთქვათ არაამერიკელებზე, ჩვენი ჯარისკაცებისა და სხვა მოქალაქეების სიცოცხლე ეწირება, – თქვა პოულმა და დაამატა: – რას აპირებთ, სერ?

– ამ ეტაპზე არაფერს.

– არაფერს?

– ჯერჯერობით მხოლოდ დამკვირვებლის ფუნქციით უნდა შემოვიფარგლოთ. ჩვენი ეს საუბარი, რაც არ უნდა დიდი სიმართლე იყოს, მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებია, არანაირი ფაქტებით არაა გამყარებული და მოკვლევასაც კი ვერ დავიწყებთ.

– პრეზიდენტს რომ აუხსნათ ყველაფერი?

– უაზრობაა.

– ნუთუ ისიც მათთან ალიანსშია?

– არა. უბრალოდ, ის ფაქტებს მოითხოვს და, რომ ვერაფერს წარვუდგენთ, ყველაფერი ამით დასრულდება, – თქვა დირექტორმა. პაუზა გააკეთა და დაამატა: – თანაც, არჩევნები ახლოვდება. პრეზიდენტს კი უოლ-



სტრიტის მხარდაჭერა სჭირდება და ჭუჭყიან საცვლებში ქექვას, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, არ დაიწყებს. მთავარი კი მაინც ფაქტებია და ეს ფაქტები ჩვენ არ გვაქვს.

– ისე გამოდის, სერ, რომ ჩვენ იმ ნაძირლის დირექტივები უნდა შევასრულოთ და ჩვენივე პრინციპების წინააღმდეგ წავიდეთ? არა, ამას მირჩევნია, გადავდგე და გავერიდო ამ ამბავს. ყოველ შემთხვევაში, სინდისი მაინც მექნება სუფთა. მართალია, საჯარო განცხადებას ვერ გავაკეთებ და სიმართლეს ვერ ვიტყვი, მაგრამ, მორალურად ხომ დავკმაყოფილდები?

– და, რით აუხსნი თუნდაც პრეზიდენტს შენს გადაწყვეტილებას?

– თუნდაც ჯანმრთელობის გაუარესებით.

– ამას არავინ დაიჯერებს, ყველამ იცის, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელი ხარ. ამით საქმეს უფრო წაახდენ – იმ ნაძირლებს მეტ ასპარეზს მისცემ საზოგინოდ.

– აბა, რა ვქნათ, სერ?

– მარტინ, მენდობი?

– რა თქმა უნდა, სერ!

– მაშინ, დამიჯერე და ნურაფერს შეიმჩნევ. ერთად მოვიფიქროთ, როგორ გავანეიტრალოთ ის ნაძირალა ბრაუნი. იმედი მაქვს, რომ სწორ გადაწყვეტას მივაგნებთ.

– მაინც, რას აპირებთ, სერ?

– არჩევნებამდე არაფერს, მერე კი ვნახოთ. თანაც, შევხედოთ, რა მიმართულებით წაიყვანს „კარტელს" ბრაუნი. თუ თავად არ დაუშვებს შეცდომებს, ჩვენ უნდა დავაშვებინოთ.

– კარგი, სერ, ასე ვქნათ. მართალს ბრძანებთ, გადადგომა გამოსავალი არ არის, ჯობია, მოვლენების ეპიცენტრში ვიყოთ.

– ესე იგი, შევთანხმდით?

– შევთანხმდით, სერ!

– კარგი, მარტინ. შეგიძლია, წახვიდე, – „ეფბეერის" დირექტორმა თავის მოადგილეს გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და კაბინეტიდან გაისტუმრა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# როგორ ყაჩაღობდნენ თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები და რატომ მოიკლა თავი კაბინეტში ციხის მაღალჩინოსანმა თანამშრომელმა



### ნაცნობი ხელწერა

1973 წლის 16 აპრილს თბილისში მოქალაქე პავლე ჩოჩიშვილის ბინა გაძარცვეს. ჩოჩიშვილი იუველირი იყო.

– თელასიდან ვარ. თქვენს ხაზზე დენის მოპარვა ფიქსირდება და უნდა შევამოწმოო, – მითხრა მამაკაცის ხმამ და კარი რომ გავაღე, ბინაში სამი ნიღბიანი კაცი შემომივარდა. მათ ფული და ოქრო მოითხოვეს. მე ხუთასი მანეთი და ორი ოქროს ძეწკვი გამოვიტანე, მათ კი მეტი მოინდომეს და, რომ ვუთხარი, არ მაქვს-მეთქი, ერთ-ერთმა მათგანმა თვითონ დაიწყო ძებნა, ჩემს სამალავს მიაგნო და ყველაფერი წაიღეს. მე კი წასვლის წინ პირში ჩვრები ჩამტენეს და რადიატორზე მიმაბეს, – უთხრა პავლე ჩოჩიშვილმა მაიორ წულაიას, რომელიც ამ დანაშაულს იძიებდა. გურამ წულაიას გაეცინა და თავის ხელქვეითებს მიუბრუნდა:

– „კლოუნის" ხელწერას ჰგავს. როგორც ჩანს, მას მიმბაძველი გამოუჩნდა.

– რატომ მიმბაძველი, ამხანაგო მაიორო? – იკითხა მერაბ ქორქიამ, რომელიც წულაიასთან სტაჟირებაზე იმყოფებოდა და პირველ საქმეზე მუშაობდა.

– იმიტომ, უმცროსო ლეიტანანტო, რომ, „კლოუნი", იგივე ზურაბ ჯიქია, პატიმრობაში იმყოფება, რვა წელი აქვს მისჯილი და სასჯელს რუსთავში იხდის, – მიუგო სტაჟიორს წულაიამ, შემდეგ კი ყველა ხელქვეითს მიმართა:

– მოკლედ, ასე: ყურადღება მიაქციეთ გადამყიდველებსა და საკომისიო მაღაზიებს – შესაძლოა, მძარცველებმა იქ მიიტანონ ძვირფასი ნივთები, – შემდეგ კი წულაია სტაჟიორს მიუბრუნდა: შენ კი, ქორქია, არქივში წადი და კლოუნის საქმეები შეისწავლე, ყველა მათი „პაძელნიკის" ვინაობა ამოიწერე და დაადგინე, ვინ სადაა. გასაგებია?

### ძვირფასი მედალიონი

ჩოჩიშვილის გაძარცვიდან ერთი კვირის თავზე, ანუ, 23 აპრილს, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე საიუველირო საკომისიო მაღაზიის გამგემ, ამბაკო კაკაბაძემ, გურამ წულაიას ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული ორასგრამიანი ჯაჭვი მიუტანა, რომელზედაც მსხვილი მედალიონი ეკიდა, მასზე კი ზოდიაქოს ნიშანი – თხის რქა იყო გამოსახული. კაკაბაძე წულაიას კარგად იცნობდა და უთხრა:

– ეს, თუ არ ვცდები, ნაძარცვი ნივთი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, შენ რომ ნივთების სია მომეცი, აღწერილობით ერთერთს ჰგავს.

– კი. ეს არის, – თქვა წულაიამ, – ვინ მოიტანა?

– ერთი ტიპია, პლეხანოველი. „წვინტლიანს" ეძახიან. ჩვენთან ხშირად მოაქვს ხოლმე სხვადასხვა ბარახლო და იაფად გვაბარებს. კარტოჟნიკია და თამაშობს, – უთხრა კაკაბაძემ წულაიას, – ძალიან გამიკვირდა, ასეთი ძვირფასი ნივთი რომ მოიტანა. სამას მანეთს ითხოვს, არადა, ეს მედალიონი მინიმუმ სამი ათასი ღირს. სალამოს ფულისთვის მოვა და მიხედე.

წვინტლიანი, იგივე 29 წლის მალხაზ კობეშავიძე, საღამოს 5 საათზე საიუველირო მაღაზიიდან გამოსვლისას აიყვანეს და მილიციის სამმართველოში მიაბრძანეს.

– საიდან გაქვს ეს მედალიონი? ჰკითხა მას წულაიამ.

– ვიპოვე, – მიუგო კობეშავიძემ მაიორს, – გუშინ პადიეზდიდან რომ გამოვედი, იქვე ეგდო.

კამერაში იფიქრე და თუ სიმართლის თქმას მოისურვებ, ხვალ მომიყევი, – უთხრა წულაიამ წვინტლიანს და საკანში გაისტუმრა, თავად კი ჩაილაპარაკა: აქ რაღაც სხვა ამბავია. წვინტლიანი ყაჩაღს არ ჰგავს, სიმართლეს ამბობს და უნდა გავუშვა. მე მგონი, ვიღაცა ცდილობს, ჩვენ ტყუილ კვალზე გაგვიშვას.

### საინტერესო დამთხვევა

მერაბ ქორქიამ ოთხი დღე თავაუღებლად იმუშავა არქივში, კლოუნის ექვსი საქმე საფუძვლიანად დაამუშავა და მაიორს ზურაბ ჯიქიას ათი „პაძელნიკის" სრული მონაცემების სია გადასცა. წულაიამ ყველა მონაცემი დეტალურად გააანალიზა და ერთობ საინტერესო დეტალს მიაგნო. აღმოჩნდა, რომ, რეციდივისტი ზაზა გიორგაძე და წვინტლიანი, იგივე მალხაზ კობეშავიძე, გვერდიგვერდ ეზოებში ცხოვრობდნენ. გიორგაძე დაპატიმრებული იყო და სასჯელს კლოუნთან ერთად იხდიდა რუსთავის კოლონიაში. მაიორმა წულაიამ თავი გააქნია და თქვა:

## „ალპინისტი", სინამდვილეში, მილიციის თანამშრომელი იყო

– ძალიან საინტერესო დამთხვევაა. ვფიქრობ, რომ, კლოუნს, გიორგაძესა და წვინტლიანს ერთმანეთთან კავშირი აქვთ.

– პაძელნიკები არიან? – იკითხა უმცროსმა ლეიტენანტმა.

– არა, უბრალოდ, კლოუნი ჩვენს ყალბ კვალზე გაშვებას ცდილობს და ამისთვის წვინტლიანს იყენებს.

– ეგ როგორ, ამხანაგო მაიორო?

– ვფიქრობ, რომ წვინტლიანს სამკაული მართლაც დაუგდეს და ეს კლოუნისა და გიორგაძის ბრძანებით გაკეთდა.

– რა აზრი ჰქონდა ამას, ისინი ხომ ციხეში სხედან და დანაშაულს ვერ ჩაიდენდნენ? ასეთი რამის გაკეთებას კი მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა დანაშაულს ჩაიდენ და სხვას გადააბრალებ, – უთხრა ქორქიამ მაიორს, რომელმაც თავი გააქნია და მიუგო:

– მართალს ამბობ, მაგრამ უნდა დავადგინოთ, კლოუნი და გიორგაძე სულ ციხეში სხედან თუ, ისინი ვინმეს პერიოდულად გამოჰყავს გარეთ .

– ეგ როგორ, მაგათ ვინ გამოუშვებს?

– ჯერ არ ვიცი, მაგრამ, მგონია, რომ ჩოჩიშვილი სწორედ კლოუნისა და მისი პაძელნიკების გაძარცულია. ამიტომ, ციხეში ჩვენი კაცი უნდა შევუშვათ და ყველაფერი გავარკვიოთ. რას იტყვი, მერაბ, შეძლებ ამას?

– შევძლებ, ამხანაგო მაიორო!

### ოპერაცია „ოქროს ზოდები"

1973 წლის 4 ივნისს, რუსთავის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში 23 წლის პატიმარი მიიყვანეს, რომელსაც 13 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. ახალგაზრდა პატიმარი კარლო მელქაძე იყო და საკუთარ თავს „ალპინისტს" უწოდებდა. ის ქალაქ სოჭში, იუველირის ძარცვისა და მისი დაჭრისთვის გაასამართლეს, საქართველოში კი იმიტომ ჩამოიყვანეს, რომ ფული გადაიხადა და არ გააციმბირეს. სინამდვილეში, ახალგაზრდა პატიმარი უმცროსი ლეიტენანტი მერაბ ქორქია იყო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დამუშავებული ოპერაციის მიხედვით მოქმედებდა. ოპერაცია ძალიან გასაიდუმლოებული იყო, რადგან, ეჭვი ჰქონდათ, რომ დანაშაულში მილიციის მაღალჩინოსნები იყვნენ გარეულები.

„ალპინისტი", სინამდვილეში კი მერაბ ქორქია, ადვილად დაუახლოვდა კლოუნსა და ზაზა გიორგაძეს, მათი ნდობა მოიპოვა და მათთან ერთად ერთ ბარაკში ცხოვრობდა. პატიმრობიდან სამი თვის შემდეგ, ანუ 6 სექტემბერს, კლოუნმა და გიორგაძემ ალპინისტი დაიმარტოხელეს და ჯიქიამ მას უთხრა:

– შენ რომ თქვი, სოჩელ იუველირს სარდაფში ოქროს ზოდები აქვსო, მართალია თუ გვაბოლებდი?

– გაბოლებდით?! – გაეცინა ალპინისტს, – ზუსტად ვიცი, რომ მას ათი ათკილოგრამიანი ზოდი აქვს გადამალული. ის და ბიძაჩემი პაძელნიკები იყვნენ, ერთად იბრძოდნენ და დაცემული ბერლინიდან ტანკით ჩამოიტანეს. ბიძაჩემს პარალიჩი დაემართა და დაიბრიდა, მაგრამ, მე მაინც გამაგებინა ეს და იმ იუველირს იმიტომ შევუვარდი ბინაში. რომ არა მისი აჩარკა, ახლა ეს ოქრო ჩემი იქნებოდა და ციხეშიც არ ვიჯდებოდი.

– აქედან რომ გაგიყვანოთ და საქმის გაკეთებაში დაგეხმაროთ, თანახმა ხარ, რომ ეგ ოქრო ხუთ ნაწილად გაყო? – ჰკითხა ალპინისტს კლოუნმა.

– დამცინით?

– არა, სერიოზულად გეუბნები.

– პაბეგი უნდა ავიკიდო?

– ჯერ თქვი, თუ გაწყობს.

– მაწყობს რომელია, ოცი კილო ოქრო ერთ კაცზე მთელი ქონებაა.

– ესე იგი, გაწყობს?

– რა თქმა უნდა. მაგრამ, რომ გავიქცევით, მთელი ძალლობა ფეხზე დადგება, ძებნას

# როგორ აღმოჩნდა ციხეში 68 წლის მამაკაცი ნარკომანი სიძის დასჯისთვის და რატომ მისცა მის წინააღმდეგ ჩვენება შვილმა



68 წლის მამაკაცს სასამართლომ ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სხეულის დაზიანების მუხლით აღიძრა. სასამართლომ გაითვალისწინა მამაკაცის ასაკი, მისი რეპუტაცია და ის გარემოებები, რომელშიც დანაშაული მოხდა, თუმცა გივი ჭ-შვილი, რომელიც ციხის გზას საკუთარმა სიძემ გაუყენა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მაინც ვერ გადაურჩა. ის დანაშაულში, არც მეტი არც ნაკლები, საკუთარმა შვილმა ამხილა, რომლის უფლებების დაცვისთვის ემოციურ ფონზე ჩადენილი ქმედება მას ძვირად დაუჯდა.

როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, ორი ქალიშვილის მამა, გივი ჭ-შვილი სოფელში პატიოსანი, მშრომელი ადამიანის სახელით სარგებლობდა. მას საკუთარი სახელოსნო ჰქონდა გახსნილი, სადაც რადიოტექნიკის და ტელევიზორების შეკეთებას ეწეოდა. უმცროსი ქალიშვილი – ნინო რვა წლის წინ გაჰყვა ცოლად 29 წლის კახი კ-ძეს, რომელიც გივი ჭ-შვილს სასიძოდ არ მოსწონდა. თუმცა, შვილის ნებას დაჰყვა და უმცროსი ქალიშვილის ქმარი სახლში საცხოვრებლადაც კი მიიღო. კახი კ-ძე მის ოჯახში სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ამ პერიოდში სიმამრი არაერთხელ გახდა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის კონფლიქტის მომსწრე. ბოლოს კი ურთიერთობა უკვე სიძე-სიმამრს შორისაც დაიძაბა. ოჯახური დრამები იმდენად გახშირდა, რომ გივი ჭ-შვილმა შვილსა და სიძეს მისი ბინის დატოვება მოსთხოვა. კახი კ-ძემ ცოლი და მცირეწლოვანი შვილი თავის მშობლებთან გადაიყვანა საცხოვრებლად. მას შემდეგ კი სიმამრი ისე მოიძულა, რომ ცოლს მშობლებთან აღარ უშვებდა. უფრო მეტიც, ნინო იძულებული გახდა, ქმრის ნებას დაჰყოლოდა, რომელიც მას მშობლებთან სატელეფონო კონტაქტსაც კი უშლიდა. ამას სიძე-სიმამს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება მოჰყვა. მას შემდეგ კი, რაც გივი ჭ-შვილისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი სიძე ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი იყო, მან რამდენჯერმე შეუთვალა შვილს: თუ ოჯახში დაბრუნება გსურს, პრობლემებს არ შეგიქმნით, გადმოდი შენს შვილთან ერთად და ჩვენთან იცხოვრეო. კახი კ-ძე სიმამრს სახლში მიუვარდა: ოჯახს მინგრევ და არ გაპატიებო. მათ შორის ფიზიკური დაპირისპირებაც მოხდა. სიძემ სიმამრს სახის არეში დაზიანებებიც მიაყენა, რაც არაერთი მეზობლის თანდასწრებით მოხდა. მოჩხუბრები მათი ჩარევის შედეგად დაზავდნენ. მეზობლებმა გივი ჭ-შვილს ურჩიეს, ეს კაცი თავს არ დაგანებებს და მომხადრის შესახებ პოლიციაში განაცხადეო, თუმცა ის ვერ დაითანხმეს.

ამ ისტორიიდან ერთი თვე იქნებოდა გასული, როცა კახი კ-ძე სიმამრს ქუჩაში შემთხვევით შეხვდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მოწმეთა განცხადებით, რომლებიც დაიკითხნენ როგორც გამოძიების მიერ, ასევე სასამართლო პროცესზე მისცეს ჩვენება, შეურაცხყოფილმა გივი ჭ-შვილმა სიძეს დაუთმო, თუმცა მათი კონფლიქტი საღამოს კვლავ გაგრძელდა. გივი ჭ-შვილის მეზობლის, ანზორ ს-შვილის განცხადებით, ის თავად გახდა მოწმე, როგორ მიუვარდა მთვარლი სიძე სიმამრს სახლში და ცდილობდა მისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას. ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „საღამო იყო. მე და გივი მის ჭიშკართან ვისხედით. სახლთან ტაქსი გაჩერდა. იქიდან კახი გადმოვიდა და არეული ნაბიჯებით ჩვენსკენ წამოვიდა. შორიდანვე ემჩნეოდა, რომ ნასვამი იყო. გივი მაშინვე წამოდგა და სახლში შევიდა. მივხვდი, რომ კახის მოსვლა ჩხუბით დასრულდებოდა, გივის სახლის კართან გავჩერდი. კახი ეზოში შესვლისთანავე აუხირდა, უშვერი სიტყვებით მიმართა. გივიმ უთხრა, წადი ჩემი სახლიდან და სადაც დაგილევია, იქ მოინელეო. ამის თქმა იყო და კახიმ სახეში ჩაარტყა. მე მაშინვე ეზოში შევვარდი. გივი ისეთი წყნარი და მშვიდი კაცია, მისგან ზედმეტ სიტყვას ვერ მოისმენ. კახიმ ისეთი სიტყვები უთხრა, ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა, რომ გივი წყობიდან გამოიყვანა. სანამ ჩხუბში ჩავერიე, გივის ხელში ნაჯახი დავინახე. აივნის ქვეშ შეშა ეყარა, იქვე ეგდო ნაჯახიც. გივიმ ნაჯახი აიღო და სიძეს, რომელიც მას თავს ესხმოდა, თავში ჩაარტყა. მახსოვს მისი სიტყვები: შენ კაცი ხარ, ცოლს დედ-მამას არ აჩვენებო?! ოღონდ ნაჯახის დარტყმამდე უთხრა, თუ მერე, ვერ ვიხსენებ. გივის ნაჯახი მე გამოვგლიჯე, კახის თავიდან სისხლი მოსდიოდა, თუმცა ჭრილობა მძიმე არ იყო. ნაჯახი ირიბად მოხვედროდა თავში. პირველი დახმარება მას მე და ჩემმა ცოლმა აღმოვუჩინეთ. გონზე რომ მოვიდა, გივის სახლი დატოვა.

> სასამართლოზე მამის წინააღმდეგ მოწმედ მისი ქალიშვილი გამოვიდა

ორი-სამი საათი იყო გასული, გივისთან რომ პოლიცია მოვიდა. როგორც გავიგე, ჩვენება მამის წინააღმდეგ მისმა ქალიშვილმაც მისცა, რომელიც, როგორც მერე გაირკვა, ქმარმა აიძულა, ასე მოქცეულიყო და პოლიციაში კახისთან ერთად ისიც მომჩივანი ყოფილიყო.

გივი ჭ-შვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. მან დეტალურად აღწერა მომხდარის შესახებ. მოწმეთა დაკითხვით ცნობილი გახდა, რომ მას დანაშაულის ჩადენისკენ სიძემ უბიძგა, რომელსაც სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტიზის მიხედვით, მას სისხლში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველობა დაუდგინდა, რის გამოც ის გისოსსებს მიღმა მოხვდა. საქმის მასალების, მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, რომელიც ამტკიცებდა, რომ მამაკაცმა დანაშაული ემოციური აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა და იმ გარემოებების მიუხედავად, რაც ჩადენილ დანაშაულს ახლდა, გივი ჭ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. სასამართლო პროცესზე განსასჯელის ადვოკატი მისთვის სასჯელის შემსუბუქებას მოითხოვდა. განსასაჯელის ინტერესებს იცავდა მთელი სოფელი, რომელიც სასამართლოსგან ნარკომანი სიძის მკაცრად დასჯას და გივი ჭ-შვილის გათავისუფლებას მოითხოვდა. მათი ჩვენებების მიხედვით, მამაკაცი დანაშაულის ჩადენის მომენტში სიძისგან იცავდა თავს. სასამართლომ ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა კახი კ-ძეს ნარკოტიკის მოხმარებისთვის, გივი ჭ-შვილს კი, ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

---

დაგვიწყებენ და, შეიძლება, სოჩაში ჩასვლა გაგვიჭირდეს.

– დარდი ნუ გაქვს. აქედან „ძაღლები" გაგვიყვანენ და არც არავინ დაგვიწყებს ძებნას. მერე კი საქმეს რომ გავაკეთებთ, „ძაღლებს" გადავაგდებთ, ოქროს მოვხვეტავთ და უცხოეთში მოვხევთ, – უთხრა კლოუნმა, – ზონის უფროსი და სპეცნაწილის გამგე ხელს გვიწყობენ და ასე გავაკეთეთ ორი საქმე.

– მოსულა, ძმაო. მიდი!

1973 წლის 12 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, ჯიქია, გიორგაძე და ალპინისტი, განსაკუთრებული განყოფილების უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა გენადი მიქატაძემ საკუთარი მანქანით გამოიყვანა კოლონიიდან და თბილისში ჩამოიყვანა, წასვლის წინ კი კლოუნს მიმართა:

– აბა, თქვენ იცით, არ დაიწვათ. დილის ხუთ საათზე მოვალ და უკან წაგიყვანთ.

მიქატაძე რომ წავიდა, ალპინისტმა კლოუნს უთხრა:

– რა დილის ხუთ საათზეო, მარტო სოჩაში ჩასვლას მოუნდება უფრო მეტი დრო.

– მოვატყუე. მას ჰგონია, რომ თბილისში ვჩალიჩობთ. კაროჩე, წავედით! ჩვენი პაძელნიკები ვაგზალზე გველოდებიან და „ერევანი-მოსკოვს" მივყვებით.

ერთი საათის შემდეგ, ანუ, 1973 წლის 12 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე, მილიციის ოპერჯგუფმა კლოუნი და მისი ბანდის კიდევ სამი წევრი თბილისის რკინიგზის სადგურზე აიყვანა; პარალელურად კი, რუსთავის კოლონიაში კოლონიის უფროსი, პოლკოვნიკი ოთარ მაისურაძე და პოდპოლკოვნიკი გენადი მიქატაძე დააპატიმრეს. შემდგომმა ძიებამ მილიციის კიდევ ოთხი მაღალჩინოსანი გამოავლინა. სამი მათგანი დააპატიმრეს, ერთმა კი საკუთარ კაბინეტში მოიკლა თავი.

**ნიკა ლაშაური**

# ისწავლოთ ხატვა ზალიკოსთან ერთად

1. თავით დაიწყეთ ჟირაფის ხატვა





მიახატეთ თვალები, წარბები და პირი

3. დაასრულეთ თავის ხატვა





თამუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია



4. მიახატეთ ტანიც



5. შემდეგ – ჩლიქები და გამოკვეთეთ ჯისები



6. დაასრულეთ ნახატი

# იპოვეთ 10 განსხვავება





# ჩაწერე „<“ და „>“ ნიშნები



# გვირგვინი პრინცესასთვის



გვირგვინის გასაკეთებლად დაგჭირდებათ: ტუალეტის ქაღალდის შუაში მოთავსებული მუყაოს „მილი,” მაკრატელი, წვრილი რეზინი, ფერადი საღებავები. გამოჭერით გვირგვინი, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები. გააფერადეთ თქვენთვის სასურველ ფერად და დაამაგრეთ რეზინი.

## რიცხვრებუსი

,20, 20,, ,,3

# ვირი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ მარილით დატვირთული ვირი ხიდზე გადადიოდა. ანაზდად ფეხი დაუსხლტა და წყალში ჩავარდა. მარილი დადნა და გახარებული ვირი მსუბუქად წამოხტა. მეორე ვირს ბამბა აჰკიდეს. მდინარეს რომ მიადგა, იფიქრა, ტვირთი შემიმსუბუქდებაო და წყალში ჩახტა. ბამბა გაიჟღინთა, დამძიმდა და ვირი მდინარეში ჩაიხრჩო.

სულელი კაცი თავს ძალით იგდებს საფრთხეში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| გარეული დიდი ცხოველი | | | გაყინული წვიმის წვეთი / ხის სახლი | |
| | | | | |
| საკვების საჭმელად საჭირო ინვენტარი | | | გამხარი ხილი | |




ქალაქი თურქეთში | „მერსედესის" ნაწილი | ნიადაგი | ზღვარი | არა!

გამდინარე წყალი | 10 | 11

ცოლ-ქმრის სატარებელი | ასეთია ახალი ბალახი | პოეტი (.....) მირცხულავა

ქალაქის მმართველობა

დაბლა დაწიე! | ემილ ზოლას რომანი | მცირე ფასის | იაპონური ჭიდაობა

გაგანია | სარეცხი ფხვნილი | ისტორიული სოფელი ქართლში

ზოგჯერ ხმაშია | კომპოზიტორი (....) ტუსკია | 15 | სამეგრელოს ზღვისპირა სოფელი | უვარგისი | უზარმაზარი | პატარა ხმალი | ხორცი ბავშვისთვის

პოლონელი მწერალი „...მიცკევიჩი" | 2 | სოფიკო „ჩვენ ეზოში" | 1

ქალაქი ალჟირში | მეშვიდე ნოტი | აფრიკის მდინარე | სქელი ქსოვილი | 14 | სუსტი და გამხდარი

რესტორანი სანახაობით | 9 | ჭრილობა | ფეთქებადი ნივთიერება | 8

ტერ პეიერდალის ბამბუკის ტივი | ჩაის ასადუღებელი მოწყობილობა | ცხენის რქე | დიდი დიეგო | მწევრალი

ლერწამი | 13 | თურქეთის ფული | უდაბნო ჩილეში | არტისტი | პატარა | წყალკურთხევა

სამართლებრივი | ჩვენი მოჭადრაკე ქალი | 4

ძვირფასეულობის საზომი | სატირიკოსი არკადი | საწერი | აუჩქარებლად | კონტინენტი | ჯგუფი მტრის ზურგში | 3

მობილური | ტკბილეული | იყო ასეთი ტელეარხი ჩვენთან

სომხეთის დედაქალაქი | საგანგებო ტექსტი | პოეტური გამოცანა

რუსი მსახიობი ოლეგ.... | ბუნინის რომანი | ძვირფასი თვალი | მსახიობი რიშარი | რომის პაპის თავსაბურავი | ჰომეროსის პოემა

5 | საკამათო ანუ? | დანადგარი | მოსასხამი | 6

კლდე | მესამე ნოტი | დიდი მოჭადრაკე | რაჭაშია | ნუსხა | ისაკაძე | ჯარი

სოფლელი | ზოგი პროდუქცია | 12 | კაცის სლავური სახელი | უარი

დაბლობი | ტაბლეტი | წყნარი ოკეანის ლემური | 7 | (....)-კაპონე

კლიმატი | აშშ-ს შტატი | ქალის ევროპული სახელი

დიდი ამერიკული დათვი | თანხმობა | აკაკუნებს | ტიბეტური პირუტყვი | მჭრელი იარაღი | ფრანგული ნაძლევი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | 1 | | 1 | | | | | 2 | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | 1 | 4 | | 2 | | 1 | | | 1 | 4 | 2 | | | | | | | | | | | |
| | 1 | | 1 | | 4 | | 3 | 1 | 1 | | 1 | | 2 | | | 3 | 1 | 3 | | | 2 | | 1 | | | | | | |
| | 1 | 1 | 1 | | 1 | | 1 | 3 | 1 | | 5 | 2 | 1 | 5 | 1 | 1 | 6 | 1 | 3 | 2 | 3 | | 5 | | | | | | |
| | 1 | 1 | 4 | 1 | 1 | | 3 | 1 | 2 | 2 | 3 | 7 | 1 | 1 | 9 | 7 | 1 | 3 | 4 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 5 | | | |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 12 | 3 | 2 | 2 | 4 | 1 | 4 | 1 | 4 | 1 | 5 | 3 | 2 | 1 | 5 | 1 | 1 | 1 | | |
| 7 | 1 | 4 | 1 | 9 | 2 | 13 | 5 | 4 | 3 | 3 | 2 | 15 | 18 | 17 | 16 | 2 | 4 | 4 | 9 | 7 | 5 | 12 | 5 | 7 | 8 | 4 | 9 | 10 | 6 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 12 | 2 |
| | | | | 3 | 1 | 1 | 1 | 7 | 1 |
| 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 | 1 | 1 | 8 | 1 | 5 |
| | | | 1 | 4 | 3 | 1 | 2 | 1 | 9 |
| | 1 | 1 | 3 | 5 | 5 | 1 | 2 | 1 | 2 |
| | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 9 |
| | | | | 1 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 |
| | | 5 | 3 | 3 | 2 | 1 | 5 | 1 | 3 |
| | | | | 1 | 5 | 10 | 1 | 1 | 6 |
| | | 3 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 9 | 3 |
| | | | 1 | 6 | 3 | 1 | 3 | 3 | 5 |
| | | | 2 | 3 | 3 | 2 | 3 | 1 | 8 |
| | | 1 | 1 | 3 | 1 | 3 | 1 | 3 | 7 |
| | | | | | | | 5 | 3 | 15 |
| | | | | | | | | 12 | 8 |
| | | | | | | | | 3 | 13 |
| | | | | | | | 3 | 5 | 4 |
| | | | | | | | 3 | 4 | 4 |
| | | | | | | | | 7 | 4 |
| | | | | | | | | | 10 |
| | | | | | | | | | 8 |
| | | | | | | | | | 6 |
| | | | | | | | | | 5 |
| | | | | | | | | | 4 |
| | | | | | | | | | 4 |
| | | | | | | | | | 4 |
| | | | | | | | | | 4 |
| | | | | | | | | | 6 |
| | | | | | | | | | 6 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 6 | | 3 | 7 | 2 | 1 |
| | 7 | | 5 | | | 9 | | 3 |
| 1 | 6 | | 9 | 7 | 2 | 5 | 4 | |
| 2 | | 6 | 4 | 9 | 8 | | | 5 |
| 3 | 5 | 4 | | | 1 | | | |
| | 9 | | | 6 | | 4 | 1 | 2 |
| 6 | 8 | | 1 | | 9 | 2 | 5 | 4 |
| 5 | 2 | 1 | | 4 | 7 | 6 | | 9 |
| | 3 | | 2 | 5 | 6 | 1 | 8 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 7 | | 5 | | 4 | |
| 9 | | | | 3 | 4 | | | |
| | 5 | | 6 | | | | 1 | 3 |
| 4 | | 1 | | | | | 8 | 6 |
| | 9 | | | 4 | | 5 | | |
| 2 | | 5 | | 1 | 6 | | | |
| | 2 | 6 | | | 3 | 4 | | 7 |
| | | | | 7 | | | | 8 |
| 5 | 8 | | | | 1 | 9 | 3 | |

# ჭკუაზე მოიყვანეს



**ემი პოტერი**

ბინა ღარიბული და გულისამრევად ჭუჭყიანი იყო. მისი უბადრუკი ინტერიერი და ავეჯი მხოლოდ იმას არ მოჰგვრიდა ზიზღს, ვინც ქუჩაში ათევდა ღამეს, თუმცა იქ მყოფ მამაკაცს ეს ამბავი დიდად არ აწუხებდა. უშნოდ გამოჩირკვნილ ხის მაგიდასთან იჯდა და მსხვილკალიბრიან რევოლვერს წმენდდა. ოთახში სუფთა და ახალი მხოლოდ გატეხილ ტელევიზორზე მიფენილი აბაზანის პირსახოცი და მამაკაცის ერთი წყვილი სამოსი იყო თავისი ფეხსაცმელებითურთ. კარი სწრაფად გაიღო და ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, თითქმის ბავშვი – ოცი წლის ძლივს იქნებოდა.

– ეს კარი ღია რატომ არის? შემოსასვლელი კარიც თავისუფლად გავაღე. ჩემ მაგივრად ის რომ მოსულიყო? ძალიან გაუფრთხილებლად ხომ არ იქცევით?

ახალგაზრდა კაცს მაფიის წევრებისთვის დამახასიათებელი კოსტიუმი ეცვა – შავი და ტანზე კარგად მომდგარი, თანაც ორბორტიანი. ფართო ჰალსტუხიც ეკეთა. ხმაც ნერვულად უჟღერდა.

ჰოგანმა ირონიულად შეხედა და მხრები აიჩეჩა.

– ვინ „ის“?

– როგორ თუ ვინ? ის, ვინც უნდა მოვკლათ. ჩვენ ხომ ერთ საქმეზე ვართ აქ. ადრე კი მოსულხართ... ამბობენ, ძალიან მაგარი ვინმეაო, ლეგენდააო...

– ლეგენდებიც კვდებიან – ყრუდ, პირქუშად ჩაილაპარაკა ჰოგანმა. ახალგაზრდამ ოთახი მოათვალიერა. უცებ პირსახოცი და ტანსაცმელი შენიშნა.

– ეს რა არის? თქვენია? საინტერესოა... რიტუალი გაქვთ? შესრულებული სამუშაოს შემდეგ ბანაობთ?

ჰოგანმა ეჭვით აათვალიერა:

– მოიცა, შენ ახალბედა ხომ არ ხარ? პირველად გამოგიშვეს საქმეზე?

– არა, რა თქმა უნდა. მენისთან ეს ჩემი მეოთხე კონტრაქტია. მანამდეც მქონდა რამდენიმე საქმე... ჰო, მართლა, მენიმ რამე გითხრათ ჩვენი კონტრაქტის შესახებ?

ჰოგანმა უკმაყოფილოდ შეხედა.

– მომისმინე. ჯერ ერთი, არასდროს არავის უთხრა შენი ნამდვილი სახელი და არც კონტრაქტის დეტალები განიხილო თუნდაც პარტნიორთან – ჩვენს საქმეში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება დღევანდელ სამიზნეს, ვიცი მხოლოდ ის, რომ იმავე საქმით არის დაკავებული და ერთ-ერთი საუკეთესოა. ძალიან მაგარი ვინმეა, ძალიან... მაგრამ მე ეს ნაკლებად მაღელვებს, ხელი არ ამიკანკალდება.

– და მაინც, რატომ დატოვეთ კარი ღია?

– იმიტომ, რომ, ვიცოდი, პირველი შენ მოხვიდოდი. ის პუნქტუალური ტიპია, სხვანაირად მაგარიც ვერ იქნებოდა. არა, შენ აშკარად ახალბედა ხარ.

ჯიმიმ თვითკმაყოფილი იერით გაიცინა:

– მე?! მე ვსპობ პრობლემებს, მით უმეტეს – ცოცხალ პრობლემებს. ასე იყო მეისონის შემთხვევაშიც.

– მეისონი შენ მოკალი? ეს შენ იყავი? – ჰოგანს ჩაეღიმა, – მართლა? საინტერესოა... ეგ რა გაქვს, პისტოლეტი?

– ჰო, ძალიან მოსახერხებელია. თან, არასდროს გიმტყუნებს. რევოლვერმა, თანაც მსხვილკალიბრიანმა, შეიძლება, ერთხელაც, არ გაისროლოს ცივსისხლიანად და შეუბრალებლად – ეს არის ჩემი პრინციპი, – ამაყად წარმოთქვა ახალგაზრდამ. სხვათა შორის, იმ ტიპმა, რომელსაც ველოდები, მენი „გადააგდო“. მე რაღაც დეტალები ვიცი.

– ძალიან ბევრს ლაპარაკობ... იმაზე ბევრს, ვიდრე საჭიროა. შენს ადგილას გავჩუმდებოდი და იარაღს გავწმენდდი.

ახალგაზრდა რაღაცის თქმას აპირებდა, უკმაყოფილოდაც კი შეიჭმუხნა, მაგრამ, ერთბაშად შეკრთა და დაიძაბა.

– მგონი, შემოსასვლელი კარის ხმა იყო... თქვენ ვერ გაიგეთ?

ჰოგანმა თავი გააქნია.

– აშკარად რაღაც ხდება იქ... ვნახავ...

– იარაღი აქ დატოვე და ჩუმად გაიხედე, – ჭკუა დაარიგა ჰოგანმა. ისიც უსიტყვოდ დაემორჩილა – პისტოლეტი მაგიდაზე დადო. მერე ისევ აიღო და ფრთხილად გაიხედა დერეფანში. ნელ-ნელა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ფრთხილობდა. ცდილობდა, ნაკლები ეხმაურა. პისტოლეტი გასასროლად შემართული ეჭირა... ამასობაში ჰოგანმა სწრაფად გადატენა რევოლვერი და მარჯვენა მხარეს დაიდო... ერთბაშად გულისგამგმირავი ყვირილი გაისმა და ცარცივით გაფითრებული ჯიმი ოთახში შემოვარდა:

– ღმერთო! აბაზანაში გვამია და იქაურობა სულ სისხლშია მოსვრილი. გესმით? იქ... – სწორედ ამ მომენტში ჰოგანი წამოხტა, რევოლვერის ლულა მარჯვედ მიადო შუბლზე, ხელიდან კი პისტოლეტი გამოჰგლიჯა.

– არ გაინძრე! – მკაცრად ჩაულაპარაკა და პისტოლეტი ზურგს უკან, ქამარში გაირჭო, რევოლვერი კი არ მოუშორებია. ჯიმის თვალები ისევ გაფართოებული ჰქონდა, მერე გაჭირვებით ამოილუღლუღა:

– მიხვდი. ის ძალიან ადრე მოვიდა და ჩემს მოსვლამდე მოამთავრეთ ყველაფერი. შესაბამისად, მთელი ფული თქვენ გინდათ. გამოვიცანი? ღვთის გულისათვის, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, დაიმსახურეთ თითოეული დოლარი. აიღეთ და მოიხმარეთ. მე ვეტყვი მენის...

– გაჩუმდი! ვერაფერიც ვერ გაიგე... ლეგენდა ეს მე ვარ, აბაზანაში კი ის არის, ვისთან ერთადაც უნდა მოგეკალი...

ჯიმი აკანკალდა. ჰოგანმა კეფაში, თმაში ჩასჭიდა ხელი და მაგრად მოქაჩა:

– ზედმეტი მოძრაობა არ გააკეთო, ლაწირაკო! ესე იგი, მეისონი შენ მოკალი? რა სასაცილოა! მე მახსოვდა, რომ ეს მე გავაკეთე... იცი, ალბათ, რაც გელოდება. მე შანსს არავის ვაძლევ, საკუთარ თავსაც კი...

– არ მომკლათ, ძალიან გთხოვთ... მე, მე, საერთოდ გავქრები... დავიკარგები.... ჩემ შესახებ ვერასოდეს ვერაფერს გაიგებთ. საფულეში ფული მაქვს, აიღეთ, თქვენი იყოს... მე... მე... მართლა პირველად ვიყავი საქმეზე. არასდროს არავინ მომიკლავს. მაგ პისტოლეტიდან არც კი გამისროლია...

– გეყოფა... ვერ ვიტან, როცა ბევრს ლაპარაკობენ! ველარ ვითვლი, რამდენი გამისტუმრებია საიქიოში... ზოგი თვალდახუჭული კვდება, ზოგი პირდაპირ მიყურებს, ბოლო წუთებამდე.

ჯიმი ატირდა:

– არ მომკლა... გემუდარები... არ მომკლა... ღმერთს გეფიცებით, მართლა ველარასოდეს მნახავთ... ჩემ შესახებაც კი ვერაფერს გაიგებთ. თუ მოგატყუებთ, მიპოვეთ და მომკალით... – ბიჭი უკვე მთელი ხმით ღრიალებდა და კანკალებდა...

– შემთხვევით, ხომ არ ჩაიფსი, პატარავ? – ჰოგანმა მის შარვალს შეხედა, – კარგი, ზუსტად ათი წამი გაქვს და ორი უკვე გავიდა... – ჰოგანს სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ ჯიმი უკვე კისრისტეხით გარბოდა. გაისმა კარის გაჯახუნების ხმა...

ჰოგანმა ამოიოხრა და ისევ მაგიდას მიუჯდა. რამდენიმე წუთში ოთახში ერთიანად სველი და რაღაც წითელი, გაურკვეველი ნივთიერებით მოთხუპნული კაცი შემოვიდა.

– კიდევ ცოტა ხანიც და გავითოშებოდი იმ აბაზანაში. რა საჭირო იყო, მაინც ვერ ვხვდები. ვითომ დივანზე რომ წამოვწოლილიყავი, არ დაიჯერებდა?

– ნუ ხარ სულელი. მე პროფესიონალი ვარ და მოვიქეცი ისე, როგორც რეალურად მოვიქცეოდი ასეთი სცენარის დროს. აიღე პირსახოცი და მშრალი ტანსაცმელი. მენი კი იდიოტია... როგორ მოუვიდა აზრად ასეთი რამე დაევალებინა – ჩემი საშუალებით ჭკუაზე მოეყვანა თავისი დისშვილი, რომელსაც, თურმე, დაქირავებული მკვლელის პროფესია იზიდავს?!

– რა გინდა, დღეის შემდეგ აღარ მიიზიდავს, – გაიცინა ბლეიკმა, – შენ სამუდამოდ დაუკარგე ამის სურვილი.

– იმედია, – ჩაილაპარაკა ჰოგანმა უხალისოდ, – მაგრამ, თუკი მენი კიდევ მოინდომებს, მსგავს სპექტაკლში მიმალებინოს მონაწილეობა, თავად მას გავაგორებ... პროფესია – პროფესიაა... საფრთხობელა არ ვარ, ვინმე შევაშინო, მით უმეტეს, ასეთი ლაწირაკები... ჩაიფსა შიშით, წარმოგიდგენია?

– გავიგონე, ფულს როგორ გთავაზობდა. რატომ არ გამოართვი?

– ბლეიკ, რა ვერ გაიგე? მე პროფესიონალი ვარ. თუ ენას არ გააჩერებ, იმ აბაზანაში კიდევ ერთხელ მოგიწევს ჩაწოლა, ოღონდ, ახლა სამუდამოდ... ფუჰ, რა საზიზღრობააა... პირველად მომცეს ფული ვილაცის არა მოკვლაში, არამედ შეშინებაში... საზიზღარი განცდაა!..

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

გახდი სტუდენტი ყოველგვარი გამოცდის გარეშე და მიიღე სახელმწიფო დიპლომი სპეციალობებში:

ტურიზმი, ინტერნეტტექნოლოგი, კორესპონდენტი, მუსიკოს-რეპეტიტორი.

აუცილებელია საბაზისო ან სრული განათლება. სწავლა დაიწყება ჩარიცხვისთანავე.

**მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №47**
**ტელ: 2-93-66-03; 2-93-54-30;**
**2-99-96-26; 599-18-89-24.**

# რატომ უნდა გააკეთოთ არჩევანი „ცეროდენას“ პროდუქციაზე?!

**უკვე 10 წელია, რაც „ცეროდენა” ქართულ ბაზარზე არსებობს და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროდუქციის მრავალფეროვნებით, ხარისხითა და ფასებით საკმაოდ სერიოზულ კონკურენციას უწევს სათამაშოების სხვა მაღაზიათა ქსელებს. ვესაუბრებით „ცეროდენას” მაღაზიათა ქსელის პიარ-მენეჯერს, მარიტა ცინცქილაძეს.**

**– რა სახის სათამაშოებია თქვენს მაღაზიაში, რომელი ასაკიდან რომელ ასაკამდეა განკუთვნილი და როგორია მათი ხარისხი?**

– „ცეროდენას” მაღაზიათა ქსელში სათამაშოების დიდი არჩევანია. ჩვენი პროდუქცია გათვლილია ბავშვის დაბადების პირველივე დღეებიდან – 14 წლის ასაკის ჩათვლით. გვაქვს ჩვილ ბავშვთა საწოლები, ეტლები, ჭოჭიალები, სარწეველა, ჩასაჯდომი ელექტრომანქანები, რობოტები, თოჯინები, ველოსიპედები, სასადილო მაგიდა. ჩვილებისთვის სენსორული საჩხაკუნო, მუსიკალური, ფერადი და მოძრავი სათამაშოები. აგრეთვე, გვაქვს პროფესიული სათამაშოები: ექიმის ინსტრუმენტები, საინჟინრო-სამშენებლო კონსტრუქტორები, ჭურჭლის ნაკრებები. რაც შეეხება ხარისხს, იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე ბაზარი უამრავ პროდუქციას გვთავაზობს, შერჩევა საკმაოდ რთულია, ამიტომ მომხმარებელმა არჩევანი უნდა გააკეთოს გემოვნებისა და საჭიროების მიხედვით.

**– რისი გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი სათამაშოს შერჩევისას და რა გარანტიები აქვს „ცეროდენას” მომხმარებელს?**

– მომხმარებელი უნდა შეეცადოს, სათამაშო შეიძინოს მხოლოდ საბავშვო მაღაზიებში და არა ბაზრობებზე, რადგან მას არ აქვს ხარისხის გარანტი, რასაც ერთი შეხედვით ვერ მიხვდებით. მოერიდონ მკვეთრ, ხასხასა ფერებს – სწორედ ასეთი საღებავები შეიცავს შხამიან ელემენტებს. სათამაშოს შეძენისას უნდა დააკვირდნენ, ხომ არ გადასდის მას ფერი და ხომ არ აქვს მძაფრი სუნი. პროდუქცია, რომელსაც „ცეროდენა” გთავაზობთ, ეკოლოგიურად უსაფრთხოა, რაც დასტურდება თითოეულ მათგანზე მინიჭებული ხარისხის ნიშნით CE ჩვენ ისიც ვიცით, თუ როგორ მზადდება ჩვენ მიერ შეკვეთილი სათამაშოები და ისიც, რომ დაცულია მათი წარმოების წესები. მომხმარებელს შეუძლია, გახსნას თითოეული სათამაშო და გაეცნოს მის ფუნქციებსა და ხარისხს, რათა დარწმუნდეს პროდუქციის ვარგისიანობასა და თავისი არჩევნის სისწორეში.

**– კიდევ რით გაუწევს კონკურენციას „ცეროდენა” სხვა მაღაზიებსა და ბაზრობაზე წარმოდგენილ საბავშვო საქონელს?**

– უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ჩვენ ვითვალისწინებთ საქმიანი ადამიანების გადატვირთულ რეჟიმს და, ამიტომ, უამრავი სახის პროდუქცია ერთ სივრცეში გვაქვს მოქცეული. რაც ძალიან კომფორტულია მომხმარებლისთვის. ფასებიც ყველა სეგმენტზეა გათვლილი. ლოგიკურია – რაც უფრო ძვირი ღირს, უფრო ხარისხიანი და კარგია. არ შეიძლება მაღალი ხარისხის სათამაშო 2 ან 3 ლარი ღირდეს. ჩვენ, ასევე, გვყავს მაღალკვალიფიციური კონსულტანტები, რომლებიც გადიან სპეციალურ მომზადებას და მომხმარებელს სწორი არჩევნის გაკეთებაში ეხმარებიან.

**– თუ აპირებთ ქსელის გაფართოებას და რა სამომავლო გეგმები გაქვთ „ცეროდენასთან” დაკავშირებით?**

– გვაქვს ოთხი ფილიალი თბილისის ცენტრალურ უბნებში და, ასევე, ბათუმში. მომავალში ვგეგმავთ მაღაზიები გაიხსნას როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში,




რადგან, საკმაოდ დიდია მოთხოვნა ჩვენს ბრენდზე. მაღალკვალიფიციურმა კადრებმა და ხარისხიანმა პროდუქციამ განაპირობა ის, რომ ჩვენთან თანამშრომლობენ საბავშვო ბაღები და კერძო სკოლები მთელი საქართველოს მასშტაბით. აქტიურად ვართ ჩაბმული საქველმოქმედო ღონისძიებებში ფონდ „ქვიშის საათთან” ერთად; ასევე, ვეხმარებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებსა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.

**– რა სახის დამატებით მომსახურებას სთავაზობთ მომხმარებელს?**

– მომხმარებელს შეუძლია დაათვალიეროს ჩვენი პროდუქცია ჩვენს „ფეისბუქ” და ვებ-გვერდებზე და მიიღოს ინფორმაცია ახალ და ფასდაკლებულ კოლექციებზე, მოგვწეროს კითხვები (www.cerodena.ge; www.facebook.com/cerodena); ჩვენი ერთგული მომხმარებლებისთვის გვაქვს შიდაფასდაკლების ბარათები და სათამაშოების ადგილზე მიტანის სერვისი; ყოველ კვირას ვთავაზობთ ფასდაკლებას ათი დასახელების პროდუქციაზე; ასევე, შეუძლიათ, სახლიდან გაუსვლელად აირჩიონ სათამაშო და დაადგინონ მისი ფასი, პარამეტრები და ის, თუ რომელ ქსელში შეუძლიათ ამ პროდუქციის შეძენა. 10.00 საათიდან 21.00 საათამდე „ცეროდენას” კონსულტანტები მათ სატელეფონო ზარებს უპასუხებენ.

**ეკა პატარაია**



**ის ხომ ძლივს „შევისისხლხორცე და გავისიგრძეგანე", რომ რუსთაველი შოტა (რუსული გავლენით) ა+შოტა ყოფილა. ჰოდა, ახლა ახალმა ვერსიებმაც არ დააყოვნა და ჩაირთო ფანტასტიკურ ჟანრში მომუშავე დეზინფორმაციული მანქანა. გაგიკვირდებათ და აწყური, ამ ისტორიულად ცნობილი ქართული მიწა-წყლის სახელწოდება, სომხური ვერსიით – აცკური (ისევ რუსულის გავლენით) ყოფილა, ხოლო აზერბაიჯანული ვერსიით – აზგური.**

**მსგავსი ვერსიების კორიანტელით თავბრუდახვეულმა ფარად, ცნობილი ქართველი მეცნიერის, მერაბ ბერიძის არგუმენტები ავიფარე.**

# როგორ იჩემებენ ქართული მიწა-წყლის სახელწოდების წარმომავლობას სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერები



**ერთი ამბობს, რომ გურებმა დააარსეს „აზგური", მეორე – სომხებმა დააარსეს „აცკური". არადა, მეექვსე საუკუნეში უკვე ეპისკოპოსი ზის აწყურში. მისი მრევლი ქართველია**

**მერაბ ბერიძე**: აწყური ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ქალაქია, ასეთივე უძველესი სახელით, რომელიც ჩვენამდე ერთ პატარა სოფლად მოვიდა.

უპირველესად, ალბათ, ყველაზე საინტერესოა ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა აწყურში. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, როდესაც ის გადმოივლის აჭარას, გადმოვა სამცხეში, ზადენ გორაზე მოსპობს ზადენის კერპს და შემოდის აწყურში. ამ დროს, აწყურში აპოლონის და აფროდიტას კერპებზე ლოცულობდნენ. წარმოიგინეთ, ეს ორი პუნქტი, ზადენი და აწყური ერთმანეთისგან დაახლოებით 40 კილომეტრით არის დაშორებული. ერთგან – ზადენში, სპარსულ კერპზე ლოცულობდნენ, მეორეგან – აწყურში რომაულ-ბერძნულ ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს. ეს თავისთავად პრობლემურია ამა თუ იმ ქვეყნისთვის, ერთი ეთნოსისთვის, ერთი ხალხისთვის, ვინაიდან, გაყოფისა და გათიშვის საფუძველს იძლევა, თუნდაც იგივე პირველ საუკუნეში ხდებოდეს. ამიტომ, როდესაც ქრისტიანობა შემოდის უაღრესად პროგრესულია ეს სამხრეთ საქართველოში. პირველი ნაბიჯები ქრისტიანობისა იდგმება სწორედ აწყურში. სადაც ანდრია პირველწოდებულს დახვდება ასეთი სიტუაცია: სამცხის მთავრის მეუღლეს შვილი ჰყავს მკვდარი. როდესაც ანდრია იქადაგებს თავის სარწმუნოებას, შესთავაზებენ, შენ თუ შეგიძლია ამის გაკეთება, აი, მიცვალებულია და ის აღადგინეო. ანდრია მოახდენს სასწაულს. ის გააცოცხლებს სამცხის მთავრის შვილს და მესხები პირველი ქრისტიანები გახდებიან საქართველოში.

შემდეგში აწყური ერთ-ერთი პირველი საეპისკოპოსო ცენტრია. მეექვსე საუკუნეში უკვე აწყურელი ეპიკოპოსი ზის.

**– შემდეგში აწყურში მოსახლეობა მაჰმადიანდება...**

– საინტერესოა, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში, 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის" დიდი დავთრის მიხედვით, აწყურში სახელების მიხედვით, რომელიც ამ დავთარშია ჩამოთვლილი, აბსოლუტური უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ქართველები არიან. მერე მოსახლეობა მუსლიმი ხდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, მეთვრამეტე საუკუნეში ასპინძის ომთან დაკავშირებული ამბებია, როდესაც ტოტლებენი ერეკლეს გაჰყვება, ვითომ ჯავახეთისა და სამცხის შემოსაერთებლად. აწყურთან მისული კი უღალატებს, მოტრიალდება თავისი რუსული ზარბაზნებიანად და უკან გაბრუნდება. ერეკლე ჩავა ასპინძაში, ომს მოიგებს, მოტრიალდება და ჩამოასწრებს მას თბილისში. ეს ამბავიც დაკავშირებულია აწყურთან.

შემდეგში, უკვე 1828 წელს აწყურში ჩამოასახლებენ სომხების გარკვეულ ნაწილს.

**– რა მოტივით ხდება მათი ჩამოსახლება?**

– ეს ცნობილი პროცესია. როდესაც პასკევიჩმა ახალციხე აიღო, პასკევიჩს ჰქონდა თავისი დამოკიდებულება საქართველოსადმი და ზოგადად სამხრეთ საქართველოსადმი. სომხების ჩამოსახლებით მან, ფაქტობრივად, ერთგვარი იმპერიის ლობე შექმნა, იმიტომ რომ, სომხები, როგორც კოლონისტები, შემოიყვანა. გარდა ამისა, მათ მისცა სპეციალური დახმარება, კრედიტი, რომელიც არც არავის გადაუხდია შემდეგ. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში იმპერიის კოლონისტები ერთგულები იყვნენ იმპერიისა. ეს უნდოდა სწორედ რუსეთს – სომხებთან ერთად, ცოტა მოგვიანებით, მან სამხრეთ საქართველოში ჩამოასახლა: დუხობორები – ვოლგისპირეთიდან, ასევე მალაკნები, ბერძნები და ასე შემდეგ. ასე რომ, კოლონისტების შექმნით, აი, ამ ახალი მიგრანტებით, რუსეთი ცდილობდა თავისი დასაყრდენი ჰქონოდა ამ ადგილებში.

თუმცა, აწყურის მაჰმადიანობამ ძირითადად შეინარჩუნა საცხოვრებელი ადგილები. შემდეგ ამისა, 1944 წელს მაჰმადიანები გაასახლეს ამ ადგილებიდან და ჩამოასახლეს ქართველები.

**– ის, რომ აწყურის და ზოგადად ამ მხარის ისტორია ბევრჯერ გაყალბდა, რას ემსახურებოდა ეს პროცესი?**

– მინდა, მივუთითო ფაქტზე, როგორ ცდილობს ორი მეცნიერი, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელი, თავიანთი ქვეყნების ენობრივ-კულტურულ არეალში მოაქციონ ქართული სოფლის სახელი, აწყური.

აწყური იმდენად ცნობილი პუნქტი და მნიშვნელოვანი იყო, სხვას რომ თავი დავანებოთ, იქ ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ეკლესია იდგა – საეპისკოპოსო ცენტრი. გათხრებმა დაადასტურა, რომ აწყურში უძველესი დროიდან იყო მოსახლეობა. რომაული პერიოდის ძველი ნატაძრალი აღმოჩნდა ამ ადგილას. ასე რომ, ეს კუთხე მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ის ბევრ უცხოურ და ბუნებრივია, ქართულ ისტორიულ წყაროებში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, როგორც სასულიერო ცენტრი, ასევე როგორც საერო ცენტრი. აწყურის ციხე, სამწუხაროდ, რომელიც ჩამოიშალა და ამ ბოლო პერიოდში უპატრონობა ძალიან ეტყობა, კეტავდა მთელ ხეობას – დღევანდელი ბორჯომის ხეობას. თავის დროზე მას აწყურის ხეობა ერქვა. აწყურის აი, ამ დიდი მნიშვნელობის გამო, ბუნებრივია, ყველაზე მეტად იწვევს ინტერესს მისი ეტიმოლოგია. არსებობს აწყურის ეტიმოლოგია და არა მარტივად, მაგრამ ძალიან ბუნებრივად იხსნება ის ქართველურ ნიადაგზე. თავში რომ „ა" არის, – პრეფიქსია, რომელიც დანიშნულების აფიქსი უნდა ყოფილიყო თავის დროზე. „ბან" ფუძეს თავში „ა" რომ დაერთოს, ეს ნიშნავდა მისი დანიშნულების გასაზღვრას, რომ ის არის ადგილი, სადაც უნდა იბანაო. „წყურ" ფუძეს, „ა"-ს, თუ გამოვაკლებთ, არის წყალი, რომელიც დღეს წყურვილში გვაქვს – წყორში. ეს საერთოდ ქართველური ფუძეა. აქედან გამომდინარე, აწყური ნიშნავს წყლის ადგილს, წყლიან ადგილს. აწყური ორია საქართველოში, ერთი – აღმოსავლეთში, მეორე – სამხრეთში. ორივე მდინარისპირა ადგილია.

როდესაც ვსაუბრობთ ეტიმოლოგიაზე, საუბარი დგება მაშინვე იმაზე, თუ როგორ კითხულობს ამა თუ იმ სახელს სხვა ენა. ქართულის გარშემო ენები, პრაქტიკულად, განსხვავებული ბგერითი შემადგენლობისაა. ეს ეხება განსაკუთრებით, ფუძეში, ძირში არსებულ „ყ" ბგერას, რომელიც არ არის არც სომხურში, არც თურქულში, არც აზერბაიჯანულში და ბევრ არაკავკასიურ ენაში. ამიტომ, სხვა ენის ხალხმა, ბუნებრივია, თავისი ენობრივი არსენალი მოარგო ამა თუ იმ სახელს. ასე მოხდა აწყურის შემთხვევაშიც. აწყურის ეტიმოლოგიის ბოლოდროინდელი მკვლევარია სანოსიანი, სომეხი მეცნიერი, რომელმაც ეტიმოლოგია მოგვცა აწყურის – აცკური. ეს არის, უბრალოდ, რუსული რუკების განმარტება. რატომ არის უაზრობა? – იმიტომ რომ, ქართველს, „აცკური" რომ ყოფილიყო, არაფერი უშლიდა ხელს ასევე წარმოეთქვა.

არის ასევე მეორე აზერბაიჯანელი მეცნიერი იუნუსოვი, რომელიც აწყურს კითხულობს „აზგურად." მას უკვე „ყ-ს" გარდა „წ" ბგერაც არა აქვს. თან, მაინცდამაინც მას უნდა, რომ ამ „აზგურში" დაინახოს „გურ" ელემენტი.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ „გურები" იყვნენ ძველი თურქული მოდგმის ტომები. როგორც მას უნდა, ისე რომ იყოს გურ+აზ. მაშინ „აზ" რა არის? – ამაზე არაფერს, თუ ვერაფერს ამბობს. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს არის არა გულუბრყვილო ეტიმოლოგია, არამედ გამიზნული, რომელიც ემსახურება გაყალბებას. არადა, მეექვსე საუკუნეში უკვე ეპისკოპოსი ზის აწყურში. მისი მრევლი ქართველია. გარდა ამისა, მეთექვსმეტე საუკუნეში აღწერილი მთელი აწყური და მისი შემოგარენიც ქართველებითაა დასახლებული. ამას თურქები, ოსმალები აღწერენ და გვიტოვებენ დოკუმენტის სახით.

სომხები გადმოასახლეს ყარსის და ერზრუმის ვილაიეთებიდან. ყარსი და ერზრუმი, ზუსტად ჯავახეთის სიმაღლეზეა. რუსებმა კარგად გათვალეს, რომ აკლიმატიზაციის პრობლემა არ დადგებოდა, როდესაც ამ რაიონებიდან სომხებს გადმოასახლებდნენ. ესეც კი არის მაშინ გათვლილი. საინტერესოა ის, რომ მათი გადმოსახლების დროს, არ იცვლება აწყურის სახელი. ამასაც პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. როდესაც ადამიანს, ოჯახს, ან ჯგუფს ასახლებდნენ ამა თუ იმ სოფელში, საჭირო იყო საორიენტაციო ფუნქციად აელოთ სოფლის სახელწოდება. საჭირო იყო დოკუმენტურად გაფორმებულიყო, თუ ვის მიეკუთვნებოდა ესა თუ ის ადგილი. წინააღმდეგ შეთხვევაში, დოკუმენტი ვერ შეიქმნებოდა. ყველაფერი გააკეთა რუსეთის იმპერიამ, რომ ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა ამ ტერიოტიებიდან გაესახლებინა. მათი ადგილი დაიკავა ახალმა, სომხურმა მოსახლეობამ.

**ეკა სალაღაია**

# ვინ იყვნენ ბანდიტი ტუგები და რატომ უძღვნიდნენ ნაპარავ ქონებას ქალღმერთ კალის

ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში ქალღმერთ დურგას ნებაყოფლობით ეწირებოდა მსხვერპლი. მას, ვინც სურვილს გამოთქვამდა, ქალღმერთისთვის მომკვდარიყო, საღმრთო პატივს მიაგებდნენ. ბატონები ასეთ ქალს ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდნენ და შეჰყავდათ თავიანთ ჰარამხანაში; ხოლო ცოლებს დიდ პატივად მიაჩნდათ, მისცემოდნენ კაცს, რომელიც ქალღმერთს ეწირებოდა. ცერემონიის დღეს მსხვერპლად შესაწირ პირს ძვირფასი ტანსაცმლით მოსავდნენ, წითელ სანდლებს აცმევდნენ და ყვავილებით რთავდნენ, ხოლო მედიტაციისა და მანტრების მღერის შემდეგ თავს კვეთდნენ. მსხვერპლის თავს სინით დგამდნენ ქალღმერთის სტატუეტის წინ, ხოლო სათანადოდ მომზადებულ სხეულს ქურუმები, რაჯები და მათთან დაახლოებული პირები მიირთმევდნენ. ბოლოს ასეთ მსხვერპლშეწირვას 1832 წელს შეეცადნენ: ქურუმებმა ვერ იპოვეს ადამიანი, რომელიც ნებაყოფლობით დათანხმდებოდა მსხვერპლად შეწირვაზე და, გადაწყვიტეს, ის იძულებითი მსხვერპლით შეეცვალათ. მაგრამ, მათ მიერ მოტაცებულმა ადამიანმა მოასწრო გაქცევა და ბრიტანეთის ხელისუფლების საქმის კურსში ჩაყენება, რის შემდეგაც რაჯა გადაყენებული იქნა, ხოლო რიტუალი შეწყდა.

დურგას ერთ-ერთი იპოსტასი – კალი, კვლავ ითხოვდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვას, მაშინ, როცა ინდოეთის სხვა ღმერთებმა ამაზე უარი განაცხადეს. სახელი „კალი” თარგმანში ნიშნავს „შავს“. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ქვეყნიერებას ის მრისხანებისგან გაშავებული დურგას სახიდან მოევლინა. არც თვით დურგა გამოირჩეოდა თვინიერებით, კალი კი უფრო მეტი ბოროტების განსახიერება იყო. ჩვეულებრივ, მას ჯიქის ტყავით შემოსილსა და თავისქალებიანი ყელსაბამით შემკულს გამ-



ოსახავდნენ ხოლმე. თავისი ოთხი ხელიდან ერთ-ერთში მას თავის ქალა ან ადამიანის მოჭრილი თავი უჭირავს, ხოლო დან-არჩენებში – მახვილი ან სამსხვერპლო დანა; გაღებული პირიდან კი სისხლიანი ენა აქვს გადმოშვებული.

**ცოლებს დიდ პატივად მიაჩნდათ, მისცემოდნენ კაცს, რომელიც ქალღმერთს ეწირებოდა**

შუა საუკუნეების ინდოელი ბანდიტები – ტუგები თუ ტაგები, ნაძარცვს ქალღმერთ კალის უძღვნიდნენ, რითაც თავიანთ პროფესიულ საქმიანობას ღმერთისთვის სასურველ საქმეს უხამებდნენ. ყველაზე ხშირად ტუგები ქარავნებს ძარცვავდნენ და მოგზაურებს ხოცავდნენ. დახოცილთა გვამებს ისინი რიტუალური ნიჩბებით მარხავდნენ, ძვირფასეულობას კი თავისთვის იტოვებდნენ. ძნელი სათქმელია, რა იყო ტუგების მოღვაწეობაში პირველადი – რელიგია თუ გამორჩენის წყურვილი. მაგრამ, მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში ინდოეთის ინგლისელმა ხელისუფლებმა (კოლონიზატორებმა) მათი აქტიურობა საბოლოოდ აღკვეთეს ან, ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე შეამცირეს. გინესის რეკორდების წიგნი ამტკიცებს, რომ ტუგების სინდისზე ორი მილიონი ადამიანის სიცოცხლეა.

დღევანდელ ინდოეთში კალი არაა ყველაზე პოპულარული ქალღმერთი. მისი კულტის ცენტრად ბენგალია ითვლება. იქ დგას მისადმი მიძღვნილი ტაძარი – კალიგჰატა, რომლის პატივსაცემადაც მისი სახელი ეწოდა ქვეყნის დედაქალაქს (ევროპული გამოთქმით – კალკუტა. ქალაქი კალკუტა მაშინ ინგლისელთა კოლონიალური ადმინისტრაციის ცენტრს, დედაქალაქს წარმოადგენდა).

დიდი ხანია, ადამიანთა მსხვერპლშეწირვები ცხოველთა მსხვერპლშეწირვებით შეიცვალა (თუმცა, მასობრივით). თვით ინდოეთში (ამჟამად ბენგალია გამოყოფილია ინდოეთისგან და ბანგლადეშის სახელმწიფოდ იწოდება) სისხლიანი მსხვერპლშეწირვები იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ძროხების დახოცვა, რაც ოდესღაც ღმერთებისთვის ყველაზე სასურველი შესაწირი მსხვერპლი იყო, დიდი ხანია, აკრძალულია ან ინდოეთის უმეტეს შტატში კანონითაა შეზღუდული.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ს | | ფ | | ი | რ | ა | თ | ო |
| | | | | | | ა | ი | რ | ა | ფ | | რ | | კ |
| | | | | | | ფ | | ა | | უ | ს | ა | მ | ი |
| | | | | | | ა | შ | ი | კ | ი | | ტ | | კ |
| | | | | | | ნ | | ბ | ა | ტ | ა | | ო | |
| ა | | | კ | | ს | ტ | ი | უ | ა | რ | დ | ე | ს | ა |
| ს | ა | კ | ლ | ა | ვ | ი | | რ | | ა | ი | ძ | ი | ბ |
| ა | ნ | ი | ა | | ა | | ი | გ | ა | ტ | რ | ა | | ე |
| | ძ | | რ | ა | ნ | უ | ნ | ი | | | ო | რ | ე | რ |
| გ | ა | ნ | ა | ბ | უ | ლ | ი | | ვ | ა | კ | ე | | დ |
| | | ო | | ე | რ | ი | ვ | წ | | | | ფ | რ | ი |
| მ | ა | ტ | ე | რ | ი | ა | ლ | ი | ზ | მ | ი | | ი | ნ |
| ე | ლ | ა | | კ | | ნ | ა | წ | ვ | ა | ლ | ე | ბ | ი |
| | ა | | ა | | კ | ო | კ | ა | ი | ნ | ი | | ე | |
| ი | ჩ | ი | ნ | ი | ო | ვ | | კ | რ | ა | ზ | ა | ნ | ა |
| ტ | | მ | ა | რ | ტ | ი | | ა | თ | მ | | ს | ტ | უ |
| ე | ფ | ი | რ | ო | კ | | მ | | ი | ა | ვ | ა | რ | კ |
| ნ | | ს | ა | ნ | ა | რ | ი | ა | | | ა | ნ | ო | ა |
| ო | კ | ა | | წ | | უ | რ | ნ | ა | | ს | | პ | |
| ნ | ო | ნ | ა | | ი | პ | ო | რ | თ | ნ | ა | ზ | ი | მ |
| | ტ | | ნ | | | ი | ნ | ი | ა | | კ | | | კ |
| დ | ე | კ | ა | | ჩ | ა | ი | | დ | რ | ა | ნ | დ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 4 | 1 | 2 |
| 4 | 9 | 1 | 5 | 2 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 3 | 7 | 2 | 1 | 6 | 4 | 9 | 8 | 5 |
| 7 | 1 | 6 | 3 | 4 | 9 | 2 | 5 | 8 |
| 2 | 5 | 4 | 8 | 7 | 6 | 3 | 9 | 1 |
| 9 | 3 | 8 | 2 | 5 | 1 | 7 | 6 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 1 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 1 | 2 | 9 | 7 | 8 | 3 | 5 | 4 | 6 |
| 6 | 8 | 7 | 4 | 9 | 5 | 1 | 2 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 8 | 1 | 5 | 4 | 2 | 3 | 9 |
| 5 | 9 | 3 | 2 | 7 | 6 | 1 | 8 | 4 |
| 2 | 1 | 4 | 8 | 9 | 3 | 7 | 5 | 6 |
| 8 | 4 | 2 | 9 | 6 | 7 | 5 | 1 | 3 |
| 9 | 5 | 7 | 3 | 1 | 8 | 6 | 4 | 2 |
| 1 | 3 | 6 | 4 | 2 | 5 | 9 | 7 | 8 |
| 4 | 6 | 5 | 7 | 3 | 2 | 8 | 9 | 1 |
| 3 | 2 | 9 | 5 | 8 | 1 | 4 | 6 | 7 |
| 7 | 8 | 1 | 6 | 4 | 9 | 3 | 2 | 5 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. მეფეებს ტახტზე ასვლისას სწორედ ამ ზეთს სცხებდნენ. 2. 4 ივლისი – ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელის მოწერის დღე. 3. პაიკებს – უკან არ დადის და არც დიდად აფასებენ. 4. წითელ სახვევს – მკლავზე. 5. მოკლა თავისი შვილი. 6. „პარმეზანის“. 7. სკრიაბინი. 8. გამოქვაბულს. 9. მზის. 10. საქორწინო ბეჭდები – ოქროს სანაცვლოდ.**

# რისთვის გახდა საჭირო „ავერსის კლინიკაში“ აღდგენითი თერაპიის ცენტრის შექმნა და რა განსაკუთრებული დანიშნულება აქვს მას

*ნებისმიერი ადამიანისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას. სრულფასოვანი ჯანმრთელობა სრულფასოვანი ცხოვრების გარანტია. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა „ავერსის კლინიკაში“ აღდგენითი თერაპიის ცენტრი და ადვილად მისადგომ ადგილას, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე, ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე ახლადგარემონტებულ და სრული კომფორტით აღჭურვილ შენობაში განთავსდა. ფართო, უფასო ავტოსადგომი, პაციენტზე მორგებული სამუშაო საათები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და უახლესი მოდელის, ევროპული წარმოების აპარატებით აღჭურვილი კომფორტული კაბინეტები მზად არიან გადაგვიჭრან უამრავი პრობლემა და გახადონ ჩვენი ცხოვრება უფრო სრულფასოვანი. წამლების, ტკივილებისა და დისკომფორტის გარეშე.*



*ცენტრს ემსახურება სათანადოდ აღჭურვილი მანქანა მოძრაობაშეზღუდული პაციენტების ტრანსპორტირებისთვის.*

*აღდგენითი თერაპიის ცენტრის ერთ-ერთი მთავარი ხიბლი თანამედროვე ტრენაჟორებით აღჭურვილი სავარჯიშო დარბაზები და შესანიშნავი აქვა-აერობიკისთვის განკუთვნილი აუზია.*

*შესაბამისად, ცენტრი გვთავაზობს მომსახურებათა მთელ კომპლექსს როგორც პაციენტებისთვის, ასევე ჯანმრთელებისთვის. „ავერსის კლინიკის“ აღდგენითი თერაპიის ცენტრი ემსახურება როგორც მოზრდილებს, ასევე ბავშვებს. ფუნქციონირებს ჯგუფები ორსულთათვის.*

*უფრო დაწვრილებით ცენტრის შესახებ გვიამბობს „ავერსის კლინიკის“ ექიმი-რეაბილიტოლოგი ნინო კერვალიშვილი.*

**– ქალბატონო ნინო, რატომ გახდა აუცილებელი ამ ცენტრის შექმნა და საერთოდ რას ნიშნავს აღდგენითი თერაპია?**

**ნინო კერვალიშვილი:** კლასიკური განმარტებით აღდგენითი თერაპია, ანუ რეაბილიტაცია ნიშნავს იმ ღონისძიებათა (არა მარტო სამედიცინო) კომპლექსს, რომელიც საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობის, ავტონომიურობისა და შრომისუნარიანობის აღსადგენად, როგორც თანდაყოლილი, ისე შეძენილი დაავადებების, ტრავმის, დაზიანების შემდეგ.

ჩვენი განყოფილება „ავერსის კლინიკის“ შექმნისთანავე ჩამოყალიბდა. საქმიანობის მასშტაბების გაზრდამ მოითხოვა გაფართოება, კლინიკამ შეძლო და განახორციელა დიდი ინვესტირება სარეაბილიტაციო სამსახურისთვის, გარემონტდა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღიჭურვა ცალკე შენობა, სადაც განვთავსდით 2014 წლის მარტის თვიდან. დაგვემატა ბევრი ახალი სერვისი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, გეგმები დიდი გვაქვს, კიდევ ვგეგმავთ ახალი სამსახურების დამატებას.

**– ამჟამად რომელი კაბინეტები და სერვისები ფუნქციონირებს ცენტრში?**



– ფუნქციონირებს აპარატურული ფიზიოთერაპიის კაბინეტი აღჭურვილი გერმანული წარმოების აპარატების სრული სპექტრით: ტარდება ელექტრო-, ულტრაბგერითი, მაგნიტო-, ლაზერო-, კრიოთერაპია, ულტრა და ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველით, ულტრაიისფერი სხივებით მკურნალობა, აპარატული ლიმფოდრენაჟი, პარაფინოთერაპია.

სავარჯიშო დარბაზები აღჭურვილია საუკეთესო სარეაბილიტაციო ტრენაჟორებით, მაგალითად, ტრავმატოლოგიური პაციენტებისთვის ARTROMOT® ACTIVE-K კონკრეტულად მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრისთვის, medislipper–medisport ტერფისთვის, ასევე ზედა კიდურის სარეაბილიტა-



ციო ტრენაჟორები. ცალკე ფუნქციონირებს ბავშვთა ორთოპედიული რეაბილიტაციის ჯგუფები, ამბულატორიულ ეტაპზე მომსახურებას ვთავაზობთ ნევროლოგიური დაავადებების დროსაც (მათ განკარგულებაშია, მაგალითად, MOTOmed Viva2-აპარატი ცენტრალური და პერიფერიული პარეზებისა და პლეგიებისას პასიური (აპარატით წარმართული) ვარჯიშისთვის და ა. შ.) სარეაბილიტაციო ვარჯიშებს ატარებენ უმაღლესი, სპეციალური სამედიცინო განათლების მქონე მაღალკვალიფიციური მეთოდისტები.

ჩვენთან ფუნქციონირებს სამკურნალო მასაჟის კაბინეტები, წყალქვეშა მასაჟისა და ჰიდროთერაპიის კაბინეტი, აკუპუნქტურისა და სუ-ჯოკ თერაპიის კაბინეტი. ცენტრში მუშაობს საზღვარგარეთ მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილების მქონე ექიმი-ტრავმატოლოგი, რომელიც ჩვენთანვე ატარებს ამბულატორიულ სამკურნალო პროცედურებს.

**– ცენტრის აუზი განსაკუთრებით მომეწონა, რომელიც საგანგებოდ არის მოწყობილი სავარჯიშოდ.**

# როგორ გახდა „ალგანი” ლიდერი, ქართულ ბაზარზე არსებულ დაცვის სამსახურებს შორის

*დაცვის კომპანია „ალგანი” ცნობილი ბრენდია. ბრენდი რომელსაც ენდობიან!*

*ეს დღეს... ყველაფერი კი 10 წლის წინ დაიწყო, ოთხი თანამშრომლით დაკომპლექტებულ ერთ პატარა ოთახში. მაშინ უკვე არსებობდა მსგავსი ტიპის ორგანიზაციები, რომელთა უმეტესობამ დროს ველარ გაუძლო და მალევე დაიხურა. ამ დროს კი დაცვის კომპანია „ალგანი” სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, იზრდებოდა, ხვეწდა მომსახურებას. შედეგად „ალგანმა” შეიმუშავა წარმატების ფორმულა და ის ყველაზე სანდო, საიმედო და პრესტიჟულ პარტნიორადაც იქცა.*

*31 დეკემბერს „ალგანის” 10 წლის იუბილე მთაწმინდაზე, რესტორან „ფუნიკულიორში” საზეიმოდ აღნიშნეს. აქ ნახავდით როგორც ალგანელებს, ასევე ბევრ ცნობად სახესა თუ სახელმოხვეჭილ ბიზნესმენს. საზეიმო საღამოზე კომპანიამ პარტნიორებსა და ერთგულ თანამშრომლებს სამახსოვრო ფასიანი საჩუქრები და პრიზები გადასცა.*

**– ბატონო გიგა, თქვენთან საუბარს მოლოცვით დავიწყებ. დღეს, „ალგანი” ლიდერია, ქართულ ბაზარზე არსებულ დაცვის კომპანიებს შორის, რომელსაც უამრავი მომხმარებელი ჰყავს. სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

**გიგა ნემსაძე** *(დაცვის კომპანია „ალგანის” ერთ-ერთი დამფუძნებელი):* მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისთვის. კომპანიის 10 წლის იუბილეს აღნიშვნით, ჩვენს პარტნიორებს გადავუხადეთ მადლობა ნდობისა და თანამშრომლობისთვის. სასიხარულო და საამაყოა, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი კომპანია, ადამიანი უკავშირებს საქმიანობას „ალგანს”, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი თანამშრომლები პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გასულ წლებში გავხსენით რუსთავისა და ბათუმის ფილიალები. ხოლო წელს დაგეგმილი გვაქვს იმერეთის და შიდა ქართლის ფილიალების გახსნა. მომავალ წელს კი მათ რიცხვს კახეთისა და სამეგრელოს ფილიალებიც შეემატება და ადგილობრივებს სრულ მომსახურებას შესთავაზებენ. ჩვენი მიზანია, წარმოდგენილი ვიყოთ მთელ საქართველოში, ვისურვებდი აფხაზეთშიც!

**– ძნელია, ამხელა კონკურენციის ფონზე მიაღწიო წარმატებას. რა იქცა თქვენი წარმატების ფორმულად?**



– შრომა, ენერგია, ძალისხმევა, რომელიც ჩავდეთ ჩვენს საქმიანობაში. რა თქმა უნდა, იყო სირთულეებიც, თუმცა ყველაფერი წარმატებით გადავლახეთ და უკვე წლებია, რაც „ალგანი”. ლიდერი კომპანიაა დაცვის სფეროში. წლების განმავლობაში შევისყიდეთ რამდენიმე მსხვილი კონკურენტი. დავამყარეთ პარტნიორული ურთიერთობა ევროპისა და აზიის დაცვითი ტექნიკის წამყვან მწარმოებლებთან. შედეგი სახეზეა, – წლიდან წლამდე იზრდება „ალგანის” ობიექტების/კლიენტების რაოდენობა.

**– გარდა ამისა, „ალგანი” აქტიურადაა ჩართული ქველმოქმედებაშიც. შემთხვევით შევესწარი, როგორ დაბრუნდნენ თქვენი თანამშრომლები სისხლის დონაციის შემდეგ სამსახურში. ეს ერთჯერადი აქცია იყო?**

– მართალს ბრძანებთ, „ალგანის” 10 წლის იუბილეზე გავაფორმეთ მემორანდუმი სისხლის საქალაქო სადგურთან, სისხლის უანგარო დონაციაზე. 17 თებერვალს კი კომპანიის ათეულობით თანამშრომელმა უსასყიდლოდ გაიღო სისხლი. ასე ხდება პერმანენტულად. იმიტომ რომ, დღიდან დაარსებისა, „ალგანი” მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში. გარდა ამისა, 2009 წელს ვარკეთილში დასრულდა წმიდა გიორგის ტაძრის მშენებლობა. კომპანია უსასყიდლოდ ემსახურება მისი პატრონაჟის ქვეშ მყოფ ისტორიულ მუზეუმებსა და ძეგლებს. დღესასწაულებზე აფინანსებს სათნოების სახლ „კათარზისს”. „ალგანს” მიღებული აქვს უამრავი მადლობის წერილი, როგორც საჯარო უწყებებიდან, ასევე მისი პარტნიორებისა და კლიენტებისგან.

**– როგორც ვიცი, „ალგანის” 10 წლის იუბილეზე კიდევ ერთი მემორანდუმი გაფორმდა. მიამბეთ ამის შესახებ?**

– 10 წლის იუბილეზე გაფორმდა მემორანდუმები საავიაციო და თავართქილაძის უნივერსიტეტებთან, რაც გულისხმობს, როგორც სტუდენტების სტაჟირებას, ასევე მათ დასაქმებას დაცვის კომპანია „ალგანში”. „ალგანის” თანამშრომლებს კი, აღნიშნული უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები გაუწევენ უფასო კონსულტაციებს, ჩაუტარებენ ტრეინინგ-კურსებს.

**– რატომ უნდა გავაკეთოთ არჩევანი დაცვის კომპანია „ალგანზე”?**

– იმიტომ რომ, დაცვის კომპანია „ალგანი” ორიენტირებულია მაღალ სტანდარტებზე. მჭიდროდ განლაგებული სწრაფი რეაგირების 12 ჯგუფი თბილისის მასშტაბით განაპირობებს ეფექტურ რეაგირებას განგაშზე. თბილისში გვაქვს 3 ქვეგანყოფილება (ისანი-სამგორი; გლდანი-ნაძალადევი და დიდუბე-ჩუღურეთი); 24-საათიანი მონიტორინგი; სპეციალური გამოყოფილი ეკიპაჟები ახორციელებენ უწყვეტ რეჟიმში შემოწმებას, როგორც ცოცხალი ძალის, ასევე ტექნიკური საშუალებების ობიექტებისა. ჩვენ გთავაზობთ სრულყოფილ და ეფექტურ მომსახურებას, რომლის გაუმჯობესების მიზნითაც მუდმივად ვნერგავთ სხვადასხვა ინოვაციურ პროექტს. დეკემბერში ფეხით მოსიარულე ოპერატიული ჯგუფების პატრულირების სერვისიც ამ მიზნით დავნერგეთ, რადგან არ შეფერხებულიყო განგაშზე სწრაფი რეაგირება პიკის საათებში შექმნილი საცობების გამო. ამჯერად რამდენიმე ჯგუფი პატრულირებს ცენტრალურ, ყველაზე გადატვირთულ უბნებში. მომავალში მთლიან თბილისს მოიცავს.

**ეკა სალაღაია**

---

– დიახ, აუზი აღჭურვილია წყლის სპეციალური ტრენაჟორებით, ტარდება როგორც ზოგადგამაჯანსაღებელი, ასევე სამკურნალო ვარჯიშები. აუზში ჩასასვლელად, მოძრაობის უნარშეზღუდული პაციენტებისთვის დამონტაჟებულია სპეციალური ლიფტი. მეთოდისტების დახმარებით ხდება ვარჯიში საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებების, პოსტტრავმული პრობლემების, სქოლიოზის, ოსტეოქონდროზისა და სხვა დისპლაზიური პრობლემების გამოსასწორებლად. ფუნქციონირებს ჯგუფები ჭარბი წონის დასაკლებად. უნდა გითხრათ, რომ სპეციალური პროგრამა გვაქვს წონის კორექციისთვის, რაც გარდა აუზში და დარბაზში ვარჯიშისა მოიცავს საჭიროებისას სამკურნალო, ანტიცელულიტურ მასაჟს, ჰიდროთერაპიას და წყალქვეშა მასაჟსაც, ასევე, აკუპუნქტურასაც. ეს უკანასკნელი ტარდება ჩვენი ცენტრის აკუპუნქტურისა და სუ-ჯოკ თერაპიის კაბინეტში.

**– გარდა ჩამოთვლილისა, დაავადებათა კიდევ რა ჯგუფის მკურნალობას მოიცავს ცენტრი?**

– სპექტრი ძალიან ფართოა, გარდა



ძვალსახსროვანი, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებისა მოიცავს შარდ-სასქესო სისტემის დაავადებებს. ენდოკრინულ პათოლოგიებს; ოტო-რინო-ლარინგოლოგიურ დაავადებებს, ფაქტობრივად, არ არსებობს სფერო მედიცინაში, სადაც საჭირო არ არის სარეაბილიტაციო მკურნალობა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გაანგარიშებით ცნობილია, რომ რეაბილიტაციისთვის გაწეული ინვესტიცია ორმაგად ანაზღაურდება.

ჩვენი ცენტრის ექიმის მიერ ჩვენებებისა და უკუჩვენებების განსაზღვრის, პაციენტის მდგომარეობის შეფასების შემდეგ ხდება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალური სამკურნალო სქემის შემუშავება. ჩვენი პრიორიტეტებია, კვალიფიციური, ძალიან გამოცდილი პროფესიონალები და უახლესი, ძალიან თანამედროვე, ძალიან კარგი აპარატურა. პლუს მაქსიმალური კომფორტი პაციენტებისთვის.

**ნინუცა წულუკიძე**

**მისამართი: ალექსანდრე ყაზბეგის 16 (ყოფილი ინფექციური საავადმყოფო).**
**ტელეფონები: 2-500-700.**
**ფაქსი: 2-399-370. ელ-ფოსტა: clinic@aversi.ge; ვებ-გვერდის მისამართი: www.aversi.ge.**

**სკანდალური იმიჯის მქონე გიორგი ნაზღაიძე, ბოლო პერიოდში საკმაოდ შეიცვალა. ეს მის გარეგნობას, ჩაცმის სტილსა და ცხოვრების წესსაც დაეტყო. როგორც თავად ამბობს, უზომოდ ბედნიერია, რადგან წინა, წარუმატებელი სიყვარულების ფონზე, ჩამოყალიბებულ ასაკში, სწორედ იმ ადამიანს შეხვდა, ვის გვერდითაც ბედნიერია და ყოველი დილის გათენება უხარია. როგორც საუბრიდან შევიტყვე, ის პოლიტიკაშიც გეგმავს ძალების მოსინჯვას, თუმცა ჯობია, ეს მისი ინტერვიუდან შეიტყოთ.**

# როდის დაიწყებენ გიორგი ნაზღაიძის წარსულში „ქექვას“ და რატომ არ ეშინია მას შიშველი ფოტოების გამომზეურების

**გიორგი ნაზღაიძე**: იღბლიანად მივიჩნევ თავს, რადგან ცხოვრება ყოველთვის მაძლევს შანსს. მთავარია, ეს შანსი სწორად გამოვიყენო და გვერდი არ ავუარო. მიმაჩნია, რომ, 30 წლის განმავლობაში, ყველა შანსი გამოვიყენე. გამოწვევები არ მაშინებს და არასდროს ვყოყმანობ გადაწყვეტილების მიღების დროს. რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ და როგორც საჭიროდ მივიჩნევ, ისე ვიქცევი. ამის გამო, ხშირად ვეხვევი სკანდალებში, მაგრამ სკანდალების მოყვარული არ ვარ. არ მიყვარს თამაში, ზურგს უკან არ ვიტყვი, პირში გეტყვი და გინდა გეწყინოს, გინდა არა. ათი წელია, რაც საზოგადოებაში აქტიურად ვჩანვარ და სულ ვცდილობდი, ის სტერეოტიპები დამენგრია, რაც ჩემს გარშემო იყო, ხმამაღლა გამომეთქვა საკუთარი აზრები, მეტარებინა საყურე და ამის გამო, ბევრს ჩემს ორიენტაციაში შეჰქონდა ეჭვი. მეკითხებოდნენ, ქართველობაზე რომ დებ თავს, საყურე რა „პონტიაო”. დამიჯერეთ, მათი აზრი ჩემთვის არ იყო მნიშვნელოვანი. უხერხულ სიტუაციაში მე კი არ ვხვდები ჩემი პირდაპირობით, ისინი ვარდებიან, ვინც მეკამათება.



ამ სიყვარულის გამო, ბევრი რამ შევცვალე ჩემს ცხოვრებაში

**– ესე იგი, შენთან დისკუსია, კამათი და ბრძოლა რთულია?**

– არა, რთული არ არის. თუმცა არის თემები, რაზეც მე ვერ ვიდავებ. მაგალითად, სიყვარულზე, გემოვნებასა და პოლიტიკაზე – ეს ჩემი სუსტი წერტილია *(იცინის).*

**– პოლიტიკაზე გამახსენდა, როგორც მახსოვს, პოლიტიკოსობა გინდოდა. გადაიფიქრე?**

– არა, არ გადავიფიქრე და ამის დროც მოვა. 35 წლამდე მოსამზადებელი პერიოდი მაქვს და მერე აუცილებლად მოვალ პოლიტიკაში. ალბათ, ბევრს გაეღიმება, სად გიორგი ნაზღაიძე და სად პოლიტიკაო. დაიწყებენ ჩემი წარსულის „ამოქექვას” და ფოტოების „გამომზეურებას”. კახი კალაძესაც ხომ აქვს შიშველი ფოტოები გადაღებული, მაგრამ ხომ არის მინისტრი?

**– შენ რომელ სამინისტროს ჩაიბარებ?**

– კულტურის მინისტრობაზე არ ვიტყოდი უარს *(იცინის).*

**– შიშველ ფოტოებს რომ მიადექი შენი წარსულიდან, იმას რატომ არ იხსენებ, რომ თქვი, ვინც მლანძღავს და მაგინებს, მზად ვარ, სტალინივით, კედელთან მივაყენო და მივახვრიტოო?**

– მე ვთქვი, სტალინი ისტორიში შევიდა იმით, რასაც აკეთებდა და ძალიანაც კარგს შვრებოდა, ბოლო-ბოლო მეორე მსოფლიო ომი მოიგო კაცმა-მეთქი. სტალინიც და ჰიტლერიც შეიძლება, დესპოტები იყვნენ, მაგრამ ისტორიაში შევიდნენ, როგორც ძლიერი პიროვნებები, მაგარი მმართველები, ისტორია შეცვალეს. აი, ამაში ვგავარ მეც სტალინს და ჰიტლერს – ძლიერი ვარ და, რომ დამნიშნავენ კულტურის მინისტრად, მერე მნახეთ, როგორ შევცვალო, პოლიტიკა ვერა, მაგრამ, საქართველოს კულტურა *(იცინის).*

**– მახსოვს, ისიც თქვი, მაქვს სურვილი, ახალ თაობას კომპლექსები მოვუხსნაო. იქნებ დააკონკრეტო, ამაში რას გულისხმობდი?**

– ვიგულისხმე ის, რომ ახალ თაობას მოვუხსნა ჩაცმის კომპლექსი და ვასწავლო საკუთარი აზრის დაფიქსირება. ჩვენ რომ გამუდმებით გვეჩიჩინებოდნენ, უფროსს ყველაფერი უნდა აპატიო, რადგან უმცროსი ხარო. ისეთ ჩარჩოებში მოგვაქციეს, დაგვაკომპლექსეს. თუ უფროსი მლანძღავს და მაგინებს, პასუხი არ უნდა გავცე? ჩვენი თაობა სხვა დროში გაიზარდა. წინ კი წავედით, მაგრამ მაინც იმ ოთხმოცდაათიანებში დავრჩით და აზროვნებაში „გავიჭედეთ” ძველსა და ახალს შორის.

**– მეჩვენება, თუ იმიჯი შეიცვალე და აკადემიურად ჩაცმა დაიწყე? ესეც პოლიტიკაში მოსვლის ეტაპია?**

– რა ეტაპია ვერ გეტყვით, მაგრამ ასაკთან ერთად, გემოვნებაც შემეცვალა. თუ ადრე, ჭრელ ტანსაცმელს ვიცვამდი, დღეს ვეღარ ვიცვამ. ერთი ტონალობის ჩასაცმელს უფრო ვიხდენ. თმაც ძალიან მოკლედ მაქვს და გრძელს აღარ ვატარებ. ვფიქრობ, სიახლე ყოველთვის სასიამოვნოა, ხშირად უნდა ცვალო ცხოვრებაში რაღაც-რაღაცეები და ერთფეროვნებით არ მოაბეზრო ხალხს თავი.

**ჩვენი თაობა სხვა დროში გაიზარდა, წინ კი წავედით, მაგრამ მაინც იმ ოთხმოცდაათიანებში დავრჩით და აზროვნებაში ,,გავიჭედეთ’’**

**– ეს ცვლილებები და მრავალფეროვნებები პირად ცხოვრებასაც ეხება?**

– რასაკვირველია, ცვლილებები პირად ცხოვრებასაც ეხება. ამერიკაშიც ვაპირებ წასვლას და იქ ყველაფრის ნულიდან დაწყებას, ახალი ცხოვრების აწყობას.

**– იყავი ამერიკაში, მაგრამ ცხოვრება ვერ მოიწყვე. ახლა მეორე შანსი გინდა, გამოიყენო?**

– იყო რაღაც ფაქტორები, რის გამოც არ გამოვიდა ამერიკაში ცხოვრების აწყობა. მართლა კარგად ვიყავი ამერიკაში და მოწყობილიც მქონდა ცხოვრება, როგორც პირადში, ასევე კარიერაში, მაგრამ ასაკში შესული მშობლების გამო მომიწია აქ დაბრუნება. ძირითადი მიზეზი ეს იყო.

**– გავიგე, ამერიკაში აქამდეც აპირებდი წასვლას, მაგრამ სიყვარულის გამო თქვი უარი და ახლაც, როგორც ვხვდები, ყოყმანობ და არ გინდა. ასეა?**

– სწორად მიხვდით ***(იცინის).*** თუმცა, იმდენად ვასაიდუმლოებ ჩემი სიყვარულის ისტორიას, მიკვირს საიდან გაიგეთ. არ დაგიმალავთ, ძალიან ვარ შეყვარებული და ეს თვალებზეც მეტყობა. ამ სიყვარულის გამო, ბევრი რამ შევცვალე ჩემს ცხოვრებაში. სანამ სერიოზულ ეტაპამდე არ მივა ჩვენი ურთიერთობა, მანამდე საიდუმლოდ დავტოვებთ.

**– როგორც გავიგე, ბიზნესშია.**

– თავის სფეროში ძალიან ცნობილი ადამიანია, წარმატებულია და ჩემზე სამი წლით უფროსი. ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს ერთად. გაცნობის პერიოდი ამოვწურეთ და ახლა შეგუების ეტაპზე ვართ. წელიწადი არ არის, რაც ერთად ვართ და მივხვდი, ეს ისაა, ვინც მე მჭირდებოდა გვერდით. ერთადერთი, რაზეც ვკამათობთ, ჭამაა. ბოლო დროს მოვიმატე წონაში და მეჩხუბება, დაიკელიო ***(იცინის).*** მის გამო, ღამის ცხოვრებაც დავთმე, სასმელიც და თავშეკავებულიც გავხდი – დავწყნარდი და დავმშვიდდი.

**– რატომ ასაიდუმლებ მის ვინაობას?**

– რამდენჯერაც აფიშირება გავუკეთე ჩემს გრძნობებს, იმდენჯერ „თვალი მეცა”. დაიწყო ლაპარაკი და ცუდად დასრულდა. მივხვდი, რომ სანამ ბოლომდე არ ვიქნები დარწმუნებული, მანამდე ინკოგნიტოდ დავტოვო ჩემი პირადი ცხოვრება. მართლა ამ ადამიანის გამო არ წავედი ამერიკაში და ქურდობაც კი ჩავიდინე ***(იცინის).*** ნამდვილად ვიცი, ეს გატაცება არ არის – ეს ის ქალია, ვის გამოც გათენება მიხარია.

**– რა მოიპარე?**

– მინდოდა, სიურპრიზი გამეკეთებინა. რესტორანში მოვიპარე ყვავილების თაიგული და მივართვი ***(იცინის).*** ვალენტინობის დღეს, თავად სუნამო მომართვა, მე კი არ გამიკეთებია საჩუქარი. ჩავთვალე, რომ ყოველი დღე სიყვარულისაა და არ ვიზრუნე საჩუქრის ყიდვაზე. ახლა ვალში ვარ და ვფიქრობ, ორიგინალური საჩუქარი ვუყიდო და მივართვა.

**ნონა დათეშიძე**

**ვალერი ხარიტონაშვილი საზოგადოებამ წლების წინ „თბილისელების“ საშუალებით გაიცნო. ის დიდი ხანია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, მუშაობდა ცნობილ სტუდიებში, ჰოლივუდის ძალიან ცნობილი ფილმების კომპიუტერულ გრაფიკასა და ვიზუალურ ეფექტებზე. ისეთებზე, როგორიც არის: „მისტერ და მისის სმიტები“, „შრეკი 3“, „კარიბის ზღვის მეკობრეები 3“, „ჰენკოკი“, „2012“, „მე ვარ ლეგენდა“, „პის ცხოვრება“ და ასე შემდეგ.**

# როგორ აიღო ვალერი ხარიტონაშვილის გაკეთებულმა ფილმებმა „ოსკარები" და როგორ მუშაობდა ის ცნობილ ტელეშოუებზე

**ვალერი ხარიტონაშვილი**: ამ ეტაპზე აღარ ვარ ჰოლივუდში, სადაც ათ წელიწადზე მეტხანს ვიმუშავე. ყველა დიდი სტუდია, სადაც ვმუშაობდი, დაიხურა. სამუშაოც ისეთი ხარისხიანი აღარ არის, როგორც ადრე იყო. თანამშრომლებზეც ისე არ ზრუნავენ, როგორც ადრე ზრუნავდნენ კინოინდუსტრიაში. სტუდიები დახურეს და გადაიტანეს ინგლისში, ასევე, ვანკუვერში, რომელიც დღეს მეორე ჰოლივუდია – ვიზუალურ ეფექტებს, კომპიუტერულ გრაფიკას ძირითადად იქ აკეთებენ. ჩემი ბევრი ნაცნობი გადავიდა იქ და აგრძელებენ მუშაობას. მე დიდი ხანია, ერთი და იმავეს ვაკეთებდი და მინდოდა, ჩემი საქმე მეკეთებინა. ვანკურვერში წასვლაც ვიფიქრე, მაგრამ ვარჩიე, ვაშინგტონში გადავსულიყავი, სადაც პირველი ცოლი ცხოვრობს ჩემს სამ შვილთან ერთად. ახლა მათ თითქმის ყოველდღე ვნახულობ, მათთან ახლოს ვარ. თან, კარგი რეზიუმე მაქვს, ბევრ კარგ ფილმზე ვარ ნამუშევარი და ისევ იგივე უნდა მეკეთებინა. ახლა ჩემს რაღაცეებს განვავითარებ.

**– ანუ, ამჟამად რით ხარ დაკავებული?**

– „რედ კამერა“ მაქვს ნაყიდი, ლინზები, განათებები და მინდა, ჩემი ფილმები გადავიღო. ვნახოთ, როგორ გამოვა. ერთ რამეს რომ კარგად აკეთებ, ეს არ ნიშნავს, რომ სხვასაც კარგად გააკეთებ. ჯერ ჰობის დონეზე დავიწყებ და თუ გამომივა, მერე ამაზე მუშაობა შეიძლება. ჩაჯდომა და ბევრი დრო უნდა. ალბათ, უფრო რეკლამების კეთებას დავიწყებ. პატარა, 1-2-წუთიანი პროექტებით დავიწყებ. მერე დავაკვირდები, როგორ წავა. თავიდან, ამერიკაში რომ ჩამოვედი, ვაშინგტონში ვცხოვრობდი, ვმუშაობდი. შესაბამისად, ეს გარემო ნაცნობია ჩემთვის, მეგობრებიც მყავს. ჰოლივუდიდან წამოვიღე რაღაც პროექტები, დისტანციურად ვმუშაობ. აქაც არის პატარ-პატარა პროექტები და ჩემი შემოსავალი მაქვს. ჰოლივუდში დღე და ღამე ვმუშაობდი, ახლა უფრო მეტი თავისუფალი დრო მაქვს და ჩემს რაღაცეებსაც განვავითარებ.

**– ფილმებზე მუშაობ ისევ დისტანციურად?**

– ფილმები არის, მაგრამ მათ არ უნდათ, რომ ვთქვა, ვისთვის ვაკეთებ და რას ვაკეთებ. ძირითადად, ისეთი რაღაცეებია, რაც რთული გასაკეთებელია. მე კი იმხელა გამოცდილება მაქვს, რომ ეს ჩემთვის ადვილია. როცა ჰოლივუდში ვმუშაობდი, თავიდან ცოტა რთული გასარკვევი იყო, როგორი ფილმი იქნებოდა, მაგრამ, რომ ამბობდნენ: ეს მაგარი ფილმი იქნება, დიდი ბიუჯეტი აქვსო, ვცდილობდი, ასეთ ფილმებზე წავსულიყავი. გამოცდილებასაც ვიძენდი და რეზიუმეც უკეთესი მქონდა. მაინტერესებდა, რამდენად რთული იქნებოდა ტექნიკურად. ამიტომ, რომ გავიგებდი, ეს სტუდია ასეთ ფილმს აკეთებს, ვეკონტაქტებოდი. ამ ფილმზე მინდა მუშაობა და თუ გჭირდებათ დახმარება, დაგეხმარებით-მეთქი. მერე მეძახდნენ. რაც უფრო რთულია, მით უფრო საინტერესო გასაკეთებელია. მაგალითად, მიწაზე რომ იბრძვის ადამიანი, ფეხს რომ აბიჯებს, ფეხსაცმელიდან მიწა იბნევა. ვიღაც იტყვის: ეს რატომ უნდა გავაკეთო, მე კი ჩავუჯდებოდი და ასეთ რაღაცასაც დეტალებში ვაკეთებდი.



**ფანჯრები სულ ამოქოლილი იყო შავად, ყველგან კამერა ეყენა, ტუალეტში კოდის გარეშე ვერ შეხვიდოდი. ზოგჯერ გარეთ გამოვდიოდი, რომ მენახა, ვინმემ რამე ხომ არ მომწერა ტელეფონზე, ხომ არ რეკავდა**

**– ბოლოს 2011 წელს ვისაუბრეთ და იმ დროს „პის ცხოვრებაზე“ მუშაობდი, რომელიც ძალიან ლამაზი ფილმია. ვიზუალური ეფექტები განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს.**

– ეს იყო ერთ-ერთი ძალიან დიდი და კარგი ფილმი. მთელ ჯგუფს, ვინც ამ ფილმზე ვმუშაობდით, ვიზუალური ეფექტებისთვის „ოსკარი“ მოგვცეს. ძალიან ლამაზი ფილმი გამოვიდა. მუშაობის პროცესშივე ვიცოდით, რომ ასე იქნებოდა, რადგან ძალიან კარგ რამეს ვაკეთებდით. ჩვენმა გაკეთებულმა სხვა ფილმებმაც აიღო „ოსკარი“ ვიზუალური ეფექტებისთვის: „კარიბის ზღვის მეკობრეებმა“, „შრეკმა“, კიდევ სხვებმა, ზუსტად აღარ მახსოვს.

**– ერთი „ოსკარით“ არ შემოიფარგლები.**

– კი და მერე „ოსკარი“ მოაქვთ სტუდიაში, ფოტოებს ვიღებთ.

**– შემდეგ ხელმძღვანელობისგან საჩუქარს არ იღებთ?**

– კი, როგორ არა. ზოგიერთ სტუდიაში „ოსკარს“ აიღებენ თუ არა, წლის ბოლოს, ფილმს თუ კარგი შემოსავალი ექნება, მთლიანი შემოსავლიდან გარკვეულ პროცენტს აძლევენ თანამშრომლებს.

**– არ წასულხარ „ოსკარების“ დაჯილდოებაზე?**

– რადგან დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია, ძირითადად, ჩვენი უფროსი მიდიოდა ხოლმე. „ოსკარების“ შემდეგ ივენთზეც გვიგზავნიდნენ მოსაწვევებს და ვინც პირველი მოასწრებდა აღებას, ისინი მიდიოდნენ. მე „ოსკარზე“ კი არა, ის ფილმებიც არ მინახავს, რომლებზეც ვმუშაობდი.

**– ისეთი სამუშაო, შემოთავაზება თუ გქონია, შენთვის უცნაური და განსხვავებული რომ იყო?**

– სანამ ჰოლივუდიდან წამოვიდოდი, სატელევიზიო შოუზე ვიმუშავე და კიდევ სხვადასხვა პროექტზე, მათზე საუბარი არ შეიძლება. დიდმა კომპანიამ ახალი პროდუქტები გამოუშვა და მათ მიერ დაქირავებულ, ცალკე ოფისში ვმუშაობდით. გასაიდუმლოებული იყო ყველაფერი: ოთახში ტელეფონის შეტანაც არ შეიძლებოდა, ფანჯრები სულ ამოქოლილი იყო შავად, ყველგან კამერა ეყენა, ტუალეტში კოდის გარეშე ვერ შეხვიდოდი. ზოგჯერ გარეთ გამოვდიოდი, რომ მენახა ტელეფონზე ვინმემ რამე ხომ არ მომწერა, ხომ არ მირეკავდა. ოთახს ორი კარი ჰქონდა და ეს იმისთვის იყო, რომ გავაღებდი, სხვა თანამშრომელი თუ ჩაივლიდა, მას არ დაენახა კომპიუტერზე რას ვაკეთებდით. ანუ, სხვადასხვა პროექტზე ვმუშაობდით და არ შეიძლებოდა, სხვისთვის გეთქვა, რას აკეთებდი. ძალიან რთული იყო ასეთ გარემოში მუშაობა, მაგრამ პირობები კარგი იყო, უფრო საინტერესო კი – ანაზღაურება. გარდა ამისა, ვმუშაობდი მუსიკალურ კლიპებზე, რეკლამებზე. „აიფონის“ რეკლამაზე ვიმუშავე, ასევე ემინემის კლიპზე. იყო კიდევ სხვა რაღაცეებიც, მაგრამ სახელები ცუდად მახსოვს. ასევე, სატელევიზიო შოუზე ვიმუშავე, როგორიც არის „ექიმი ჰაუსი“, „შილდ“ და ასე შემდეგ. ფილმზე მუშაობა მაინც სხვაა, ხარისხიც განსხვავებულია.

**– ანიმაციაზე მუშაობა ყოველთვის განსაკუთრებულად მოგწონდა.**

– კი. ახლაც მიყვარს. მაგრამ, თავიდან რომ დავიწყე მუშაობა, ეფექტებში უფრო მეტს იხდიდნენ, უფრო საინტერესო სამუშაო იყო. ადრე, როცა ხელით აკეთებდნენ, საინტერესო იყო. ახლა ადამიანი კოსტუმს იცვამს, მოძრაობს და შემდეგ ანიმატორები მექანიკურ სამუშაოს აკეთებენ, წმენდენ და ამუშავებენ, ცოტა გაადვილდა ტექნიკურად. მეც მაქვს ასეთი სისტემა ნაყიდი: შეგიძლია, „დატრიკებივით“ გაიკეთო, რომელიც კომპიუტერს ინფორმაციას გადასცემს, კამერების წინ მოძრაობ და კომპიუტერი ამ ყველაფერს იწერს. შემდეგ, რომელ ცხოველსაც გააკეთებ კომპიუტერში, ამის მიხედვით იმოძრავებს. თან, ანიმატორები აზვიადებენ, ამძაფრებენ მოძრაობებს.

**ნათია უტიაშვილი**

**რამდენიმე დღის წინ ნოდიკო ტატიშვილი სტოკჰოლმში ზამთრის სამეფო მეჯლისზე გახლდათ მიწვეული მომღერლის რანგში. მეჯლისზე მისმა ვიზიტმა მშვენივრად ჩაიარა და ემოციებით აღვსილი, ახალი შემოთავაზებებით დაბრუნდა თბილისში. გარდა ამისა, ის „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შემდეგ, კარგ ფორმას ისევ ინარჩუნებს.**

# რა შემოთავაზება მიიღო ნოდიკო ტატიშვილმა შვედეთის სამეფო კარისგან და რატომ დასტრიალებდნენ მას პრინცესები

**ნოდიკო ტატიშვილი**: ორი კილოგრამი მოვიმატე და მიხარია, რომ მეტი არ მომიმატია. ყველაზე მთავარი კი ის არის, დედაჩემი მაკონტროლებს და რომ ვჭამ, მეუბნება: გეყოფაო.

**– ამდენი წლის შემდეგ ვარცხნილობაც შეიცვალე.**

– ვარცხნილობის შეცვლა ჩემი სტილისტის, ბადრის დამსახურებაა. რამდენიმე წელია, მეხვეწება და როგორც იქნა, მივეცი ამის საშუალება. გაამართლა ჩემი იმედები. ცოტა ადრე რომ მივნდობოდი, უკეთესი იქნებოდა.

**– ცოტა ხნის წინ სტოკჰოლმში იყავი სამეფო მეჯლისზე.**



– ეს იყო ზამთრის სამეფო მეჯლისი, რომელიც საქველმოქმედო ხასიათისაა და იმართება დედოფალ სილვიას საქველმოქმედო ფონდის ეგიდით. შემოსული თანხა ამ ფონდში ირიცხება და უკვე დიდი ხანია, ის ბავშვებს ეხმარება. მოკლედ, ძალიან კარგ საქმეს აკეთებს. წელს ამ მეჯლისზე საქართველოს სამეფო ოჯახიდან მიწვეული იყო ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი, რომელიც არაჩვეულებრივი ქალბატონია, თბილი. მას განსაკუთრებულად შეხვდნენ. მან კი დააჯილდოვა ორი პიროვნება, რომლებიც სისტემატურად ეწევიან ქველმოქმედებას.

**– როგორ ვიცი, შენამდე ამ მეჯლისზე არ ყოფილა ქართველი მომღერალი.**

– არ ყოფილა. მე და სოფო გელოვანს დაგვიკავშირდნენ, „ევროვიზიიდან“ გამომდინარე. სოფო ვერ წამოვიდა, რადგან ბავშვი ეყოლა, ჩემი ნათლული – აკაკი ლანდია. მთხოვეს, რომ მემღერა: „თბილისო“, „სულიკო“, „ევროვიზიის“ სიმღერა და ერთი მსოფლიო ჰიტი. წავედი ჩემი რეპერტუარით. საოცარი პატივისცემა იგრძნობოდა მათი მხრიდან ჯერ კიდევ დაკონტაქტების მომენტიდან. მეკითხებოდნენ: რომელი რეისით იგზავრებთ, რომელი ავიახაზებით, ორ სასტუმროს გთავაზობთ და რომელში იცხოვრებთო. მოკლედ, ყველა-



ფერი საკუთარ თავზე აიღეს. ვცხოვრობდი „გრანდ ჰოტელში“, რომლის დარბაზში 13 თებერვალს გაიმართა სამეფო მეჯლისი. ასეთი ლამაზი დარბაზი მე არ მინახავს. რაც შეეხება საზოგადოებას, „პერო-საზოგადოება“ იყო, მაგრამ ჩვენთან რომ არის ხელოვნურად, ძალით შექმნილი „პერო-საზოგადოება“, ჭერს რომ ურტყამენ ცხვირს, ასეთები არა. ისინი ნატურალურად ასეთები არიან – ბუნებრივები, გულწრფელები, უშუალოები. ის, რაც ჩვენთან ხელოვნურად იქმნება, ერთი პეროს ნაცვლად 80 რომ აქვთ, იქ ასეთი რამ არ ყოფილა. ყველაფერი ძალიან ორგანული და ბუნებრივი იყო. მეჯლისს დედოფალი არ ესწრებოდა, მაგრამ იყო მისი დეიდაშვილი, სამეფო კარის წარმომადგენლები, ჰერცოგები, ლორდები, სხვადასხვა ქვეყნებიდან დიდგვაროვნები. მოკლედ, მსუყე, „მეჯესტი“ საზოგადოება იყო. თავი ლორდად, პრინცად ვიგრძენი.

**– და მეგობრებმა დაგაბარეს...**

– ძმაკაცებმა დამაბარეს, პრინცესები ჩამოგვიყვანეო, მეგობარმა გოგონებმა კი – პრინცებიო. ჯერჯერობით ვერ შევასრულე მათი თხოვნა. იქ ყველა კავალერთან ერთად იყო: ქალი და მამაკაცი. თან, ვინმე რომ შეათვალიერო, მიხვიდე და უთხრა: შენი გაცნობა მინდაო, ცოტა უხერხულია. ისე, ღამით, რომ დავიძინე, კი მესიზმრებოდა როგორ დამტრიალებდნენ თავზე პრინცესები.

**– შენ გარდა, ალბათ, სხვა მომღერლებიც აფორმებდნენ მეჯლისს.**

– ჩემ გარდა, იყვნენ კიდევ შვედი მომღერლები, ძირითადად, იყო კლასიკური მუსიკა და ბოლოსთვის მე მომიტოვეს. როდესაც ოფიციალური მხარე დამთავრდა, მეორე დარბაზში გამოვედით. შემდეგ ისევ ძველ დარბაზში დავბრუნდით, რომელიც უკვე, როგორც იქ ამბობდნენ, „საცეკვაო დროისთვის“ იყო მოწყობილი. პირველად ვიმღერე „თბილისო“, აღმოჩნდა, რომ ბევრმა იცოდა ეს სიმღერა, მისამღერზე მყვებოდნენ, მოხიბლულები იყვნენ. შემდეგ დანარჩენი სიმღერები ვიმღერე, ძალიან კარგი აპლოდისმენტები მივიღე. მადლობა ღმერთს, რომ საქართველოშიც არ მქონია აპლოდისმენტების დეფიციტი, მაგრამ, როცა სხვა კონცერტზე ვყოფილვარ, თითქოს ერიდება ხალხს ტაშის დაკვრა. იქ, პირიქით: რასაც გრძნობენ, მომენტალურად გამოხატავენ, არაფერს იტოვებენ გულში. საკმაოდ დიდი ოვაციები იყო, ბედნიერი წამოვედი იქიდან და მეორე დღეს შევხვდი შვედეთში ჩვენს ელჩს, ბატონ კოტე ქავთარაძეს, რომელიც არაჩვეულებრივი პიროვნებაა. მე და სოფო „ევროვიზიაზე“ რომ ვიყავით, ბატონი კოტე ძალიან დაგვეხმარა – ქართული საღამო გააკეთა, ჟურნალისტები დაპატიჟა, დააგემოვნებინა ქართული ღვინო, სამზარეულო. ზედ გადაგყვა ისიც და მთელი საელჩოც. ასევე, არაჩვეულებრივი ადამიანები, ქართველი ცოლ-ქმარი მუშაობს საელჩოში. მათაც შევხვდი. ყველაზე მეტად ის გამიხარდა, რომ საელჩოს ჰქონია ქართული საკვირაო სკოლა, სადაც დაახლოებით 20 ბავშვი დადის და სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას.



**– მეჯლისის თემას დავუბრუნდეთ.**

– ვახშამიც ძალიან კარგი იყო: მარცხენა მხარეს რომ ძალიან ბევრი ჩანგალია და მარჯვენა მხარეს – ბევრი დანა, წინ კი – კოვზები, ჭიქების მრავალფეროვნება. გვემსახურებოდნენ მიმტანები, რომლებიც იყვნენ 60 წლის ზევით, სპეციალურად ჰყავდათ შერჩეულები. ვახშამი იყო ძალიან გემრიელი. დედამ ადრე მითხრა: როდესაც ასეთ მეჯლისზე მოხვდები, ჭამა ბოლო დანით და ჩანგლით უნდა დაიწყო და ასე მიჰყვეო. მოკლედ, დედაჩემის რჩევას მივყევი და არ შევრცხვი, ვიჯექი ბეჭებში გამართული. კლასიკურმა მუსიკამ ისე დაამშვენა საღამო, რომ საბოლოოდ, ამ ყველაფერმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა – მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ძალიან ჩემია. მერე ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ვეუბნებოდი, იქნებ ჩვენთანაც გაკეთდეს ასეთი სახის საქველმოქმედო საღამო-მეჯლისი და მეც მაქვს ამის სურვილიო.



**– აშკარად სამეფო კარის მომღერლობა მოგინდა.**

– ჰო, ზუსტად ის მაკლდა, რომ სამეფო კარის მომღერალი ვყოფილიყავი. თან, პირდაპირ შვედეთის სამეფო კარიდან დავიწყე.

**– სტოკჰოლმის დათვალიერება მოახერხე?**

– სიმართლე გითხრა, არაბუნებრივად ციოდა, ყინავდა. ერთხელ გავედი, სუვენირები ვიყიდე, ერთი, ორი ფოტო გადავიღე. ძალიან მაგარ ადგილას ვცხოვრობდი, სასტუმრო „გრანდ ჰოტელში“, რომლის მოპირდაპირე მხარეს არის სამეფო სასახლე, ხოლო გვერდით შენობა, სადაც „ნობელის კომიტეტია“ განთავსებული. როგორც მითხრეს, იქ მეფეს არ უშვებენ. მეჯლისზევე დამპატიჟეს უკვე მეფის მეჯლისზე, რომელიც სამეფო დარბაზში გაიმართება აპრილში. ვნახოთ,

# როგორ აღმოჩნდა ლელა მიქელაძისა და მარკუს მეტრეველის რომანი სინამდვილეში დაქალობა და რა უთხრა მარკუსმა მას საკუთარ ორიენტაციასთან დაკავშირებით

*სკანდალებით ცნობილი მომღერალი მარკუს მეტრეველი ცოტა ხნის წინ ჩვიდმეტი წლით უფროს ლელა მიქელაძესთან ერთად წარდგა ტელემაყურებლის წინაშე, რამაც ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი გამოიწვია. მათი ურთიერთობა სულ რამდენიმე კვირა გაგრძელდა და სკანდალით დასრულდა. ლელამ თავისი და მარკუსის პირადი მიმოწერა „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა, რის შემდეგაც დაგვიკავშირდა და ჩვენთან გულახდილი საუბარი მოისურვა. როგორც იგი ამბობს, ეს ყველაფერი მარკუსის მიერ იყო დადგმული და მათ შორის არანაირი სასიყვარულო ურთიერთობა არ ყოფილა.*

**– თქვენ საზოგადოების წინაშე როგორც შეყვარებული წყვილი, ისე წარსდექით; გამოდის, რომ ხალხი მოატყუეთ?**

– მე ეს ყველაფერი მარკუსის გამო გავაკეთე. მას უყვარს პიარი და სკანდალები და ჩემით პიარი გაიკეთა. ისე კარგად წარმადგინა, მეც გავჩუმდი და ავყევი. პირველი უთანხმოება მოგვივიდა, როცა გადაცემა „ერთგულების ტესტში" მონაწილეობა მთხოვა. უარი ვუთხარი – მის ერთგულებასთან მე რა შუაში ვარ. ერთხელ ისიც მთხოვა, მოდი, ვთქვათ, ვითომ მანქანა მაჩუქეო. ეს მისთვის იქნებოდა პიარი, მაგრამ, ჩემთვის?! დახმარებაც მთხოვა, ვინმე ხომ არ მყავდა ისეთი, ვინც ანგარიშზე 5 000 დოლარს დაუდებდა – დედამისის გაშვება უნდა საბერძნეთში. ალბათ, მე პირდაპირ ვერ მითხრა.

**– რა ერქვა თქვენს ურთიერთობას? გამოდის, თქვენ შორის არაფერი ყოფილა?**

– ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ მეგობრობით შემოიფარგლებოდა. მე მარკო ქუდმოხდილიც კი არ მყავს ნანახი. ვეხვეწებოდი, ქუდი მოიხადე, მანახე, როგორი თავი გაქვს-მეთქი. მის სახლშიც არასდროს ვყოფილვარ და არც ის ყოფილა ჩემს სახლში, ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ყავის სმითა და საუბრით შემოიფარგლებოდა. მე მარკუსს კაცად როგორ აღვიქვამდი?!

**– კაცად რატომ ვერ აღიქვამდი?**

– როგორ უნდა აღმექვა კაცად? როცა მარკოს მის ორიენტაციაზე ვესაუბრებოდი, ვკითხე, გქონია, თუ არა კაცთან სექს-მეთქი და, მიპასუხა, კი, სხვადასხვა ორიენტაციის ადამიანებთან მქონია ურთიერთობა და უამრავი ჰომოსექსუალი მეგობარი მყავსო. ეს იმდენად მაინტერესებდა, რამდენადაც, ყველასათვის ცნობილია მისი წარსული და ბრალდებები, რომლებიც ცოლმა წაუყენა, თორემ, მე არ ვაქცევ ყურადღებას ადამიანის სექსუალურ ორიენტაციას, მით უმეტეს, რომ, ფაქტია, ეგ ჩემთან როგორც დაქალი, ისე იყო. პირადად მე, უკვე რვა წელია, მყავს არაბი მეგობარი მამაკაცი და მან იცოდა მარკუსის შესახებ. მარკუსმა ისიც კი შემომთავაზა, ჩემი სახით შენ გყავს პროდუქტი და შენ იცი, როგორ გამოიყენებო. დუბაიში წასვლა ამიტომ უნდოდა, ვინმეს გავიცნობო. დუბაი მუსლიმანური ქვეყანა კია, მაგრამ, როგორც თურქეთში და, სხვა ქვეყნებში, იქ ჰომოსექსუალები მიუღებლები არ არიან. მომსწრე ვარ, „რედისონში" როგორ უჟუჟუნებდა ბიზნესმენ მამაკაცს თვალებს. ბევრ ცნობილ ადამიანზეც უჭორავია.



ერთხელ ისიც მთხოვა, მოდი, ვთქვათ, ვითომ მანქანა მაჩუქეო

**– თუკი ისეთი ახლო მეგობრები იყავით, რომ თავის ინტიმურ ურთიერთობებზეც კი გიყვებოდათ, რა იყო თქვენი ჩხუბის მიზეზი?**

– მეც არ ვიცი, რა დაემართა. მოულოდნელად მომწერა: თუ გინდა, ჩემ გვერდით იარო, ეს ძონძები გადაყარე და კარგ ტანსაცმელს გაყიდვინებო, თან, უშვერი სიტყვებით მლანძღა. თუმცა ეგ პირველი შემთხვევა არ იყო, ხშირად მლანძღავდა და მებუტებოდა. მე არ ვარ ის ქალი, ვინმეს რამეს ვაპატიო. მარკუსმა ჯერ კიდევ არ იცის, ვისთან აქვს საქმე. ჩემს ყოფილ ქმრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა არ ვაპატიე. მინდა, ხალხმა გაიცნოს, სინამდვილეში ვინ არის მარკუს მეტრეველი და თავისი პიარით საზოგადოება კიდევ არ შეიყვანოს შეცდომაში.

**– მარკუს მეტრეველმა ვინ დაკარგა თქვენი სახით?**

– მარკუს მეტრეველმა თავის თავში ჩაიხედოს, ვინ დაკარგა ჩემი სახით. ჩემი აზრით, ადამიანი და მეგობარი, რომელსაც სურდა, რომ ის ბედნიერი ყოფილიყო.

*P.S. ამ საუბრის შემდეგ ჩვენ დავუკავშირდით მარკუს მეტრეველს, რომელმაც ამ თემაზე საუბარი არ ისურვა და აღნიშნა, რომ, არ უნდა, მისი სახელი ლელა მიქელაძესთან ასოცირდებოდეს.*

**ხათუნა კორტხონჯია**

როგორ მოვახერხებ, რადგან სხვა გასტროლებიც მაქვს. გარდა ამისა, დაიწყო საუბარი იმაზე, რომ მაისში შეიძლება, მე და სოფოს შვედეთში გვქონდეს კონცერტები. ყველაზე საინტერესო რაც გავიგე, ეს იყო, რომ შვედეთში ჰქონიათ „სტრესის შვებულება". მაგალითად, ადამიანი გადადის გზაზე, ავტომობილმა დაუსიგნალა, შეეშინდა, სტრესი მიიღო. მიდის სამსახურში, წერს, რომ სტრესი მიიღო და იღებს შვებულებას თავის ანაზღაურებით.

**– რა გეგმები გაქვს ახლო მომავალში?**

– ჯერ ისრაელში გვაქვს კონცერტი, იქ მივდივარ. 20 მარტს ქუთაისში, მესხიშვილის თეატრში ტარდება ბასილაიას ხსოვნის საღამო, რამაც ძალიან გამახარა. რა თქმა უნდა, „ივერიის" წევრები და ბასილაიას ოჯახის წევრები დაესწრებიან. ასევე, ვიქნებით ახალგაზრდა თაობიდანაც მომღერლები და ძალიან მაგარი ბენდი. გამიხარდა, რომ ასეთი სერიოზული სახით კეთდება მაესტროს საღამო.

**ნათია უტიაშვილი**

# ექიმი გირჩევთ

## კანის და ვენ-სნეულებათა სამეცნიერო ეროვნული ცენტრი



**ივანე კაპანაძე – ანდროლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

**კითხვა: რა ასაკში უნდა მივიდეს მამაკაცი ანდროლოგთან კონსულტაციაზე?**

**პასუხი:** სასურველია, ეს მოხდეს გარდატეხის ასაკში, როცა ყმაწვილი პირველ ინფორმაციას იღებს სექსუალური ცხოვრების შესახებ, შემდეგ რომ არ მოხდეს მთელი რიგი გართულებები, როგორიც არის, მაგალითად, ფსიქოემოციური ფონის იმპოტენცია, არასწორი ჰიგიენა და აქედან გამოწვეული ინფექციები. გარდა ამისა, მამაკაცმა დაუყოვნებლად უნდა მიმართოს ანდროლოგს გაციების შემთხვევაში, თუკი მას აღენიშნება, გართულებული, ან ხშირი შარდვა, შარდვისას წვის შეგრძნება, ან წელის ტკივილი, დისკომფორტი. ძალიან ბევრი დაავადება მიმდინარეობს მკვეთრად გამოხატული სიმპტომების გარეშე. ამიტომ, დაუშვებელია თვითმკურნალობა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო გაციების სავალალო შედეგი შესაძლოა უშვილობაც კი იყოს. გაციებას ორგანიზმი ადვილად მოერევა, მაგრამ შესაძლოა, სავალალო კვალი დატოვოს.

მამაკაცისთვის ანდროლოგთან პერიოდული ვიზიტი და კონსულტაცია ისევე აუცილებელია, როგორც ქალბატონებისთვის გინეკოლოგთან გეგმიური ვიზიტი. სხვათა შორის, ქალბატონების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი უფრო გამოირჩევიან ამ მხრივ აქტიურობით.

**კითხვა: მართალია, თუ არა, რომ აქტიური სექსუალური ცხოვრება გამორიცხავს პროსტატის შემდგომ გართულებას?**

**პასუხი:** ამაში არის სიმართლის მხოლოდ ძალიან პატარა მარცვალი. ასაკის მატებასთან ერთად, თუკი დროულად არ ხდებოდა სპეციალისტთან კონსულტაცია, ერთბაშად იჩენს, ხოლმე პრობლემა თავს, თანაც საკმაო სიმწვავით. საწყის ეტაპზე ნებისმიერი დაავადების აღმოჩენა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა, გაციებით ადვილია და იაფი. გართულებებს კი, ხშირ შემთხვევაში, მამაკაცის უშვილობასთანაც მივყავართ.

***შეკითხვებისთვის დარეკეთ: 295 46 43; 295 77 44; ლუბლიანას №5 (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს ტერიტორია).***

**იცით თუ არა, რომ ადამიანის ხელნაწერ ტექსტში ძალიან ბევრი ინფორმაციის ამოკითხვა შეიძლება?! ოღონდ ინფორმაციას ტექსტის შინაარსობრივი მხარე კი არა, ტექსტის ვიზუალური მხარე გვაწვდის. ადამიანის კალიგრაფია უამრავ ცნობას გვაძლევს მისი ავტორის შესახებ. იმის მიხედვით, როგორი ზომის, დახრილობის, აკურატულობის ასოებს ვწერთ, თავისუფლად ხდება შესაძლებელი ჩვენი ფსიქოტიპის შექმნაც. ხელწერის ფსიქოლოგიასთან დაკავშირებულ, ძალიან საინტერესო საკითხებზე „დავითიანის“ ფსიქოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი ნინო კერესელიძე გვესაუბრა.**

# როგორ ამოვიცნოთ ადამიანის ხასიათი მისი ხელნაწერის მიხედვით

**ნინო კერესელიძე:** ხელნაწერის ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ერთ-ერთი პრაქტიკული მიმართულებაა. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული გრაფოლოგიასთან. ხელწერის შესახებ სწავლებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ამ თემაზე პირველი შრომა 1622 წელს გამოქვეყნდა – „იმის შესახებ, როგორ გავიგოთ წერილის მიხედვით მისი დამწერის ხასიათი და თავისებურებანი“, რომლის ავტორიც კამილო ბალდე იყო. კალიგრაფიის ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანის დიაგნოსტიკა ხდება ადამიანის გარეშე. შესაძლებელია, მეუღლემ მოიტანოს მეორე ნახევრის ხელნაწერი და მოხდეს ფსიქოტიპის დადგენა. შედეგად, მათ შეუძლიათ მიდგომებზე მუშაობა, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდეთ ერთმანეთთან. ამ მეთოდს საკმაოდ აქტიურად იყენებენ იტალიაში. ზოგადად, სამი ტიპის ხელწერას განასხვავებენ: საკუთარი თავისთვის დაწერილს, სხვისთვის მიძღვნილ წერილს და ოფიციალურ წერილს. ამ საქმის არაპროფესიონალი ამბობს, რომ ეს ხელნაწერები ერთმანეთისგან განსხვავებულია. თუმცა, ხელწერის ფსიქოლოგისთვის სამივე ტიპი აბსოლუტურად ერთია. არის დეტალები, რომლებსაც არასდროს ცვლის ადამიანი და ყველგან ერთნაირად წერს. კალიგრაფიის საშუალებით შესაძლოა, ადამიანის საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებაც დავინახოთ. თუ ის მსხვილი ასოებით წერს, ესე იგი გულღია და საკუთარ თავში დარწმუნებულია. ზედმეტად მსხვილი ასოები კი ეგოისტებისთვისაა დამახასიათებელი. მათთვის, ვისთვისაც საშუალო ასოებია ჩვეული, ადეკვატური თვითშეფასებაა დამახასიათებელი. მინიატურული დამწერლობა კი შესაძლოა, მხედველობის პრობლემას უკავშირდებოდეს და ამასთანავე, მათი უმრავლესობა, ვინც პატარა ასოებს წერს, მორცხვია. ნაკლი, რომელიც ხელწერის ფსიქოლოგიას აქვს, არის ის, რომ არ შეგვიძლია, მისი საშუალებით განვსაზღვროთ ავტორის ასაკი და სქესი. თუმცა, შეგვიძლია, განვსაზღვროთ მისი პროფესია.



შესაძლებელია, მეუღლემ მოიტანოს მეორე ნახევრის ხელნაწერი და მოხდეს ფსიქოტიპის დადგენა

**– ერთი პროფესიის წარმომადგენლებს მსგავსი ხელწერა აქვთ?**

– როგორც წესი, ხელწერაც ემთხვევა, რადგან მათი აზროვნების წესი დაახლოებით თანაბარია. ყველასთვის ცნობილია ექიმების გაკრული ხელი. ყველას ფსიქიკა ისეა მომართული, რომ იმუშაოს ერთ ტალღაზე, ამიტომ წერაშიც აღარ არის დიდი განსხვავება. თუმცა, ინდივიდუალური ნიშნები რასაკვირველია, აქვთ. ზოგი მეტად დახრილია, ზოგი მეტად წაწვეტებული, ზოგი უფრო ჩახვეულად და მრგვალად წერს. სწორი, დაუხრელი ხელწერა ადამიანის კეთილგონიერებასა და თავშეკავებულობაზე მიუთითებს. მსუბუქად მარჯვნივ დახრილ ასოებს გულღია, ზომიერად თამამი და კეთილგანწყობილი ადამიანები წერენ. დახრილი ხელწერა მეტყველებს ემოციურობაზე, მათ ავტორებს თავის ხელში აყვანა ყოველთვის არ შეუძლიათ.

**– რაზე მიუთითებს, როცა ადამიანი იმდენად წაწვეტებულ ასოებს წერს, რომ ლურსმულ დამწერლობას მოგვაგონებს?**

– კალიგრაფიის ფსიქოლოგ, მასიმო მილონეს თქმით, ასეთი ადამიანები არიან აგრესორები. თუმცა ჩავატარეთ რამდენიმე ცდა და აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები; უბრალოდ, ასეთ წერას სკოლიდან იყვნენ მიჩვეული. მეორე კლასში, კუბიკებიან რვეულში წერას მიეჩვია ხელი და შემდგომში ჩვევაში გადაუვიდა. ერთ-ერთ ქალბატონს ჰქონდა ზუსტად ასეთი, დეპრესიისკენ მიმართული ხელწერა და მასთან დაახლოებით სამსაათიანი მუშაობის შემდეგ, შედეგი თვალსაჩინო იყო. რაც შეეხება, ზოგადად, მახვილკუთხიან ასოებს, მან შეიძლება, ორი მიმართულებით წაგვიყვანოს. აგრესიულობა და ძალიან მაღალი ინტელექტი. ასეთები, ხშირ შემთხვევაში, გამჭრიახები, ცბიერები და ჭკვიანები არიან. მომრგვალებული ასოებით კი უმეტესად მხიარული, უბრალო და გულკეთილი ადამიანები წერენ.

**– რადგან ხელნაწერი ამდენ ინფორმაციას გვაწვდის ფსიქოლოგიის შესახებ, თუ შეიძლება, ფსიქოლოგიური პრობლემების არსებობის შემთხვევაში, მისი თერაპიისთვის გამოყენება?**

– ხელნაწერით მკურნალობა და ფსიქოთერაპია არ ხდება. ის უფრო სადიაგნოსტიკოა, ვიდრე თერაპიული. თერაპიისთვის სხვა, ძალიან ბევრი მეთოდი გვაქვს. როგორც კი ადამიანის დამოკიდებულება შეიცვლება, მისი ყველაფერი იცვლება და მათ შორის, ხელნაწერიც. თერაპიული მიგნება, სიმართლე გითხრათ, ვერ ვნახე ხელნაწერის ფსიქოლოგიაში. თუმცა, ხელნაწერში ხაზების მიმართულებით ადამიანის ხასიათი შეგვიძლია, განვსაზღვროთ. ზემოთ მიმართული ხაზები ავტორის ოპტიმისტურ განწყობასა და ბავშვურ უშუალობაზე მიუთითებს, ან ავტორი მისი წერისას კარგ ხასიათზე იყო. თუ ხაზები დაბლა მიდის, ავტორი ცუდ ხასიათზეა. ხაზები ძირითადად მაშინ იწევს დაბლა, როცა რაიმე მოსაწყენს ვწერთ. თუ ამან სისტემატური ხასიათი მიიღო, შესაძლოა, ხელნაწერის პატრონი მსუბუქ დეპრესიაშიც იყოს. სწორი და თანაბარი ხაზები შინაგან დისციპლინაზე მიუთითებს.

**– ხელნაწერს აქტიურად იყენებენ გამოძიების პროცესშიც, არა?**

– კრიმინალური ფსიქოლოგია ძალიან აქტიურად იყენებს ხელნაწერებს. ერთ-ერთი მთავარი მამხილებელი ხელნაწერია. როგორც წესი, არის ხოლმე ხელნაწერის ფალსიფიკაცია და ამას იძიებენ. საქართველოში რამდენად კარგად არის განვითარებული, ეს სხვა საქმეა, მაგრამ სხვა ქვეყნებში, ძალიან ხშირია ხელნაწერით ფსიქოტიპის დადგენა. მაგალითად, შეიცავს თუ არა წერილი მუქარას, თუნდაც მასში ეწეროს ძალიან კეთილი სიტყვები. ხელწერის ფსიქოლოგი შინაარსს საერთოდ არ უყურებს. მთავარია, რას ამბობს თვითონ კალიგრაფია.

**– რას ნიშნავს, როცა ადამიანს არასტაბილური ხელწერა აქვს და თუა შესაძლებელი კალიგრაფიის მიზანმიმართული შეცვლა?**

– კალიგრაფიის არასტაბილურობა განწყობის ხშირ ცვლილებაზე მიუთითებს. ძირფესვიანად ვერ შეიცვლით ხელნაწერს, ეს გამორიცხულია, მაგრამ მცირე ცვლილება ავტორის იმჟამინდელ ხასიათზე მიგითითებთ. რაც შეეხება კალიგრაფიის მიზანმიმართულად შეცვლას – შესაძლებელია. ამას სწავლობენ კალიგრაფისტები, აგენტები. ისინი, ვინც ცდილობენ რაიმეს გაყალბებას.

**– ხელმოწერა რისი თქმის საშუალებას იძლევა?**

– ავტოგრაფი ძალიან მნიშვნელოვანია. მისი საშუალებით შესაძლოა, ისეთი დაფარული დეტალების გაგება, რომელიც ხანდახან ხელნაწერშიც არ იკვეთება. აქ ჩანს ადამიანის თვითშეფასება, შიშები, განცდები იმ საკითხის მიმართ, რაზეც აკეთებს ავტოგრაფს. ავტოგრაფი, რომელიც მხოლოდ სახელის ან გვარისგან შედგება, ავტორის სიამაყესა და გულახდილობაზე მიუთითებს. ჩახლართული ხელნაწერი საქმიანი ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. ავტოგრაფის ბოლოს თუ წერტილია დასმული, მისი ავტორი ფრთხილი ადამიანია, ხოლო თუ ვერტიკალური ხაზი – ცივი და უნდოა. თუ ავტოგრაფს ორივე მხრიდან კალამი აქვს მოსმული, მაშინ მის ავტორს დაოჯახების სურვილი აქვს, უცნაური ხაზები კი მის ორიგინალურობის სურვილზე მიუთითებს. გაურკვეველი ავტოგრაფის ავტორი ცდილობს, ნიღაბს ამოეფაროს. დიდი მნიშვნელობა აქვს დაწოლის სიძლიერესაც. თუ დაწოლა საშუალოა, ნაწერის ავტორი მიზანდასახული, ნებისყოფიანი ადამიანია, შეუძლია თითქმის ყველანაირი სტუაციის გაკონტროლება. მსუბუქი დაწოლა, მორცხვ და კომპლექსიან ადამიანებს ჩვევიათ, მათით მანიპულირებაც ადვილია. თუ საერთოდ არ ჩანს დაწოლის კვალი, ავტორს დაბალი თვითშეფასება აწუხებს. ძალიან ძლიერი დაწოლა კი ემოციურ და ხანდახან ისტერიულ ადამიანებს სჩვევიათ.

**ქეთი კაპანაძე**

# როგორ გადაარჩინა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მტერი უკრაინის ეროვნული გმირი შუხევიჩი ექიმმა შუბლაძემ

***ქართულ-უკრაინულ საბრძოლო მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ერთ-ერთ ასეთ ფაქტზე გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ნიკა თევზაძე.*** წყაროები, რომლებსაც დავეყრდენი, მართლაც საინტერესოა. ამათგან, უწინარეს ყოვლისა, მსურს აღვნიშნო რომან შუხევიჩის ვაჟი, პოლიტპატიმარი 40 წლის სტაჟით, იური შუხევიჩი, რომელიც ახლა უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატია. მე ის 1990 წელს ლვოვში გავიცანი. ბატონმა იურიმ ბევრი რამ მიამბო მამამისზე, იმ დიად ბრძოლაზე, რომელსაც ბენდერელები აწარმოებდნენ. ექიმ შუბლაძის შესახებაც პირველად სწორედ მისგან მოვისმინე.

**– თუ შეიძლება, მოკლედ აგვიხსენით, უკრაინული ნაციონალიზმი ორგანიზებული სახით როგორ ჩამოყალიბდა?**

– უკრაინულ ნაციონალიზმს საფუძველი ჩაუყარა თავად დიდმა კობზარმა, ტარას შევჩენკომ. სხვადასხვა მიზეზთა გამო, საბოლოოდ ის მხოლოდ 1924 წელს ჩამოყალიბდა, როცა ლვოვში გამოიცა პროფესორ დმიტრო დონცოვის ნაშრომი „ნაციონალიზმი“. ამის შემდეგ დაიწყო ყველა ნაციონალისტური ორგანიზაციების გაერთიანება. 1929 წელს ვენაში ნაციონალისტთა ყრილობაზე გამოაცხადეს უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის („ოუნ”) შექმნა. ორგანიზაციის მიზანი იყო, შეექმნათ ერთიანი, დამოუკიდებელი, უნიტარული უკრაინული სახელმწიფო. გამომდინარე აქედან, „ოუნი” უპირისპირდებოდა როგორც საბჭოთა კავშირს, ასევე, პოლონეთს, რუმინეთს, ჩეხოსლოვაკიას, ანუ, ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც მაშინ უკრაინული მიწები ჰქონდა დაპყრობილი.

უკვე 1932 წლიდან „ოუნში” გამოიკვეთა რადიკალური ფრთა, რომელიც სტეპან ბანდერას გარშემო დაირაზმა და რომან შუხევიჩიც ამ ფრთას განეკუთვნებოდა. 1940 წელს ეს „ოუნის” გათიშვით დასრულდა. ბანდერას მომხრეებმა შექმნეს თავიანთი ორგანიზაცია, სახელწოდებით – „ოუნრევოლუციური.” სწორედ მის წევრებს უწოდეს შემდგომში „ბანდერელები.” რომან შუხევიჩი ინტელიგენტურ, პატრიოტულ ოჯახში დაიბადა. მან ბავშვობიდანვე გადაწყვიტა უკრაინის გათავისუფლებისთვის ებრძოლა, თავისუფლებისათვის ბრძოლა კი ჯოჯოხეთური ტვირთია. ის იყო კარგი სპორტსმენი. როგორც ლვოვის პოლტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, გაიარა სრულყოფილი სამხედრო მომზადება. ამას გარდა, შუხევიჩი ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო და ცხოვრობდა ეკლესიურად. ყველაფერმა ამან კი განაპირობა, რომ ის მომზადებული შეხვდა ყველა განსაცდელს, რაც უკრაინის გათავისუფლებისთვის მებრძოლებს ელოდათ.

1940 წელს უკვე ცხადი გახდა, რომ უკრაინის თავისუფლება ჰიტლერის სქემაში არ იჯდა და ბანდერელებმაც საკუთარი თამაში დაიწყეს. მოკლედ ეს ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ალიანსი იმ გერმანულ ძალებთან, რომლებიც უკრაინელებთან თანამშრომლობას მხარს უჭერენ. ასეთ ძალას წარმოადგენდა „აბვერი”, კერძოდ, ადმირალ კანარისის გარშემო დარაზმული გუნდი. სწორედ ამ ძალებმა შექმნეს უკრაინული ბატალიონი – „ნაჰტიგალი“ (ბულბული), რომლის მეთაური იყო პროფესორი თეოდორ ობერლენდერი. შემდგომში, როგორც ცნობილია, ის ქართული „ბერგმანის“ ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ობერლენდერს ადენაუერის მთავრობაში ლტოლვილთა საქმის მინისტრის პოსტი ეკავა.

რომან შუხევიჩი ბატალიონ „ნაჰტიგალის“ მეთაურის მოადგილე იყო. „ნაჰტიგალთან“ ერთად ის ლვოვში შევიდა (1941 წლის 30 ივნისი) და იმავე დღეს ბანდერელებმა უკრაინის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 48 საათის შემდეგ ლვოვში ჩამოსულმა „აინზაცკომანდამ” ამ მთავრობის ყველა წევრი დააპატიმრა, ბატალიონი „ნაჰტიგალი“ კი ბელორუსიაში გადაისროლეს.


უშიშროებაში შუბლაძე ერთი წლის შემდეგ დაიბარეს

**– და ისინი ბელორუს პარტიზანებთან ბრძოლაში ჩაებნენ?**

– „ნაჰტიგალის“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საბჭოთა პარტიზანები ცხვირს ვერ ყოფდნენ. შუხევიჩმა მიაღწია იმას, რომ აქ აღარც გერმანელი დამსჯელები შემოდიოდნენ და მოსახლეობა „ნაჰტიგალის“ ბიჭების მადლიერი იყო. მაგრამ, გერმანელებს ეს არ აწყობდათ. 1942 წელს ნაცისტებმა შუხევიჩი დააპატიმრეს. „ნაჰტიგალის“ აღშფოთებულმა მებრძოლებმა თავი ტყეს შეაფარეს. მათ ბრძოლით გაიკვლიეს გზა უკრაინისაკენ და „უპას” შეუერთდნენ.

შუხევიჩმა ტყვეობიდან გაქცევა შეძლო და „უპას” ერთ-ერთი მეთაური გახდა. 1944 წლიდან კი ის პარალელურად „ოუნის” იატაკქვეშეთის ხელმძღვანელი და უკრაინის გათავისუფლების უმაღლესი საბჭოს თავჯდომარეცაა. გამომდინარე აქედან, გასაგებია, თუ რატომ ნადირობდნენ მასზე ასეთი გააფთრებით როგორც გესტაპოელები, ასევე საბჭოთა ჩეკისტები. გადიოდა წლები. ბაკუმოვი ტყავში ძვრებოდა, მაგრამ შუხევიჩის შეპყრობა ვერ მოახერხა.

**– როგორ გაიცნეს ერთმანეთი რომან შუხევიჩმა და ექიმმა შუბლაძემ?**

– 1947 წელს შუხევიჩი თავის მეკავშირე გალინა დიდიკთან ერთად ჩავიდა ოდესაში. ორივეს, ბუნებრივია, ყალბი დოკუმენტები ჰქონდა. თანახმად ამ საბუთებისა, შუხევიჩი დასავლეთ უკრაინის კომუნისტური მოძრაობის ვეტერანი იყო, დიდიკი კი – მისი ცოლი. შუხევიჩი და დიდიკი სამხედროებისთვის განკუთვნილ კარდიოლოგიურ სანატორიუმში მოათავსეს. შუბლაძე ამ სანატორიუმის ექიმი იყო. ინტელიგენტი და განათლებული შუხევიჩი შუბლაძეს მოეწონა და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ამ დროს პატარა კურიოზიც მოხდა.

**– კურიოზი?**

– დიახ. ერთხელ შუბლაძემ თავისი ექთანი, 19 წლის ჟენეჩკა, ატირებული ნახა. ექიმის შეკითხვაზე, რა დაგემართაო, გოგონამ მიუგო: „ჩვენი ლვოველი სტუმარი შემიყვარდა“. „როგორ, გეარშიყება?“– შესძახა შუბლაძემ. „არა, არ მეარშიყება, არც მე, არც სხვას. საერთოდ არ აქცევს ქალებს ყურადღებას, მისთვის მხოლოდ ცოლი არსებობს. ამიტომაც მიყვარს!“

შუბლაძემ ეს მოგვიანებით, უშიშროებაში დაკითხვაზე განაცხადა.

**– ეს როდის მოხდა?**

– უშიშროებაში შუბლაძე ერთი წლის შემდეგ დაიბარეს. მაშინ კი შუხევიჩმა, დიდიკთან ერთად, კარგად დაისვენა და შემდეგ დასავლეთ უკრაინაში დაბრუნდა.

**– ანუ, ბანდერელთა მეთაურმა ოდესაში ზღვის პირას დაისვენა, რათა დასავლეთ უკრაინაში დაბრუნებულიყო და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა განეგრძო?!**

– დიახ. პაველ სუდოპლატოვი თავის მემუარებში წერს: შუხევიჩს ლვოვის მახლობლად დავეძებდით, ის კი თურმე ოდესაში იმყოფებოდაო. თავად შუხევიჩს, როგორც ჩანს, ოდესა მოეწონა, რადგან, ერთი წლის შემდეგ დიდიკთან ერთად ამ ქალაქში კვლავ ჩავიდა. შუბლაძე სიხარულით შეხვდა, სუფრა გაუშალა და ნამდვილი ქართული ღვინით გაუმასპინძლდა. სუფრამ ისინი კიდევ უფრო დააახლოვა.

**– ნუთუ ჩეკისტები ვერაფერს მიხვდნენ?**

– რაღაცას, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რადგან, შუბლაძე უშიშროებაში დაიბარეს და უთხრეს: გვაქვს ინფორმაცია, რომ ოდესაში ბანდერელთა მეთაური რომან შუხევიჩი გამოჩნდა. თუკი მას სადმე წააწყდი, გვაცნობეო – და, შუხევიჩის ფოტო აჩვენეს. შუბლაძემ უმალ იცნო თავისი ლვოველი მეგობარი, მაგრამ, არ შეიმჩნია. სანატორიუმში დაბრუნებისთანავე მან შუხევიჩი მოძებნა და უთხრა: უშიშროებაში დამიბარეს, შენი ფოტო მაჩვენეს, ჰოდა, თავს უშველეო. იმავე ღამეს შუხევიჩი დიდიკთან ერთად ოდესიდან გაუჩინარდა.

**– ამის გამო შუბლაძეს უსიამოვნება ხომ არ შეხვდა?**

– რა გითხრათ! შუბლაძეს უშიშროებაში კარგა ხანს უტარებდნენ დაკითხვას. მართლაც ძალიან გააწვალეს, თუმცა არ დაუპატიმრებიათ. მადლობა ღმერთს, გადარჩა. მან, როგორც ქართველმა პატრიოტმა, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინა „უპას” მეთაური.

**– რომან შუხევიჩს რა ბედი ეწია?**

– მის კვალს ჩეკისტებმა 1950 წელს მიაგნეს. ჩეკისტებმა სახლს ალყა შეოარტყეს. შუხევიჩმა ჩეკისტებს ცეცხლი გაუხსნა. მან სამი მათგანი მოკლა, ორიც მძიმედ დაჭრა, თუმცა თავადაც ავტომატის ჯერით მოცელილი დაეცა.

**ჯულია დემეტრაშვილი**

# სად გაემგზავრნენ ნუცა კოპალიანი და მისი მეუღლე ჯვრისწერიდან ერთ საათში და რატომ არ აპირებენ ისინი პომპეზური ქორწილის გადახდას

*სულ ახლახან „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის წამყვანი ნუცა კოპალიანი გათხოვდა. ამის შესახებ სოციალურ ქსელში გავრცელებული ჯვრისწერის ფოტოებიდან გახდა ცნობილი. ნუცას რჩეულია 31 წლის ეკონომისტი, გეგა ბაღათურია. წყვილმა 29 იანვარს დაიწერა ჯვარი და ერთ საათში სამოგზაუროდაც გაემგზავრა. გამომდინარე იქიდან, რომ ნუცას პომპეზური არც ქორწილები ხიბლავს და არც საქორწილო კაბები, ჯვრისწერისთვის ყველაფერი სადად გადაწყვიტა და ძალიან კმაყოფილიც დარჩა.*



**– ნუცა, ინტერნეტში გავრცელდა ჯვრისწერის ფოტოები და საზოგადოებამ აქედან შეიტყო შენი გათხოვების ამბავი. როდის მოხდა ეს და ვინ არის შენი რჩეული?**

– ჯვრისწერა 29 იანვარს გვქონდა. ჩემი რჩეული არის გეგა ბაღათურია, 31 წლის. ეკონომისტი და ერთ-ერთი ბანკის საცალო პროდუქტების უფროსი მენეჯერია.

**– როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

– ჩვენს საერთო მეგობარს ახლდა და, რომ დამინახა, მოვეწონე ***(იცინის).*** მერე ყველაფერი ისე გააკეთა, რომ კარგად გავეცანი და ჩვენი ურთიერთობაც ძალიან ბუნებრივად აეწყო. მით უმეტეს, ბევრი საერთო მეგობარი აღმოგვაჩნდა, თან, ალბათ, უკვე ორივემ ვიცოდით, რა გვინდოდა.



**– რამდენი ხნის წინ დაიწყო თქვენი სიყვარულის ისტორია და დაქორწინება რამდენ ხანში გადაწყვიტეთ?**

– ერთმანეთი წელიწად-ნახევრის წინ გავიცანით. სხვათა შორის, სიყვარულშიც მალე გამომიტყდა, დიდხანს არ უფიქრია და ცოტა გამიკვირდა. მგონია, რომ კაცებს უფრო უჭირთ ამის თქმა. თუმცა, მერე მივხვდი, რომ ის ჩამოყალიბებული ადამიანია, რასაც ფიქრობს, როგორც წესი, სულ იმას ამბობს და შესაბამისადაც იქცევა. ამანაც განაპირობა, ალბათ, ურთიერთობის აწყობა. დაქორწინებამდეც თითქოს ლოგიკურად მივედით. გეგამ იმ პერიოდში საკუთარი ბინა იყიდა და მის მოწყობაში ერთად ჩავერთეთ. ასე რომ, უკვე ვიცოდით, რომ იქ ჩვენ ვიცხოვრებდით

**– შენი სიყვარული კონკრეტულად რა თვისებებით დაიმსახურა?**

– მასთან ურთიერთობა საინტერესოა. ჭკვიანია, თავის საქმეში წარმატებულიც, ჩამოყალიბებულიც და, რაც მთავარია, თბილი და ყურადღებიანია.

**– ხელი როგორ გთხოვა?**

– ხელი იბიცაზე მთხოვა, სადაც ამ ზაფხულს მეგობრებთან ერთად ვისვენებდით.

**– ტრადიციული რიტუალები გქონდათ? ნიშნობა, ოჯახების გაცნობა და ასე შემდეგ, თუ, უცებ გადაწყვიტეთ ჯვრისწერა?**

– ისე გამოვიდა, რომ ოჯახები თურმე ერთმანეთს მეტ-ნაკლებად იცნობდნენ. მსგავსი რიტუალები არცერთს არ გვიყვარს, ამიტომ, ეს ყველაფერი მინიმუმამდე დავიყვანეთ და მხოლოდ ჯვარისწერა გვქონდა. ჯვარი სიონის საკათედრო ტაძარში დავიწერეთ.

**– ნიშნობის კაბაზე და ყველაფერ დანარჩენზე თავად იზრუნე?**

– დიახ. მგონი, კაბაც ჯვრისწერის შესაფერისი მქონდა. დიზაინი მე მოვიფიქრე და ჩემმა ძალიან კარგმა მკერავმა შემიკერა.

**– თქვენი მეჯვარეები ვინ იყვნენ?**

– მეჯვარეები იყვნენ ჩვენი მეგობრები – ზურა უკლება და თამთა მდივნიშვილი.

**– ქორწილის გადახდას თუ გეგმავთ?**

– არ მიყვარს ქორწილები. ყველაზე მეტად ქართული ტრადიციული ცერემონიებიდან ჯვრისწერა მიყვარს, რაც მქონდა კიდეც. არ მხიბლავს პომპეზურობა და ჩვენი ჯვრისწერაც ასეთი იყო – ყველაფერი სადა ***(იცინის).*** ასე რომ, ჯვრისწერით ამოვწურე ჩემი ქორწილი. რაც მომწონდა, ყველაფერი ისე იყო – კაბაც და სხვა დანარჩენიც.



**– როგორი აღმოჩნდა გათხოვილი ქალის ცხოვრება, შეიცვალა რამე შენს ყოველდღიურობაში?**

– ჯერჯერობით განსაკუთრებით არაფერი შეცვლილა, ისევ ისე დავდივართ ყველგან, როგორც ადრე, უბრალოდ, ცოტა პასუხისმგებლობა გაიზარდა.

**– მეუღლეს შენი საქმიანობა თუ მოსწონს, არ გსაყვედურობს იმის გამო, რომ მას დიდი დრო მიაქვს?**

– დროზე ვერ მისაყვედურებს, ის ჩემზე გვიან ამთავრებს სამსახურს ***(იცინის).*** მოსწონს, რომ ვმუშაობ და ყოველთვის მაქებს, თუმცა, მე მისგან უფრო კრიტიკას ვითხოვ ხოლმე. ზოგადად, პოლიტიკისგან შორს არის და საინფორმაციოსაც, მგონი, ჩემი ხათრით უყურებს ***(იცინის).***

**– შენ რას ფიქრობ მის საქმიანობაზე?**

– საკმაოდ წარმატებულია თავის საქმეში და მჯერა, კიდევ ბევრს მიაღწევს. ისე, ეკონომიკა, მით უმეტეს – საბანკო საქმე, რთულად მესმის და ზოგჯერ ცდილობს, რაღაცეები ამიხსნას.

**– როგორი ცოლი ხარ? საოჯახო საქმეების ან კერძების მომზადება თუ გეხერხება? საყვარელ კერძებს უმზადებ?**

– ჩემი აზრით, კარგი ცოლი ვარ, ყოველ შემთხვევაში, გეგა ბედნიერია ***(იცინის).*** კულინარიაში თითქმის ერთნაირი გემოვნება გვაქვს და, შესაბამისად, რაც გვიყვარს, თითქმის ყველაფრის გაკეთება ვიცი.



**– გეგა როგორი ქმარია, ჰგავს ტრადიციულ ქართველ ქმრებს, რომლებსაც საკმაოდ ბევრი მოთხოვნები აქვთ მეუღლეების მიმართ?**

– არანაირად. შეგნებული ქმარია და, თუ საჭმელი არ დახვდება, რამე გამოსავალს პოულობს, ესე იგი მე არ მეცალა.

**– თაფლობის თვის გასატარებლად სადმე წასვლა თუ მოახერხეთ უკვე?**

– სამოგზაუროდ ჯვრისწერიდან ერთ საათში გავფრინდით. პრაღა მე შევარჩიე, თან, იქ გეგას მეგობრები ცხოვრობენ და, საერთო ჯამში, ძალიან კარგი მოგზაურობა გამოვიდა, თუმცა, ალბათ, კიდევ უფრო საინტერესო მომენტები წინ არის.

**ქეთი კაპანაძე**

# მეზოძაფების — ტექნოლოგიების ტრიუმფი

**21-ე საუკუნის მიმდინარე ათწლეული მეზოძაფების ტექნოლოგიათა ტრიუმფად იქცა. დღეს ნაკლებინვაზიური კოსმეტოლოგიის სწორედ ამ მიმართულებას უკავია წამყვანი როლი გაახალგაზრდავებისა და კორექციების ზღვა მეთოდოლოგიას შორის. უამრავი რაოდენობის, სხვადასხვა სახის მეზოძაფით უკვე გაჯერებულია ესთეტიკური მედიცინის ბაზარი. გართულებულია ამდენ სახეობას შორის გარკვევა, არა მარტო პაციენტისთვის, არამედ ექიმისთვის!**

**რჩევისთვის, თუ რომელია ოპტიმალური ვარიანტი, გადავწყვიტეთ, მიგვემართა კოსმეტოლოგიისა და ესთეტიკური ქირურგიის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტისთვის, „მედიესთეტიკის კლინიკათა ჯგუფის“ დამფუძნებლის, მედიცინის დოქტორის, ქალბატონი მარინა მჭედლიძისთვის.**



„მედიესთეტიკის კლინიკათა ჯგუფის“ დამფუძნებელი, მედიცინის დოქტორი მარინა მჭედლიძე

**– ქალბატონო მარინა, ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ თქვენ პირველმა შემოიტანეთ და გააცანით საზოგადოებას მეზოძაფების ტექნოლოგია, როგორც პეტერბურგსა და პრალაში, ასევე თბილისში.**

– გეთანხმებით. ეს ჯერ კიდევ 1998 წელს იყო, მაშინ „მედიმ“ პირველად შესთავაზა თავის პაციენტებს „ოქროს ძაფების“ იმპლანტაცია ქალაქში (თბილისსა და პეტერბურგში, მაშინ ჯერ ჩეხეთის მიმართულება არ იყო შექმნილი). ეს მეთოდი წარმოუდგენელი პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა. შემდგომ უკვე წამოვიდა ძაფების სხვადასხვა შემადგენლობის მრავალსახეობა. წარმოების, ბიოგრადირებისა და მის გარეშე, ზომებისა და სახეობების მიხედვით, სხვადასხვა სტილის ძაფები და ასე შემდეგ. გასული 15 წლის განმავლობაში ბაზარზე გამოვიდა უამრავი ახალი და მრავალფეროვანი ტექნოლოგია, დაიწყო მეზოტექნოლოგიების ნამდვილი ბუმი. ერთი მხრივ, ასეთი მრავალფეროვნება შეიძლება, დადებითად ჩაითვალოს, რადგან ამით პაციენტს ეძლევა საშუალება, აირჩიოს კონკრეტული, მისთვის შესაფერისი მეთოდიკა, მაგრამ, ამას მეორე მხრივ თუ შევხედავთ, ექიმის პასუხისმგებლობის ნიშნული იწევს ერთი-ორად!



**– ალბათ, დამეთანხმებით, რომ, როცა ასეთი მრავალფეროვნებაა და ალტერნატივებით გაჯერებულია ესთეტიკური ბაზარი, გარკვეული საფრთხის შეგრძნება ეუფლება ადამიანს. როგორ უნდა გავერკვეთ, მეზოძაფების რომელი ტექნოლოგიაა საუკეთესო?**

– კოსმეტოლოგიაში, ისევე როგორც ზოგადად, მედიცინაში, ერთი მთავარი პრინციპი დომინირებს – არ ავნო პაციენტს! უფრო სწორად, ჩვენს შემთხვევაში, პაციენტის უსაფრთხოება აბსოლუტური პრიორიტეტია! იმიტომ, ჩვენს პროცედურებს ვატარებთ არა სამედიცინო მაჩვენებლების მიხედვით, როცა სიცოცხლის გადასარჩენად ყველა საშუალება გამართლებულია, არამედ ვმუშაობთ ჯანმრთელ, წარმატებულ ადამიანებთან, რომლებიც დღენიადაგ ზრუნავენ გარეგნულ სილამაზეზე, ახალგაზრდობის შენარჩუნებაზე. ამ ხალხში ეს პროცედურები და გარეგნობა დადებით ემოციებს აღძრავს, მატებს საკუთარი თავის რწმენასა და თვითდაჯერებულობას! აქედან გამომდინარე, ჩემთვის უპირველესი საყურადღებო მომენტი ახალი ტექნოლოგიის შერჩევისას, სწორედ ეს არის – რამდენად უსაფრთხოა ის ჯანმრთელობისთვის!

ჩემის ღრმა რწმენით, ყველა კოსმეტოლოგიურ პროცედურას უნდა გააჩნდეს საწყის წერტილზე დაბრუნების უნარი. ექიმმა უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერი გარემოების დადგომისას, მას საშუალება აქვს, დააბრუნოს ყველაფერი საწყის მდგომარეობაში გარეგნობისა და ჯანმრთელობის ოდნავი ზიანის გარეშე!

მე მომწონს შემოქმედებითი პროცესი და ყოველთვის სიამაყით ვამბობ, რომ ჩვენ პირველებს შემოგვაქვს ქალაქში ის ტექნოლოგიები, რომელიც, დროთა განმავლობაში „ოქროს სტანდარტად“ ყალიბდება.

სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენს პაციენტებს წარვუდგინეთ ბრაზილიელი პლასტიკური ქირურგების საიდუმლო „ფილამენტლიფტინგი.“ ეს გახლავთ „ლიფტინგის“ დამზოგველი ტექნოლოგია განსაკუთრებული ძაფების მეშვეობით. მინიმალური ინვაზიისა და სულ მცირე რეაბილიტაციის პერიოდით, საკმაოდ გამოკვეთილი ლიფტინგის მიღწევაა შესაძლებელი. იმავდროულად, სახე სიცოცხლესა და ბუნებრიობას ინარჩუნებს, არ იცვლება ნაკვთები და შედეგი 3-5 წელი სახეზეა. დღესდღეობით, მე ორი გამორჩეული ფავორიტი მყავს – ორი საინტერესო ძაფების ტექნოლოგია. შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც ცალ-ცალკე, ასევე კომბინირებულად, რის შემდეგაც ნამდვილად შთამბეჭდავი გამაახალგაზრდავებელი ეფექტი მიიღწევა. შვეიცარიული მეთოდი – „ლუქსფეისი“ იმ ხალხისთვისაა, ვისაც არ შეუძლია დახარჯოს დრო რეაბილიტაციისთვის. ძაფების იმპლანტაციის ეს საოცარი ტექნოლოგია კეთდება კანულებით. ეს კი ნიშნავს, რომ არ ტოვებს სილურჯეებს, შესაძლებელია მხოლოდ ოდნავი შეშუპება კანულების შეყვანის ადგილებში. ჩხვლეტა ხდება თავის თმიან ნაწილში, ამიტომ ძაფების შეყვანის და ფიქსაციის ადგილები აბსოლუტურად შეუმჩნეველია. სწორედ ამის გამო, ეს პროცედურა მიიჩნევა „სადილისთვის, შესვენების დროს“ გასაკეთებელ პროცედურად.

„ლუქსფეისის“ ძაფები სხვადასხვა მიმართულებისაა, მას სხვაგვარად „ველურის“ ძაფებსაც უწოდებენ. ეს თავისებურება იძლევა საშუალებას, რომ ძაფები უფრო დიდხანს შენარჩუნდეს ქსოვილში. იმავდროულად კი, შენარჩუნდეს პლასტიკურობა, ანუ შეყვანის დროსაც არ იგრძნობოდეს სახეზე მათი არსებობა. ეს ძაფები აბსოლუტურად თავსებადია, არანაირ ალერგიულ რეაქციას არ იწვევს.

ძაფების შეყვანის ინოვაციური მეთოდი იძლევა საშუალებას, რომ შეზღუდული რაოდენობის ძაფით წარმოიქმნას ერთგვარი „ბადე-კარკასი,“ რომელიც ქსოვილის ფიქსაციას ახდენს და მისი „ჩამოწელვის“ პროცესს აჩერებს. ამავე დროს კი სახის არანაირი დამძიმება არ ხდება.

ლიფტინგის ეფექტთან ერთად, ძაფები პროვოცირებას ახდენს კოლაგენის და ელოსტინის გამოყოფისთვის. მათ გარშემო შემაერთებელი ქსოვილები იწყებს წარმოქმნას, უმჯობესდება სისხლის მიკროცირკულაცია, კაპილარების მუშაობა აქტიურდება. ყველაფერი ერთად კი, სახის კარკასის ფუნქციის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. პროცედურის ეფექტი 2 წელინადს გრძელდება.

ეს მეთოდიკა არაჩვეულებრივია იმით, რომ 3 წლის შემდეგ მოსულ პაციენტს შესაძლებელია გაუკეთდეს არსებული ძაფების ხელახალი აჭიმვა. შესაბამისად, კანის ჩამოკიდების შესაძლებლობა ნულამდე დავა, პროცედურის ეფექტი კი, კიდევ 3-5 წლით გაგრძელდება. განმეორებითი ვიზიტი მხოლოდ 30 წუთს გრძელდება და არანაირ დისკომფორტთან არ არის დაკავშირებული. არ საჭიროებს რეაბილიტაციას. ამ პროდუქტს მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

ამ ახალი ტექნოლოგიებიდან, თითოეული თავისთავად უნიკალურია და უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ თითო ტექნოლოგიაც კი საკმარისია, რათა პაციენტის ესთეტიკური პრობლემა მოაგვაროს. მაგრამ, ამ ტექნოლოგიათა ერთობლიობა, რომელთა დროსაც შესაძლებელია ზეგავლენა სახის ქსოვილის სხვადასხვა დონეზე, თანაც მისი არმირება ურთიერთდაკავშირებული ეფექტის გამაძლიერებელი საშუალებით, ნამდვილად გამაოცებელ ეფექტს იძლევა.

**– თუკი მეზოძაფების ტექნოლოგიები ასეთ საოცარ შედეგებს იძლევა, იქნებ სხვა პროცედურები მიეცეს დავიწყებას?**

– მეზოძაფების ტექნოლოგიები საუკეთესო ლიფტინგს უზრუნველყოფს, მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ სახის რეგულარული და ძირფესვიანი მოვლა. პირიქით, თუკი ჩვენ გამაახალგაზრდავებელ კომპლექსში ჩავრთავთ იმ დანარჩენ პროცედურებს, რომლის საშუალებითაც უჯრედულ დონეზე ხდება სახის გაახალგაზრდავება-გაჯანსაღება (მაგალითად, პლაზმოთერაპია), შედეგი ყველა მოლოდინს გადააჭარბებს, დამიჯერეთ!!!

**ტელ.: 291 0000; კოსტავას №ქ. 52.**

# ბრძნული აზრები

**ლინკოლნი**: პოლიტიკოსი მაგონებს იმ ადამიანს, რომელმაც დედ-მამა დახოცა და, მაშინ, როცა მისთვის განაჩენი უნდა გამოეტანათ, შეწყალებას ითხოვს იმ მოტივით, რომ იგი უპატრონოა.

**შვებელი**: პოლიტიკოსები ყოველთვის ჩქარობენ – მათ სასწრაფოდ უნდა გამოიყენონ დროის ის მცირე მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მათ სერიოზულად აღიქვამენ.

**ჰანიბალი**: ურცხვობა, დღეს იქნება თუ ხვალ, უნამუსობად გადაიქცევა.

**სენეკა**: თუ ადამიანს უნდა, რომ თავისუფლება მოიპოვოს, სამართლიანი უნდა იყოს.

**ტვენი**: რაც უფრო გაუმართლებელი და სულელურია რომელიმე შემორჩენილი ადათი, მით უფრო ძნელი ხდება მისი აღმოფხვრა.

**გოეთე**: ყველაზე მეტად ბრიყვულად ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ კარგავს ორიგინალობას, თუკი სხვების მიერ უკვე აღიარებულ ჭეშმარიტებას აღიარებს.

**შპენგლერი**: ნამდვილი მოაზროვნისთვის არ არსებობს აბსოლუტურად სწორი ან აბსოლუტურად არასწორი აზრი.

**ტოლსტოი**: მთავარი წინააღმდეგობა ჭეშმარიტების შეცნობისას ტყუილი კი არ არის, არამედ, ჭეშმარიტებების მსგავსება.

**სენეკა**: წარსულმა თაობებმა შეკითხვებზე პასუხის ნაცვლად, შეკითხვები დაგვიტოვეს.

**შოპენჰაუერი**: ყოველი დღე – პაწია ცხოვრებაა; ყოველი გამოფხიზლება – პაწია დაბადებაა; ყოველი დილა – პაწია სიჭაბუკეა და ყოველი ძილი – პაწია სიკვდილია.

**პლატონი**: სიხარული და მწუხარება ერთმანეთს იმაში ჰგავს, რომ ერთიც და მეორეც გვიხშობს გონებას.

**პარკერი**: ყოველი დიდი საქმე კაცობრიობისა სისხლით იწურება ისტორიაში.

**ვოვენარგი**: მკვირცხლი ჭკუა მაინცდამაინც არაფერი სასარგებლოა, თუ ის ჭეშმარიტ გზაზე არ დგას; საათის ღირსება ის კი არ არის, რომ ჩქარა იმუშაოს, არამედ ის, რომ სწორად მუშაობდეს.

**რუსო**: ჩემი აზრით, უსაქმურობა არც ისე მცირე ბოროტებაა ადამიანებს შორის, ვიდრე მარტოობა. ისე არაფერი ჩაგრავს გონებას, არაფერი ბადებს იმდენ მეწვრილმანეობას, ჭორებსა და მოუსვენრობას, როგორსაც უსაქმურობა.

**ჯონსონი**: უსაქმურად ვცხოვრობ არა იმიტომ, რომ საზოგადოება მიყვარს, არამედ იმიტომ, რომ საკუთარ თავს გავურბივარ.

**ლაბრიუერი**: ნამდვილი ბრიყვი უნდა იყოს, რომ სიყვარულმა, ბოროტებამ და გაჭირვებამ ჭკუა ვერ გასწავლოს.

# თუ გაერკვევით

1. „წმიდა ამპულა" – ჭურჭელი, რომელშიც ზეთი იყო ჩასხმული, მოედანზე თავმოყრილმა ფრანგმა რევოლუციონერებმა რეჟიმის ტაძრის წინ გატეხეს, სადაც ის წლების განმავლობაში ინახებოდა. **რისთვის გამოიყენებოდა „წმიდა ამპულა"?**

2. ნაბოკოვი წერდა, რომ ყურადღებიანი მკითხველი აუცილებლად დაინახავს ანალოგიას ახალგაზრდა ლოლიტასა და ასაკოვანი გუმბერტის ურთიერთობასა და ქვეყნებს შორის დამოკიდებულებას შორის. ალეგორიულად, ახალგაზრდა ამერიკა გათავისუფლდა ინგლისისა და, შესაბამისად, ევროპისგან. ამრიგად, შესაძლებელია, ზუსტად ვიცოდეთ თვე და რიცხვი, როდესაც ლოლიტა მამინაცვლისგან თავისუფლდება. **დაასახელეთ ეს თარიღი.**

3. როგორც ამბობდნენ, სტალინი დიდად არ აფასებდა ჯარისკაცებს. იხსენებენ რა ფრონტის წინა ხაზის რაზმების შექმნას 1942 წლის ივნისში და ამ ბრძანებიდან ამოღებულ ფართოდ გავრცელებულ მოწოდებას – „არცერთი ნაბიჯი უკან", ჯარისკაცებს ადარებდნენ... **დაასახელეთ, რას ადარებდნენ ჯარისკაცებს?**

4. ის პირველად გამოჩნდა ჩინეთში, 1351-1368 წლებში და იყენებდნენ აჯანყებულები. ასი ათასობით ადამიანი, რომლებიც ამას ატარებდნენ, მონღოლთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. საბჭოთა დროს კი მათ წესრიგის ნებაყოფლობით დამცველებს უკეთებდნენ. **რას?**

5. ირანულ ხალხურ ეპოსში, გმირი რუსტამი, იმის შემდეგ, რაც სხვებსაც გაუკეთებიათ, მათ შორის მეფეებსაც კი, „სისხლის ცრემლებით ტიროდა და ტანსაცმელს იხევდა". **რა გააკეთა რუსტამმა?**

6. მართალია, საბჭოთა ეპოქაში ყოველგვარ ბურჟუაზიულს უარყოფდნენ, მაგრამ, მაინც ჰბაძავდნენ მათ და ცდილობდნენ, მათი მსგავსი პროდუქციაც კი გამოეშვათ, მაგალითად, „კოკა-კოლას" საბჭოურ ანალოგად სასმელი „ბაიკალი" ითვლებოდა. **დაასახელეთ, რისი საბჭოური ანალოგი იყო ყველი „პარტიზანი".**

7. ალბათ, ყველა ფიქრობს, რომ „ფერადი მუსიკა" („ცვეტომუზიკა") მეოცე საუკუნეში გაჩნდა. არადა, იდეა მის შესახებ ერთ ცნობილ კომპოზიტორს ეკუთვნის – სწორედ მან დაუკავშირა ოქტავის ყველა ნოტს, თავისი აზრით, შესაბამისი ფერი. მაგალითად: დო – წითლის, სოლ კი – ნარინჯისფრის შესაფერისი იყო. **ვინ იყო ეს კომპოზიტორი?**

8. ითვლება, რომ სპალეოთერაპია, როგორც სამკურნალო საშუალება, გასული საუკუნის 40-იან წლებში, სწორედ მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოაჩინა ექიმმა კარლ გერმან შპანაგელმა. მან შეამჩნია, რომ ასთმით დაავადებულ ავადმყოფებს შეტევა ეხსნებოდათ და თავს კარგად გრძნობდნენ, როდესაც დაბომბვების დროს თავს აფარებდნენ... **რას?**

9. განსაკუთრებული „აჟურული" კონსტრუქციის გამო, ძლიერი ქარის შედეგად ეიფელის კოშკის მაქსიმალური გადახრა მხოლოდ 7 სანტიმეტრია. **დაასახელეთ, რისი ზემოქმედების შედეგად იხრება ეს ცნობილი კოშკი 18 სანტიმეტრით.**

10. 1935 წელს, როდესაც იტალია ეკონომიკური სანქციების ქვეშ მოექცა, სახელმწიფოს მხარდასაჭერად ქვეყანაში წამოიწყეს აქცია – „ოქრო – სამშობლოსთვის", რომელშიც მონაწილეობა ნობელის პრემიის ლაურეატმა ლუიჯი პირანდელომაც მიიღო – ჩააბარა თავისი ოქროს მედალი. უბრალო ხალხს კი ამ აქციაში მონაწილეობისთვის შეეძლოთ მიეღოთ რკინის... **რა?**

*პასუხები იხილეთ 65-ე გვერდზე*

# სხეულის ენა

მაღალი ადამიანები სულიერად ძლიერები და ენერგიულები არიან, დაბლები კი – ჭკვიანები და კეთილები.

ღიპიანები – უსირცხვილონი, გაუბედავნი, გაუმაძღარნი, ზომა-წონა მათთვის არ არსებობს. სიტყვა – „სასწორი" ამოღებულია მათი ლექსიკონიდან.

გამხდრები, პირიქით, მორცხვები, თავშეკავებულები, მოკრძალებულები, ეკონომიურები, მაგრამ, ამავე დროს, ფიცხებიც არიან.

ახმახი მამაკაცი ეშმაკი და ცბიერია.

### ცხვირი

სწორი და გრძელი ცხვირი ზარმაცსა და გულცივ ადამიანებს აქვთ;

სწორი, ზომიერი სისქისა და სიგრძის ცხვირი პატრონის სინაზესა და შრომისმოყვარეობაზე მიანიშნებს;

გრძელი და ფართო ცხვირი გულკეთილ მაგრამ უსუფთაო ადამიანებს აქვთ;

აწეული ცხვირი – ბუნებრივ სიმხიარულესა და სულიერ უბრალოებაზე მეტყველებს;

ზედმეტად აწეული ცხვირი ჯანმრთელ და რისკიან ადამიანებს აქვთ (ისინი ცოტას წაიჩერჩეტებენ);

კეხიანი ცხვირი მხოლოდ ამაყსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფინიასავით ერთგულ ადამიანებს აქვთ;

ერიდეთ მოღრეცილი ცხვირის პატრონებს – ყველა ავი ინსტინქტი ამ ადამიანების ბუნებაშია თავმოყრილი, მაგალითად: ორპირობა, ვერაგობა, სიძულვილი, შური;

დიდი, გრძელი და ფართო ცხვირი ფართო ნესტოებით, მხოლოდ ნუგბარის მოყვარულ ადამიანებს ახასიათებთ;

სქელი და თანაც წითელი ცხვირი ვისაც აქვს, ის აუცილებლად ლოთი იქნება;

თხელი, სწორი და გრძელი ცხვირი აზარტულობისა და სიმკვირცხლის ნიშანია.

### ყურები

პატარა ტლანქი ყურები აქვთ ავ, მატყუარა, მოღალატე, უგულო ადამიანებს; ძალიან თხელი ყურები – ფიცხებსა და ნერვიულებს;

გრძელი, ვიწრო ყურები უჭკუობისა და უსაქმურობის ნიშანია; ნიჭიერ ადამიანებს ფართო და თხელი ყურები აქვთ;

თმით დაფარული ყურები ტემპერამენტიანებს ახასიათებთ;

ზედმეტად სქელი ყურები – ღორმუცელობისა და პირქუში ხასიათის ნიშანია;

სქელკანიანი ყურების პატრონი ჯანმრთელია და დიდხანს იცოცხლებს; რბილი ყურები კი ხანმოკლე სიცოცხლის მომასწავებელია;

ძუნწებს, შურიანებსა და თავკერძა ადამიანებს გრძელი და ვიწრო ყურები აქვთ.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მხd4-e6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



### აჩი ფურცელაძის ანეკდოტები

ძმაკაცი ეუბნება მეგობარს:

– გუშინ ჩემს პირადობის მოწმობაში ჩავიხედე და ისე ვემსგავსები იქ ჩაკრულ სურათს, მგონი დასვენება მჭირდებაო.

***

მარო ფეხმოტეხილ მიხოსთან არის ჩამომჯდარი ლოგინზე.

– გახსოვს მარო, ჯარში რომ წამიყვანეს, შენ ჩემს გვერდით იყავი.




– მახსოვს.

– როცა ინსტიტუტში ვაბარებდი და ჩავიჭერი გამოცდაზე, მაშინაც ჩემს გვერდით იყავი.

– ეგეც მახსოვს.

– როცა სამსახურიდან გამომიშვეს და კარგა ხანს სამსახური ველარ ვიშოვე, მაშინაც ხომ ჩემს გვედით იყავი?

– მაშ! ვიყავი.

– ახლაც ავარიაში რომ მოვყევი და ფეხი მოვიტეხე, ხომ ჩემს გვერდით იყავი?

– ვიყავი, მიხო, ვიყავი.

– ხოდა, მგონი შენა ხარ თარსი, შე შობელძაღლო, ყველა უბედურება შენგანა მჭირს!

### ბექა ონიანის ანეკდოტები

„პლეხანოვზე", ბირჟაზე, ტიპი ეუბნება მეორე ტიპს:

– აუ ძმა, ჩემს მეზობელს იმდენი კბილი აქვს გამოხრული, რომ დაალებს პირს თავი ვარძიაში მგონია.

***

მიხო ხეზე ხის და იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის. მარო გამოსძახებს სახლიდან:

– მიხო, რას აკეთებ, ეგრე ხომ ჩამოვარდები?

– ჭკუა შენიანებს დაარიგე, დედაკაცო!

მიხომ მოჭრა ტოტი და ძირს დაენარცხა. გამოვარდა მარო გადარეული და ეცა ქმარს ასაყენებლად.

მიხომ გაიფიქრა:

– ვანგაა, ეს შეჩვენებული?

## ინსპექტორი და შიშველი ჰერაკლე

1983 წელია. „ივერია" საკმაოდ გახმაურებულ ფილმს იღებს – „არგონავტებს". ეპიზოდის გადაღება მეტეხის ციხის ტერიტორიაზე მიმდინარეობს.

ფილმში იაზონის როლს ჩვენი საყვარელი ზურა ყიფშიძე ასრულებს. მე (ნაკლებს როგორ ვიკადრებდი) ჰერაკლეს როლს ვასრულებ. სცენარით, „პლავკის ტერიტორიაზე" – წინ და უკან – უზარმაზარი ფოთლები მაქვს მიკრულ-მიწებებული. წელს ზემოთ და წელს ქვემოთ შიშველი ვარ. იმ პერიოდში დიდუბეში კერძო ექიმთან ნემსებს ვიკეთებდი ერთსა და იმავე დროს (გადაუცილებლად) – შუადღის პირველ საათზე. მკითხველს ვთხოვ, ჩემზე წარმოდგენა ნუ წაუხდება იმის გამო, რომ ჰერაკლე ვიყავი და ნემსებს ვიბრახუნებდი და, ნურც იმის გამო, რასაც ქვემოთ გიამბობთ.

მოკლედ, მოგეხსენებათ, სცენა-ეპიზოდი ერთი დუბლით არასდროს გადაუღიათ და გამონაკლისი არც მაშინ მომხდარა. თვალსა და ხელს შუა წამომეპარა ნემსის გაკეთების დრო. მორიგი დუბლი რომ დავამთავრეთ, საათს დავხედე და ელდა მეცა – ნემსის გაკეთებას, ანუ პირველ საათს, ათი წუთი უკლია. მეცა პირკატა. გამოცვლას ვინლა ეძებს, თუ ძმა ხარ...

ჩემი მანქანის უკან ვილაცას ჩაუჩხერია თავისი მანქანა – ეძებე ახლა პატრონი...

მეტი გზა არ იყო – ჩავხტი ჩემი ფოთლებიანად ზურა ყიფშიძის მანქანაში, დავქოქე და დავგაზე დიდუბისკენ კისრისტეხით.

მკურნალ ექიმს გაფრთხილებული ვყავდი – ცოტაც რომ გადაცდეს ნემსის გაკეთების დრო აღარ იმოქმედებსო. ვეკვეთე ნაბერეჟნს. ზურას მანქანაც ერთგული გამოდგა – აბგონს აბგონზე აკეთებს. გზა მოვიმოკლე და პანთეონისკენ ავიაღმართე საშინელი სიჩქარით. ახლა მარცხნივ მოვუხვევ და... ორი წუთი კიდევ მაქვს.

– ტრრ! – ჩაუსტვინა ინსპექტორმა.

– თფუ! – გადავაფურთხე მე. მაგრამ კანონმორჩილი ვარ და გავჩერდი ბორდიურთან.

ახლა გადავალ და ამ შტერს აუხსნი, რომ „სპოლო" გააჩერა, რომ „სპილოს" ნემსზე აგვიანდება.

მივწვდი სახელურს და – მეორედ მეცა პირკატა – ახლაღა დავინახე, რომ ფოთლები „მაცვია". გადასვლა კატასტროფაა, არგადასვლა – ვარესი.

დავემორჩილე ბედს და გავიყუჩე.

ინსპექტორი აუჩქარებლად მოლაჯუნდა. ჯერ, რატომღაც, მანქანის ქვეშ შეიხედა, მერე აუჩქარებლადვე გადაუსვა ხელი „ბაგაჟნიკს" და, როგორც იქნა, მოვიდა ჩემამდე.

– ლიადავოი სალვა გუცამაზოვი! – ამილო ჩესტი (ოსია – სტაპრაცენტ!).

ნემსის შარი უკან დარჩა. ახლა ახალი შარი დაიჩითა.




– რომა რცხილაძე! – გავეცანი ფანჯრიდან.

– სტოდვაცატ კილამეტლ სიჩქალით ლო მოფლინამდი, განა ვერ დაგინაქე?

– ვინავატ... გამიშვი, რა, მეჩქარება!

– ეე, გაგისვი კაია, ალალ უსლიან? – ლა მაგალია! გამისვი! იფ, იფ! ექლავე გადმოდი მასინიდანა!

– ვერ გადმოვალ!

– იფ, იფ, იფ... ვითამ ლატო, ციტუნიავ? (ჩიტუნიაო).

– იმიტომ, რომ შიშველი ვარ.

ინსპექტორმა თვალები ჯერ ჩემს წამელოტებულ თავს დაასვა, მაგრამ, აუსრიალდა და ჩემს შიშველ ბაყვებზე გადავიდა.

– ვეე! – აღმოხდა...

მაშინ თბილისში „ელგებეტე" არ იყო და, ისე გაუკვირდა, კინაღამ საბოლოოდ გამოტვინდა.

– გადმოდი ექლავე მაგ სატლანსპოლტო სასუალებიდანა!

– სხვა რა გზა იყო და „გადმოვჰერაკლედი". წინ – ფოთოლი, უკან – ფოთოლი, ზემოთ-ქვემოთ – შიშველი.

ელდანაცემმა 15-რაზმერიანი პირი ბოლომდე გაალო და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

– ეს ლა ალი?! – მიმითითა ფოთოლზე.

– ფოთოლია, ვერ ხედავ?

– ძმა არ ხარ (რომელი ძმა ის იყო)? გამიშვი, რა, ნემსი უნდა გავიკეთო.

ეს ბოლო წვეთი იყო, რომელმაც სანყალი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ საქმე ანომალიურ მოვლენასთან ჰქონდა. დაფეთებული მოწყდა ადგილიდან, ავტოინსპექტორის „ჟიგულიში" შევარდა, რაცია დააძრო და მთელი ხმით ჩაჰკივის:

– იოლი! („იორიო") იოლი! მტკვალი ვალ, მტკვალი!

– გისმენ, „იორი"!

– უფლოსო! – ყვირის ეს ჩემი ნემსის ცოდვით სავსე, – უფლოსო, ექლა ანომალიჩესკი ვინმე დავაკავე (მაიცა, ალ წაქვიდე, – მომაძახა).

– შენ მთვრალი ხომ არ ხარ? – ისმის ჩახრენწილი საპასუხო ხმა რაციაში.

მთლალი კი ალა, სპოლტის სასაქლესთან ლო ფოთლიანი ბიჭი დგას, იმისი ძმა დავაკავე... ჰო, ცოცქალი! (მაიცა, ალ წაქვიდე! – მომაკივლა ისევ).

– წადი, ერთი შენიც! – ჩაიხრიალა მოპასუხე ხმამ... – ისევ დალიე, არა? დაწერე რაპორტი და მარშ!

მე კი ნემსი გამიცდა...

მოხსნიდნენ ვითომ იმ უბედურს?!

**რომა რცხილაძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

## შევარდნაძის კაცა

ეგზოტიკური ცხოველების სიყვარული რომ ერთგვარი სისუსტეა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა", დიდი ხანია, ახალი ამბავი აღარ არის. მაგრამ, „დიადი" საბჭოთა ეპოქისდროინდელ ლიდერსაც თუ ჰქონდა ამგვარი გატაცება, ნაკლებად იცის ვინმემ. თურმე, ნუ იტყვით და, ედუარდ შევარდნაძესაც ჰქონია ასეთი „სისუსტე". მართალია, ეგზოტიკური არა, მაგრამ, წმინდა სისხლის, „არისტოკრატი," ნამდვილი სამეფო და თანაც, ძალიან ძვირფასი, ანუ ძვირად ღირებული კატა ჰყოლია. ჰოდა, ერთ დღესაც, საქართველოში, პოლიტიკური ტემპერატურა პიკს რომ აღწევდა და ერთი ამბავი იყო ატეხილი პირველკაცობაზე, შესულა ეს ჩვენი მამა-მარჩენალი კაბინეტში და რას ხედავს, საპრეზიდენტო სავარძელზე, ასე სანუკვარი, საოცნებო და საბრძოლველი რომ იყო მრავალთათვის, ფისოს მოუკალათებია და ფანჯრიდან შემოსული მზის სხივებს მიფიცხებული, ნებივრად კრუტუნებს.

– შენც, ფისო?! შენც, ჩემი ადგილი გინდა?! – შესძახა თურმე პრეზიდენტმა და მრავლისმეტყველი ღიმილით გადახედა ზურგსუკან სავარძლის „პრეტენდენტთა" დიდ არმიას.

**ბაბი კირკიტაძე, რომელიც მეორე კურსის სტუდენტია, ცოტა ხნის წინ გამოჩნდა „შალვა რამიშვილის შოუში“. ის ჟურნალისტის როლს ასრულებს, რომელიც „შეკვეთილ სიუჟეტებს“ აკეთებს. გარდა ამისა, ბაბი სკეტჩ-შოუ „ერთხელ საქართველოშიც“ მონაწილეობს.**

# რატომ ეგონა ხალხს გიჟი ბაბი კირკიტაძე და რას გადაურჩა ის მშვიდობიანად

**ბაბი კირკიტაძე:** ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვარ იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. საკმაოდ საინტერესო და რთული პროფესიაა, მე კი მიზიდავს სირთულეები, გამოწვევები. „იმედში“ მე უფრო მსახიობი ვარ, ვიდრე ჟურნალისტი – ვასრულებ ჟურნალისტის როლს. დადებითი კომენტარები კი იყო: კარგი ჟურნალისტიაო, მაგრამ მე მსახიობი უფრო ვარ, ვიდრე ჟურნალისტი. ბაღშიც, ზეიმზე სულ ვაკეთებდით რაღაცეებს, სერიოზული კონცერტებიც გვქონია სკოლაში, რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა.

**– სპექტაკლებსაც დგამდით?**

– იყო სპექტაკლებიც, რამდენიმე როლი მაქვს შესრულებული. ძირითადად, ლოთი, გიჟი ქალების როლებს ვასრულებდი, თან, ბოხი ხმა მაქვს და კარგად ჯდებოდა. ნოდარ დუმბაძის გიჟი მარგო ძალიან მომწონდა. კარგი ქალია, გემრიელი და ამ როლის შესრულება საინტერესო იყო ჩემთვის. რადგან კარგი შეფასებები დავიმსახურეთ, ესე იგი მოეწონათ.

**– მომიყევი, როგორ მოხვდი „შალვა რამიშვილის შოუში“?**

– „ფესიბუქზე“ გამოცხადდა ქასთინგი: გვესაჭიროება გოგონებიო და ჩამოთვლილი იყო: არტისტულები... ასე შემდეგ და ბოლოს – მუსიკალური უნარით. ბოლო ფრაზამ მომხიბლა, ვიფიქრე: ხომ არ ვსინჯო-მეთქი. დედასთან ერთად წავედი ქასთინგზე, საკმაოდ ბევრი გოგონა დაგვხვდა. ჩვენ პირველ სართულზე ვიყავით. მეორე სართულიდან კი რაღაც ძალა ამ გოგონებიდან ზოგს ან დადებით პასუხს უუბნებოდა, ან უარით უშვებდა, ძირითადად, უფრო უარით. ცოტა შემეშინდა. თავიდან მეგონა, რომ ქასთინგი იქნებოდა სცენაზე, „პუშკა“ გაანათებდა. ოცნებებში გადავიჭრი, მეგონა, მამლერებდნენ. შევედი და აღმოჩნდა, რომ გასაუბრება ერთი ერთზე მქონდა შალვა რამიშვილთან. გასაუბრებამ ძალიან კარგად ჩაიარა. რაღაცეები მკითხა, მე აქტიურად ვსაუბრობდი. საკმაოდ შინაურული საუბარი გვქონდა, რომ დაძაბულობა მომხსნოდა და ჩემი შესაძლებლობები, რესურსი გამომევლინა. ერთი-ორი პერსონაჟი განმასახიერებინა, დამრტყმელი, კარგი პურის მჭამელი ქალი, თან, სადღეგრძელოებს რომ ამბობდა. საბოლოოდ, მოეწონა. ბევრი ვიქაქანე, ხან რა გავაკეთე, ხან რა... მითხრა: დაგიკავშირდებით, მომეწონეთო. მოკლედ, ეს იდუმალი ძალა აღმოჩნდა შალვა რამიშვილი. აღფრთოვანებული წამოვედი იქიდან, მოვფრინავდი, თან არავინ იცოდა ამის შესახებ, ჩემი და დედას გარდა – კონსპირაციულად წავედით და წამოვედით. ორ დღეში დამირეკეს, მივედი, უკვე ზვიოც დამხვდა, მაშინ



**ეს იდუმალი ძალა აღმოჩნდა შალვა რამიშვილი. აღფრთოვანებული წამოვედი იქიდან, მოვფრინავდი, თან, არავინ იცოდა ამის შესახებ ჩემი და დედას გარდა – კონსპირაციულად წავედით, წამოვედით**

მამლერეს პირველად – უი, ეს მღერისო, – გაუხარდათ. ესეც დადებითი ფაქტორი იყო. ამის შემდეგ დაიწყო სკეტჩები „ერთხელ საქართველოში“, რომელშიც 4 გოგონა ვმონაწილეობდით „პროფილაქტიკის“ სცენებში. ვითამაშეთ, გადავიღეთ ილოსთან და ვაკაჭისთან ერთად, ჯერ არ გასულა. თავიდან ვნერვიულობდი, მაგრამ იმდენად კარგი გუნდია, იმდენად კომფორტულები არიან ილო და ვაკაჭი, რომ არ გამჭირვებია. თან, მათ გვერდზე გამორიცხულია, მოიწყინო. სულ მზად არიან, კარგი განწყობა შეგიქმნან. როცა ილო და ვაკაჭი არიან, 32 კბილი მაქვს გაღმოყრილი. ილო უფრო ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ არანაკლებია ვაკაჭი. რაღაც როლებს ირგებს ხოლმე და ერთობა ასე.

**– კახელი საყვარლისა და ცოლის როლს მშვენივრად თამაშობ.**

– თავიდან რომ მოვედი და გამაცნეს სცენა, რაღაც საყვარელი არ მომეწონა – პირდაპირ „საყვარელი“ გავიგე. მაგრამ, მერე აღმოჩნდა, რომ ძალიან „საყვარელი“ არ უნდა ვყოფილიყავი. ზედმეტი ქმედებების გარეშე მომიწევდა ამ როლის თამაში. თუმცა იყო ილოსთან: ხელი გაწიე და ასეთი რაღაცეები, გავაგიჟე ხალხი. მაგრამ, როგორც პატარა გოგოს, მპატიობდნენ. მერე მომეხსნა კომპლექსები. ილო საყვარელია, ვაკაჭი – ქმარი. შესაბამისად, ილოსთან უფრო იყო ისეთი სცენები, მაგრამ ილოც დამეხმარა – მოკლედ, ისეთი არაფერი ყოფილა. რაც მთავარია, ჭკვიანი ქალია, საყვარელი ტყუილად კი არ ჰყავს – „აიფონ 6“ უნდა, ტყუილად არაფერს აკეთებს, ყველაფრისგან გამორჩენა უნდა. ვაკაჭის საყვარელსაც კი არ ეჩხუბა, რაც ოქროული ჰქონდა, ყველაფერი დაახია და წაართვა. მე მომწონს. ჭკვიანი ქალია ნანიკო, ვგულშემატკივრობ, გამოქექილია. ჩვენი რეჟისორი – პაატა, ილო, ზვიო მეხმარებოდნენ კახური კილოს ათვისებაში. დუტაც იყო მოსული და საბოლოოდ, ჩემი სმენის წყალობით, ავითვისე. გადაღების პერიოდი ძალიან საინტერესო და სასაცილოა. იმდენს ვიცინით ხოლმე... მთელი დღე არ ვიწყენთ, არ ვიღლებით.

**– როგორ მოგწონს აგრესიული, ბრაზიანი ჟურნალისტის როლი?**

– იდეაში, ეს საპილოტე გადაცემა იყო და როგორც ჩანს, შალვას მოეწონა და ჩაჯდა შოუში ასეთი რუბრიკა. ცოტა მკაცრი, ბოხი ჟურნალისტია, ხშირად ჩხუბობს კიდეც, მწვავე კითხვებსაც სვამს და იგინება კიდეც. სხვათა შორის, გინებასაც ისე ვწერთ, რომ ქუჩაში არავის გაუგია, მოხვედრია ყურში, გადარჩენილები ვართ. მახსოვს, ერთხელ ცირკთან ვიდექი და ისე ვიღებდით. ქუჩის მეორე მხარეს რეჟისორი და ოპერატორი იდგნენ. ვიქნევდი ხელებს, ხალხს გიჟი ვეგონე. გინება უფრო სიუჟეტისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, რადგან „ტუუუ“ ადევს, მშვიდობიანად ვართ. თუმცა, „ფეისბუქში“ მწერენ: არ შეგიძლია არ გვაგინოო.

**– როგორია ამ მხრივ მშობლების შეფასებები?**

– მამა მკაცრია ამ საკითხში, გინებაზეც გაამახვილა ყურადღება, მაგრამ დედიკომ გადამარჩინა. ქუჩაში რომ გინებით დადის ძველი გოგო – ასეთი არ ვარ. რაც შეეხება სიმღერას, ძალიან მომეწონა, რისთვისაც დათო ფორჩხიძეს მადლობა. ის რომ არა, ასეთი არ გამოვიდოდა ეს სიმღერა, ნიჭიერი ბიჭია.

**– რა არის შენი ინტერესის სფეროები, რით ხარ კიდევ დაკავებული?**

– ჩოგბურთზე დავდიოდი ცოტა ხანი თუმცა, კარგ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ. პარალელურად, ქართულ ხალხურ ცეკვებს ვცეკვავდი, ცეკვაში ჩოგბურთმა შემიშლა ხელი, კუნთები დამედო, არამოცეკვავის ტანი გამიხდა და თავი დავანებე. ძალიან აქტიური ვარ.

**– რა ხდება პირად ცხოვრებაში?**

– არაფერი არ ხდება, სიმშვიდეა. ათი წლის ასაკში ვიყავი შეყვარებული და ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი შეყვარებული. თან, მთელმა სკოლამ იცოდა. საკმაოდ მორიდებული ვიყავი შეყვარებულთან მიმართებაში. როცა გავწითლდებოდი საშინლად, ყველამ იცოდა, რომ იქ სადღაც ისიც იყო ან გაიარა. ჩამოყალიბებული კრიტერიუმები არ მაქვს, გონიერი, ნიჭიერი ადამიანი უნდა იყოს, დახვეწილი. „ფეისბუქზე“ იგრძნობა აქტიური შემოტევები და შეძლებისდაგვარად, ვუმკლავდები. ზოგი ისეთ რამეს მწერს, მე მრცხვენია წაკითხვის. ქუჩაში ჯერ ვერ მცნობენ და დაცულად ვგრძნობ თავს, მშვიდად დავდივარ.

**ნათია უტიაშვილი**


## განცხადება

ჟურნალ „თბილისელებს“ ესაჭიროება კვალიფიციური ჟურნალისტები.

დაუკავშირდით პასუხისმგებელ რედაქტორს, ზაალ ცინაძეს.

**ტელ.: 599-58-73-33.**

*ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 12 საათიდან 17 საათამდე.*

**მართალია, თამუნა მუსერიძეს პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა, მაგრამ მას არაჩვეულებრივი შვილი ჰყავს მეორე ქორწინებიდან, აკეთებს საქმეს, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს და ჰყავს მეგობრები, რომლებიც სულ მის გვერდით არიან. როგორც თავად ამბობს, ბედნიერია და ყოველთვის იბრძვის, ცხოვრებაში იმ მიზანს მიაღწიოს, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში დაისახა. თუ როდის გაივლის ის წითელ ხალიჩაზე და არის თუ არა შეყვარებული, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# როგორ შეიქმნა თამუნა მუსერიძის მაჭანკლობით 32 ქართული ოჯახი და რატომ არის ის პატიმრების რჩეული

**თამუნა მუსერიძე**: მიზანდასახული ადამიანი ვარ და მეტ-ნაკლებად მივაღწიე იმას, რასაც ვგეგმავდი. ვერ გეტყვით, პირად ცხოვრებაში იღბლიანი ვარ-მეთქი, რადგან ორი ოჯახი დამენგრა.

**– ორი ოჯახის დანგრევის მიზეზი მხოლოდ უიღბლობაა?**

– უიღბლობაც და უჭკუობაც. თუმცა, არსებობს ოჯახები, ასევე უჭკუოდ რომ შეიქმნა და მერე მთელი ცხოვრება ერთად არიან. მე, ორივე შემთხვევაში, სიყვარულით გავთხოვდი. თუმცა, უჭკუობის გამო, ვერ შევინარჩუნე. როცა იცი, რა ნაბიჯსაც დგამ, რომ ამით ვერ შეინარჩუნებ ურთიერთობას, მაგრამ მაინც არ იშლი, ეს უჭკუობაა და მეტი არაფერი. ანუ, ზუსტად ვიცოდი, მაინც დავშორდებოდი, მაგრამ მიყვარდა, იმედი მქონდა, შეიცვლებოდნენ. მაგრამ მე კაცების შეცვლა არ გამომდის. ჩემი პირველი ქმარი – აჩი ფურცელაძე უახლოესი მეგობარი და ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია დღესაც. მეორე ქმართანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ახლა, ცოტას ვფრთხილობ. რამდენჯერ უნდა დაგენგრეს ბოლოს და ბოლოს ოჯახი? თან, როცა შვილი გყავს, როგორ უნდა აუხსნა მას? წარმოიდგინეთ, შვილს უნდა მივაღებინო მამაკაცი მეორე მამად და რომ გავშორდე, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ ბავშვს რა ვუთხრა? ეს, მისთვის დიდი ფსიქოლოგიური სტრესი იქნება. ალბათ, ამის გამოც არ მინდა, კიდევ ერთხელ გათხოვება. ჩემი შვილი, ყველაზე მთავარი მამაკაცია ჩემს ცხოვრებაში. და იცით რით მგავს? სიჯიუტით. პრინციპული და ჭკვიანია, თავისი სამყარო აქვს. მასთან შემიძლია, ნებისმიერ თემაზე საუბარი. ახლა ხუთი წლისაა სანდრიკა და მთხოვს, კიდევ ერთხელ გათხოვდი, ძმა გამიჩინეო ***(იცინის).*** რა იცის, რომ ჩემი აუხდენელი ოცნებაა, მინდოდა მსახიობობა და ბევრი შვილი.

**– ვფიქრობ, ეს აუხდნელი ოცნებები სულაც არ არის. მთავარია მონდომება. არ მეთანხმები?**

– გეთანხმებით, არ არის აუხდენელი ოცნებები და იმედია, ამასაც ავიხდენ. 30 წლის ვარ, ერთი შვილი მყავს და კიდევ რამდენიმესაც მოვასწრებ ***(იცინის).*** რაც შეეხება მსახიობობას, ახლახან გადამიღეს ერთ-ერთ სერიალში. მართალია, პატარა როლია, მაგრამ მაინც ხომ ვთამაშობ? გამახსენდა, ბავშვობაში ადვოკატიც მინდოდა, გამოვსულიყავი და დამეცვა უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანების უფლებები, მაგრამ ოჯახში ამის გამო კონფლიქტი მოხდა.

**– კონფლიქტში რას გულისხმობ?**

– რომ გაიგეს, ადვოკატობა მინდოდა, გადამაფიქრებინეს. მიაჩნდათ, რომ იურისტობა მამაკაცის პროფესიაა და არა ქალის. ამიტომ, გადავწყვიტე, მსახიობი გამოვალ-მეთქი. მერე მივხვდი, რომ ამ სფეროში ჩემი ადგილი არ იყო. თან, არ მიყვარს ისეთ ადგილას „შეტენვა", სადაც ჩემი ადგილი არ არის. თუმცა, ოცნებებში სულ წარმომედგინა, როგორ ვითამაშებდი ჩემი ოცნების მამაკაცის, ალ პაჩინოს გვერდით და მერე როგორ გავივლიდით წითელ ხალიჩაზე „ოსკარების" დაჯილდოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მის გვერდით დავიჩაგრებოდი, მაინც თანახმა ვარ ***(იცინის).***



ჩემი პირველი ქმარი, უახლოესი მეგობარი და ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, მეორე ქმართანაც კარგი ურთიერთობა მაქვს

**– სანამ ოცნებები ახდება, მანამდე რეალური მამაკაცი არ დგას შენ გვერდით? გავიგე, გამოჩნდა ადამიანი, რომელზეც შეყვარებული ხარ, თუმცა ამას არ აღიარებ.**

– დამიჯერეთ, მართლა არ დგას მამაკაცი ჩემს გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს, ჭორები გავრცელდა. მართლა არ ვარ შეყვარებული, თორემ არ დაგიმალავდით. ვერ ვხვდები, საიდან იგონებენ ამდენ ზღაპარს. უამრავი ფოტო მიდევს სოციალურ ქსელში მამაკაცებთან გადაღებული, მაგრამ ერთი, კონკრეტული ამოიჩემეს და ყველა ამას მეუბნება, ხომ ხარ შეყვარეული მასზე და რატომ მალავო. მოკლედ, გამომაცხადეს ერთ-ერთი მსახიობის შეყვარებ-

**სოციალურ ქსელში დავდე ფოტო, რომელშიც ცოცხზე ვზივარ და ვითომ მივფრინავ, ვიღაცა ქალმა მომწერა, ამ ფოტოს გამო, ცეცხლზე ხარ დასაწვავიო**

ულად, რომელთანაც, შეყვარებულის როლი ვითამაშე პირველ ქართულ მიუზიკლსერიალში „რა პატარაა თბილისი". კი ვამბობდი, ეს როლი ჩემი ოცნების ახდენის პირველი საფეხურია, სამსახიობო კარიერაში-მეთქი, მაგრამ ნამდვილად არ მიფიქრია პირადულზე. უამრავი ჭორი გამიგია საკუთარ თავზე, მაგრამ როცა ეს ჭორი სხვა ადამიანსაც ეხება, არ მსიამოვნებს. ამას წინათ, სოციალურ ქსელში დავდე ფოტო, რომელშიც ცოცხზე ვზივარ და ვითომ მივფრინავ. ვიღაც ქალმა მომწერა, ამ ფოტოს გამო, ცეცხლზე ხარ დასაწვავიო. მეცინებოდა, „ფეისბუქის" ჟანა დარკიც გავხდი-მეთქი ***(იცინის).***

**– თამუნა, პატიმრების რჩეულად რატომ მოგიხსენიებენ? ბევრი პატიმარი თაყვანისმცემელი გყავს?**

– ძალიან ბევრი ***(იცინის).*** რადიოში რომ ვმუშაობდი, ციხეშიც მისმენდნენ და უნდა ნახოთ, რამდენ საჩუქარს, ხატებს, წიგნებს, სანთლებს და წერილებს მიგზავნიდნენ ციხიდან, რამდენი მირეკავს დღესაც. ერთმა დამირეკა და მითხრა, ციხეში გისმენდი, ახლა გამოვედი, მინდა გნახო, ცოლად მოგიყვანო და წყალტუბოში წაგიყვანოო ***(იცინის).*** ერთთან ვმეგობრობ კიდეც. რომ გამოვიდა, მნახა და დავმეგობრდით. სხვათა შორის, მომავალი ცოლიც მე გავაცანი.

**– მართლია, რომ ძალიან ბევრ ადამიანს უმაჭანკლე და დააოჯახე?**

– თუ დამიჯერებთ, 32 ოჯახი შეიქმნა ჩემი მაჭანკლობით და არცერთის ქორწილში არ ვყოფილვარ. არ დამპატიჟეს და ცოტა მეწყინა. თან, მერე მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, შენი სადღეგრძელო პერსონალურად დავლიეთო ***(იცინის).*** ვხუმრობ ხოლმე, ქართველი ერის დემოგრაფიული პრობლემა რომ მოვხსენი, ამის გამო, მედალი მეკუთვნის-მეთქი.

**– ბოლოს, ისიც მითხარი, როგორ ინარჩუნებ ასეთ წონას და განწყობას, რომელიც პოზიტიურად გადამდებია შენგან?**

– ვარჯიშით ვინარჩუნებ წონას. მყავს მწვრთნელი, რომელიც მკლავს და სულს მხდის. თქვენ წარმოიდგინეთ და, კუდუსუნის ძვალიც კი მოვიტეხე ვარჯიშის დროს. დამიჯერეთ, ქალისთვის მთავარი ბედნიერება ოჯახია და ქმარი, რომელიც არ არის აზიატი და არ მოსთხოვს ცოლს სახლში ჩაჯდომას. თუ ქალს სრულფასოვანი ოჯახი აქვს, აუცილებლად თავის საქმესაც გამონახავს, ფორმაშიც იქნება და დროს ყველას გადაუნაწილებს. მეც, საყვარელი მამაკაცისა და ოჯახის გამო, ბევრ დათმობაზე წავალ.

**– ძალიან თამამი და ექსპერიმენტების მოყვარული ხარ. დაფიქრდი და მიპასუხე, რას შეცვლიდი შენს გარეგნობაში?**

– გავიკეთებდი ძვლების დაგრძელებას და სიმაღლეში მოვიმატებდი. მეტს არაფერს აღარ შევცვლიდი ჩემს გარეგნობაში.

**ნონა დათეშიძე**



# როგორ შეიქმნა თამუნა მუსერიძის მაჭანკლობით 32 ქართული ოჯახი და რატომ არის ის პატიმრების რჩეული

გვ. 79



გვ. 69

როგორ აიღო ვალერი ხარიტონაშვილის გაკეთებულმა ფილმებმა „ოსკარები“ და როგორ მუშაობდა ის ცნობილ ტელეშოუებზე

გვ. 68



როდის დაიწყებენ გიორგი ნაზღაიძის წარსულში ქექვას და რატომ არ ეშინია მას შიშველი ფოტოების გამომზეურების

გვ. 78



რატომ ეგონა ხალხს გიჟი ბაბი კირკიტაძე და რას გადაურჩა ის მშვიდობიანად

ISSN 1987-569X
9 771987 569002

...ია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

თბილისელები®

...ურნალი * გამოდის ორშაბათობით * 23 თებერვალი – 1 მარტი * №8 (739) * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge